



F-646

1964

# ფილოლოგიური ძიებანი

## I

ფილოლოგიური ძეგლები

I

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. КЕКЕЛИДZE



# ФИЛОЛОГИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ

## I

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ—1964



# ფილოლოგიური ძიებანი

## I

4887



შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

1. ნ ა რ გ ი ზ ა გ ო გ უ ა ძ ე, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტისა და ენის საკითხები	7
Н. Д. Гоголадзе, Некоторые вопросы текста и языка «Жития Серапиона Зарзмского»	23
2. ნ ა რ გ ი ზ ა გ ო გ უ ა ძ ე, „გიორგი მთაწმინდლის ცხოვრების“ ენა	25
Н. Д. Гоголадзе, Язык «Жития Георгия Афонского»	59
3. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართულის ლექსიკიდან	61
И. В. Абуладзе, Из лексики древнегрузинского языка	66
4. ც ი ა ლ ა ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტისა და ენის საკითხები	67
Ц. И. Курцикидзе, К вопросу текста и языка «Обращения Картли»	95
5. ც ი ა ლ ა ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია	97
Ц. И. Курцикидзе, Грузинская версия «Жития Адама»	136
6. ლ ი ა კ ი კ ნ ა ძ ე, გიორგი ავალიშვილის ენა	137
Л. А. Кикнадзе, Язык Георгия Авалишвили	179

## ნარბიზა გოგუაძე

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტისა და მისი საკითხები

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ჩვენამდე ერთადერთი ნუსხითაა მოღწეული. ესაა აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A—69. იგი შეიცავს ორ ნაწარმოებს: პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ (ფფ. 1—243) და ბასილ ზარზმელის „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“ (ფფ. 244—277). ეს ხელნაწერი გადაწერილია მე-16 საუკუნეში; გადაწერილია ისეთი ნუსხიდან, რომელიც სრული და თანმიმდევრობით დალაგებული არ ყოფილა. „ხელნაწერი ძალიან დაზიანებული და გარყვნილია; საკმარისია ამთავად, რომ ხელნაწერის არქტიპში, აქედან კი თვით მასში და მ. ჯანაშვილის გამოცემაშიც, მოთხრობის თანმიმდევრობა, ქვატერნიონების აღრევის მიზეზით, დარღვეული ყოფილა“ (კ. კეკელიძე).

ძველი გამოცემალია სამჯერ. პირველად ის გამოცემა მ. ჯანაშვილმა („ქართული მწერლობა“, II, 1909 წ.), მეორედ—კ. კეკელიძემ („ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, 1935 წ.), ამ უკანასკნელიდან შემოკლებით გადაბეჭდა ს. ყუბანიევილი („ძვე. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, 1946 წ.). „სერაპიონის ცხოვრების“ ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რომელიც კ. კეკელიძეს ეკუთვნის, შეიცავს ბევრ საინტერესო და აუცილებელ შესწორებას<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, ტექსტი ზოგან კიდევ მოითხოვს ჩასწორებას და გამართვას. ასე, მაგალითად:

247v: სერაპიონი თავისი უმცროსი ძმითურთ წავიდა მიქაელ პარხელთან. „ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს—ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანა შეივდრა (შეჰვედრა, კ. კეკელიძე) ნეტარი სერაპიონ თანა ძმითურთ და თანა-აღრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა“. ხელნაწერი უმართებულო ფორმას იძლევა „შეივდრა“, 1935 წ. გამოცემაში ის გასწორებულია „შეჰვედრა“ ფორმით. კონტექსტის შინაარსი მოითხოვს, რომ აქ „შეივდრა“ ფორმა აღუადგინოთ (მაშინ გასაგებია ნუსხაში წარმოდგენილი შეცდომა: შეივდრა—გადაწერისას ე ამოვარდნილა: შეივდრა).

მიქაელი სამონასტრო მშენებლობისათვის აგზავნის სერაპიონს, იოვანეს და კიდევ ორს თავის მოწაფეთაგან: „თანამოგზაურ შენდა ყავ ძმა[ე] შენი იოვანე და ორნი ძმათა ამათგანნი“ (248v). უფრო ქვემოთ ტექსტში ჩანს,

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 138—140.

რომ სერაპიონისა და იოვანეს გარდა კიდევ ოთხნი ყოფილან. „აღღა  
წმიდა იგი და ძმაქა მისი იოვანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა  
რიცხვ ექუს იყო, და წარემართნეს ჭაბუკსა მას თანა სამნი იგი და სამ-  
ნი დაეტევენეს ადგილსა მას“ ( 255),

კიდევ ერთი ნიმუში: „მოვიწიე ზედა წმიდასა სამარხვოსა მისსა და ვი-  
ხილე ყოვლად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშავევი მისი, და  
განვიშვ და განვიხარე“ (375); ბასილ ზარზმელი პირველ პირში მოგვი-  
თხრობს სერაპიონზე. ტექსტში მისი'ს ნაცვლად იყო მათი, რითაც ტექსტი  
ბუნდოვანი ხდებოდა.

ხელნაწერში ასეთი გაუმართავი წინადადებაა: „და მთავარი იგი კლდე-  
სა მას ზედა განათიეს“. 1935 წ. გამოცემაში ასეა გასწორებული: „მთავართა  
მათ ღამე კლდესა მას ზედა განათიეს“. მაგრამ არც ეს ჩანს გამართლებუ-  
ლი შინაარსის მიხედვით. ტექსტის შინაარსი ასეთ გასწორებას თხოულობს:  
„მამათა ღამე იგი კლდესა ზედა განათიეს“. (ხუცურში ადვილი შესაძლებე-  
ლია **ჰ-Թ-Ը** **ՈՒՄ-Ի** **Մ-Լ** ანოეკითხა გადამწერს **ჰ-Թ-Ը-Ի-Մ-Լ**).

გარდა ასეთი ხასიათის შეცდომებისა (ე. ი. შინაარსობრივი ხასიათისა),  
ხელნაწერში გვაქვს ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომებიც, ზოგან  
კალმის ლაფსუსი. ყველა ასეთ შემთხვევაში ტექსტი უნდა გასწორდეს ძველი  
ქართულის ნორმების მიხედვით.

ხელნაწერის დახასიათებისას უპირველეს ყოვლისა უნდა მივუთითოთ  
**ა-მეტობა**ზე. ამის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „საყურადღებოა **ა-ს** ხმარება  
ძველში. ძალიან იშვიათად ვხვდებით მას ბრუნვებში, იქ სადაც საჭიროა,  
სამაგიეროდ იმით რბილდება ხმოვნები, უფრო კი **ა**, როგორც სახელებში,  
ისე ზმნებში“<sup>2</sup>.

**ა-მეტობა** ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება მე-11 საუკუ-  
ნიდან. ამიტომ ამას გადამწერს [მე-16 საუკუნე] ვერ მივაკუთვნებთ. იგი უფ-  
რო ადრინდელი მოვლენაა, მაგრამ ეს არ არის არც დიალექტური, არც  
აკუსტიკურ ნიშანზე (ე. ი. შერბილებისათვის) წარმოშობილი (როგორც  
ამას ვარაუდობს 1935 წ. გამოცემის რედაქტორი). ესაა წმინდა ორთოგრა-  
ფიული ხასიათის მოვლენა (აკ. შანიძე): ბოლოხმოვნიანი სახელების სახელო-  
ბითი ბრუნვის (**აა**) დაბოლოება უკვე დიფთონგად აღარ იკითხება (მე-12  
საუკუნის დასაწყისში უკვე ასეა, იხ. დავით აღმაშენებლის ანდერძი), ოღონდ  
ორთოგრაფია ისევ ძველი რჩება. შემდეგ, რაკი **აა** გაუტოლდა **ა**'ს, **-აა** იწე-  
რება ძალიან ხშირად **ა**'ს მაგიერად. ეს **ა** უფუნქციოა აგრეთვე ზოგჯერ **-აა**  
კომპლექსში.

მაგალითები „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ნუსხიდან: სიხარული-  
თაჲ, სხუანიცაჲ, კელითაჲ, უპყრაჲ, თანაჲ, ეტყოდაჲ, უბრძანაჲ, ჰრქუაჲ, ზე-  
მოჲ, საღმრთოანი... სიტყვის შიგნით **ა**თ (|| ათ), **ა**ნ, **ა**ხ, **ა**დ უდრის: **ათ**,  
**ან**, **ახ**, **ად**.

უე კომპლექსი სისტემატურად უშ-თია წარმოდგენილი: შუშნიერი,  
უქუშ, უხუშებით, შიშუშლ, გუშქმნა, წარგჳდლუშ, გუშტყოდა... გრაფიკულია  
აგრეთვე **ო**'სა და **უ**'ს აღრევა: **ოდაბნოსა** (=უდაბნოსა), **გაზდა** (=გაზუდა),  
**უშორველად** (=უშურველად), **მრუწველთა** (=მროწველთა). ზოგჯერ **ვ** და **უ**

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, დასახელებული შრომა, გვ. 141.

მონაცვლოებენ: ქვა || ქუთასა, სათაჯვე (უნდა იყოს: სათაჯუე), შეპგვან-  
და || შეპგუანდა; უღვაწთა (უნდა იყოს: უღუაწთა); ტვირთვისა, იტვირთო  
(უნდა იყოს: ტჯრთვისა, იტჯრთო); ურცხვინო (უნდა იყოს: ურცხვნო), დევ-  
ნა-უყვეს || წინა-უყუეს, თვალგბსა, მიითვალა (უნდა იყოს: თუალგბსა, მი-  
ითუალა)...

ჯ არის ნაცვლად გვაქვს ხ-ანი: ორთოხი (უნდა იყოს. ორთოჯი), ერთ-  
გან ჯ-ს ნაცვლად არის უი: გჯკუირდა.

წინამდებარე ნაშრომი — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ენა“ — გულის-  
ხმობს ერთი ლიტერატურული ძეგლის ენობრივ მიმოხილვას; აქ შემოდის: ორ-  
თოგრაფია, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა. ამ მიმოხილვის შემ-  
დეგ თითქოს უნდა მივიღოთ ერთი ავტორის მხატვრული ნაწარმოების ენობრი-  
ვი თავისებურებანი, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია რამდენიმე მომენტი:

ა) ორთოგრაფიის განხილვისას შესაძლოა ერთმანეთის გვერდით მო-  
ხედეს X—XI და XVI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოვლენები; უფ-  
რო სწორად რომ ვთქვათ, ზოგჯერ გაჭირდება, ვის მივაწეროთ ორთოგრა-  
ფიული გადახვევები.

ბ) ფონეტიკაში ამა თუ იმ სიტყვის ფორმის ცვალება არ ვიცით, ვადა-  
მწერს მივაკუთვნოთ თუ ავტორს.

გ) ჩვენი ძეგლი არაა ერთი კაცის ნამუშევარი. როგორც სამეცნიერო  
ლიტერატურაშია შიღებულნი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ კინენური  
რედაქცია შექმნილია X საუკუნეში, შემდეგ XI საუკუნეში ის განავრცო მე-  
ტაფრასტმა (კ. კეკელიძე). საკითხი იბადება კინენური და მეტაფრასული  
რედაქციების ურთიერთმიმართების შესახებ. ამრიგად ჩვენი ენობრივი მიმოხილ-  
ვისას ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სულ ცოტა ორ ავტორთან (ამას დაემა-  
ტება ისიც, რომ ავტორის თბრობას შეიგადაშვი ჩაერთვის ხოლმე სერაპიონის  
საქმეების თანამონაწილე პირის თბრობა).

„სამწუხაროდ, ეს შრომა ჩვენამდე არ შენახულა იმ სახით, რა სახითაც  
ის გამოვიდა მისი ავტორის ხელიდან. როდესაც ქართულს მწერლობაში ფე-  
ხი მოუდგამს ე. წ. მეტაფრასტულ მიმართულებას, ამ შრომისაც განუცდია  
ამ მიმართულების გავლენა, ვიღაც მეტაფრასტს უკისრია მისი შეკეთება და  
განახლება“, — წერს აკად. კ. კეკელიძე და შემდეგ უმატებს: „საბედნიეროდ,  
ეს განმახლებელი არც ისე დახელოვნებული მწიგნობარი ყოფილა, რომ მას  
ისე რადიკალურად გადაეკეთებია „ცხოვრება“, როგორც ეს მიღებული იყო  
მეტაფრასტულ ლიტერატურაში, არსებითად ბასილის შრომისათვის, მისი  
გვემისა და ფაქტიური მხარისათვის, მას ხელი არ უხლია, მისი რედაქციული  
მუშაობა გამოიხატება შემდეგ რამეში: 1) მოკლე შესავალი და ებილოგი,  
რომელიც შექველია ბასილის შრომისაც ჰქონდა, მეტაფრასტს განუფრცია  
და შეუშვეია საღვთო წერილიდან ამოღებული ტექსტებითა (შესავალი) და  
აგრეთვე მრავალი პათოსური მიმართებებით (ეპილოგი). 2) შეუტანია თხზუ-  
ლებაში შედარებანი სერაპიონის მოღვაწეობისა და სასწაულომოქმედებისა  
სხვადასხვა მეუღაბნოეთა, წმიდათა და ბიბლიურ პირთა ცხოვრებასთან, რო-  
გორც ეს მიღებული იყო განსაკუთრებით მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიაში.  
3) ცალკეული ნაწილები მოთხრობისა გადაუბამს ერთმანეთზე საგანგებო,  
მეტაფრასტების მიერ მიღებული აბზაცებით“<sup>3</sup>. მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით,

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, დასახელებული შრომა, გვ. 123—124.



მეტაფრასტს მეტი აქვს გაკეთებული; ხოლო ბასილი, ავტორი ამ თხზულების პირველადი, კიმენური რედაქციისა, არ ჩანს ზოგ ისეთ ეპიზოდში, რომლის კიმენური წარმომავლობა თითქოს უქვეველი უნდა ყოფილიყო.

მაგალითად:

1. სერაპიონის მშობლების შესახებ ნათქვამია, რომ სერაპიონის მამას ერქვა კუპრიანე, ხოლო „სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ“. ამის გამო შენიშნავენ: „გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ბასილმა არ იცის სახელი თავისი ბებუისა (მამის დედისა), რომელსაც ის არ მოსწრებია“<sup>4</sup>.

მოვიტანოთ ტექსტიდან ის ადგილი მთლიანად, სადაც სერაპიონის დედაზეა ლაპარაკი: „ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კუპრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ, არა თუ სახებოროტებისა რაასათჳსმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისათჳს, რამეთუ რომელმან ესევეთარი გამოიღო ნაყოფი, ვერ ეგების მისი უშუერებით და უნდოდ წარწყმედაჲ, ვითარცა უფალიცა იტყოდა: ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად. ესრეთ დედაჲ ამის ნეტარისაჲსა სახელმოუჴსენებელად დაიფარა სოფლით, რამეთუ ნათლად რაჲ გამოიყვანა წმიდაჲ ესე ნაშობი ორთათანა ძმათა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს, რომლისა ჴსენებაჲ მრავალგზის ეგულეების სიტყუასა, რამეთუ შენა რაჲ სამნი ესე ნაშობნი და განიხარა შვილთ-სხმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: დედაჲ შვილთა ჴედა სახარულეგანი, ნათლად გამოიყუანებელი მათი ნათლად წარუვალად მიიცვალა“. აშკარად ჩანს, რომ ეს კიმენური არაა.

ჩვენ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ბასილის კალამს არ ეკუთვნის ისეთი შინაურული ამბების თხრობაც კი, სადაც სერაპიონის უხუცეს ძმაზე, ე. ი. ბასილის მამაზეა ლაპარაკი. სერაპიონის უფროსი ძმა ტექსტში სამგან არის ნახსენები: 246v: „[დედამან] ნათლად რაჲ გამოიყვანა წმიდაჲ ესე ნაშობი ორთათანა ძმათა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს“.

247v: „ხოლო უხუცესი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკჯდრებელსა“.

266<sup>b</sup>: „ძმანაცა იგი მათი უხუცესი, რომელი პირველ ვაჴსენეთ, იხილეს და სურვილით მოიკითხეს“.

არსად არაა ნახსენები სახელი ამ უხუცესი ძმისა. ნუთუ ესეც შემთხვევითია, რომ ბასილმა არ ახსენა თავისი მამის სახელი? ჩანს, რომ ეს საყოფაცხოვრებო დეტალები, სადაც სწორედ ბასილის ხელია მოსალოდნელი, მეტაფრასტს ეკუთვნის (ბასილს იმას ველარ დავაბრალებთ, რომ საკუთარი მამის სახელი არ იცოდებოდა).

2. ტექსტში პირველი პირით არის გადმოცემული სამონასტრო ადგილების შერჩევისა და შემოვლის შესახებ. მოთხრობილია ეს ამბავი იმ პირის მიერ, რომელიც თან ახლდა სერაპიონსა და იოვანეს. ტექსტის ამ ნაწილში ისეთი დეტალური აღწერაა ზარზმის მიდამოებისა და ისეთი უშუალობითაა ყველაფერი გადმოცემული, რომ იგი სანდო ჩანს თითქოს ყველა წერილმანში. მაგრამ მეტაფრასტის მარჯვე ხელი, როგორც ჩანს, აქაც ერევა და ძალაუნებურად აქაც ზოგ რაიმეს საეჭვოს ხდის. კერძოდ: გიორგი ჩორჩანელმა

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, დასახელებული შრომა, გვ. 122, სქოლიო.

ბრძანება გასცა, რომ ერთი თავისი ხელკვეითი ჭაბუკი გაჰყოლოდა წმინდანებს და, რასაც ისინი ერთ დღეში შემოივლიდნენ, იმ ადგილებს მთავარი თმობდა ეკლესია-მონასტრებისათვის. ის დამე წმინდანებმა „კლდესა ზედა განათიეს. და ესეცა სიტყუაჲ ჭეშმარიტ არს, მოწიგნული ჩუენდა, ვითარმედ ხილვაჲ ანგელოზისაჲ იხილა დამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულს-მოდგინებით შრომად უბრძანებდა, რომლისათჳსცა შემდგომად ორისა დღისა შექმნნა ჯუარნი წმიდამან მან ჯელითა თჳსითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა“, (254v). ეს ამბავი სარწმუნოა, ნამდვილია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწიაო (რათქმა უნდა, გადმოცემით). ცოტა ქვემოთ (259) ეგვე ამბავი მოთხრობილია იმ მონაზვნის მიერ, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. „... ხოლო განთენა რაჲ, შეეწირნით ლოცვანი. და მოილო წმიდამან მან ჯელითა თჳსითა შეშაჲ, და ვითარცა პირველ ვთქუთ, და შექმნნა ჯუარნი და აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა“. ამ ამბის პირველად მოქმელმა (254) ეს გადმოცემით იცის, ხოლო ეს ბერი თანაღმარაჲ ადგილისა აღმართვისა...

ყურადღების ღირსი ჩანს კიდევ ერთი მომენტი: ბასილი ავტორად ნახსენებია უკვე თხრობის დასასრულს, რომ სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მისი საფლავი შეამკო და ხსენება დაუდრო ოქტომბრის 29-სა<sup>5</sup>. ყველაფერი ეს პირველ პირში მოთხრობილი. ე. ი. კიმენური რედაქცია შესაძლოა საერთოდ პირველ პირში ყოფილიყო გადმოცემული (ამით ხომ არ აიხსნება ის, რომ გვ. 261-ე მესამე პირის თხრობაში უცებ თითქოს გაპარულა I პირის თხრობა: „ლოცვით და ლიტანიით ადგილსა მას პირველ ჭსენებულსა ბორცუსა ადგიდით“).

ყველაფერი ზემოთქმული განაპირობებს შემდეგს: ერთი თხზულების ფარგლებში თავსდება ბასილ ზარზმელის ენა, სერაპიონის თანმხლები პირის თხრობა, მეტაფრასტის ენა, პლუს მე-16 საუკუნეში გადაწერილი ნუსხის ზოგი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი. ამით აიხსნება, ალბათ, პარალელური ფორმების სიუხვე. მაგალითად, გვაქვს ვითარ, ვითარ-იგი, ვითარცა, ვითარცა-იგი. ამათგან პირველი ორი ფორმა უფრო ადრინდელია, მომდევნოა ვითარცა, ვითარცა-იგი (ეს ქრონოლოგიურად). თუმცა მათი ერთდროული ხმარებაც არაა დაუშვებელი. ამავე მიზეზით გვაქვს პარალელურად: განთენა || განთენნა || განთენდა; იხილნენ || იხილვნენ... აღორძინდით || აღორძინდებოდა...

#### ფონეტიკა

რაკი სიტყვები უმეტესად და ჩვეულებრივ დაქარაგმებულია, ფუძის კუმშვა-უკუმშველობაზე მსჯელობა არ გვექნება. გახსნილიც რომ იყოს ქარაგმა მე-16 საუკუნის ნუსხაში, ეს ჯერ კიდევ არ მიუთითებს იმაზე, როგორ ხმარობდა ამა თუ იმ ფუძეს ავტორი და გადამკეთებელი-რედაქტორი (ქარაგმების გახსნისას წარმოდგენილ ციტატებში ვიცავთ კლასიკური ქართულის ნორმებს).

<sup>5</sup> საინტერესოა, თუ გვხვდება სერაპიონის ხსენება 29 ოქტომბერს რომელიმე კტიტორულ სენიქსარში და რა დროიდან.

ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითში ბრუნვის **o** ხმოვანი დასუსტებულია, გვაქვს **ჟ**, რომელიც უკვე აღარ იკითხება. ამიტომ ის ხშირად აღარ ჩანს მოსალოდნელ შემთხვევებში.

ჟ ხშირად უკვე დაკარგული ჩანს მთელ რიგ სიტყვებში: უკან, უკანა, უკანასკნელ, უკეთუ, მიუწდომელ, მისაწთომელ და სხვ.

ზოგჯერ იკარგება **რ** ფუძეში: „განსაკრთომელი, უგმარად, მიბრძანო, უბრძანა... საკმაოდ ხშირია აგრეთვე ვინის დაკარგვა ზმნებში: შეუგრდა, ეგულვების... (ამის საპირისპიროდ გვაქვს: იყოფვოდა, იბიღვნეს); ერთი სანი ჩავარდნილია ფორმაში: „თაყუანი<sup>1</sup>ს-საცემელად, თაყუანი<sup>1</sup>ს-სცეს.

ერთ გეოგრაფიულ სახელში **მ** არის გაჩენილი: სათაუე || სამთაგსა. „სიტყვებში „ვინა<sup>1</sup>ქ, ვინა<sup>1</sup>ქცა, ვინა<sup>1</sup>ქთგან, უფრო<sup>1</sup>ქლა“ (აგრეთვე ნაწილაკში რა<sup>1</sup>ქ ტმესის შემთხვევაში) ხელნაწერი **ჟ-ს** არ ხმარობს“ (კ. კეკელიძე).

### მოკვლეობა

#### ბ რ უ ნ ე ბ ა :

ძველში გვაქვს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი რვავე ბრუნვა: წრფელობითი, სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი.

წრფელობითი ბრუნვა გამოიყენება „წოდება“ ზმნასთან. ამ ბრუნვაში დგას შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი და გარკვეულ შემთხვევებში სახელი რიცხვით სახელებთან. მაგალითები:

„ეწოდებოდა კვბრიანე“ (246), „თეკლა ეწოდება“ (272), „ეწოდა ზარზმა“ (261v), „შემის-თავ ეწოდების“ (257), „რომელსა ძარღუას სოფელ ეწოდების“ (270), „რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი“ (247); „რომელთა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი“ (272).

ამ უკანასკნელი მაგალითის მიხედვით თითქოს ლაკლაკი, საკუთარი სახელი, **o** ბოლოზმოვნინი ფუძეა (როგორც: ანტონი, გიორგი და სხვ.), მაგრამ სხვა შემთხვევაში (ამავე ტექსტში) გვაქვს: „მოკლა ლაკლაკმან დისიძე თუსი“. აქედან ჩანს, რომ ლაკლაკი ბოლოთანხმოვიან სახელად არის გაზარებული.

საერთოდ ხელნაწერში წრფელობითის გამოყენება „წოდება“ ზმნასთან სისტემატური არაა, საკმაოდ ხშირია მის ნაცვლად სახელობითი ბრუნვა:

იოვანე-წმიდა ეწოდების (271v),

რომელსა ეწოდა გარბანელი (257v).

ბერას ჯუარი ეწოდების (249).

წრფელობითის გამოყენება რიცხვით სახელებთან: ათორმეტ მილიონ (263v), ორ მილიონ (249v), ას წილ (246v).

შედგენილ შემასმენელთან:

უმეცარ ვართ (246), ცოდვილ ვართ (252), ხართ წინამძღუარ და მასწავ-  
ლელ (271 v), შეუძლებელ არს (248 v, 253 v), ჭეშმარიტ არს (254 v), უდა-  
რეს არიან (266<sup>ა</sup>), წადიერ არიან (254 v), შეეუარებულ იყვნეს (247 v), იყვნეს...  
ბოროტ (249v)...

თუმცა აქ-იქ შემასმენლისთანაც გვხვდება გადახვევა:

„და ვითარცა ცნა ზედამიწევნით, ვითარმედ უფალი არს მათ აღ-  
გილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთაჲ“ (251): უნდა იყოს:  
უფალ (და სანახებთა).

„რომელი იყო თავ და წარმართებთაჲ ყოველთა საქმეთა მისთა“  
(266<sup>ა</sup>) უნდა იყოს: წარმართებთა.

წორფელობითის ფორმითაა წარმოდგენილი ზოგიერთი ზმნისართი:

პირველ ვაჟსენეთ (266<sup>ა</sup>) || შდრ. პირველად (244v)

პირველ ეთქუა (274).

რახთა ხვალის დღე მივიდენ (272)

განთიად ნოიკითხნეს (261v), მყოვარ ჟამ (248 v), ილუაწა ჟამ  
რაოდენმე (276).

სახელობითი: ბოლოხმოვნიან სახელებთან, როგორც ზემოთ ვთქვეით,  
სახელობითის ი→ჲ. ა ბოლოხმოვნიანი სახელები:

სეხნაჲ, ველოგიაჲ, წმიდაჲ, ცთომილებჲ, მაგრამ პარალელურად უნიშნო  
ფორმებიც გვხვდება: გზაჲ || გზა

ენაჲ || ენა

ლოცვაჲ || ლოცვა და სხვ.

თუმცა დაბოლოება -აჲ ერთიორად აღემატება უნიშნო სახელობითს, მა-  
გრამ მაინც -ა ბრუნვის ნიშნად უკვე აღარ გაიაზრება. ასეთივე ვითარებაა ო  
ხმოვანზე დამთავრებულ სახელებთან:

იწროჲ (245) || იწრო (259); რტოჲ (265) || რტო (266<sup>ა</sup>); საღმრთოჲ  
(248 v); სამკუდროჲ (269); უღმრთოჲ (255 v); სამწყსო (267); უწყესო (273),  
ოქრო (274), უდაბნო (254), გემო (256).

უ და უ-ზე დამთავრებული სახელები საერთოდ იშვიათია, აქაც სამიო-  
დე ნიმუში გვაქვს: ყრუ (266<sup>ა</sup>v), უტყუ (266<sup>ა</sup>v), რიცხვ (255), ბორცვ (250).

ე ბოლოხმოვნიან სახელებთან არც ერთი შემთხვევა არაა ჯს ხმარები-  
სა (ეს ინიტომ, რომ, როცა ასეთ სახელებთან ა იკითხებოდა, ეჲს ნაცვლად  
გრაფიკულად გვქონდა მ. ეს მ კი ადრევე გაუტოლდა ეს).

მაგალითები:

სიმრავლე (244v), მეუფე (244), ძე (244v), მეფსალმუნე (246v)...

მოთხრობითი: მოთხრობითში გვაქვს სრული -მან დაბოლოება: მა-  
მასახლისმან (270v), პირმან მან უტყუველმან (273v), მთავარმან (252v),  
წმიდამან (248v), ღმერთმან (248v)...

ნათესაობითში ფუციუტყვეც ბოლოხმოვნიანებთან ბრუნვის ნიშნი-  
სეული ა უფრო ხშირად არ ჩანს:

„იწროჲსა (257v), საღმრთოჲსა (244) || საღმრთოჲსა (247v), წყაროჲსა  
(244v), უდაბნოჲსა (245v), უკაცოჲსა (255)...

ასევე მოქმედებთში:

მსოფლიოთა (247v), უცხოქათა (270v), შტოქათურთ (274v), მეფეთათა (274v), უფალთქათა (274), საეშმაქოქათა (266<sup>6</sup>), საღმრთოქათა (272v), სულისქათა (252)...

ემვატიკური ა სისტემატიკური ნათესაობითსა და მიცემითში. მოქმედებითში კი მკაცრად არის ვამიჯნული ინსტრუმენტალისის (საჭურველობითი) -ითა დაბოლოება და ვითარებისა და ადგილის გარემოების გაღმოსაცემად

ით დაბოლოება: „წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათადგილი (249),

„რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა“ (250)

„რომელი შესცთა სივერა ვითა ეშმაქისქათა“ (266<sup>6</sup>)

„ნეშტი თხრობისქათა გულსმოადგილებით ვისმინოთ“ (248)

„დედა ამისი ნეტარისქათა სახელ-მოუხსენებელად დაიფარა სოფლით“ (246v)

„მიმო-რაქა-ვიდოდეს ქირით და შრომით“ (249v)...

ბრუნვის ნიშნისეული ძს შესახებ 1935 წ. გამოცემაზე ღართულ ენობრივ მიმოხილვაში ნათქვამია: „განსაკუთრებით მოიკოჭლებს ძეგლში ძს მორფოლოგიური გამოყენება; იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ ძთავის ადგილას იყოს... თუ სადმე აღმოჩნდება ის თავის ადგილას, არა ნორმის შეგნების კარნახით“<sup>6</sup>, (აქ უნდა დავსძინოთ, რომ ამ ვითარების ამოსავალი წერტილი თავის დროზე მაინც მორფოლოგიური იყო).

ვითარებითში ერთგან გვაქვს -ა დაბოლოება: „სიხარულა“ (267).

წოდებითი: როგორც ძველი ქართულისათვის არის მოსალოდნელი, წოდებითში საზოგადო სახელები ფუძისა და მარცვლიანობის განურჩევლად დაირთავენ -ო<sup>6</sup>; საკმაოდ ხშირად თავში ასეთ სახელებს # უძღვის. მაგალითები:

# მთავარო (253v)

# პატიოსანო და საღმრთოო კრებულო (245v)

# წმიდაო ღმრთისაო (258)

# ანგელოზთა თანამზრახვალო, სამებისა წმიდისა სარწმუნოო მონაო (276)...

მამაო (253), ძმაო (254), შემწეო (276v)...

### რიცხვი:

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით, ჰარბობს ნ'არ-თ'ანიანი მრავლობითი, მაგრამ -ეზ'იანი მრავლობითიც არც თუ ისე იშვიათია. დავასახელებთ ყველა შემთხვევას:

სახელები (244), ნიშები (249v), სასწაულები (249v), ჯორები (263v), კარაულები (263v), სენაკებიცა (263v), თუალებსა (253v), სანთლებითა (274), ხალენებითა (251), საცეცხურ-საკუმეველებითა (252v), ნიშებ-შემოსილისა (273), სანახებსა (250v).

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, დასახელებული შრომა, გვ. 142.

სამი შენთხვევია მრავლობითის ორმაგი წარმოებისა. ამათგან ორი სახელობით ბრუნვაზე მოდის: სოფლ-ე-ბ-ნ-ი-ცა (263v), სანახ-ე-ბ-ნ-ი (260v), ხოლო—მესამე ირიბი ბრუნვაა: სანახებთა (256).

ერთი და იმავე სიტყვის 4-ჯერ გაფორმება ორმაგი მრავლობითით, ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ „სანახებ“ მხოლობითის ფუძედ არის გაგებული? საერთოდ ძველი ქართული ენის ძეგლებში ორმაგი მრავლობითი მეტისმეტად იშვიათია<sup>7</sup>. ამიტომ საკითხი დგება. როდინდელად ჩაეთვალოთ ასეთი ფორმები „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ენაში? ხომ არაა იგი გადანწყვის კუთვნილება?

საკუთარი სახელები:

პირთა სახელები, ერთი გამონაკლისის გარდა, სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი:

„დავით იტყვს“ (224)

„პავლე, პირი ქრისტესი, იტყვს“ (224v)

„აპა ესერა ჯერ-ჩინებითა ღმრთისაჲთა ჟამთაცა ჩუენთა იხილენეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლენნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოვანე, და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმე“ (245)

„სერაპიონ აღმოსცენდა“ (246)

მოთხრობითი:

„მამამან სერაპიონ... გამოსახა“ (252)

„იხილეს ურთიერთას დიდმან მიქაელ და სერაპიონ“ (264)

„გედეონ საწუმისი დადგა“ (262)

„იხილა გიორგი მორწმუნემან“ (250v)

„ბასილი მიითულა წინამძღურობაჲ“ (276)

„იოვანე გამოარჩია [ადგილი]“ (262v—263)

მოთხრობითში -მან დაბოლოებით არის წარმოდგენილი ზემოთ ნახსენები „ლაკლაქმან“-ის გარდა: „გარბანელმან უბრძანა ძესა თჳსსა“ (259); და რამდენჯერმეა „ქრისტემან“ (256v).

წოდებითი:

ჟ საყუარელო შვილო და ძმაო სერაპიონ (265)

ჟ საყუარელო შვილო გიორგი (268)

საყუარელო ია (256)

ძმაო იოვანე (262)

უფალო იესუ (266<sup>a</sup>v)

ეპა საკრველებათა შენთა, ქრისტე! (274)

იგივე „გარბანელი“ წოდებითშიც გაფორმებულია:

„საყუარელო და ქრისტეს მიერ ძმაო გარბანელო (258).

თითქოს ეს სიტყვა წარმომავლობის სახელია და გატოლებულია საზოგადო სახელთან ბრუნების თვალსაზრისით [ეს სახელი ძველ სომხურშიც

<sup>7</sup> ი. იმნაიშვილის წიგნში—„სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“ მხოლოდ 7 მაგალითია დადასტურებული, აქედან ერთი—ჩვენი ძველიდან (იხ. გვ. 93, 314).

გვხვდება პირის სახელად—*„გ ა რ ბ ა ნ ი ე ლ“*, რომლის ეტიმოლოგია უცნობია (პროფ. ილია აბულაძე)].

ადამიანის წარმომავლობის გამომხატველი სახელები: ჩორჩანელი, შუარტყელი, მაწყურელი, თებელი—ბრუნებისას მისდევს საზოგადო სახელებს.

გეოგრაფიული სახელები გვხვდება 4 ბრუნვაში: წრფელობითი (იხ. ზემოთ), სახელობითი (კლარჯეთი, ქართლი, ბერას ჯუარი, შუარტყალი, აწყური, ოპიზა, უმწაჲ), მიცემითი (ოპიზას), ვითარებითი (ცინცედ სახელდებულსა, ზ ა რ ზ მ ა დ წ ო დ ე ბ უ ლ ი).

ნაცვალსახელთაგან გაფორმებით ყურადღებას იქცევს მიმართებითი ნაცვალსახელები. ერთმანეთის გვერდით გვაქვს: რომელ, რომელი, რომელი-იგი, რომელსაცა. მაგალითები:

„რაჲ არს იმერით ქედთა ამათ ტყინთა, ანუ სიმაღლე დიდისა ამის მთისა<sup>1</sup>ჲ, რომელ არს ზემოთ ჩუენსა?“ (257).

„შთამოვიდეს დასასრულსა მას ჳევისასა, რომელ არს უტყუსა“ (249).

„არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გზბრძანა წარმომგზავნელმან მოძღუარმან“ (249v).

„თანამზრუნველ ექმნას კაცთა მათ, რომელნი პოვნეს ადგილსა მას, რომელსა მონასტერი აშენოს“ (265v).

„განკურნე ყრმა<sup>1</sup>ჲცა ესე, რომელი შესცთა სივერაგითა ეწმაქისა<sup>1</sup>ჲ-თა“ (266v—266<sup>b</sup>).

„რომელმან-იგი რტო<sup>1</sup>ჲ ბაჲაჲსაჲ განწმელი ფურცლის მშობლად გამოაჩინა მსგავსად განწმელისა მის ჳელისა, რომელი-იგი განკურნა უფალმან“ (266<sup>b</sup>).

„მოვიდენ საფლავად მისა, ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შეენიერი შენ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია“ (272).

„მზა-ყვენ გზანი მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყვნეს წმიდანი იგი“ (252).

„...აწყუევდა, რა<sup>1</sup>ჲთა მუნ აშენებდენ, რომელსაცა მიუგო წმიდამან“ (261).

„...კუალად ეგო ადგილსა მას სიტყუსაებრ წმიდისა, რომელი-ესე გკვრდა“ (259)...

ფორმათა ეს სიმრავლეც გამართლებას პოულობს იმ მიზეზებით, რაზედაც შესავალში მივუთითეთ (ზუსტად ასეთივე ვითარება გვაქვს მიმართებითი ზნისწელასთან „სად“, ამაზე ქვემოთ).

ურთიერთობითი ნაცვალსახელი გაქვევებული „ურთიერთას“ სახით რამდენჯერმე გვხვდება ცეგლში (ურთიერთას←ურთიერთთა+ს, აკ. შანიძე). შინაარსით იგი („ურთიერთას“) ასე გადმოიცემა: ერთმანეთს, ერთმანეთში, ურთიერთს შორის (ი. იმნაიშვილი). ამას თითქოს უნდა დაემატოს სხვა ბრუნვის გაგებაც. მაგალითად:

„მოწლედ შეიტკბნეს ურთიერთას წმიდათა მათ“ (249) (=ურთერთი)? „რა<sup>1</sup>ჲთა იხილენეს ურთიერთას“ (264).

„წმიდამან უბრძანა ყოვლადვე ხილვად ურთიერთას“ (271).

ზ მ ნ ა: ზნისწინთაგან აღ<sup>1</sup>ის პარალელურად მისი გამარტივებული სახეც გვხვდება: აღაორცინე (276) || აორცნდებოდა (272v).

სხვა ზმნისწინები: გან, გარდა, წარ—თავისი სრული (არქაული) სახითაა წარმოდგენილი: განიჭრებოდა, გარდამოავდო, გარდაცდა, წარგზავნა, წარმოუძღვა...

პირის ნიშნების ხმარების მხრივ ნორმა დაცული არაა  $N_2$  და  $O_3$ -ის პრეფიქსების ხმარებაში. ერთსა და იმავე ზმნაში  $O_3$ -ის ნიშანი ხან ჩანს, ხან არა (ეს იმაზე მიუთითებს, რომ ეს პრეფიქსი პირის ნიშნად უკვე აღარ გაი-აზრება).

მაგალითები: ვმადლობ (252v) || ვჰმადლობთ (251v); განჰცადა (260v) || გარდაცდა (273), განჰჰსნეს (274v)...

ზოგჯერ  $O_3$ -ის ჰ, რომელიც ახლა უადგილოდ ჩანს ზმნაში, ისტორიულად გამართლებას პოულობს: ზმნებს ასეთ შემთხვევაში ერთი პირი (სწორედ ირიბი ობიექტი) დაკარგული აქვთ.

- „შემზახდე მე იგი“ (275)—ამისი ვნებითა: შემზახდა (269)
- „შეჰკაზმეს მათ იგი“ (262v)— „ „ ალექაზმა (252)
- „ლაჰნერგა მან იგი“ (265)— „ „ დაენერგა...

F 2824

პირველი პირის ობიექტის მრავლობითობას გუ- გადმოგვცემს; ზოგჯერ მას ენაცვლება მ-; სამეცნიერო ლიტერატურაში გვ- და მ- პრეფიქსების (მრავლობითში) გამოყენებას ქართული ზმნის ბუნებით ხსნიან, თითქოს I პირში გაირჩეოდა ინკლუსივი და ექსკლუსივი (წერილობით ძეგლებში ამ მოვლენის გადმონაშთილა მოცემული). „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მანის ხმარებისას (როცა ობიექტია „ჩვენ“) ყოველთვის გამოირიცხულია II პირი, ის პირი, რომელსაც ეკითხებიან ან სთხოვენ რაიმეს, თუმცა ასეთსავე შემთხვევებში გუ'ს ხმარების შემთხვევები ჭარბობს.

მაგალითები:

- „ზედამიწევნით ცან ძალი საქმისა ამის და მაუწყე ჩვენ“ (250v).
  - „საყურელო ძმარ ია, შრომა თავს-იდევ ღმრთისათჳს და მცირედ თანამოგზაურ მექმენ ჩუენ“ (256).
  - „ია მომიგო ჩუენ: ესე არს ტბაჲ“ (256 v).
  - „ჩუენ უძღურთა და უღირსთა შვილად შენდა სახელდებულთა ნუ ოდეს დამივიწყებ“ (276).
  - „ამანვე ჩუენცა ღირს-მყვენეს მზესა ამას თანა ხილვად და თაყუანისცემად წმიდასა ხატსა მისსა“ (258v).
  - „მიჰსნენ ჩუენ“ (276v).
  - „ვითარცა სოფელსა ამას წმიდისა მოძღურებისა შენისა მოწაფედ წოდებულ ვართ, ეგრეთვე ზთარ-მყვენ მერმესა მას უქსუანაქსკენლსა დღესა დიდებით მოსლვასა მეუფისასა დგომად მახლობელად შენსა“... (276v).
- ძეგლში გვხვდება ყველა მწკრივი: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს ხოლმეობითი, I და II ხოლმეობითები, კავშირებითი (I, II და III), ბრძანებითი (I, II), თურმეობითი (I და II).

ავ- თემისნიშნიანი ზმნები I სერიაში ისევე იცვლებიან, როგორც ეს ძველი ქართულისათვის არის დამახასიათებელი:

- ვილოცევდით (259).
- ილოცევდით (267v)
- ილოცვიდეს (265v)...
- 2. ფილოლოგიური ძიებანი, I





უწყვეტლის მწკრივში თითქოს გათანაბრებულია ოდიანისა და ოდიანი ზმნების უღლება:

ვიტყოდი (254), ვემზადებოდით (259v)...

ორგან -ოდიანი ზმნა უწყვეტელში ე'თია გაფორმებული:

„წა'რ ვემა'რ თენით აღმოსავალით კერძო და ვიდო დეთ ქედთა რა'თქმე მალალთა“ (256).

„ვითარცა ვიდო დეთ, აჰა ესე რა მოვიდეს ვინმე კაცი უკეთურნი“ (257). ოთხჯერ კავშირებითში -ოდ-ო დაბოლოებაა:

„რამათა საშუალ წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღე-წენოს მცირე ტალავარი, რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რამათა ცხოველი იგი ხატი მას შინა თაყუანის-იცემებოლის მათ მიერ“ (250).

„გარნა აწ ჯერ-არს, ძმანო, რამათა გულსმოდგინედ ვისმინოთ აწ თქუმული ესე. და გეცმოდის რაა დასაბამი და აღსასრული ნეტარისა ამისა ცხოვრებისა[ა], გიკვრდეს და აღიდებდეთ ღმერთსა“ (267).

„მსურის მე, რამათა მოციქულისაებრ ვიტყოდი“ (267).

„ვინა[ა]თგან, შეიღწო, არას მითხრობთ, მე გლახკას თანა-მაც, რამათა მევე ვიტყოდი ჯერისაებრ“ (268).

სვ-ის მრავლობითში ორჯერ I კავშირებითში ოდინ (←ოდიან) დაბოლოებაა. „მდღელნო და მამანო უდაბნო[ა]სა დიდისა ზარზმისანო, რომელთა წილ კეთილ გზდა დიდი ესე მნათობი მამაა, მამათა მოძღვარი და მასწაველი, რამათა გუესმოდინ სწავლანი და საღმრთონი საქმენი“... (245v).

„მრავალნი ჟმისა მას დაფლვისა მისისასა მრავალფერთა სენთაგან განიკურნნეს, რამათა ყოველთა უწყოდინ, ვითარმედ“... (269).

ასეთი ფორმების შესახებ აკ. შანიძე წერს: „დამთხვევას აქვს ადგილი ოდიან ზმნათა უწყვეტელსა (თუ უწყვეტლის ხოლმეობითსა) და I კავშირებითს შორის: უწყვეტელთან I და II სუბ. პირში, უწყვე. ხოლმეობითთან კი წესამე სუბიექტურში. ეს, რა თქმა უნდა, დიდ უხერხულობას ქმნიდა. საჭირო იყო ორპიროვნების თავიდან აცილება და აი ენა ეძებს გამოსავალს და მონახა კიდევ: საშუალ ქართულში I კავშირებითა ოდიან ზმნებშიც ნიშნად ე ხმოვანი გაიჩინა, უწყვეტელმა კი -ი, მაგრამ ვიდრე ეს საბოლოოდ მოხდებოდა, I კავშირებითის მრავლობითი რიცხვის ფორმა გამარტივდა ა'ს ამოღებით: ოდიან→ოდინ“<sup>8</sup>. ასეთი ფორმები დადასტურებულია „იოანე და ექვთიმეს ცხოვრებაში“.

კავშირებითის შინაარსის გადმოსაცემად საკმაოდ ხშირად მიმართავს ძეგლი -მცა ნაწილას:

„რამათმცა:  $\left\{ \begin{array}{l} \text{გუეშენა (254), მივედით (258v), წინა განვეწყვენით (253v)...} \\ \text{ალეშენა (263)} \\ \text{ალაშენა (261v—262)} \end{array} \right.$

„უკუეთუმცა მახარებდა (254).

ხოლმეობითები თითქოს თავმოყრილია ტექსტის ამა თუ იმ ნაწილში, ეს გასაგებობა: მწკრივების გამოყენებას თხრობის ხასიათი განსაზღვრავს ხოლმე. ასე მაგალითად:

<sup>8</sup> აკ. შანიძე, გიორგი მთაწმიდელს ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, 1946, გვ. 78.

„ძმიაქცა მისი იოვანე ზედადასხედა მოვალნ და იკურთხევეინ მის მიერ და ისწავლინ ყოველსა... ხოლო ესე წესი დაუდევს თავთა თუსთა ნეტართა მათ, რამეთუ ლოცვასა ღამისასა ჯელ-განაპრობით დგიან დასსა თანა მგალობელთასა. ხოლო მოეახლის რაჲ ცისკარი, განეშორიან ვითარ ქვის სატყორცელ ოდენ, და მყუდროებით და ცრემლით შესწირვილიან ვედრებათა“ (266<sup>ა</sup>v).

სხვა მაგალითები:

- „ინადირობნ“ (250v), „ისწავებნ“ (271).
- „რომელ ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მას შინა“ (250v).
- „იტყოდის“ (244); „მოვიდის“ (270).
- „წარმოიტყოდიან“ (260v), „უწოდიან“ (257v)...

ფუნქციით ყველგან ერთია ხოლმეობითები და ამიტომაც შესაძლებელი სამივე მათგანის (აწმყოს ხოლმეობითი, I და II ხოლმეობითი) ერთად, ერთ-მანეთის გვერდით ხმარება.

თურმეობითების წარმოებაც ძველია, ახალი არსად არ ჩანს:

განვიზადებთ (270), მიმიცემის (254v), მოუვლინიებთ (253), მოვილებთ (265), მინახვან (251v), ეხილვნენ (273v), დაეტევა (273), აღეშარა 'მათ იგი' (262v)...

ბრძანებითის ფორმები უმეტესად II პირზე მოდის. მესამე პირში შედარებით ნაკლებია და უფრო ხშირად გაქცავებულ გამოთქმებში გვაქვს. მაგალითები:

- „აწ უკუე ჯერისაებრსა ყოფად გკბრძანებდი, მამო“ (253).
- „უკუეთუ რაჲ გნებაეს მთავრისა მიერ, მიბრძანეთ“ (260).
- „თუთ თავადი იტყუს: „მოვედით ჩემდა ყოველინი“... (267).
- „ხოლო აწ კულად აღვედინ სიტყუაჲ ჩუენი“... (273).
- „ძმიაქცე შენი იოვანე მივედინ აღგილსა სხუასა“ (265v).
- „ესრეთ ბრწყინედეინ ნათელი თქუენი“ (245v).
- „ესე ჩუენებაჲ აქამომდე იყავენ“ (248).
- „და ესე აქამომდე იყავენ“ (275).
- „შენდობილ იყავენ პირველი ცთომიაქცე შენი“ (261)...

ზმნისწინიანი აწმყოს ფორმა იძლევა მომავლის გაგებას (ქართულში მოყოფადის ჩამოყალიბების დასაწყისი X საუკუნიდან შეიმჩნევა, აკ. შანიძე).

მაგ: „საქმენი, ესე, რომელთა იტყუთ, თჯნიერ ჩემსა არა წარემართებნიან“ (253).

„გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ აღრე წარავალ ამიერ“ (265v).

- „მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა“ (267v).
- „უბრძანებდა, რაჲთა დრო-ყოს და თუთ მოვალს ჟამი“... (270).

ზმნისწინისა და ზმნის ფუძეს შორის ჩაერთვის ხოლმე რაქცე ნაწილაკი (ტმესი):

აღ-რა[ქ]-აშენოთ (248v), მი-რა[ქ]-ეგო(248), წარმო-რაჲ-ემართენს (258v), შე-რა[ქ]-ენენს (275)...

ვნებითობის სუფიქსად დღემს ზმნაში გვაქვს ნ: დაღუმნა (253v), დაღუმნენს (273v); ხოლო „გათენდა“ ზმნაში ხან ნ'არია, ხან დ'ონი, ხან კიდევ ვნებითობის სუფიქსი დაკარგულია.

„განთენნა (251v), განთენდა (259), განთენა (262v).

აქა ზმნისართის საპირისპიროდ ყველგან „მუნ“ არის გამოყენებული, არსად არ გვხვდება „იქ“ ზმნისართი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადა(ც) ზმნისართის გაფორმება ანალოგიურია მიმართებითი „რომელ“ ნაცვალსახელისა:

„უჩუნა ადგილი იგი, სადა ეგულებოდა აღშენება მონასტრისაქა“ (249).

„შეკრბა ადგილსა მას, სადა-იგი იყენეს წმიდანი იგი (260v).

„სადაცა იყენენ ორნი“ (263v)...

მრავლადაა თანდებულებანი და ნაწილაკიანი ფორმები. -მდე თანდებულის დართვისას ვითარებითი ბრუნვის დ ჩვეულებრივ იკარგება: ტბამდე, ცვალებამდე, პირამდე...

### სინტაქსი

ატრიბუტული მსაზღვრელი (ადგილის მიუხედავად, ცხადია,) ბრუნვაში ყოველთვის ეთანხმება საზღვრულს:

იწროა და საჭირველი გზაა (245), წმიდაა მამაა (245v), ხატსა მას ცხოველსა (252), ცხოველსა ხატსა მისსა (252v), მამამან სულთ-მოყუარებმან (268), საწადელისა ცხორებისა (246), ნაყოფისა ხენემისა (246v), მდულართა სულითა (252), შეწვევითა საღმრთოთა (253), ბაძვად საღმრთოდ (245), ცხორებად საუკუნოდ (249), საღმრთონო მუშაკნო (271)...

მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციური წყობისას აგრეთვე ეთანხმება ბრუნვაში საზღვრულს, თუმცა, იშვიათად, მიცემით ბრუნვაში ბოლო -სა'ს ჩამოიკვეცს ხოლმე:

„სახელსა ზედა წინამორბედისასა (275v), ახალსა სამყაროსა წმიდისა ეკლესიისასა (245), ბრძანებასა მოძღურისასა (264), ასეთი ფორმები დასაშვებია ქართულისათვის.

მართულ-შეთანხმებულნი მსაზღვრელი ნათესაობითში იშვიათად დგება ხოლმე საერთოდ.

„საღმრთოქა საგან მადლისქა წმიდათა მათ მთავარანგელოზთაქა (255), „იყო მიზეზ მტერობისა მის ძმათაქა (261v), „სიგწოაქა ტყეთაქა (250v).

მსაზღვრელი სიტყვა მრავლობითში დგას, ამდენად ასატანია თაქაქა (აქ-თა ნათესაობითისა); ხოლო როცა მსაზღვრელი მხოლობითშია:

„სიბნელისათჳს ღამისა (250).

საერთოდ მართული მსაზღვრელი სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში უმრავლეს შემთხვევაში ბრუნვის ნიშნიეულ ა'ს კარგავს ხოლმე. რიცხვში შეთანხმებისას დაცულია წესი: ნ'არ-თ'ანიან მრავლობითში საზღვრული ითანხმებს მსაზღვრელს:

„განსწავლულნი იგი მოწაფენი (248), კურნებანი სნეულთანი (255), ჯეღონ გელოვანთა მუშაკთა (253v), წმიდათა მათ მამათა (254v), ბრძანებათა შინა სახარებისათა (244), ხუროთა თანა საეკლესიოთა (266<sup>ა</sup>), ადგილთა მათ ცილობისათა (262)...

-გბ'იანი მრავლობითის სინტაქსური ძალა არც მსაზღვრელთან ჩანს და არც ზმნისთან. ოღონდ ერთი საინტერესო შემთხვევა გვაქვს, რაც ძველი

ქართულისათვის არა, მაგრამ მოგვიანო ქართულში უკვე უჩვეულო არ ჩანს:

-ებ'იანი საზღვრული მრავლობითში სვამს მსაზღვრელს, მაგრამ თა'ნიან მრავლობითში:

„წინაშე თ უაღებსა ხილვის მოყუარეთასა“ (253v)

ბრუნვის ნიშანი ორთავე სახელმა ერთნაირად გაიფორმა (უფრო ზუსტად, მსაზღვრელის -თა გაგებულ იქნა მხოლოდ მრავლობითის ნიშნად და დაერთო მიცემითის -ხა, ის დაბოლოება, რაც საზღვრულს აქვს).

სახელისა და ზმნის შეთანხმება რიცხვში:

წ'არიან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტი, ჩვეულებრივ, ზმნას ითანხმებს რიცხვში:

„აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი“ (272v)

რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა“ (247v).

რომელნი პოვნეს ადგილსა მას“ (265v).

წმიდანი იგი მოიკითხნეს“ (252)...

ზოგჯერ ეს წ'არი ზმნაში აღსადგენი ხდება:

„წარიყვანნა ხუცესნიცა“ (252v).

ობიექტის მრავლობითის -ენ გამოყვება ზმნებს ვნებით გვარში:

მიეგებნეს (252v), წარეგლინნეს [მას იგინი] (260v), განვიბნიენით (259v), დავემორჩილნეთ (258v)...

-ებ'იანი მრავლობითის ძალა ზმნაშიც არ ჩანს:

„პოვეს ნიშები და სასწაულები, უწყებული“... (249v).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ენისათვის ჩვეულებრივია მასდარული კონსტრუქცია (ვითარებითში დასმული საწყისი მართავს სახელს [ობიექტს] ბრუნვაში):

„ჯერ-არს ადგილსა ამას აღშენებად მოწასტერი“ (253).

„აწღირს-მყო ყოვლად არაღირსი ესე პირველად თაყუანის-ცემად ცხოველსა ხატსა მისსა“ (252v).

„...უბრძანა მოსეს კურთხითა განებაჲ ზღვსა[ჲ] და კულად უდაბნოს კლდისაგან... აღმოცენებად წყალი“... (253).

„ესრეთ გა'ი'ძულა და დებად სული“ (258v).

„არცა ჯერ-იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა“ (261).

„...გედეონ საწუმისი დაღვა გამოცდად საქმეთა“ (262).

„იწყეს სახედ მდინარისა მოსლვად საქმესა მას ეკლესიისასა“ (263).

წინადადებაში სინტაგმას თითქოს ვერ ქმნის ორი სიტყვა: ზოგს რაჲმე „ინცობებიან ქვანი იგი ზოგს რაჲმე კუთხთა მიერ და კამარათა“ (263); „გარნა ვიტყოდით ზოგს რაჲმე შეკრებულთა ცხოვრებისა მისისათა აღწერით მოთხრობად“ (245v).

სინურ მრავალთავეში იგი რამდენჯერმეა დადასტურებული. ზოგს რაჲ უბირისპირდება „სრულს“ და ნიშნავს ნაწილობრივს“ (ა. შანიძე).

ამ სიტყვას — „ზოგს-რაჲმე“ იცნობს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“, სადაც ვკითხულობთ:

„ნაკლულევანებაჲ ჩემი არა მიფლობს დუმილად: და ზოგს რაჲმე უმჯობესად შემირაცხიეს“ (ნ. მარის გამოცემით გვ. ა—ბ).

საერთოდ, საინტერესოა ამ ორი ძეგლის ენობრივი ურთიერთ-მიმართება. მაგალითად, „სერაპიონის ცხოვრებაში“ გამოყენებული სიტყვების სინონიმები „გრ. ხანძთელის ცხოვრებაში“.

„ველოან მოიქმნა“ (სერაპ.)—„დაავაკა“ (გრ. ხანძთ.)

„ცხედარი „ —სარეცელი „

„პატივითა მღდელობისაჲთა სრულ იქმნა“—„იკურთხა ხუცად“.

„წარვიდა მწუხარე (=შეწუხებული)“—„შეწუხნა ფრიად“.

ორივე ძეგლის ავტორები მოგვითხრობენ სხვის მიერ გადმოცემულ ამბებს: „ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა“ (გრ. ხანძთ.).

შდრ.: „ესეცა სიტყუაჲ ჭეშმარიტ არს, მოწეწული ჩუენდა“ (254v).

ან: „სარწმუნოთა კაცთა ფიცით მოგვთხრნეს ჩუენ“ (269v)...

„არამედ აწ კუალად პირველსავე სიტყუსა მივიდეთ“ (გრ. ხანძთ.).

შდრ.: „ამიერ კუალად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისაჲ და პირველსავე სიტყუსა აღვიდეთ“.

მსგავსება უდავოა.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ გრამატიკული ფორმების მიმოხილვიდან ჩანს, რომ იგი თავისუფლად თავსდება X—XI საუკუნეების ქართული ენის ნორმებში. ჩვენი ძეგლის დაწერის დრო ჯერ კიდევ საცილობელია მეცნიერთა შორის. მკვლევართა ერთი ნაწილი მას მიიჩნევს X საუკუნის ძეგლად (მეტაფრასტს კი XI საუკუნისად), სხვებს დასაშვებად მიაჩნიათ ძეგლში მოთხრობილი ამბების გადმოტანა მე-8 საუკუნეში, ზოგიც კიდევ მას მე-6—7 საუკუნით ათარიღებს. ასეთ პირობებში, როცა დასკვნის გამოსატანად მხოლოდ ტექსტი გვაქვს ხელთ (და სხვა წყარო არ ჩანს), დიდზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების ენობრივ მონაცემებს. გრამატიკული ნორმები (სინტაქსი და მორფოლოგია) მყარია, საუკუნეებს უძღვებს და, ამდენად, ძნელია ზუსტად განვსაზღვრო, ესა თუ ის მოვლენა ერთი საუკუნით აღრე ან გვიან რეალობაა თუ არა. მაგრამ ენას აქვს მეორე მხარეც—ლექსიკა, სადაც უფრო რელიეფურად შეიგრძნობა ეპოქა (როცა იქმნება ნაწარმოები). მეცნიერებაში არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი, რომ მსგავს შემთხვევებში აუცილებელია გამოვყოთ ისეთი ნასესხები სიტყვები (საკუთარიც და საზოგადოც) და ფორმები, რომელთა წარმომავლობა და დათარიღება (და ეს ძალიან ხშირად დიდი კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი ხდება) საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ის ხანა, რომელზე აღრეც ამ სიტყვების გამოყენება დაუშვებელია.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ გამოყენებულ სიტყვათაგან, როგორც პროფ. ილია აბულაძემ მიგვითითა, სიტყვები „პასუხი“ და „ლალი“ მე-9 საუკუნეზე აღრე ქართულში არ უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი სპარსული წარმოშობისა არიან.

უფრო მეტი მასალა დაიძებნება საკუთარ სახელთა სადაურობის გარკვევის შემდეგ (ეს დიდი სამუშაოა და შეიძლება ცალკე საკითხად იქნეს შესწავლილი).

ჩვენი ძეგლი უხვად შეიცავს გეოგრაფიულ სახელებსაც (ამითიც არის ის მეტად ძვირფასი მასალა ჩვენი ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიისათვის). გეოგრაფიული სახელები საინტერესოა, როგორც თავისი წარმოებით, ისე ეტიმოლოგიით. ერთი მათგანის ეტიმოლოგია ტექსტშივეა მოცემული: ზ ა რ - ზ ი მ ა<sup>9</sup>.

<sup>9</sup> საინტერესოა, რომ „ზმა“ ფუძეს ტექსტის ავტორი თვითონ არსად არ იყენებს.

თვითეული სახელის გახსნა რომ დიდ გამოწვლილვას თხოულობს, ეს აშკარაა თუნდაც ერთი მაგალითიდან: „ცხოვრებას“ შესახებ ს. ჯიქიას წიგნი—„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეკითხულობთ: „სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე საერთოდ ზანური წარმომავლობის ტოპონიმიკური მასალის არსებობა. ამ მხრივ „ცხოვრება“ არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ „ცხოვრება“ ზანური „ჩხოროქა“ ან „ჩხორონქა“-ს გადაქართულებული ფორმა იყოს („ჩხოროქა“, „ჩხორონქა“ ნიშნავს „ცხრაქას“, „ცხრაწყაროს“, შდრ. მეგრული „ჩხოროწყუ“...). ვფიქრობ, „ცხოვრებაში“ „ჩხოროქას ნაწილობრივ ფონეტიკურ გადაქართულებასთან უნდა გვქონდეს საქმე და არა მის თარგმანასთან“<sup>10</sup>.

ტექსტის დათარიღებისათვის მეტ საბუთიანობას მოგვცემს ჩვენი ძეგლის შედარება X—XI საუკ. ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებებთან; ასეთი კვლევის დროს მტკიცებულად იგრძნობა ქართული ისტორიული სიმფონია — ლექსიკონის საჭიროება.

Н. Д. ГОГУАДЗЕ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ТЕКСТА И ЯЗЫКА „ЖИТИЯ СЕРАПИОНА ЗАРЗМСКОГО“

### Резюме

Предлагаемая работа распадается на две части, из которых в первой дается филологическое исследование текста, во второй же — систематизация основных языковых особенностей.

При специальном изучении удалось выделить включенные метафрастом некоторые части, считавшиеся раньше кименическими.

По языковым данным „Житие Серапиона Зарзмского“ относится к памятникам X—XI веков.

<sup>10</sup> ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958, გვ. 118—119.



ნარბიზა გომეზაძე

„ბიორბი მთაწმიდლის ცხოვრების“ ენა

გიორგი მთაწმიდლის—XI საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწის—ცხოვრება დაიწერა მალე მისი გარდაცვალებიდან მისივე თანამედროვისა და მოწაფის გიორგი მცირის (ხუცეს-მონაზონის) მიერ. „ცხოვრების“ დაწერას, ჩვეულებრივ, წინ უძღვის ხოლმე ავტორის წერილი თხზულების დამკვეთისადმი (ან მიმართვა მკითხველისადმი), საიდანაც ჩანს ნაწარმოების შექმნის მიზეზი, მიზანი, ინიციატორი ამ საქმისა (იგივე დამკვეთი), თარიღი, ავტორი და ა. შ. (მაგალითად: გრიგოლ ხანძთელის, იოანესა და ექვთიმეს, გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებანი). ასეთი წანამძღვარიდან ვგებულობთ, რომ გიორგი მცირეს თავისი თხზულება დაუწერია „არა უგვიანეს 1068 წლისა, როდესაც გარდაიცვალა თხზულების შემკვეთელი გიორგი შეყენებული“ (კ. ქეკელიძე).

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ ჩვენამდე რამდენიმე ნუსხითაა მოღწეული. ეს ნუსხებია: S—353, S—3637, A—130, A—170, H—611, H—1672, H—2077, Q—48, Q—49, M—21. ამ ათი ხელნაწერიდან<sup>1</sup> ხუთი მე-18 საუკუნისაა, ოთხი მეცხრამეტესი, ხოლო ერთი—S—353 (რომელსაც ვარიანტებში A ლიტერით აღვნიშნავთ) გადაწერილია მე-11 საუკუნის ბოლოს. იგი ავტოგრაფიდან მომდინარე ჩანს, უნდა გადაეწერათ იქვე, მთაწმიდაზე. აქ ჩვენ შეგვიძლია სიტყვა-სიტყვით დავიმოწმოთ: პროფ. აკ. შანიძის მიერ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ უძველეს ნუსხაზე თქმული: „ამ ძეგლს, სამწუხაროდ, არ მოუღწევია ჩვენამდე... ავტოგრაფის სახით, მაგრამ გადაწერილია მალე ავტორის გარდაცვალების შემდეგ ათონის სალიტერატურო სკოლაში, რომელსაც... გ. მთაწმიდელი მეთაურობდა წლების განმავლობაში, და უნდა ვითქვოდით, რომ გადანაწერი დიდად არ იქნება დაშორებული დედანს“<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ S—353 ავტოგრაფიდან მომდინარე, ჩანს, ტექსტში, როგორც ამაზე პროფ. კ. ქეკელიძე მიუთითებს, ზოგი ადგილი

<sup>1</sup> ვარიანტული სხვაობის დადგენისას ხელნაწერები ასე დაჯგუფდა: A(=S—353)—დან მომდინარეობს I(=Q—49) და K(=Q—48) ხელნაწერები; F(=H—2077), G(=S—3637) და L(=M—21) ერთმანეთის გვერდით დადგა.

საინტერესოა ერთი მომენტი: როგორც მიგვითითა ტექსტზე მუშაობისას პროფ. ი. აბულაძემ, ზმნისწინების მი- და მო-ს ვარიანტული სხვაობა გვაძლევს ორიენტაციას სად გადაიწერა თხზულება: ათონში თუ სხვაგან.

<sup>2</sup> აკ. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოანეს და ექვთიმეს ცხოვრების მიხედვით, 1946, გვ. 67.



გიორგი მცირის კალამს არ ეკუთვნის: „ხომ არ არის ის აბზაცი, რომელშია ბავშვის „განმწესების“ ამბავია მოთავსებული, შემდეგი დროის... „შენამატავანი“? მართლაც, ეს აბზაცი ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. წინა აბზაცში გამოთქმულია განცვიფრება ბავშვის სასწაულებრივი გადარჩენის შესახებ: „ეჰა ზემთა ბუნებისა ქელის-პყრობაჲ და შეწვენაჲ ღმრთისა სახიერებისაჲ და მადლი იგი კაცისა მის ღმრთისაჲ“. რალა საჭირო იყო ამის მომდევნო აბზაცში განმეორება უკვე გამოთქმული გაკვირვებისა: „ეჰა მადლი წმიდისა მის გუამისაჲ, ვითარმედ აღუსუბუჟა საკვრველად მძიმე იგი ურმისა თუალი“ და შემდგომი. ასეთი განმეორება თხზულების ავტორს არ ახასიათებს. შეიძლება „ცხოვრების“ ნუსხის დამზადებელმა, რომლის დროს ის ბავშვი მართლაც „განმწესებული“ იყო... აღნიშნული სიტყვები „წვიძინებისა“ და „განსრულების“ სახით მოთავსა... ტექსტში“<sup>3</sup>.

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ენაზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს მხოლოდ A ნუსხის მონაცემები. როგორც უკვე აღინიშნა A(=S-353) ხელნაწერი მე-11 საუკუნის ძეგლია. დაწერილია ეტრატზე, დამახასიათებელი ხელით. ორთოგრაფიაში თავისებურებანი და გადახვევები არ გააჩნია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ზოგჯერ არაჲ=არა-ს).

არც ფონეტიკაში ჩანს გადახვევანი და თავისებურებანი (ზოგიერთ მათგანზე ვილაპარაკებთ გზა და გზა მორფოლოგიაში, მაგ. ი—ჲ, ფუძის კუმშვადობაზე, ზმინისწინთა გამარტივებაზე).

### მოკვლეობა

#### სახელის ბრუნება

ბოლოთანხმოვნიანი საზოგადო სახელების ბრუნება ძველი ქართულის ძეგლებისთვის დამახასიათებელ სურათს წარმოგვიდგენს:

- წრფელობითი: მიზეზ, მტვრთველ, დასაბამ...  
 სახელობითი: ნისლი, მუშაკი, წესი...  
 მოთხრობითი: თესლმან, კაცმან, პორფირმან...  
 მიცემითი: მკედსა, აბრეშუმსა, წყალსა...  
 ნათესაობითი: პატრიაქისა, ანდამატისა, შესაკრებელისა...  
 მოქმედებითი: ძილითა, პატივითა, ნიჭითა...  
 ვითარებითი: საქებელად, ნიჭად, ხატად...  
 წოდებითი: კაცო, უფალო, ბერო...

წრფელობითი ბრუნვის გამოყენებაში ერთი ნორმა არაა გატარებული. იგი უმთავრესად შედგენილი შემასმენელის სახელადი ნაწილის ფორმაა:

„საქმე დასაბამ ჰყავ ხედვისა და შიში ღმრთივ გონიერი მიზეზ უშიშროებისა“, გვ. 3 v.

„რაჲთა არა დავიწყებულ იქმნას“, გვ. 5.

„მოხსაპოვნებელ არიან“, გვ. 17 v... „განმწესებულ არს“, გვ. 60 v...

<sup>3</sup> ქ. კეკელიძე, გიორგი მცირე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 248-249.



წრფელობითმა თავისი ფუნქცია შედარებით დიდხანს შემოინახა „წოდება“ ზმნასთან. მაგრამ „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ ასეთ შემთხვევებში ხშირად სახელობითია გამოყენებული; მაგალითები:

- „ნიკოფსი ეწოდების“, გვ. 34.
- „ტაძრისი ეწოდების“, გვ. 9.
- „ექსამილი... ეწოდების“, გვ. 59 v.
- „ლივიზდია ეწოდების“, გვ. 26.
- „კცია ეწოდების“, გვ. 10 v.

ხმოვანფუძიანი სახელები:

ა-ზე გათავებული ფუძეები სახელობითში დაირთავენ ა-ს:

ცხორებაჲ, ქებაჲ, შესხმაჲ ყრმაჲ, ძაძაჲ, მონაჲ... ნათესაობითსა და მოქმედებითში ასეთი ფუძეები ჩვეულებრივ იკვეცებიან:

- ნათესაობითი: ლაერისა, მონისა, ყრმისა, სწავლისა, ცხორებისაცა (მაგრამ: პაპაჲსა გვ. 49).
- მოქმედებითი: ბრძანებითა, შესხმითა, მწუხარებითა, ჯმითა, ვედრებითა...

ი-ზე გათავებული ფუძეებიც სახელობითში ასევეა წარმოდგენილი:

მაგ.: შტოჲ, სასოჲ, წყაროჲ, უჯამლოჲ, უღუნოჲ, სამყაროჲ, ოქროჲ... ასეთი სახელები ჩვეულებრივ უკვეცელია და ამიტომ ნათესაობითსა და მოქმედებითში გვაქვს: -ი-**ა**სა, -ი-**ა**თა დაბოლოებანი.

- ნათესაობითი: უბიწოჲსა, კოხლიოჲსა, სამოციქულოჲსა, ოქროჲსა, წყაროჲსა...
- მოქმედებითი: სამეფოჲთა, ურწყოჲთა, ზეგარდამოჲთა, ოქროჲთა, ეზოჲთა...

უ-ზე გათავებული სახელები იშვიათია: სახელობითში გვხვდება: ურიცხჲ, დრკუჲ, ნედჲ, ნადჲ; ნათესაობითში—ყრუჲსა.

რაც შეეხება ე ხმოვანზე გათავებულ სახელებს, მათ არასოდეს არ აქვთ წ: ეპიტოლე, საქმე, სახე, სიბოროტე, საფასე და მისთ. (სახელობითი ბრუნვა). ნათესაობითსა და მოქმედებითში ა ფუძიანების მსგავსად ე ფუძიანებიც იკვეცებიან:

- ნათესაობითი: მდინარისა, მოყუარისაცა, სიჭაბუკისა, მეფისა, საუნჯისა...
- მოქმედებითი: მდინარითა, სიგრძითა, ღონითა, სიმდიდრითა, სიმშვიდითა, სიყრმითგან...
- ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში თითქმის ჩვეულებრივია სახელის ფუძის კუმშვა (ეს ეხება ფუძეთანხმოვნიან სახელებს):
- ნათესაობითი: ზამთრისა, სუნაქსრისა, კილოზნისა, კარვისა, უფლისა, მონასტრისა...
- მოქმედებითი: მეღნითა, ისრითა, ქალამნითა, საწმრითა, კილოზნითა, მონასტრით...
- ვითარებითი: ღრუბლად, მთავრად, სძლად, კარვად, დედოფლად...

წოდებითი ბრუნვა როგორც ბოლოთანხმოვნიანებს, ასევე ბოლოხმოვნიანებსაც ვაფორმებული აქვთ **ო** ბოლოსართით. რაც შეეხება თავში დართულ **ჟ**-ს, ის ხან გვაქვს და ხან არა. მაგალითები:

**ჟ** კაცო საკვრველო, 3v || კაცო ღმრთისაო 22 v.

**ჟ** მოძღუართა წინამძღუარო, 65 v || კეთილო ბერო, 49 v.

**ჟ** მამაო, 53 v || აჰა მამაო, 47 || მამაო, 18.

**ჟ** წმიდაო ბერო, 58 || წმიდაო მეუფეო, 31 v.

თანდებულებანი ბრუნვებში:<sup>4</sup>

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ უხვადაა გამოყენებული თანდებულები. მაგალითად, მიცემითი ბრუნვა ადგილს გადმოსაცემად (საზოგადო სახელთან და არა გეოგრაფიულთან) მხოლოდ 3—4 შემთხვევაშია თანდებულის გარეშე წარმოდგენილი:

„სახლსა შეავლინოს“, გვ. 25

„პრასტინსა მას... მოვიდეს“, გვ. 26.

„სადგურსა მიიყვანა“, 41 v.

„სწერია დიდსა სჯნაქსარსა“, 34 v.

მრავლისგან მრავალ შემთხვევაში ასეთ დროს მიცემითი ბრუნვა თანდებულებითაა წარმოდგენილი: კლ დესა ზედა, ცხენსა ზედა, ხარისხსა მას ზედა კიბისასა, სასანთლესა ზედა, წნარცუსა მას შინა, ლარნაკსა შინა, ქუაბსა შინა...

ასევე ხშირია მოქმედებითი ბრუნვა -**გან** თანდებულებით გამოსვლითის ფუნქციით, თუმცა უთანდებულო ფორმები ამ შემთხვევაში ძეგლში მეტი სიხშირით წარმოგვიდგება.

მაგალითები: თჳსითგან, ჟამითგან, შობითგანვე, სიჩქოთგანვე, საშოათგან, სიყრმითგან...

შდრ.: „დიოდეს სიტყუანი.....პირით მისით“, 34 v.

„მომავალსა ქალაქით სამეუფოათ“, 60 v.

„კიდობნით აღმოვიყვანეთ“, 61 v.

„მონასტრით განყვანებად“, 58 v.

„გამოვედით პალატით“, 50...

-ით დაბოლოებიანი მოქმედებითი ჩვეულებრივია ვითარების გადმოსაცემად (ზოგჯერ ასეთ სახელს პარალელურად ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი ახლავს):

„პრქუა მას ბერმან კელმწიფებით და განცხადებულად“, 40 r-v.

„წესნი დაუსხნა წერით და უწერელად“, 45.

„ეტყოდა რომელსამე ლიქნით და რომელსამე მართლად“, 33.

„სიბრძნით და გონიერად“, 38v.

„ზეპირით დაისწავნა“, 12 v.

„სულით და ჯორციით განათლდებიან“, 20 v.

„შიშით და სიხირულით მიუთხრა“, 9 v.

<sup>4</sup> ზოგიერთ თანდებულზე ვიტყვით ნაცვალსახელებთან.

ასეთ შემთხვევებში თითქოს კანონზომიერია -თ დაბოლოებიანი ფორ-  
მები; მაგრამ გადახვევა მაინც გვაქვს (-ით' ს ენაცვლება -ით-ა):

„მ რ ა ვ ლ ი თ ა ც რ ე მ ლ ი თ ა და ს უ ლ თ ქ უ მ ი თ ა, მოწიწებით და  
შიშით მიიღო პატივი“, 18 v.

-მდე თანდებულიან ვითარებითს შენარჩუნებული აქვს ვითარებითი  
ბრუნვის -დ. მაგალითები: წელიწადმდე 61, კითხვადმდე 61, შემოქცევადმდე  
51, ცნობადმდე 43, ყოლადმდეცა 27 v, აღმოსავალადმდე 21 v, ჟამადმდე  
18... თუმცა აქა-იქ პარალელურად ჩანს: ზღუამდე 59 v, დღემდე 22 v.

საკუთარი სახელები:

ჩვენი ძეგლის ავტორი უხვად ასახელებს თავისი მასწავლებლის—გიორ-  
გი მთაწმიდლის მოძღვართა და მიმდევართა, წინაპართა და თანამედროვეთა  
სახელებს: მეფეებს, მთავრებს, საეკლესიო პირთ. აგრეთვე, როგორც ფრიად  
განსწავლული და ნაკითხი კაცი, ხშირად იმოწმებს წინასწარმეტყველებს ქრის-  
ტიანული ლიტერატურიდან. ამან განსაზღვრა ის, რომ ნაწარმოებში ბევრი  
საკუთარი სახელია წარმოდგენილი (ეს კი უაღრესად საყურადღებოა ლიტე-  
რატურის ისტორიისათვის). ბრუნების თვალსაზრისით ძეგლი ამ მხრივ თავი-  
სებურებას არ ამჟღავნებს, საკუთარ სახელთა ბრუნება აქაც ისეთივეა, რო-  
გორც საერთოდ ძველ ქართულს ახასიათებს: ე. ი. გაუფორმებელია წოდე-  
ბითი, სახელობითი და მოთხრობითი, ემფატიკური ა-ს გარეშეა წარმოდგე-  
ნილი მიცემითი და ნათესაობითი.

ზოგიერთი სახელის გადმოცემისას ძეგლში ერთგვარობა დარღვეულია.  
მაგალითად:

„აჭრონ... განეშორა“, 41 v || „წარმოვლინებულ იყო არონი“,  
47.

„ეფთჳმი“, 16. || ეფთჳმე, 16 v.

„გრიგოლ“ ძეგლში წარმოდგენილია ფუძეთანხმოვნის სახელად:  
„გრიგოლ ღმრთისმეტყველი“ 5 v, 7. (თუმცა ვარიანტებში გრიგოლი—  
უფრო ძველი ფორმაა მოცემული). ასევე გვხვდება ეს სახელი „იოანესა და  
ექვთიმეს ცხოვრებაში“, რის გამოც პროფ. აკ. შანიძე შენიშნავს: „გრიგო-  
ლის ნაცვლად, რომ „გრიგოლ“ იკითხება, მაშასადამე, რომ ბოლოკიდური  
ხმოვანი მოკვეცილია, ეს გაგრძელებაა უფრო ადრინდელი ძეგლების ჩვენე-  
ბისა“<sup>5</sup>.

„ბასილი“ ბოლოხმოვნის სახელია: „დიდი ბასილი“, 5v, 10v, 11v.  
მიცემითში ეს სიტყვა ორჯერ გვხვდება:

„ეგრეთვე დიდსა მასცა ბასილის ბაგრატის ძესა მიჭჳუარეს“, გვ. 12.

„არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღმრთის მსახურებითა ძმასა  
თჳსსა ნეტარსა ბასილსაო“, 13.

სხვა საქმეა, კლასიკური ქართული ნორმების მიხედვით აქ მიცემითი  
ბრუნება უნდა იყოს, თუ არა. ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს მიცემითში  
დასმული საკუთარი სახელის გაფორმება: „ძმასა თჳსსა ნეტარსა ბასილ-

<sup>5</sup> აკ. შანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 69.



საო“. ი ბოლოხმოენიანი საკუთარი სახელი აქ გათანაბრებულია ბოლოხმოენიან საზოგადო სახელთან. ეს დარღვევა ერთადერთია ძეგლში. რაშია საქმე? აქ ავტორი გვიამბობს იმას, რაც გაუგია გიორგი მთაწმიდლისაგან, ე. ი. სხვათა სიტყვას გადმოგვცემს: „რაასათჳს მე ვაწესენ დაა ბასილისი?“ ამისთჳს, რამეთუ იტყოდის წმიდაა იგი, ვითარმედ: არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღმრთის მსახურებითა ძმასა თჳსსა ნეტარსა ბასილისა-ო“. ეს ფაქტი ბევრის მიტქმელი უნდა იყოს: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში წერილობით ძეგლში თავი იჩინა ცოცხალ სასაუბრო ენაში არსებულმა ნორმამ. (მით უფრო, რომ აქ ავტორს გადმოცემული აქვს ამბავი, რაც გაუგონია ჩვეულებრივი საუბრის დროს თავისი მოძღვრისაგან).

მოვიტანთ საკუთარ სახელთა ბრუნების პარადიგმებს:

სახელობითი: ახალი აბრაჰამ, 64, ყრმაა გიორგი, 14.

დიდი ილარიონ, 14, მოციქული პავლე, 56 v.

მამადმთავარი იაკობ, 46 v, ელისე არა დამთა, 56.

მეფე ბაგრატი, 45 v, ელია ამალდა, 56.

უმჯულოა სურტანი<sup>7</sup> 45 v, წმიდაა ბაბილა 42.

წმიდაა კლიმი, 41 v, მამაა პროხორე, 28 v.

ნეტარი სოფია, 41 v...

მოთხოვითი: მოილო... ბერმან პეტრე, 58 v.

განაწესა... მეფემან კოსტანტი მონამხმან, 23 v...

იაკობ...იხილა... იგი, 8 v.

იხილა წმიდამან მამ მართთა, 27.

იხილა დიდმან პახუმი, 3 v (შდრ. ვარიანტებში: პახუმი).

ცნა მამამან მაკარი, 14 v...

მიცემითი: მოუწერია ჩუენდა... ბაჭქრატს სევასტოსსა, 49 v.

მამასა პეტრეს, 57 v.

ძმასა ანდრეას, 34.

გიორგის ვიტყვ დაყუდებულსა, 15 v.

იოვანეს ვიტყვ კყონდიდელსა, 5 v.

მარიამს ეძინა, 9 v.

უბრძანა თეოფილეს, 33 v—34...

ნათესაობითი: გიორგის სიკეთე, 11 v. ეფთჳმის ხატი, 62.

ჯოჯიკის ძისათა, 63 v. პროხორეს მიცვალებისა, 28 v—29.

თანდებულებიანი ნათესაობითი:

მართაასთჳს, 27. აბდიასთჳს, 41 v (ნორმის მიხედვით უნდა იყოს „აბდია-ას-თჳს“).

<sup>6</sup> აქ „ბასილი“ წანათესაობითარ სახელობითში კანონიერად არის წარმოდგენილი.

<sup>7</sup> სურტანი (|| სალტანი, სულთანი) აქ საკუთარ სახელადაა გაგებული.

კლიმისთჳს, 41 v. მოსესთჳს, 10.  
ბაბილასთჳს, 41 v. დანიელისთჳს, 11 v...  
გიორგისგან, 46... იერემიასთჳს, 11 v...  
იეზაბელისგან, 41 v.

სხვა თანდებულებთან (როგორცაა: გარეშე, თჳნიერ, შემდგომად, წინაშე) საკუთარ სახელთა ბრუნება (აგრეთვე პირის ნაცვალსახელებისა) ცალკე შესწავლისა და დაკვირვების ღირსია\*.

მხედველობაში გვაქვს ასეთი ფორმები:

- შემდგომად მოსესსა, 17.
- შემდგომად აჰრონისსა, 17.
- შემდგომად პავლესა, (აქ პავლესა ნანათესაობითარ ვითარებითად არ მიგვაჩნია) 17...
- წინაშე წმიდისა მამისა ეფთჳმისსა, 61.
- წინაშე ღმრთის მსახურისა მეფისა ბაგრატიისა, 46 და მისთ.

მოკმედებით და ვითარებით ბრუნებებში საკუთარი სახელები არ გვხვდება. ხოლო წოდებითში იგი წესის თანახმად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ჰ რაქელ, 54. მამაო გიორგი, 66.

### გეოგრაფიული სახელები:

ე ბოლოხმოვნინი სახელები აქაც ერთგვარ „სურათს წარმოგვიდგენენ წრფელობითსა და სახელობითში: „სამცხე ეწოდების“, 3v (გვულისხმობთ წრფელობით ბრუნვას).

შდრ.: „იორდანე განაბო“, 21...

„დაუტევა ეგუბტე“, 57 v...

ბოლოთანხმოვნინი სახელები სახელობითში გაფორმებულია ბრუნვის ნიშნით: იერუსალში, ექსამილი, ისაური...

მოთხრობითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებს ჩვეულებრივ არ გააჩნიათ.

მიცემითი: ერთის მხრით გვაქვს ემფატიკური ა-ს გარეშე (ასეთი ფორმები ჭარბობს), ხოლო მეორეს მხრივ ა-ნიანი.

მაგალითები: „მოვიწიენით სამისონს“, 37.

„მიიქცა... ტვარტაწაფს“, 13 v.

„წარვიდა ხახულს“, 14...

„მივედით ასტუდიას“, 50 v.

„ნიკოფსს არიან“, 45 v.

„ჰყონდიდს ვიყვენით“, 49 v.

„მცხეთას იკურთხა“, 34 v.

„არნ... სუმეონ წმიდას და ოდესმე კალიოპსს“, 31.

„მთაწმიდასვე მოვიდა“, 27 v.

„დაამკჳდრა იგი რომანა წმიდას, 15 v.

\* ამის შესახებ იხილეთ ჩვენი: თანდებულიანი ნაცვალსახელები ძველ ქართულში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963.

- ზღრ: „შავსა რაჲ მთასა მივიდა“, 27 v.  
 „იყო რაჲ წმიდაჲ ესე მთასა ამას წმიდასა“, 44 v.  
 „აღვიდა მთასა საკურველსა“, 15.  
 „თაყუანის საცემელ ყო მთაწმიდითგან ვიდრე შავსა მთასა და ყოველსა ასურეთსა და ისრაუსა ლემსა“, 21 v.  
 იშვიათად თანდებულნი მიცემითიც ჩანს:  
 კლარჯეთს შინა, 38. ქართლს შინა, 38.

- ნათესაობით: ათინისათჳს, 11, მთაწმიდისა პრასტინთა შინა, 26. მოკრებისათჳს იერუსალშმისა 56...  
 (გათანაბრებულია საზოგადო სახელებთან).  
 მოქმედებით: გამოსვლითის ფუნქციით გამოიყენება:  
 შავით მით, 18 v; ეგვიპტით, 55 v; ბაბილონით, 45 v; ანტიოქიით, 36 v; ისრაუსა ლემით კერძო, 14 v.  
 ვითარებით: წარვიდა აფხაზეთად, 37 v, აღმო-რაჲ-ვიდა ქართლადვე, 38, კესარიად მოვედით, 36 v, წარსლვაჲ მთაწმიდადვე, 46, კოსტანტინეპოლედ წარიყვანეს, 13, წარიყვანა ხახულად, 11, აღვალ ისრაუსა ლემდ, 28 v, წარილოს იგი ისრაუსა ლემდ, 28 v, წარსლვაჲ წმიდად ქალაქად ისრაუსა ლემდ, 28, ისრაუსა ლემად წარგზავნა, 16.....

უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა „იერუსალემის“ გადმოცემისას ხელნაწერი ერთგვარობას არ იცავს: არც ორთოგრაფიაში და არც მორფოლოგიური ფორმების წარმოდგენისას.

სახელთა ბრუნების თვალსაზრისით „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ იცავს ძველი ქართული ენის იმ ნორმებს, რაც დაკანონებული იყო X—XI საუკუნის სამწერლობო ქართულში.

### რიცხვი

მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად სახელებში რომ ნარ-თანიანი წარმოება ჩვეულებრივი, ეს XI საუკუნის ძველისათვის კანონზომიერია და აუცილებელიც. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ საკმაოდ მორბილ თხზულებაში მხოლოდ ოთხი შემთხვევაა -ეზიანი მრავლობითის გამოყენებისა:

სანთლები, 58 v, ევლოგიები, 21 v. კერეონები დიდ-დიდები, 58 v, ურმებითა, 59 v.

ამ მხრივ მას საგრძნობლად ჭარბობს „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, ხოლო ახლახან გამოცემული ძველი ქართული (X საუკ.) ტექსტის—„იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება“—ენობრივ მიმოხილვაში—ეზიანი მრავლობითის შესახებ ვკითხულობთ: „სიახლისადმი ძლიერი მისწრაფება გამოიქვადნებული იმ გარემოებაში, რომ ჩვენს ძველში ძალზე მოხშირებულია

ეზიანი მრავლობითის ხმარება. აქ სულ ოცი ფუძეა წარმოდგენილი, რომელთაგან უმეტესობა რამდენიმეჯერ (ზოგი ათჯერ და მეტად) მეორდება<sup>9</sup>.

### ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

პირის ნაცვალსახელები უმრავლეს შემთხვევებში თანდებულებს დაირთავენ. მაგალითად, -და თანდებული, რომელიც სახელებთან იშვიათად გვხვდება, ნაცვალსახელებთან ხშირია: მაგალითები:

მოუწერია ჩუენ და, 49 v.	თქუენ და მომართ, 50.
საენებელად ჩუენ და, 32 v.	დიდებაა შენ და, 52.
შემოვიდეს ჩუენ და, 18.	მათ და რამე საგმარ არს, 5.
ჩუენ და მახლობელად არიან, 33.	იშვეს მათ და სხუაა წული, 9 v.
ჩუენ და სარგებელად, 32 v.	მის და რწმუნებული იგი ტალანტი, 45.
მაღლიერ ვარ თქუენ და, 26.	

მესამე პირის ნაცვალსახელი ასეთ პარალელურ ფორმებსაც გვიჩვენებს: მისა იწყო კითხვად, 34 v. || შდრ.: იწყო ბრძოლად მის და, 10 v. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, როგორც ეს ზემოთ საკუთარ სახელებთან შევნიშნეთ, ცალკე მდგომ თანდებულებთან პირის ნაცვალსახელთა ბრუნების საკითხი. საკითხი ეხება თანდებულების ადგილის მიხედვით ნაცვალსახელის სხვადასხვაგვარად გაფორმებას:

ჩუენ შორის, 32 v.	წინაშე ჩუენსა, 33 v.
ჩემ შორის, 40 v.	წინაშე არს შენსა, 49 v.
თქუენ შორის, 48 v.	წინაშე მისსა, 57.
მათ წინაშე, 51 v.	
მათ შორის, 49.	

ის მოსაზრება, რომ მესამე პირის ნაცვალსახელი ჩვენებითიდან მომდინარეობს ქართულში, და ამიტომ ზოგჯერ მეტად ჩნდება მასთან სიახლოვეო (ი. იმნაიშვილი). აქ წამოჭრილ საკითხს ვერ წყვეტს. რატომ უნდა ჰქონოდა ასეთი დიდი მნიშვნელობა ნაცვალსახელის ადგილს (თანდებულის წინ დაისმობდა იგი თუ მის შემდეგ) მისი ბრუნების გაფორმებაში (მით უფრო, რომ აქ ემფატიკური ა მოულოდნელი ჩანს)<sup>10</sup>.

უარყოფითი ნაცვალსახელი ხან შეხორცებული ჩანს უარყოფით ნაწილაკთან, უფრო ხშირად კი ცალკე დგას:

ნუ ვინ, 8 v.	ვერვის, 41 v. ვერ ვინ, 51.
ნუ ვის, 42 v.	არარაჲ, 42 v.
არა ვინ, 18.	არლარაჲ, 40 v.    შდრ.: არა (=არარაჲ)
ვერცაღა ვინ, 41 v.	აულია მონასტრისაჲ, 27 v.

<sup>9</sup> ი. იმნაიშვილი, იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 138.

<sup>10</sup> ამის შესახებ იხ. ჩვენი: თანდებულებიანი ნაცვალსახელები ძველ ქართულში.

## ზ მ ნ ა

ზმნისწინთა გამარტივება ბოლო თანხმოვნის ჩამოკვეციტ ძეგლში გვხვდება, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არა აქვს. ერთი და იგივე ზმნა ხან ალ ზმნისწინით წარმოდგება, ხან გამარტივებული ა-(←აღ-)'ით:

აღამაღლებს, 19 v || ამაღლდა, 56.

აღტდა, 51 v || ავტლებით, 24 v.

აყუავდეს, 10

ჩვენს ძეგლში ალ-ზმნისწინის გამარტივება თითქოს სწორედ უკანაენის-ნიერთ ლ, ჳ, უ... ბგერების მეზობლობაში ხდება, როგორც ამაზე მიუთითებს ი. იმნაიშვილი თავის გამოკვლევაში „იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია“ (იხ. გვ. 140).

ზოგჯერ წარ→წა-: წამოვემართენით, 37 v, წამოგზავნა, 16 v. || შდრ.: წარმოვიჩინებ; წარპმგზავნიდა, 39 v.

რაკი მაგალითების დასახელებაში ვახსენეთ, აქ უნდა ვთქვათ წარპმგზავნიდა ზმნის შესახებ:

„გლახაკთა მოთმინებასა ასწავებდა, ქველის საქმეთა წარპმგზავნიდა, დაცემულთა აღპმართებდა“, 39r-v.

„ესე წმიდაჲ ხატი წარმოგზავნეს მთაწმიდას“, 62.

აშკარაა, აქ მ პირველი პირისა არაა, ის ფუძისეულია. ეს ფორმები „წარმოებია „მგზავრ“-ისაგან... მ, ზმნის თვალსაზრისით, ფუძისეულად მიდის:..... წარმგზავნა (მან იგი)“—წერს პროფ. აკ. შანიძე „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ დამოწმებულ ფორმებზე<sup>11</sup>. ჩანს, წარმგზავნა ფორმას იყენებდა გიორგი მთაწმიდელიც და მისი მოწაფე გიორგი ხუცეს მონაზონიც (სხვა ძეგლებში ეს ფორმა ჯერ-ჯერობით არ ჩანს), დამახასიათებელია ის გარემოება, რომ სხვა ხელნაწერები (გარდა K და H-ისა) ასეთ ფორმებს ასწორებენ ხოლმე და მ'ანის გარეშე წარმოგვიდგენენ. რაც შეეხება თვით A ხელნაწერში ამ ზმნის ზოგჯერ მ'ანის გარეშეც გაფორმებას, ეს გადამწერს უნდა მივაკუთვნოთ (აეტოგრაფში ყველგან ერთგვარობა გვექნებოდა ამ მხრივ).

შთა-ზმნისწინი, რომელიც საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული, ორგან შერწყმული—ჩა სახითაა მოცემული:

„...რაჲთა მარადის სადიდებელი ტაძარი მისი არა განირყუნას წყალთაგან, რომელი ჩამოდის ზედა უბურაობითა მონასტერსა ჩუენსა“, 23.

„გუთტყვს: თუ კარგი არს, თქუენ ჩამოედით და ჭამეთო“, 24 v.

ორსავე შემთხვევაში სხვათა სიტყვაა გადმოცემული (პირველ წინადადებას წინ უძღვის: „პრქუთა მას ბერმან:“). ხომ არაა აქაც ზეპირი მეტყველების ნორმები, ასე ვთქვათ, გაპარული წერილობით ძეგლში?

S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> პირის ნიშნები ძეგლში ძირითადად სწორად არის წარმოდგენილი, ე. ი. ეს პრეფიქსები (ჰ- და აქედან მომდინარე ს-) გვხვდება მეო-

<sup>11</sup> აკ. შანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 81,



რე სუბიექტური პირისა და მიცემითში დასმული მესამე ობიექტური პირის აღსანიშნავად, თუ ზმნა არ იწყება ხმოვნით. მაგალითები: ჰმეე, 9 v, სცნათ, 18, ჰბრძანო, 35... მი-ვ-ხ-წუთებით, 55, სცავს, 60, სცვიდა, 41, ჰმოდღურის, 44, ჰ-მსახურებს, 57, ჰ-კითხავნ, 31, დაჰქენჯნიდა, 15, შეე-ჰ-გრძნინბავთ, 24 v.

მაგრამ  $O_3$ -ის ნიშანი არ ჩანს რიგ შემთხვევებში, როცა ზმნის დასაწყისი ბგერა მის ყოფნას ფონეტიკურად არ აბრკოლებს<sup>12</sup>, მაგალითები:

ჰამს, 24 v, ჰამდეს, 24 (მდრ.: ზ-ჰირდეს, 40, და-ჰ-ჰირდა, 56).

წინაწარმეტყულებდენ, 7 v (მდრ.: სწინაასწარმეტყუელე [წენ], 27; სწყალობდენ, 39)... ზოგჯერ გაუმართლებელია ჰ ( $\rightarrow$ ხ) პრეფიქსის გამოყენება: განხცხრებოდეთ, 55, უჟუ-მო-რაჰ-ჰკეცა, 61 v, მოსწყუდეს 24 v...

მოწყუედა ზმნაში  $O_3$ -ის ხ- უფრო ადრინდელ ძეგლშიც დადასტურდა: „აღსანიშნავია, რომ მოწყუედა ზმნის პირიანი ფორმები... AB ხელნაწერებში მუდამ  $O_3$ -ის ხ ნიშნითაა წარმოდგენილი“<sup>13</sup> (A ხელნაწერი X საუკუნისა).

ძირითადად მაინც  $S_2O_3$ -ის ნიშნები ძეგლში სწორადაა ნახმარი (იგრძნობა, რომ მისი მორფოლოგიური დანიშნულება ჯერ კიდევ ძალაშია).

სხვა მხრივ, ე. ი.  $S_1$  და  $S_2$ -ის აფიქსების გამოყენების მხრივ (აგრეთვე  $O_1$  და  $O_2$ ) სურათი ჩვეულებრივია ძველი ქართულისათვის (ვ- იკარგება უსწინ...)

თემის ნიშნები

აქ შევეხებით მხოლოდ ავ და ამ თემის ნიშნებს, რომლებიც I სერიის მწკრივებში სახეს იცვლიან ნორმების მიხედვით. მოვიტანთ პარადიგმებს: აწყყო: ვხედ-ავ, ვწირ-ავ-თ, აღმბრა-ავ-ს, ურთ-ავ-თ, ლებ-ავ-ს.

ჰკითხ-ავ-ნ	ხედ-ვ-ენ
წირ-ავ-ს	წირ-ვ-ენ
ბრწყინ-ავ-ს	
ზრახ-ავ-ნ	ზრახ-ვ-ენ

უწყვეტელი: ვხედ-ევ-დ-ი, ვლოც-ევ-დ-ი-ო, ვჰკითხ-ევ-დ-ით, განვიხილ-ევ-დ-ით, იხედ-ვ-ი-დ-ა, სც-ვ-ი-და, განიკითხ ვ-ი-და, დაჰბეტქდ-ვ-ი-დ-ა, დაჰფარ-ვ-ი-დ-ა... ასუ-მი-და, აღუთქუ-მი-დ-ა, დაისხ-მი-დ-დ-ეს, წირ-ვ-ი-და...

კავშირებითი 1: [იგი] განიკითხ-ვ-ი-დ-ეს, იმოთხ-ვ-ი-დ-ეს, [იგინი] წირ-ვ-ი-დ-ენ, იხილ-ვ-ი-დ-ენ, გილოც-ვ-ი-დ-ენ...

I სერიის სხვა მწკრივებში ავ, ამ თემის ნიშნიანი ზმნები არ დადასტურდა, მაგრამ სურათი მაინც ნათელია (ამისთვის მხოლოდ აწყმო და უწყვეტელიც კმარადა); თემის ნიშნისეული ა ხმოვანი იკვეცება ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში, ხოლო უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში I და II პირში ავ $\rightarrow$ ევ, ამ $\rightarrow$ ემ.

<sup>12</sup> არაფერს ვიტყვით, ე. წ. ქადაგებს ტიპის ზმნებზე, სადაც  $O_3$ -ის პრეფიქსის დაკარგვა ფონეტიკური მიზეზითაა გამოწვეული, თუმცა ჩვენ ძეგლში ზოგჯერ ასეთ თანხმოვნებთანაც არის წარმოდგენილი პირის ნიშანი, მაგ.: და-ჰ-ქენჯნიდა, 15.

<sup>13</sup> ი. იმნაიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 141.



განსხვავება ოდ' იან და დ' ნიან ზმნათა უწყვეტლისა და კავშირებითის წარმოებისას ძველში ბოლომდე დაცული (ეს ჩანს I და II პირში):

უწყვეტელი:

„ჩუენ გუესნა რაჲ ესე, შევიქეცით მიერ და სევასტიით კერძო მივიდოდეთ“, 36 v.

„წარმოვემართენით. ხოლო ვიდოდეთ ესრეთ, რამეთუ ოთხკერძო გარემოდგომილ ვიყვენით“, :9 v.

„ჩუენ არაჲ უწყოდეთ და მივიდოდეთ და კინლა და მცირედ ჴელთა მათთა შთავარდებოდეთ“, 36 v.

(ბრძანებითი: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“, 27.

„უწყოდეთ, რამეთუ რისხვაჲ ღმრთისაჲ მოწევენად არს ამას ქალაქსა ზედა“, 45 v).

I კავშირებითი: რაჲთა... აღიდრვოდით, 7; ვიდოდით, 7; წარვემატებოდით, 5; ვიტყოდი 43...

ოდ'იან ზმნათა კავშირებითს კვლავ რომ აღარ დავუბრუნდეთ, აქვე ვიტყვით შემდეგს: ჩვენ ცოტა ქვემოთ ვნახავთ, რომ უწყვეტლის (ანუ პირველი) ხოლმეობითი ჩვენი ძეგლისათვის კარგად ჩამოყალიბებული მწკრივია (და არც თუ იშვიათია მისი გამოყენების შემთხვევები). ოდ' იან ზმნათა თავისებურებად ძველ ქართულში იმას მივიჩნევთ, რომ კავშირებითში დ' ონიანების საპირისპიროდ ე'ს ნაცვლად ი'ს იყენებს და პირიქით, ე გააჩნია ი'ს მაგივრად უწყვეტელში. ამიტომ S<sub>2</sub>-ის მრავლობითობის ვადმოსაცემად I კავშირებითში გვქონდა: აღიდრვოდ-იან, ვიდ-ოდ-იან და მისთ. მაგრამ ზუსტად ეს ფორმები გაიჩინა შედარებით გვიან ჩამოყალიბებულმა ხოლმეობითმა: აღიდრვოდ-ი-ს იგი, აღიდრვოდ-ი-ან იგინი... ფორმათა დამთხვევა „დიდ უხერხულობას ქმნიდა. საჭირო იყო ორპიროვნების თავიდან აცილება. და აი, ენა ეძებს გამოსავალს და მონახა კიდევ: საშუალ ქართულში I კავშირებითმა ოდ'იან ზმნებშიც ნიშნად ე ხმოვანი გაიჩინა, უწყვეტელმა კი ი, მაგრამ ვიდრე ეს საბოლოოდ მოხდებოდა, I კავშირებითის III სუბ. პირის მრ. რიცხვის ფორმა გამარტივდა ა'ს ამოღებით: ოდიან→ოდინ<sup>14</sup>. ამას გარდამავალი საფეხური უწოდეს სპეციალურ ლიტერატურაში. ეს გარდამავალი საფეხური კარგადაა მოცემული „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაშიც“.

I კავშირებითი:

რაჲთა... იკურთხე-ოდ-ი-ს, განვრცელდებ-ოდ-ი-ს, აღორძნდებ-ოდ-ი-ს, ენთებოდ-ი-ს [იგი]...

რაჲთა... შემოვიდ-ოდ-ი-ნ (ვარიანტ. შემოვიდოდენ), 23 v.

იმწყსებ-ოდ-ი-ნ (ვარიანტ. იმწყსებოდენ) 33 r-v.

<sup>14</sup> აკ. შანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 78.

განისწავლებ-ოდ-ი-ნ (ვარიანტ. განისწავლებოდენ), 35 v.

იზარდებ-ოდ-ი-ნ (ვარიანტ. იზარდებოდენ), 58v.

ეზიარებ-ოდ-ი-ნ (ვარიანტ. ეზიარებოდენ), 32.

ემურებ-ოდ-ი-ნ (ვარიანტ. ემურებოდენ) [ივინი], 5...

საინტერესოა, რომ მოგვიანო ხანის ნუსხები ყველა შემთხვევაში ასწორებენ ასეთ ფორმებს და -ოდ-ი-ნ დაბოლოების ნაცვლად **ოდ-ენ** დაბოლოებას წარმოგვიდგენენ (იშვიათად **ოდ-ი-ან**'საც) და ონიანი დაბოლოების მსგავსად.

მწკრივთაგან ძველში გამოყენებულია ძველი (და საშუალო) ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა მწკრივი: აწმყო, უწყვეტელი, კავშირებითი (I, II, III), ბრძანებითი (I, II), ხოლმეობითი (აწმყოსი, I, და II), თურმეობითი (I, II). ამათ გარდა აქა-იქ თავს იჩენს დღევანდელი ქართულისათვის დამახასიათებელი მყობადი, ე. ი. ზმნისწინიანი აწმყო მომავლის გადმოსაცემად.

მაგალითები:

„რაქამს ერთ გზის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ გინა მარჯულ და არცა მივ დ რკებით, თუ ღმერთსა უნდეს“, 48 v.

„უკჳეთუ უგუნურებით ჳელ-ვეყო, კადნიერებისა ბრალსა შთავგვარდებო“, 5.

„აქა მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაზე ღმრთისა გთხოვ“, 38.

აწმყოს ფორმის მყობადისეული გაგებით ხმარება ძალზე იშვიათია; ეს თითო-ორჯოა ნიმუში შეიძლება მხოლოდ იმისთვის! გამოვიყენოთ, რომ ვთქვათ: მყობადის წარმოების ჩანასახი „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაშიც“ ჩანსო.

აწმყოს ხოლმეობითი (რომელსაც მხოლოდ მესამე პირი გააჩნია) ხშირად გვხვდება ტექსტში დამოწმებულ ციტატებში, დაახლოებით ასეთ კონტექსტებში:

„ვითარცა წერილ არს: დღე და ღამე შჯულსა უფლისასა იყო ნებაჲ მისი და შჯულსა მისსა ზრახავნ იგი დღე და ღამე“, 10.

„ვითარცა იტყვს გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ვითარმედ: კაცსა რაჲცა-რაჲ უყუარნ და აქებნ, მისსა მიმართ შიისწრაფინ“, 7...

ეს ერთი შეხედვით ეჭვს ბადებს, რამდენადაა აწმყოს ხოლმეობითის გამოყენება ჩვენი ავტორისათვის დამახასიათებელი. მაგრამ საკმაოდ ხშირად ეს მწკრივი ავტორისეულ თხრობაში ისე მოხერხებულად და ბუნებრივად ზის ხოლმე, რომ ამ ეჭვს ნიადაგი ეცლებს (სხვა საქმეა, რატომ იყენებს გიორგი მცირე ამ ფორმებს: ძველი ნორმების კარგად ცოდნის გამო თუ ზეპირ მეტყველებაშიც ისმოდა მაშინ).

მაგალითად:

„ამათ ყოველთა წმიდათა მარტულთა თანა დაუსუენა ჳელი მარჯუენე წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისი და თჳთ თავით თჳსით ჳმსახურებნ. და ოდეს გზასა ვალნ, თჳთ უტჳრთავნ წმიდაჲ იგი გუადრუცი“, 21 v.

„შდ გზის დააკუეთა ეშმაკმანო მწუხარე იგი მას ღამესა და პეროვინ და იღრქენნ და ყივინ, ხოლო მე ვლოცევდიო“, 14 v.



„ესევეითართა საქმითა ბრწყინვიდა და ესრეთ განაგებდა მისდა რწმუნებულთა მათ სამწყსოთა, რამეთუ ოდესმე სამეუფოს არ წინაშე ღმრთის-მსახურთა მეფეთა საჭიროთათჳს და სათანადოთა საქმეთა. და კუალად ოდესმე მონასტერს არ და განაგებნ სამონასტროთა საქმეთა და ცხორებასა მმათასა ჰმართებნ და განაწესებნ“, გვ. 27...

აწმეოს ხოლმეობითის მრავლობითი რიცხვი მხოლოდ ერთგან გვაქვს<sup>15</sup>: ვედრებიედ, 43 v.

ხოლმეობითებს საქმაოდ უხვად იყენებს გიორგი მცირე თავის თხზულებაში. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს I და II ხოლმეობითისას:

I ხოლმეობითი: აღორძნდებოდის, 12; წარმატებოდის, 12; იხილვებოდის, 39; იტყოდის, 12 v; ჰქონდის, 19; ივლტოდიან, 43 v; მოვიდოდიან, 24 v; განიცდიდიან; 17 v; იშვებოდიან, 4; უწყოდიან, 5...

II ხოლმეობითი: ვიწყით, 52; წარვემართი, 10 v; ვიხილი, 10v; მომეკიდის, 10v; ეპყრის, 52; განმზადის, 52v; მორწყის 46, 46; მისცის, 39v; დაწერის; 35v; აღიდნის, 62; განეშორნიან, 14; დაუტევიან, 43 v; წარვიდიან; 44 v; მოიყვანიან, 43...

კავშირებითი I და II ბევრზე ბევრია ძეგლში, რაც შეეხება მესამე კავშირებითის ხმარებას, იგი საერთოდ იშვიათი გამოყენებისაა, ძეგლშიც ვერ დავადასტურეთ:

„თუთ აღიარებდა ვითარმედ: უკუეთუ უმცა არა მგხილვა სიწმიდე შენი, კნინღამცა-და მწუხარებისა მიერ მომკუდარ ვიყავო“, 45v-46.

აქ კავშირებითი III გადმოცემულია თურმეობითი II-ის ფორმით, რომელსაც -მცა ნაწილაკი ემატება.-მცა ნაწილაკიანი ფორმები ხშირად გვხვდება:

ვითარმცა... ხედვედით, 7, ხედვიდა, 16.

რაჟთამცა... ახედვებდა, 18, აღმოვედით, 4, აღვრაცხენით, 30, წარვიდა, 28...

დაღაცათუმცა..... აქუნდა, 53 v.

უკუეთუმცა..... დასრულდებოდა, 55v, აღეპყრა გელი, 36v, შესაძლებელ იყო, 54v...

ვინმცა... ზოეც, 12, განმიბნია, 55.

ერთსამცა დღესა კიდე იყო, 38.

რომელმანმცა მოილო, 56v.

მიჩუნენა-მცა, 55.

შემცა-გუეპყრა, 62v...

ეს-მცა ნაწილაკი იშვიათად არის თითონ ზმნაზე დართული.

თურმეობით I-ში ავ და აშ-იანი ზმნები ჩვეულებრივ იწარმოება:

გიხილავს, 6v, გვხილავს 36 v, გვთქუამს, 46, აღვითქუამს, 9v, გამომისახვან, 65v.

უტვართავნ თურმეობითში S<sub>2</sub> 6 უძველესი სუფიქსითაა წარმოდგენილი (სხვაგან თურმეობითებში ჩვენი ავტორი ამას არ იყენებს).

<sup>15</sup> არ გვხვდება S<sub>2</sub>-ის ბრძანებითი ნრ. რიცხვში, რომელსაც წესის თანახმად -ედ სუფიქსი უნდა ჰქონდეს.

„იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებისაგან“ განსხვავებით, სადაც ჭარბობს I თურმეობითის ახლებური წარმოება, „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ ძველი წარმოებაა ძირითადი.

მაგალითები:

ძვ. წარმოება: გვსწავიეს, 11v, დამიტევებიეს, 65v, მიცნობიეს, 60, აღმისრულებიეს, 58v, წარმომივლენიეს 48, გვცნობიეს, 48v, გუასმიეს, 19, გიქმნიეს, 51, ჯელ-უყოფიეს, 41v, შეგირაცხაეს, 33v, მიუღბიეს, 18, უწყიეს, 18, მიაღბიეს, 12...

ახალი წარმოება: დამისწავებია, 51, გვგსენებია, 62v, შეუწყალებიაცა, 28v, დაგვწერია, 47, აღგვწერია, 63v, მოუწერია, 49v.

ვნებითეი მეორე სერიის მრავლობითში (მოქმ. გვარის ობიექტის მრავლობითობის) ნ'არს გადმოიყოლებენ ხოლმე: იქმნეს, ესმნეს, ევედრნეს, მიეფინნეს, მიეგებნეს, დაემოწაფნეს, იტანჯნეს...

„სუფიქსიანი ვნებითის საწარმოებლად გვხვდება ძველი ნ და ახალი ლ“: შეწუხნა, 18 v, შეწუხნეს, 27v, შეწუხდა, 28. თითქოს ჩვენი ძველის შესახებ წერს აკ. შანიძე „გიორგი მთაწმიდლის ენა“-ში, გვ. 79. ჩვენი მხრით დავამატებთ ორიოდ ნიმუშს: შეფფოთნა, დუმენ-ო, განთენა || განთენდა.

ზმნებში ტმესი იშვიათად გვხვდება, მაგრამ არც ისე იშვიათად, როგორც ეს „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაშია“ დადასტურებული. იქ მხოლოდ ერთი შემთხვევაა: მო-ვინმე-ვიდა<sup>16</sup>. ჩვენს ძველში კი ათეულამდე აღწევს ტმესის მაგალითები. უფრო მეტად ტმესს იწვევს რა ა ნაწილაკი:

წარმო-რაა-ჰყვანდა, 47, უკუმო-რაა-ჰკეცა, 61v; მი-რაა-იცვალა, 27, წარმო-რაა-გემართენით, 47v, აღმო-რაა-ვიდა, 38, აღმო-რაა-ილო, 61v, გარე-უკუნ-აქცევს, 58v, მო-თუ-ვიქცე, 9, შე-მცა-გუუბყრა, 52v, გამო-ვინმე-აჩინა, 15v.

ნ ა წ ი ლ ა კ ი :

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ავტორი თავის თხზულებაში კითხვის გადმოსაცემად ზოგჯერ იყენებს -მე და -ა კითხვით ნაწილაკებს:

„ხოლო იგი განკვბრდა ამას ყოველსა ზედა და ჰრქუა მათ: არა ვინ არს-ა ნათესავსა მათსა შორის ბერძულისა ენისა მეცნიერი და წერილთა სწავლული?“ გვ. 32.

„აწ ვითარცა საწყალობელნი გლოვისა ამისთჳს სულთ-ვითქუამთ, ანუ თუ მცირე არს-ა ჩუენ ზედა მოწვეწული ესე ბოროტი, ანუ ამაოდ ნუ ვიტყებთ-ა და განვიწირვით“, გვ. 55.

„მგრეთცა იყო ჩუეულებამ მისი, რაჟამს საქმისა რაჟასთჳსმე უნებნ გულსავსე ყოფის, თუ არს-მე-ა ნებამ ღმრთისამ, წილნი დაწერნის და საკურთხეველსა ქუეშე დასხნის“, 35v.

„განლიმა პატრიაქმან და ჰრქუა მღდელთ მოცლუართა მათ და ერსა: ხედავთ-ა ბერსა ამას, ვითარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გუერევის“, 34v.

„ხედავთ-ა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი?“ 54v.

<sup>16</sup> აკ. შანიძე, დასახ. შრომა, გვ. 78.

„ხოლო დავით და ამოს არა მწყემსნი იყვნეს-ა, რომელნი-იგიერთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინაწარმეტყუელ“, 43r-v.

„ცრემლით იტყოდა: # მე, რაახათჳს-მე მოვიწიე ამას ქუეყანასა ხილვად ესევეითართა ამით ბოროტთა“, გვ. 43.

„რაა-მე ვყო, გინა ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სიტყვასად“, გვ. 55.

„# წმიდაო მეფეო, რაახათჳს-მე ესრეთ აღვილად ჯელ-ჰყავ დიდისა ამის და მღლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებად; და ვინ-მე არიან უგუჳურნი იგი გამზრახნი ზენნი“... 33 v.

გიორგი მცირე თვითონ არის მომსწრე და გამგონე იმ ამბებისა, რასაც მოგვითხრობს თავის ნაწარმოებში. ამიტომაც ასე ცოცხლად და დამაჯერებლად მოცემული შიგ წარმოდგენილი ეპიზოდები. ავტორი ხშირად სხვების ნააზრობს (ვთქვათ, თვითონ გიორგი მთაწმიდელისა) გადმოგვცემს ხოლმე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ძეგლში არაიშვიათია სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო: დაგებატიყოს-ო, სწყალობს-ო, დუმენ-ო, გამოიღებს-ო, წარმატებიან-ო, ჭამეთ-ო...

-ც(ა) ნაწილაკის გვერდით ჩვეულებრივია: -იგო და -ესე.

რასა-იგი, 22, რაა-ესე, 69 || რააცა, 38, 23v...

რომელი-ესე, 8, 25v, რომლისა-იგი, 6v, || რომელისათჳსცა, 8, 3, რომელმანცა, 9v...

ძეგლში კნინლა'სთან ჩვეულებრივ გვაქვს და ნაწილაკი (იხ. აკ. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, გვ. 108).

#### მაგალითები:

„ამით ესევეითართა სახითა კნინლა-და ყოვლისა სოფლისა სახილველ და თაყუანის-საცემელ იყო... მამია ჩუენი ეფთჳში“, 21v.

„ჩუენ არაა უწყოდეთ და მივიდოდეთ და კნინლა-და მცირედ ჯელთა მათთა შთავებარდებოდეთ“, 36v.

„თუმცა შესაძლებელ იყო, კნინლა-და შე-მცა-გუეპყრა სული იგი უმანკოა“, 52v.

„და აღვისო ყოველი სამეფოა მისი ნწუხარებითა და ურვითა, ვითარცა ერთი შვილი დაკლებასა მამისა თჳსისასა, რამეთუ კნინლა-და უმრავლესნი მოწაფენი იყვნეს მისნი“, 47.

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ მორფოლოგიური მიმოხილვიდან ჩანს, რომ იგი გვერდით უდგას „ოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას“ და საერთოდ იმ ნორმებში თავსდება. რაც X—XI საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებს ახასიათებს.

#### სინტაქსი

სინტაქსში, როგორც ცნობილია, განიხილება სიტყვათა შეერთების, შეხამების წესები: მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთდამოკიდებულება (შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში, მართვა ბრუნვაში, მართვა-შეთანხმება), სახელისა და ზმნის ურთიერთმიმართება წინადადებაში (რიცხვში შეთანხმება, მასდარული კონსტრუქცია) და მისთ.

მსაზღვრელ-საზღვრული:

ატრიბუტული მსაზღვრელი ბრუნვაში მუდამ შეთანხმებულია საზღვრულ-თან. წყობა ორივეგვარი გვხვდება: ატრიბუტული მსაზღვრელი წინ უსწრებს (ე. წ. პრეპოზიცია) და მოსდევს საზღვრულს (ე. წ. პოსტპოზიცია). რაოდენობრივად, როგორც ძველ ძეგლებს ახასიათებთ ხოლმე, პირველი შემთხვევა ჭარბობს<sup>17</sup>, დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს ორივე წყობისას:

წრფ : ერთგულ მსაზურ, 11v.

საკუთარ მონა, 11v.

სახ. მკირედი უწყება, 39v.

საღმრთო ბერი, 22.

წმიდა კლიმი, 41.

ბრძანება სამეფო, 28.

ეთომა უწყსო, 38.

ტრედი უმანკო, 15...

მორფოლოგიური მიმოხილვისას აღინიშნა, რომ ე ხმოვანზე გათავებულ სახელებს სახელობითი ა არასოდეს არ ახლავთ. მაგრამ ამ ტიპის საზღვრულებთან მსაზღვრელი სახელობითი სათანადო ნიშნითაა გაფორმებული ყოველთვის<sup>18</sup>, თუ თითონ მსაზღვრელი არ არის ე ბოლოხმოვანი.

საღმრთო ღონე, 14v.

წმიდა ებისტოლე, 4v.

საკვრველი საქმე, 18.

საუნჯე უჩინო, 5v.

მსაზღვრელი ე ბოლოხმოვანი სახელია:

„აღუსუბუქა საკვრველად მძიმე იგი ურმის თუალი“, 60v.

„გიორგის თანა მაშენებელისა დაეპკრძალეთ ჭეშმარიტად ვითარცა მეორე მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათა“, 61v.

„დიდი პარაკლიტი ონი სამკაული ეკლესიათა სხვა მრავლითა ქეთილითა აღსავესე“, 30.

„პატრიქი ესევითარითა სიყუარულითა და სარწმუნოებითა აღსავესე“, 31.

სპორადულად ა არ ჩანს ბოლოხმოვანი მსაზღვრელთან (ორიოდე შემთხვევაა): საღმრთო მჭურვალება, 5 (შდრ.: საღმრთო ბერი, 22); ზეგარდამო რისხვა, 42v.

სხვა ბრუნვებში ასეთი გადახვევები არ გვხვდება.

მოთხრ. საღმრთომან მან დედაკაცმან, 13, ნეტარმან მან ბერმან, 15v.

მიც. წმიდასა ტრაპეზსა, 19v, ხატსა უცხოსა, 18v.

ნათ. წმიდისა ლავრისა, 58v, მოძღურისა სულეერისა, 15.

მოქმ. ფრიალითა სარწმუნოებითა, 20, აღძრვითა ზეგარდამოთა, 14.

ვით. სამეფოდ ქალაქად, 4v. ნიქად საღმრთოდ, 8.

<sup>17</sup> შდრ. ავ. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, 1946, გვ. 79.

<sup>18</sup> ეს დებულება ძალაშია მართვა-შეთანხმებისასაც: საბრძნე ესე ღმრთისა, 54; სიშრავლე ობოლთა, 43v; სისეტაკე თნათა 11v.

ამ ბრუნვაში სხვა ბრუნვათაგან განსხვავებით ქარბობს პოსტბოზიციური წყობა; თითო-ოროლა შემთხვევის გარდა, მსაზღვრელი ჩვეულებრივ მოსდევს საზღვრულს<sup>19</sup>.

წოღ. წმიდაო მამაო, 35v,

კაცო საკრველო, 3v.

### მ ა რ თ უ ლ ი მ ს ა ზ ლ ვ რ ე ლ ი :

ოდენ მართვისას, როცა მართული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, სურათი ერთგვარია: მართულ სახელს (საზოგადოს) -ისა დაბოლოება გაპყვება ყველა ბრუნვაში უცვლელად: წიგნისა ზანდუკი, 30v; მვედრისა ახოვნებაჲ, 20; დავიწყებისა სიღრმესა, 5; ორბისა სიჭაბუკესა, 7; მოქალაქობისა მისისა აღწერისათჳს, 4v; ღმრთისმსახურებისა იფქლითა, 9v; ნათესავისა ჩუენისა განმადლიერებელად, 7...

ზოგჯერ, როცა -ისა დაბოლოებას ემთავსებოდა ა რ გააჩნია, იქ საქმე უნდა გვექონდეს გაკომპოზიტებასთან:

ღმრთის მოყუარე, ცნობის ძალი, ფასის საცავი, შჯულის მმარბეელი...

მართვა-შეთანხმებისას აგრეთვე დაცულია ძველი ქართული ენის ნორმები. საზოგადო და გეოგრაფიული სახელები ერთად დგას, ცალკეა პირის სახელი: წრ ფ. მიზეზ უშიშოებისა, 3v, დასაბამ... ხედვისა, 3v.

ს ა ხ.: წესი მონასტრისაჲ, 19, დღესასწაული პეტრესი და პავლესი, 51v.

საყდარი ჭყონდიდისაჲ, 25; დაჲ ფარსმანისი, 59.

მ ო თ ხ რ.: მოწყალეზამან ღმრთისამან, 7.

მი ც.: შფოთსა სოფლისასა, 35v, საყდარსა... ეფთჳმესსა, 19; ქუეყანასა თრიალეთისასა, 8v; ლარნაკსა... სჳმეონისსა... მართაჲსსა, 15...

ნ ა თ.: მღვიმისაგან გლახაკებისა, 4, მოოჭრებისათჳს იერუსალჳმისა, 56; წარტყუენვისათჳს ისრაჳლთაჲსა, 56.

სიტყუსაებრ დავითისა, 38 v; სიტყუსაებრ ესაჲა(ა)სა<sup>20</sup> 43.

მ ო ქ მ.: ხალენითა მოძღურისაჲათა, 56; მადლითა... ეფთჳმესითა, 22 v; სემენითა სათნოებათა მათაჲათა, 7.

ვი თ.: ხატად ღმრთისა, 24, მთავრად ეკლესიისა, 19.

წოღ.: კაცო ღმრთისაო, 22; დედაო ბენიამენის-ო, 54.

ნათესაობითში არსად არა ჩანს ორმაგი ისა-აჲსა დაბოლოება. ყველგან (როცა მსაზღვრელი მხოლოდით რიცხვშია) ჩამოკვეცილია შეთანხმების (ე. ი. მეორე) -ჲსა. ასეთი გამარტივება მე-11 საუკუნეზე აღრინდელი ძეგლებისთვისაც უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც შეეხება თ ა ნ ი ა ნ მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი დასმულ მართულ მსაზღვრელს, ასეთი სახელი ნათესაობითში აჲსა'ს და ორთავს: წარტყუენვისათჳს ისრაჳლთა-ჲსა, 56.

<sup>19</sup> ამ მოვლენის შესახებ უნდა დავიმოწმოთ ი. ი მ ნ ა ი შ ე ე ლ ი: „იშვითათა ვითარებითის მაგალითები საერთოდ (ეება მსაზღვრელ ზედსართავებს), კერძოდ, უფრო ნაკლებია ასეთი მაგალითი წინ მდგარი ვითარებითისა (ე. ი. პრეპოზიციული წყობისა)“. — „სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში“, გვ. 551.

<sup>20</sup> საკუთარი სახელებსა ასეთი ფორმები ძველი ქართული ენის ძეგლებში ჩვეულებრივია და ახსნილიცაა სამეცნიერო ლიტერატურაში: იხ. სტ. ჩ ხ ე ნ ე ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში



თულთაგან მოწაფეთა-ასა, 6v.

თარგმანებისათჳს წმიდათა წიგნთაასა, 6...

გამარტივებული ფორმით გვაქვს მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი-ერთგან მოქმედებითშიც: „შეწეწენითა წმიდათა ლოცვათა თქუენთა“ 4.

საერთოდ ბრუნვის ნიშნების დართვისას ზოგჯერ დარღვევა აქაც იჩენს თავს: ეს ეხება სახელობით ბრუნვას. მსაზღვრელთან არ ჩანს სახელობითისა.

დავდგით კიდობანი იგი მამისა ჩუენისა, 59v.

ეტლი სულისა შეენისა, 3v.

თუალი წყაროასა, 22.

„რამათა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსვლისა წმიდასა ამის მამისა ჩუენისა უნაკლულოდ მიუთხრათ“, 4v.

ზოგჯერ თითქოს სახელობითის ნიშნის დაურთველობას წინადადების კონსტრუქცია იწვევს<sup>21</sup>: მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის შემდეგ კიდევ ისეთი სიტყვა მოდის, რომელიც საზღვრავს მმართველ სიტყვას:

„წიგნი დაბადებისა—თარგმანი, იოვანე ოქრობირისა თქმული“, 30v.

„წიგნი თედორე სტუდიელისა—სწავლანი, დიდთა მარხვათა საკითხავი“, 30v.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში

-ებ სუფიქსიანი მრავლობითის წარმოება, როგორც მორფოლოგიაში აღინიშნა, იმდენად იშვიათია, რომ ვაკვირებებს იწვევს: ამ დიდტანიან თხზულებაში მხოლოდ 4 სიტყვაა ებ-ით ნაწარმოები; ევლოგიები, 21v, ურმები, 59v. კერეონები... და სანთლები, 58v. მეხუთე სახელი, რომელიც -ებ-იანი მრავლობითით წარმოგვიდგება არის ერთ-ერთი ამ ოთხთაგანი სიტყვის მსაზღვრელი: კერეონები დიდ--დიდები, 58v.

ე. ი. -ებ-იან მრავლობითში საზღვრულმა მსაზღვრელი შეითანხმა. [სხვა სიტყვებს მსაზღვრელი (რომლის რიცხვში შეთანხმებაა მოსალოდნელი) არ ახლავთ]. ასეთი შეთანხმება სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებიდანაც. „შეთანხმება ბრუნვის გარდა შეინიშნება ზოგჯერ რიცხვში -ებ სუფიქსიან მრავლობითთანაც: „შთადვა მათ შინა თუადები პატიოსნები (სიბრძნ. ბალ. 16<sub>31</sub>); „იხილა პირები იგი დარგმლები (sic) ჳდილები (კიმ. 1,38<sub>15</sub>) და სხვ.“<sup>22</sup>: „იშვითად გვხვდება ატრიბუტული მსაზღვრელის -ებ სუფიქსიან საზღვრულთან შეთანხმების შემთხვევებიც:... ვაცები ჳრელები (დაბ. 30,45), სულები იგი უკეთურები (მოციქ. 19,13)“<sup>23</sup>.

<sup>21</sup> ე. წ. ჩაკეტილი კონსტრუქციით ხომ არ აიხსნება სახელობითის ი'ს ჩამოკვეცა ამ მაგალითშიც: „იოვანე გუთელეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად“, 34r-v.

<sup>22</sup> ა. კ. ხ ი რ ი ა, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, გვ. 345. მისივე, -ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძვ. ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955.

<sup>23</sup> ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებლობის შემთხვევები, თ. ს. უ. შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 205.

ხაზგასმულია ის ვითარება, რომ ასეთი შეთანხმება მხოლოდ ატრიბუტულ მსაზღვრელთან იჩენს თავს აქა-იქ და არასოდეს არა გვაქვს მართვა-შეთანხმებისას.

სხვაგან იგივე სიტყვა „ქერონი“ თა'ნიან მრავლობითში დგას: „ქერეონთა“, 21.

რაც შეეხება ნარ-თანთან მრავლობითს—აქ მუდამ შეთანხმებაა მსაზღვრელ-საზღვრულისა: მცნებანი საღმრთონი, ყრმანი ჩჩლნი, ლავრანი დიდებულნი, უფროჲსნი წიგნნი, ნაკადულნი ცხორებისანი, ძირნი ხისანი, ნაწილნი იოვანესნი, ძულანი იოსებისნი; სათნოებათა მათთა...

### სახელისა და ზმნის შეთანხმება რიცხვში

სახელობითში დასმული ობიექტის ნ'არიანი მრავლობითი ზმნაში ყოველთვის არის გადმოცემული სათანადო ნიშნით. მაგალითები:

ოცნი შეიწყნარნა, 41 v,	წელნი მოირტყნა, 58.
ათნი იტურთნა, 42,	სახელნი მიანიჭნა, 54
გარდაიწერნეს წიგნნი, 45,	მდინარენი... განაპნა, 21...
სიტყუანი შეაჟულნა, 46 v,	

შემასმენელს პირდაპირ დამატებად აქვს ორი სახელი, ამათგან პირველი მხოლოდითში დგას, მეორე ნ'არიან მრავლობითში, ზმნა ობიექტის მრავლობითობა არ გამოხატა, ე. ი. ანგარიში გაუწია მხოლოდ პირველ დამატებას; „შემასმენელი ანგარიშს უწევს უახლოეს მომდევნო დამატებას“:<sup>24</sup>

„განაკურვა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი“, 48.

ამგვარივე მოვლენაა, როცა შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარე გვაქვს:

„შეიყუარა პატრიარქმან და ყოველთა ანტიოქიელთა“, 34 v.

„იწყო მეფემან უბნობად მისა მრავალსახედ სარგებელისათჳს სული-სა და ეგრეთვე ეპისკოპოსთა და მთავართა მსხდომარეთა“, 18.

მით უმეტეს ანგარიშს არ უწევს შემასმენელი მხოლ. რიცხვში დასმულ რამდენიმე ქვემდებარეს:

„ესე მრავალგზის მოუწერნ ღმრთის მოყუარე მეფე ბაგრატ და დედაჲ მისი მარამ დედოფალი“, 35.

„იწყო ღმრთის მსახურმან მეფემან ბაგრატ და ძემან მისმან გიორგი“, 35.

მაგრამ გვაქვს აღნიშნული მოვლენის საპირისპირო შემთხვევებიც<sup>25</sup>:

„იწყეს აღსაარებად და სინანულად თჳთ მეფემან, კათალიკოზმან, მღღელთა, დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა“, 38.

„ვერ გულისხმაყვეს ვერცა მეფემან და ვერცა სხუამან ვინ“, 51 v.

<sup>24</sup> ა. კ. ხიზორია, შერწყმული წინადადება ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 215.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 209—214.

ამ უკანასკნელში ქვემდებარეები მხოლ. რიცხვში დგას, მაგრამ აზრო-  
ბრივი შეთანხმება მოხდა. აზრობრივმა შეთანხმებამ გამოიწვია აგრეთვე ზმნა-  
ში პირდ. ობიექტის სიმრავლის აღნიშვნა ამ წინადადებაში:

„რამათა, ვითარცა ვთქუთ, ესოდენი ესე სიმრავლე შეილთა თუსთაჲ  
ვითარცა ცხოართა პირმეტყუელთაჲ, წმიდასა მამასა ჩუენსა, ეფთჳმეს მიუ-  
ძღუანნეს და შინაგან ბაქისა მისისა დაამკჳდრნეს“, 46.

იგივე მოვლენა თავს იჩენს რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, ოლონდ  
აქ სახელის მიმართება გვაქვს სახელთან (და არა ზმნასთან):

„არს მონასტერსა შინა ჩუენსა ვითარ სჳამეოცი კაცი, რომელნი  
ქართველად სახელ იდებენ“, 31.

### შედგენილი შემასმენელი

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი დგას წრფელობით ბრუნვა-  
ში. ეს ბრუნვა მრავლობითს არ გააჩნია. ამდენად არასოდეს არ გამოხატავს  
ასეთი ზმნის სახელადი ნაწილი ქვემდებარის მრავლობითობას.

„ღამენიცა დღე იყვნეს“, 53v (გარიანტებში: დღენი).

„არასრულ იქმნნეს წერილნი“, 17.

„იყვნეს მას ჟამსა წინაშე მეფისა მდგომარე კაცი“, 48.

„იგინი წინაშე ღმრთისა განათლებულნი მდგომარე არიან“, 5.

„შეუნანებელ არიან მადლნი“, 8.

„კაცი მკჳდრ არიან“, 26.

„რომელნი შენ არიან გარემოჲ მისა“, 28.

ეს ნორმა მტკიცეა ჩვენი ძეგლისათვის და არც ერთი შემთხვევა არაა  
მისგან გადახვევისა. თუმცა მე-11 საუკუნისთვის (და მე-10-სთვისაც) უკვე  
დამახასიათებელი ჩანს „წრფელობითისა და სახელობითის ცილობა“ შედგე-  
ნილ შემასმენელში.

„იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების“ ძველ ქართულ ვერსიებ-  
ში ერთმანეთის გვერდით დგას ფორმები:

დაბეჭდულ არიან 14,1a AB. და დაბეჭდულნი არიან (იქვე C)...

სასწაულ არიან, 19,12a A. და სასწაულნი არიან, BC.

სყიდულ არიან, 14,4 AB. და სყიდულნი არიან, C<sup>26</sup>...

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი

სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა შესწავლილი და გამოვლენ-  
ილი ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის (საწყისის)  
ფუნქციები: გადმოსცემს მიზნის გარემოებას და იხმარება ამავე ბრუნვაში  
დასმული მყოფადის მიმღეობის მნიშვნელობით; დამატებად მოუდის ისეთ  
ზმნებს, რომლებიც გადმოსცემენ: ბრძანებას, დაწყებას, თხოვნას, სურვილს,  
შესაძლებლობას; ასეთი მასდარი მოქმედებითი გვარის ზმნისა პირდაპირ და-

<sup>26</sup> ი. იმნაიშვილი, იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართუ-  
ლი ვერსია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 139; ხელნაწერები ABC  
სამივე მეთვე საუკუნისა.



მატებას იგუებს სახელობითსა და მიცემითში; რთული წინადადების მოსაძებნად; შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად იხმარება და მეშველ არს ზმნასთან აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას, ანუ კატეგორიულობას გამოხატავს<sup>27</sup>.

ყველა ეს ფუნქცია ვითარებითში დასმული მასდარისა გვხვდება „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ენაშიც:

ვითარებითში დასმული მასდარი დამატება ბრძანების, დაწყების, შესაძლებლობის გადმოცემი ზმნებისა და თითონ, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნა, პირდაპირ ობიექტს შეიწყობს სახელობითსა და მიცემითში: მაგალითები:

ბრძანა მოღებად პიტაკი, 58.

ბრძანა ათასი აქურაჲ მიცემად, 51v.

ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყვეი, 23.

უბრძანოს მოყვანებად მჭეცი, 24.

უკუეთუმცა შესაძლებელ იყო განძლიერებად უძღურებაჲ ჩემი, 54v.

რომელმან-ესე ფრიადისაგან მცირედი ძლით შეუძლე აღწერად, 65.

იწყო რაჲ შენებად... ეკლესიასა, 19.

იწყო თქუმად სახარებასა, 26v.

იწყო... სწავლად მორჩილებასა, 39.

გამოვიდა... მოსრვად ნათესავსა ქრისტიანეთასა, 45.

კანდიერ ვიქმენ ქელყოფად საქმესა ამას, 65.

მოსაწავებდა წინაღსწარვე გამოღებად ნაყოფსა მას, 10.

ნათესავთა უფარისყოფითა ასსა წილსა მოღებად აქაჲ აღუთქუმიდა, 6v.

შენიშნულია ისიც, რომ ქართულისათვის ასეთი კონსტრუქცია მიინც-დამაინც ენის ბუნების შესაფერი ვერ აღმოჩნდა, იგი საკმაოდ მოკლე დროში სხვა საშუალებებით იქნა შეცვლილი და გამოხატული (არ. მარტიროსოვი, ი. იმნაიშვილი). ამიტომაც გვაქვს ერთმანეთის გვერდით:

„მდიდართა ასწავებდა წყალობად გლახაკთა, ხოლო გლახაკთა მოთმინებასა ასწავებდა“, 39.

„ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყვეი 23; შდრ.: „უბრძანა მოცემაჲ ტყვეისაჲ“, (იქვე).

„იწყო... შენებად... ეკლესიასა 19; შდრ.: „იწყო ძიებად წინამძღურისა“, 15.

„უკუეთუმცა შესაძლებელ იყო განძლიერებად უძღურებაჲ ჩემი და ამადღებად სიმაღლესა ამას თანა განსაცდელისასა და აღტევებად ქმისა რაჲსამე ვნებისა ამის შემსგავებულისა“, 54v.

<sup>27</sup> არ. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII. 1955.

სხვა ნიმუშებიც, როცა ვითარებითი დასმული მასდარი პირდაპირ ობიექტს ველარ იგუებს:

ეტყოდა მოწაფეთა თჳსთა აღებად ჯუარისა და შედგომად მისსა, 6v.

იწყო ბრძოლად მისდა, 10v.

იწყო მოღუაწებად ეკლესიისათჳს, 22v.

იწყო უბნობად ბერისა, 32.

წელ-ჰყავ... საქმისა მოგონებად და აღსრულებად, 33v.

ენებოს ამის წმიდისა ლავრისა ვნებად, 58...

მიუხედავად ამისა, ისე ხშირად გვხვდება მასდარული კონსტრუქცია თავის ძირითად უფლებებაში (მართოს პირდაპირი დამატება სახელობითსა და მიცემითში), რომ ცოტა საეჭვოს ხდის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ დებულებას XI საუკუნისთვის ამ კონსტრუქციის თითქმის მოშლის შესახებ. „ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს ინტინიტივის შესაფერისი რიგი ნიშნები გააჩნდა, მაგრამ ასეთი მასდარი ქართულში ველარ განვითარდა. X საუკუნიდან მოყოლებული იგი გამოდის ხმარებიდან. მაგალითად, X (sic!) საუკ. ისეთ ძველში, როგორცაა „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, რომელიც „უეჭველად სამ. ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს“, ერთი შემთხვევის გარდა არ გვხვდება ვითარებითში დასმული მასდარის ის კონსტრუქცია, რომელიც პირდაპირ დამატებას მოითხოვს სახელობითსა და მიცემითში, (ხაზი ჩემია,—ნ. გ.). ასეთი მასდარი აქ ჩვეულებრივ იხმარება მხოლოდ მიზნის გარემოებად. ამ მნიშვნელობით სალიტერატურო ქართულში იგი შემორჩა მე-12—13 საუკუნემდე“<sup>28</sup>.

გიორგი მთაწმიდელს, როგორც ჩანს, თავის ორიგინალურ თხზულებაში ეს კონსტრუქცია არ გამოუყენებია, მაგრამ მისი მოწაფე—გიორგი ხუცეს-მონაზონი უხვად იყენებს ამავე გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების აღწერისას. ამიტომ დასკვნების გამოტანისას მკვლევარი ვერ დაეყრდნობა ერთ (რაც გინდ დიდი მნიშვნელობისაც იყოს) ლიტერატურულ ძეგლს, გათვალისწინება სხვა იმავე დროისა და პერიოდის ნაწარმოებთა (როცა ასეთი არსებობს) აუცილებელია. ენაში არსებული რამდენიმე საშუალებიდან ერთი და იმავე კატეგორიის გადმოსაცემად ერთმა ავტორმა გამოიყენა უფრო გვიანდელი (წარმოშობით), ხოლო მისმა მოწაფემ და მიმდევარმა ყველა საშუალება (ახალიც და ძველიც). ამიტომ პირველის მიხედვით ვერ დავასკვნით, რომ ძველი საშუალება უკვე მკვდარია ენისთვის, რომ ის ქართულ ენაში უკვე მოქმედი კატეგორია არ არისო.

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მყოფადის მიმღებობის ფუნქციას გადმოსცემს: აღმოსლვად გამზადებულნი, 7.

გსურის სმენად, 12v.

ცოუნებად გუაზნობდეს, 16v...

იშვიათად მასდარი ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად ნათესაობითში დგება უნდეს, ნებაგს ზნნებთან. ერთი ამისი ნიმუში ჩვენს ძეგლშიც დადასტურდა:

<sup>28</sup> არ. მარტიროსოვი, დასაბუღებული შრომა, გვ. 58.

„საქმისა რაჲსათჳსმე უნებნ გუჲსავსე ყოფის“, 35v.

„ამ კონსტრუქციის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ენაში შექმნილ ხელოვნურ ფორმასთან, რომლის გაგრძელების არც მეტად ვიწრო და შეზღუდულია, იგი იხმარება იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთ შემასთან და მარტო საწყისებში“<sup>29</sup>.

საწყისის (მასდარის) მსგავსად სახელს მიცემით ბრუნვაში მართავს მიმღობაც.

„აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ასეთი მიცემითი წარმოდგენილია მოქმედებითი გვარის მიმღობასთან, რომლის მაწარმოებელია მ-ელ აფიქსები“<sup>30</sup>.

„დადუმნეს ბაგენი იგი, მცველნი შჯუჲსა უფლისისა“, 54v.

„რომელი-იგი არა ღირს არს დუმილისა, არამედ ღირს ვსენებისა და შუენიერება-აღწერისა და მიმწთომელ მადლსა მას სამოციქულოსა და მაუწყებელ მრჩობლსა ძალსა საკრველებათასა“, 24.

„სადა არს ენაჲ იგი წმიდაჲ, ტკბილად მას წავლელი ცოდვილთაჲ სინანულსა“, 56v.

„წუთ უმეცარ იყო ნათესავსა ჩუენსა“, 31v.

ძველ ქართულში (მე-11 საუკუნეშიც) ისეთი მყარი ზღვარი სულიერსა და უსულო საგნებს შორის, რაც დღევანდელ ქართულშია და რასაც სათანადო ენობრივი მონაცემებით გამოეხატავთ, არ იყო. ამიტომ ბუნებრივი მე-11 საუკუნის ძეგლში „მყავს“ ნაცვლად „მაქუს“, „აიყვანას“ ნაცვლად „ალილო“ და მისთ. გამოყენება.

მაგალითები:

„წილმყვანებელი ჩემი არა მაქუს“, 56v.

„არა აქუს ნუგეშინი ს-მცემელი, რამეთუ ერთი აქუნდა და იგიცა მიეფარა“, 54v.

მღრ.: „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებიდან“:

„აქუნდა თავი თჳსი ფარულად, 12,3

„ალილო ძე თჳსი“, 12,2.

სუფიქსი -ურ არ განარჩევს სახელებს ვინ და რა ჯგუფების მიხედვით, ამიტომ შესაძლებელი პარალელურად დადასტურებული წარმოება: უჯამლური და უჯამლოჲ (ადამიანი)<sup>31</sup>:

„ეგრეთვე ჰყოფდა წმიდაჲ ესე, რამეთუ ძაძაჲ შეემოსა და უჯამლოჲ და თავლია, უღჳნოჲ და უწუელოჲ ვიდოდა გზასა მას იწროსა“, 15.

<sup>29</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 181.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 690; მიმღობასთან მიცემითი წარმოდგენილი სახელი ავტორს მიაჩნია „ერთგვარ უბრალო დამატებად“.

<sup>31</sup> ა. მანჯგალაძე, ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 474.

„ამას ყრმასა სლვასა მას შინა აღეკუა ეკალი ფერკსა, რამეთუ უკა-  
მური იყო და ვითარცა ქუე დადრკა“... 60.

„სოფლური ვინმე ხუცესი“, 32.

### წინადადებათა სახეები:

ძეგლის ავტორი, რომელიც დიდი ოსტატობით და ხატოვნებით, ამას-  
თანავე ვასაგები და მოქნილი ქართულით წერს, ხშირად იყენებს ე. წ. „ჩა-  
რთულებს“ რთულ წინადადებაში: „უფროჲს-ლა ვთქუა თუ“, „უმეტესად-ლა  
ვთქუა თუ“:

„ხოლო მათსა მას მუნ ყოფასა მამის ძმამან ამის საკრველისა ყრმისა-  
მან და, უფროჲს-ლა ვთქუა თუ, საღმრთომან მან დედაკაცმან სასწავ-  
ლოდ მისცეს“, 13v.

„ხოლო უკუეთუ ვინმე იყოს მოსწრაფეთაგანი და მამის მოყუარე, უფ-  
როჲს-ლა ვთქუა თუ, ღმრთის მოყუარე“... 4v.

„ამისა შემდგომად აღძრვითა ზეგარდამოხათა მოუჭდა სურვილი უცხოე-  
ბისა და სიგლახაკისაჲ და თჳსთა და მეცნიერთაგან განმორებისაჲ და, უფ-  
როჲს-ლა ვთქუა თუ, სურვილი თაყუანისცემისათჳს... ადვილთა“, 14.

„ხოლო იაკობ ვითარცა იხილა წესიერი იგი და სათნოე ცხორებაჲ მათი  
და, უმეტესად-ლა ვთქუათ თუ, ღმრთისმსახურებაჲ გონებისა მათისაჲ,  
სთნდა ყოველი განგებაჲ მათი“, 8v.

ცხოველს ხდის აზრს მაპირისპირებელი კავშირის არა—არამედ გამო-  
ყენება: „სასწავლოდ მისცეს... არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა“, 13v.

„არა სიტყუთ ასწავა, არამედ საქმით უჩუენნა“, 20.

„არა ხოლო თუ სიტყუთ, არამედ საქმით გუამზილოს“, 34v.

„რომელი-იგი არა ღირს არს დუმილისა, არამედ ღირს ჳსენებისა“, 24.

გიორგი ხუცეს-მონაზონი წერს დიდი პოეტურობით, მაღალ მხატვრუ-  
ლად და რთული წინადადებით, გრძელი პერიოდებით და ამავე დროს ასე  
საოცრად ვასაგებად და ადვილად ჩასაწვდომად:

„სადა არიან თუალნი ზეცისა საიდუმლოთა მხილველნი, სადა არიან  
ყურნი იგი საღმრთოჲსა ჳმისა მსმენელნი, სადა არს ენაჲ იგი წმიდაჲ ტკი-  
ლად მასწავლელი ცოდვილთაჲ სინანულსა, სადა არს ტკბილი იგი მყუდროე-  
ბაჲ თუალთა მისთაჲ, სადა არს წესიერი იგი დუმილი ბაგეთა მისთაჲ, სადა  
არს საწადელი იგი მარჯუენე მისი“, 56v—57.

### ლექსიკა

აქ განიხილება სურათი, რასაც წარმოგვიდგენს ძეგლი ლექსიკურად:  
რამდენად მდიდარია თხზულება ლექსიკური მარაგით (ოდენობით), როგორი  
პრინციპით იწარმოება ერთი ფუძისგან სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები,  
რა სახის კომპოზიტები გვაქვს; სინონიმების სიუხვე; ბერძნული წარმომავლო-  
ბის სიტყვები, ტერმინების სიუხვე.

### სიტყვაწარმოება

ტრადიციულად ეს საკითხი მორფოლოგიაში განიხილება ხოლმე, ნამ-  
დვილად კი იგი ლექსიკოლოგიის დარგია: „რა თქმა უნდა მნიშვნელობის

მცვლელ აფიქსთა ფუნქცია ლექსიკის სამყაროს განეკუთვნება: ახალი ფუძის წარმოქმნა ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნას ნიშნავს. საამისო სუფიქსებიც იქ უნდა განვიხილოთ, სადაც სიტყვაწარმოება—ე. ი. ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის სხვა საშუალებები (ფუძეთა შეერთება, ფუძეთა გამეორება) იქნება განხილული<sup>32</sup>.

წარმოქმნილი სახელი ბევრზე ბევრია ძველში, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორი სიტყვების წარმოქმნა ჭარბობს, სურათი ნაირგვარია. მაგალითად, ბევრია აბსტრაქტული სახელების წარმოება, იშვიათია წინა ვითარების სახელები. ძველში არ გვხვდება კნინობითობის და ხელობის აღმნიშვნელი აფიქსები (ორიოდ გამონაკლისის გარდა: მე-დიმოს-ე, მე-ნავ-ე-თ-მოდლუარი).

ქონების სახელები იწარმოება სუფიქსებით: -იერ,-ოვან || -ევან, -ოსან, -ედ, -ეულ; ამათგან მეტი რაოდენობით გვხვდება ძველში -იერ სუფიქსიანი სახელი: შჯულიერი, 9; გონიერი, 6v; ნივითერი, 6v; წესიერი, 8v; ძლიერი, 37v; სიტყერი, 29v და სხვ.

ერთადერთი შემთხვევაა -ოსან სუფიქსის გამოყენებისა: პათიოსანი, -ოვან: ფრთოვან, 5; ზელოვანი, 39v, ჯეროანი, 22v; მცოლანი, 10v; მადლოვანობა, 46v. -ოვან სუფიქსის პარალელურად ერთ სიტყვაში ყოველთვის -ევან დასტურდება: „ნაკლულევანი“, 28v, 35... არა ვაქვს ქონების -იან სუფიქსი<sup>33</sup> (ახალ ქართულში ესაა ყველაზე პროდუქტიული ქონების მაწარმოებელ აფიქსთა შორის).

ქონების აღმნიშვნელი აფიქსია აგრეთვე: -ედ. თითო-ორიოლა ნიმუში მოგვეპოვება მისი გამოყენებისა: ბრძმედი, 29v; შარავენდედი (შხისაჲ), 53.

ქონებას აღნიშნავს აგრეთვე -ეულ სუფიქსი, რომელიც ზოგჯერ წარმომაგლობაზედაც მიუთითებს.

კურთხეული, 39, 49; გრძნეული, 25; ჰასაკეული, 44; მამის მამეულად, 8v, ეს უკანასკნელი ფორმა უფრო გვიანდელად მიაჩნიათ, ვიდრე საკუთრივ მამულ: „ეს ორი სახელი (მამულ, დედულ) ისეთ ადრინდელ ძველებში დასტურდება, რომ საეჭვოა მიღებული იყოს -ეულ სუფიქსის გამარტივებით...

მამ-ეულ—დედ-ეულ ფორმები ძველ ტექსტებში არ დასტურდება, ისინი არა აქვს საბასაც ლექსიკონში შეტანილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი მამ-ულ, დედ-ულ ფორმებზე უფრო გვიანდელი წარმოშობისაა<sup>34</sup>. ჩვენ მაინც დასაშვებად მიგვაჩნია მეორე მოსაზრება: რომ მამულ—მამეულ (ა. შანიძე).

ქონების სახელები მაინც ისე უხვად არაა წარმოდგენილი თხზულებაში, როგორც უქონლობისა (უქონლობის სახელი ერთი სამად და მეტად აღემატება პირველს). მაწარმოებელია მისი უ-თავსართი, რომელსაც ზოგჯერ რომელიმე სუფიქსიც მოეწვევლება ხოლმე: უ—რ, უ—ურ, უ—არ, უ—ელ. მაგალითები:

უშიში, 14, v, უკამლოჲ, 15, უძღლური, 7, უდაბური, 43, უმეცარი, 6v, უქმი, 25. უნდოჲ, 18v. უვნებელი, 11. უძღვეელი, 47, უწესოჲ, 38v.

<sup>32</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 234.

<sup>33</sup> სიტყვა ქრისტეანე || ქრისტიანე თავისი ფორმანტიანად ბერძნულიდან მომდინარედ არის მიჩნეული (ც. ქურციკიძე).

<sup>34</sup> ა. მანჯგალაძე, -ურ სუფიქსი ძველ ქართულში, იბერიულ-ქართული ენათმეცნიერება, ტ. V, გვ. 496.



ასევე მდიდარია ძველი აბსტრაქტული სახელებით, რომლებიც ნაწარმოებია -ება, -ობა და სი—ე აფიქსებით (მათ შორის შეფარდება ასეთია: -ება—თი წარმოება ერთი ორად აღემატება -ობა'სა და სი-ე'ს—თვითეულს ცალკე-ცალკე).

ნიმუშები: მეცნიერება, 31v, 5; გონიერება, 11v, 47v; კადნიერება, 5,63; ძლეულება, 34v; სასობა, 47v (აქ ხშირია ნაწარმოები ფუძის მეორედ წარმოება: წეს-იერ-ი—წესიერება, ძლ-ეულ-ი—ძლეულება...).

ნათესავობა, 8v, მღვდლობა, 18v, 63; მოქალაქობა, 11v, 20v... პარალელურად გვაქვს: მორჩილობა, 27v და მორჩილება, 50v.

დღევანდელი ნორმის თვალსაზრისით აფიქსთა ასეთი შენაცვლება გვაქვს შემდეგ სიტყვებში:

ძველშია:	ახალ ქართულშია:
ობლება, სიობლე	ობლობა
ბრალობა	(და)ბრალება
ფართობა	სიფართოე
სიბოროტე	ბოროტება

სი-ე'თი ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები უმეტესად ზედსართავი სახელებიდან მომდინარეობენ: სიწმიდე, სიმდიდრე, სიმტკიცე, სიმწარე, სისპეტაკე...

წარმომავლობის სახელები ძირითადად -ელ სუფიქსით იწარმოება: ჭყონდიდელი, 37v, 61v; სტუდიელი, 27v; ანტიოქელი, 34v; 41v; ილარიონ თუალელი, 12; სიმონს ვიტყვ კანანელსა, 34; იოვანე ბედიელი მთავარეპისკოპოსი, 47; გავიკარელი, 48,51 (როგორც ტექსტზე მუშაობისას მიგვითითა პროფ. ი. აბულაძემ, კარელი უნდა მომდინარეობდეს ყარსიდან). ადამიანის წარმომავლობის სახელებში მ-პრეფიქსი გადმონაშთის სახით (და უფუნქციოდ) ერთადერთ სიტყვაშია შემონახული: მეგვპტელნი, 42v.

პრომაელნი'ს (51) პარალელურად გვაქვს პრომნი (48v, 49...); რომ წარმომავლობის სახელები ქართულში ზოგჯერ ყოველგვარი სპეციალური ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი—ეს ჩვეულებრივი სურათია ძველ ძეგლებში<sup>55</sup>, მაგრამ ასეთ დროს ენა ცდილობს გეოგრაფიული სახელი წარმოადგინოს სათანადო ფორმანტით. ჩვენს შემთხვევაში კი (რაც დადასტურებული აქვს აგრეთვე ც. ქურციკიძეს თავის წიგნში „ქართული ვერსიები ამოკრიფებისა მოციქულთა შესახებ“) ყურადღებას ის იქცევს, რომ წარმომავლობის სახელი და თითონ გეოგრაფიული სახელი ერთი ფორმით გადმოიციემა.

პარალელურად გვაქვს აგრეთვე ისრაშლნი (56) და ისრაშლიტელნი (56)...

-ურ სუფიქსი იშვიათი ხმარებისაა:

სოფლური ვინმე ხუცესი, 32; ბერძული, 32; ქართული, 32...

ამავე ფუნქციით იხმარება -არ: „სადაურობის აღსანიშნავად იგი გავრცელებულია ქანურში და გვხვდება ქართულშიც (ობიზ-არ, ოლთის-არ)“

<sup>55</sup> მხ. შანიძე, გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 166.

(ა. მანჯგალაძე). ჩვენ ძეგლში გვაქვს დადასტურებული სწორედ ერთი ამ ნიმუშთაგანი:

გიორგი ოლთისარი, 61.

ერთ სიტყვაში გვაქვს -დელ: მაშინდელი, 12v.

რომ მცირეა შედარებით წარმომავლობის გადმომცემი აფიქსების გამოყენება (გარდა გეოგრაფიული სახელებიდან ადამიანთა წარმომავლობის წარმოებისა) ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: ძველ ქართულ ენას სხვა საშუალება გააჩნდა ამ კატეგორიის გადმოსაცემად: მაგალითად: „ჰმსახურებს ზეციერთა“, ვარიანტებში გვაქვს: ზეცისათა—ორივე შემთხვევაში წარმომავლობაა გამოხატული<sup>36</sup>.

ბშირია დანიშნულების სახელთა წარმოებაც. აფიქსები: სა—-ე, სა—-ო, სა—-ურ: სასანთლე, 19, სამოთხე, 57, სავანე, 49v, საბრჭე, 57v, საფასე, 12v, 28v... ამ სიტყვათა რიგი უმეტესად ტერმინებად ქცეული სახელებია; ასევეა სა—-ო სუფიქსთან: საებისკობოსო, 39v, 45, სამარტჯლო, 60v, სამკჯდრო, 60v; სამგედრო, 48v, სამარხო, 62...

სა—-ურ: საბეჭური, 51, საცნაური, 6v, სართული, 65. ასეთი წარმოება შედარებით იშვიათია.

დანიშნულების სახელებია აგრეთვე მყოფადის მიმღობა:

სადიდებელი, 8.	საგლოელი, 56.	მოსაცსენებელი, 39.
საზრდელი, 42v.	საბურველი, 7v.	დასაფლველი, 46.
საყუედრელი, 8v.	საჩუნებელი, 63.	საენებელი, 32...

ზოგი ასეთი წარმოშობის სიტყვა უკვე გასუბსტანტივებულია:

საკურთხეველი 59v; საკუმეველი, 59; საბურველი, 7v; საფუძველი, 34; განსაცდელი, 54; სამოსელი, 57 || შესამოსელი, 66; საგალობელი, 12v, სარბიელი, 50v, სასყიდელი, 41v...

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ იშვიათია წინა ვითარების სახელთა წარმოება. სულ 3-ოდე ნიმუში გვაქვს: ნამუშაკევი, 6v, 35, 64; ნამუსრევი 26v; ნაწუეთი, 56.

გეოგრაფიული სახელებით განსაკუთრებით მდიდარია ჩვენი ძეგლი: შუამდინარი, იერუსალემი, ექსამილი, ეგჯბტე, შატბერდი, ასტუდია, ქართლი, ფოთი, ტარსუ, ანტიოქია, ევხაიტი, ხახული, მთაწმიდა და სხვ., მხოლოდ ზოგიერთ მათგანთან გვხვდება გეოგრაფიული სახელისთვის დამახასიათებელი აფიქსები:

-ეთ: აფხაზეთი, აღმოსავლეთი, ასურეთი, კლარჯეთი, საპარსეთი; სა—-ეთ: საბერძნეთი, სასარკინოზეთი.

გეოგრაფიულ სახელებში: ქუთათისი, ტადრისი წარმოქმნის ელემენტად გვაქვს ბრუნვის ნიშანი.

ბრუნვის ნიშნები წარმოქმნის აფიქსებად გვევლინება სხვა შემთხვევებშიც:

ით-ი: ბუნებითი, 24.

ად-ი: ყოფადი, 10, 14; ქამადი, 41; ზოგადი, 39v.; წყუდიადი, 57v;

<sup>36</sup> იხ. ამის შესახებ ა. მანჯგალაძე, -ურ სუფიქსი ძველ ქართულში.

განთიადი, 7; ჯმეადი, 48v; ფრიადი, 20, დანთქმადი, 39...

-ად სუფიქსიანი სახელები, რომლებიც ნაწარმოებია მასდარიდან (დაცე-  
 მადი, დაშობადი, დანთქმადი), მომავლის გაგებას შეიცავენ და დღეს გადმო-  
 იცემიან მყოფადის მიმღობით: დაცემადი = დასაცემი (დასაცემად გამზადებუ-  
 ლი, რაც უნდა დაეცეს), დაშობადი = დასარჩენი, დანთქმადი = დასანთქმელი.

ამგვარი წარმოების სიხშირე დადასტურებულია X საუკუნის ძეგლებში<sup>37</sup>.  
 მიმღობებით (მოქმედებითი და ვნებითი გვარისა) აგრეთვე მეტად მდი-  
 დარია ჩვენი ძეგლის ლექსიკა:

მგედარი, 52v.	შემავალი, 47v.	მწვალებელი, 34.
მყოფი, 43.	მოძღუარი, 12.	მჭამელი, 26.
მსაჯული, 58.	წინამძღუარი, 60v.	მორწმუნე 10v.
მდებარე, 4.	მზრახველი, 21v.	მოსწრაფე, 28v.
მგლოვარე, 59.	მეტყუელი, 62.	მოქენე, 42.
მჭმუნვარე, 7v.	მეძიებელი, 14v.	მონიჭებული, 27.
მასწავლელი, 56v.	მძღე, 64.	სუმული, 40v.
მადიდებელი, 62.	მწიგნობარი, 37.	ძიებული, 9.
განმარჩველი, 29v.	მთესვარი, 44.	აღკუეცილი, 39v.
მოშიში, 13v.	მტირალი, 55v.	აგოცილი, 61v.
მობაძავი, 22.	მწურთელი, 14.	აღზრილი, 48v.

სიტყვაწარმოებაში განიხილება ხარისხების წარმოებაც. გვაქვს მხო-  
 ლოდ უფროობითი ხარისხის წარმოება; სურათი დღევანდელი ნორმისებურია:  
 უხუცესი, უპირატესი, უმწარესი, უზეშთაესი და მისთ.

თ ხ ზ ვ ა

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ლექსიკის სიმდიდრეს ქმნის აგრეთ-  
 ვე ის უამრავი კომპოზიტი, ძეგლში ასე უხვად რომაა მოცემული. ჩვენ ამ  
 სახელებს დავალაგებთ შედგენილობის მიხედვით და ისე წარმოვადგენთ.

I. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ფუძის სახითაა (ეს პირველი  
 კომპონენტი უმრავლეს შემთხვევაში არსებითია):

სიტყუადუხჭირობა, 29v; სულთქუმა, 18v; პირუტყვ, 24; სულმცირე, 19;  
 თავლია, 15; გულარძნილება, 31v; მამაკაცობა, 42; მზეგრძელობა, 51;  
 ქალწული, 54; დღესასწაული, 50; ღმერთშემოსილი, 45; ჯელყოფა,  
 8; თავდარეკილი, 17v; ოქრობეჭედი, 23; გამამალა, 54v; ერთგული,  
 8v; ენაბრგუნელი, 5; ძვრუგუნებელი, 64; ქედფიცხელობა, 33v; უცხო-  
 თესლი, 31v...

II. პირველი კომპონენტი მიცემითია:

გულს მოდგინება, 20.  
 ცხოველს მყოფელი, 28v.

<sup>37</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული  
 ვერსია, გვ. 154.

ამის ნიმუშები მცირეა (იგი ზმნა-კომპოზიტის სფეროა უფრო: შდრ-ამბორს უყოფს და მისთ.); ენამ ასეთ კომპოზიტებში ნათესაობითს მისცა უპირატესობა.

III. პირველი კომპონენტი ნათესაობითშია (სხვაგვარად ასეთ კომპოზიტებს მართულ მსაზღვრელიანს უწოდებენ).

მრავლობითი:

ნათლის მცემელი, 21, ნათლის ღება, 16	ღმრთის მეტყუელება, 21	მღდელთმოძღუარი, 34v
სიტყვს გება, 34v	სახის მეტყუელება 4v	ხუროთმოძღუარი, 19
გულის თქუმა, 40	ნების მყოფელი, 4	მამათმთავარი, 43
გულის სათქუმელი, 15v	თავისუფალი, 95. 58v	კაცთმოყუარე, 42
გულის სიტყუა, 34v.	დისსიძე, 12v	ნავთსაყუდელი, 43v
გულის-ჯმის მყოფე- ლი, 54.	ჭელის აპყრობაჲ, 60	ნავთსადგური, 50
გულის-ჯმის -საყოფე- ლი, 49v	შდრ. ჭელსა აღუპყ- რობს, 60.	თულათაღება, 39.
შდრ. გულის-ჯმა ყო, 19v.		
უვარის ყოფა 6v		
უარის მყოფელი, 34		
შდრ: უარ-გჯყოფიეს. 34		

IV. პირველი კომპონენტი მოქმედებით ბრუნვაშია:

ღმრთივ სულიერი, 47v.
ღმრთივ შეკრებული, 43v
ღმრთივ ბრწყინვალე, 32v
ჭელით მსახური, 65v
თულათ მხილველი, 65v.

ვითარებითის ერთი ნიმუშია: „მხოლოდშობილი“, 66.

კომპოზიტის ერთ-ერთი კომპონენტი ფორმაუცვლელი სიტყვაა (წინდებული, ზმნისართი):

წინა-მძღურობა, 19v	წილ-ვლო, 57v
წინა-მძღუარი, 15.	წილ-იყვანა, 17
წინა-მორბედი, 50	წილ-მყვანებელი, 26v
წინა-დაღება, 65	გარემოდგომილი, 59v
ზემო წერილი, 25v	შუამდგომელი, 39v
ზემო-კსენებული, 10	შუამდინარე, 36v
ზედა-შე, 48v	თანა-ზიარ-ყოფა, 16.
წილ-კერძო 10v	

ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები:

- ულნარ-მალნარი, 26
- პირის-პირ, 57
- ძვრ-ძვრად, 45v
- მცირედ-მცირედ, 18v
- კაცად-კაცადი, 65v
- წულილ-წულილად, 30v
- უცხოას უცხო, 40.

კომპოზიტია აგრეთვე რიცხვითი სახელები: ორმეოცი, ოთხმეოცი, ათხუთმეტი, ათორმეტი, ასორმოცდაათი, მეათორმეტისა, რვაათეული...

როგორც დავინახეთ, აქ არსად არ ჩანს ტოლად შერწყმული სახელები (რომელთა შორის ჩვეულებრივ და კავშირის ჩასმა შეიძლება: სახლ-კარი, მინდორ-ველი და მისთ.).

საქმე იმაშია, რომ ამგვარი სინონიმები, რომლებიც შემდეგ შეირწყმნენ და გაკომპოზიტდნენ „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ ცალკ-ცალკე არის წარმოდგენილი (მათი გაკომპოზიტება უფრო გვიანდელი ამბავია).

მაგალითები:

- იწყო დიდებად და ქებად, 5v
- მწუხარება და ურვა, 31
- ლოცვით და კურთხევით, 46v...

საერთოდ სინონიმური წყვილების ხმარება გიორგი ხუცეს-მონაზონის წერის მანერაა, მისი ერთი მოუცილებელი ნიშანთაგანია.

ჩვენ სპეციალურად დავეძებნეთ ეს წყვილები:

- მშჯობით და უვნებლად, 28v
- დაწყნარებით და ნელიად, 33v
- მტკიცე და უქცეველი, 23v
- უშიშად და კადნიერად, 40
- საწადელი და სასურველი, 6
- ლიტონი და უსწავლეელი, 17v
- უსწავლელობა და უმეცრება, 7v შდრ.: სწავლელება და მეცნიერება, 33v
- სულმცირედ და მოკლედ, 11 || მოკლედ და სულმცირედ, 36
- ადვილად და სულმცირედ, 49v || მოკლედ და მარტივად, 50 || მარტივად და სულმცირედ, 5v
- უშურველად და უხუებით, 8
- შრომა და ღუაწლი, 15, 5, 6 || ღუაწლი და შრომა, 19v, 44v
- მცოვანი და მოხუცებული, 15v, 10v || სიბერესა შინა და მოხუცებულობასა, 18v.

- დიდება და ქება, 5v
- გონიერყოფელი და განმბრძნობელი, 7v

- ცხადი და განმარტებული, 9v  
 მოსწრაფე და გულსმოდგინე, 13v; || მოსწრაფება და გულსმოდგინება, 13v
- დაფარული და უჩინო, 5v  
 არარა და უნდო, 18v  
 წმიდა და უმანკო, || წრფელი და უმანკო, 11v, 16v, 33v.  
 უშფოთველი და აღუძრველი, 11v  
 ამბოხი და შფოთი, 53 || შფოთი და ამბოხება, 27v  
 სიბრძნე და გონიერება, 16,38v || სიბრძნე და მეცნიერება, 62  
 დიდებული და ღმრთივ შუენიერი, 21v || ღმრთივ ბრწყინვალე და ღმრთივ შუენიერი, 22v || შუენიერ და ბრწყინვალე, §23 || მაღლად და ღმრთივ ბრწყინვალედ, 30, 25v || ღმრთივ შუენიერად და ბრწყინვალედ, 30v  
 წესი და კანონი და განწყება, 20 || წესი და კანონი, 17,44 || წესი || და განგება, 20v.  
 ჭეშმარიტი და მართალი, 16v  
 გულარძნილი და მანქანაა, 16v || მრავალღონე და მანქანაა, 33.  
 წმიდაა და ღმერთ შემოსილი, 36v, 20v  
 გლახაკი და დავრდომილი, 28v || მდაბალი და გლახაკი, 38v—39  
 უცები და უგუნური, 29v  
 მწუხარება და ურვა, 31, 47 || მწუხარება და გლოვაა, 31, 55v ||  
 || ჭირი და ურვა, 43  
 ნიჭითა და საფასითა, 47  
 ლოცვით და კურთხევით, 46  
 ჯმნა და განტეეება, 51v  
 გოდება და ტირილი, 55v  
 სასოდ და ზღუდედ (აქუნდა), 53  
 განზორება და უცხო-ყოფაა, 64v  
 შიში და ძრწოლაა, 65  
 სულთქუმით და ცრემლით, 59v  
 იხილა და განიცადა, 15v || არა მოგუხედნეს და არცა განიცადოს ხატი ჩუენი, 18  
 დაჰქენჯნიდა და აჭირვებდა, 15  
 სუროდა და წადიერ იყო, 4v  
 აღსრულება და სოფლით განსლვა, 4v  
 უძლური და დაქსნილი, 7  
 საქმე საკვრველი და ყოვლად არადასაჯერებელი, 24  
 აღასრულა და განაგო, 33  
 მოაჯსენეს და აუწყეს, 33  
 შევაჩვენებთ და ვსწყევთ, 34v  
 გამოიკითხა და გამოიძია, 20v.

შენიშვნა: სინონიმებად იყენებს ავტორი ლავრას, ეკლესიას და მო-  
 ნასტერას სეთ შემთხვევებში:

„ესრეთ დაყო სამეუფოსა მას ქალაქსა რავედენიმი ჟამი და ყოველ-  
 ნი საქმენი მონასტრისა თვისისანი განჰმართნა და ნებითა ღმრთი-

სადათა კუალად თჳსადე ლაერად მოიქცა და დიდითა სიხარულითა და სიყუარულითა შეიწყნარეს ძმათა და განაგებდა და იპყრობდა მონასტერსა ამას ჟამ ჴრავდენმე“, 25v.

„ესრეთ გამოვიდა მონასტრით, რომელ ვიდრე ყოლადმდეცა არა აუღია მონასტრისაჲ, და წიგნნი, რომელნი ეთარგმნეს დეკანოზობასა შინა წინამძღურობასა, ყოველნივე ეკლესიასა დაუტენა“, 27v.

სინონიმური წყვილების შედგენილობას თუ დაეუკვირდებით, დიდი უმრავლესობა ერთგვარი წარმოების სახელებს შეიცავს; ხშირია აგრეთვე შემთხვევა, როცა წყვილის ცალი უარყოფითი სახელია: ლიტონი და უსწავლელი; მშჯდობით და უცნებელად, დაფარული და უჩინო; წრფელი და უმანკოჲ; უჩინო და მდაბალი; მტკიცე და უქცეველი, უშიში და კადნიერი...

სინონიმური წყვილების გვერდით ავტორი მარჯვედ იყენებს დაპირისპირების მეთოდსაც:

„წესნი დაუსხნა წერით და უწერელად“, 45

„ეტყოდა რომელსამე ლიქნით და რომელსამე მართლად“, 33r-v

„რომელნი-ეგე ჩუენ უმეტრად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან“, 34

„ცხადნი და დაფარულნი უწესობანი“, 38v

„ყოფადთა ვითარცა ყოფილთა ხედავს“, 14...

ძეგლში უხვადაა მოცემული ტერმინები:

„იწყეს აღსაარებად და სინანულად თუთ მეფემან, კათალიკოზმან, მღღელთა, დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, 38v.

„უბრძანა წინა შემდგომელთა მოწოდებაჲ ბერისაჲ და ვითარცა შემოვიდა სამეუფისა მის კარავსა, აღდგეს ყოველნივე დიდებულნი და აწვეს ბერსა... იწყო მეფემან უბნობად მისა მრავალსახედ სარგებელისათჳს სულისა, და ეგრეთვე ეპისკოპოსთა და მთავართა“, 18.

„წარმოგზავნა მწიგნობარი თჳსი და უბრძანა დიდითა პატივითა წარყვანებაჲ ბერისაჲ... და თანა-გზა-გუჟგა მღღელთ მოძღუარიცა ქუთათისაჲ“, 37.

საკმარისია მოვიგონოთ, თუ რა ხშირად იმოწმებს აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევაში—„ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“ გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებას სხვადასხვა ტერმინების მნიშვნელობის გასარკვევად და დასადგენად.

თვალში საცემია ბერძნულწილების სიუხვე ძეგლში. ზოგი ბერძნული სიტყვა დიდი ხნის შემოსული და დამკვიდრებულია ქართულ ენაში, ზოგიც შედარებით ახალია (ყოველ შემთხვევაში, იშვიათია სხვა ძეგლებში): ჩამოვთვალოთ ეს სახელები: დეკანოზი, ეკლესია, ევლოგია, ეპისტოლე, ეპისკოპოსი, კათალიკოზი, ლარნაკი, ლუსკუმა, მონასტერი, პალატი, პატრიაქი, ქარტა, ქიმიია, კანონი, დიმოსი, მედომოსე, დორიასი, სეკრიტონი, ფსუნი, ფილოპატი, ქორაკანდილი, კანდელი, კერეონი, კოხლიო, პინაჲ, მეტოქი, პრასტინი, პროტონოტარი, კანანაზობა, სოხასტერი, ეგუტერი, სევასტოსი, დუჟა, პიტაკი, სუნგელოზი, აფრაჲ, ანდამატი, ალვაჲ, ბისონი, ტრაპეზი, ურნატი, ფინიკი, ქერობინი, შტო, პორფირი და სხვ.

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ლექსიკურ თავისებურებად ჩაითვლება სწორედ ასე უხვად თავმოყრა ბერძნიზმებისა (ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ძეგლი იწერებოდა საქართველოს გარეთ, ათონის მთაზე, ბერძენთა გარემოცვაში).

ლექსიკაში მიეუთითებთ აგრეთვე ზოგიერთ ისეთ სიტყვაზე, რომელიც ორ მნიშვნელობას შეიცავს, ან ლექსიკონებში მოცემულ მნიშვნელობათაგან განსხვავებულ აზრს ატარებს.

**მწუხარე:** 1) ბრმა: „ბოვა მ წ უ ხ ა რ ე ერთი“.

2) შეწუხებული: „არა უწყოდა ადგილი და დიდად მ წ უ ხ ა რ ე იყო“.

**ცხოვრება** 1) ცხოვრება: მოთხრობაჲ ც ხ ო რ ე ბ ი ს ა და მოღვაწეობისა მათისაჲ“.

2) გადარჩენა: „აჰა დღეს ც ხ ო რ ე ბ ა ა დ არ ს ყოვლისა სამეუფოასა ჩემისაჲ“.

**ხასწაული:** 1) ნიშანი: „გ ა მ ო ს ა ხ ა სასწაული პატრიოსნისა ჯუარისაჲ“.

2) სასწაული: „ს ა ს წ ა უ ლ ი ესე არა უმცირეს არს ს ა ს წ ა უ ლ ს ა მას სამთა ყმრთასა“.

სიტყვა „სამჟმისა“ ტერმინიც არის და ორცნებიანი კომპოზიტიც:

„ვითარცა დღე წარმოიჩინა და სამჟმისა ჟამი მოახლებულ იყო, გზბრძანა, რაჲთა სანთელნი აღვანთნეთ“.

„მივებლენით სამჟამისა ს ა ვ ა ლ ოდენ“.

„ცხოველი“ გვაქვს „ცოცხალის“ მნიშვნელობით და მის გვერდით თითონ „ცოცხალი“-ც (ასეა სინურ მრავალთავშიც):

„მღურვით ეტყოდა წმიდასა მას, ვითარცა ც ხ ო ვ ე ლ ს ა“

„ვერ ეწიფა ხილვასა მისსა, ვიდრე ც ო ც ხ ა ლ ი იყო წმიდაჲ იგი“.

„სიმდიდრე“ სიტყვის მნიშვნელობის ნიუანსი დ ო ნ ე, ძ ლ ი ე რ ე ბ ა, ს ი ბ ე ვ რ ე ჩანს:

„კაცნი ძლიერნი... ს ი მ დ ი დ რ ე ს ა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულნი“.

„ვერ უძლო წიად-სღვად ს ი მ დ ი დ რ ი ს ა გ ა ნ, რამეთუ დიდროდა“.

„მოქცეული“: „არს მთაწმიდისა პრასტინთა შორის სოფელი ერთი... ადგილი რამე მოქცეული, ყური ყოვლად უდაბნოა“.

ამრიგად, „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ გრამატიკულად მხარს უჭერს მე-11 საუკ. მეორე დიდ ძეგლში—„იოანე და ექვთიმე მთაწმიდელეების ცხოვრებაში“ დადასტურებულ თავისებურებებს და სიახლეს. თუკაც ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ჩვენი ძეგლი არასოდეს არ ხმარობს მ (=ე) ს ე ბოლოზმოვნიან სახელებთან საჭირო შემთხვევებში; ხშირად იყენებს მასდარულ კონსტრუქციას. ლექსიკაშიც უფრო მეტად გვაქვს ბერძნიზმები, ვიდრე „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“.



Н. Д. ГОГУАДЗЕ

ЯЗЫК „ЖИТИЯ ГЕОРГИЯ АФОНСКОГО“

Резюме

„Житие Георгия Афонского“ является важнейшим литературным памятником, дающим ценный материал для истории грузинского литературного языка. Морфологически (склонение, спряжение) и синтаксически (согласование, управление) текст „Жития“ дает картину, аналогичную другим памятникам XI века.

С точки зрения лексики „Житие“ стоит обособленно. Лексика памятника характеризуется большим количеством т. н. „гречизмов“, что объясняется тем, что „Житие Георгия Афонского“ писалось в греческой атмосфере (на Афоне в Греции).

---

ილია აბულაძე

ძველი ქართულის ლექსიკიდან

8. სინური მრავალთავის „არშებრ“ და „მხრვალნი“

სინური მრავალთავის ერთ-ერთ საკითხავში, რომელიც სათაურად ატარებს: „მეორე თქუმული კვრილე მთავარეპისკოპოსისა იერუსალემელისა—რაქამს-იგი მოვიდა წმიდათა მოციქულთა ზედა სული წმიდაა“, ერთგან ვკითხულობთ: „გალიღვეელ იყენეს პეტრე და ანდრეა, სპარსლებრ და არშებრ იტყოდეს, იოვანე და სხუანი მოციქულნი ყოველსა ენასა ეტყოდეს წარმართთა მათ<sup>1</sup>“. ამ კონტექსტში გაუგებარია „არშებრ“, რომლის მნიშვნელობის გასარკვევად ვრცლად მოიხმობს მასალებს ამ წყაროს გამოცემის რედაქტორი ა. შანიძე გამოცემისათვის დართულ გამოკვლევაში: „სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ (გვ. გვ. 320—323). მისი ფიქრით, ბერძნული შესაბამისი ტექსტი რომ „არშებრ-ის“ საპირისპიროდ „მიდიურად“ სიტყვას აჩვენებს, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ აქ ძველი ქართულით მოსალოდნელი ფორმა „მარებრ-ი“ (მიდიელებს ძველ ქართულსა და სომხურში „მარები“ ერქვაო) „შერყვნილა და «არშებრ» ფორმად ქცეულა“<sup>2</sup>.

ამ სიტყვის აზრის გამოსარკვევად ბერძნულს გარდა, საიდანაც ქართული უნდა მომდინარეობდეს, საგულისხმოა ბერძნულიდანვე მომდინარე სომხური თარგმანიც, სადაც შესატყვის ადგილს იკითხება: *«Քալիქსաჳի էին Պետրոս և Անդրէաս, և անդէն վարդապետի պարսկանային և պարսկանային: Յովհաննէս և այլ առաքեալքն զամենայն լեզուս ընդ հեթանոսս... խօսէին»*<sup>3</sup>.

ამასთანავე საჭიროა ხსენებული საკითხავის დაძებნა სხვა ხელნაწერებში და მათ ჩვენებათა გამოყენებაც,—იმვე ფორმით გვხვდება მათში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, თუ სხვით ან სხვადასხვით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ფორმა ან სხვადასხვა, მაშინ საკითხი დაისმის მისი თუ მათი მიმართების შესახებ უძველესი ქართული ნუსხის ჩვენებასთან, რაც შესაძლებელს გახდის მართებული ასე თუ ისე გამოჩვენებას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით კირილე იერუსალიმელის დასახელებული საკითხავი იბოვება იერუსალიმურ ერთ-ერთ ხელნაწერში (№ 17),

<sup>1</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, თბილისი, 1959, 5, გვ. 187, 25.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 323.

<sup>3</sup> Տրանսկայն Կլարիի Տրուսաղեմայ Հայրապետի Էկզիլան Ընծայութեան. Վիեննա, 1832, გვ. 376 — 377.

რომელიც ხელის მიხედვით XII—XIII ს-ისა ჩანს<sup>4</sup>. აქ ნუსხაში, რომლის მიკროფილმი და მისგან დამზადებული ფოტო-ანაბეჭდი ამჟამად ჩვენშიც მოიპოვება, დასახელებული საკითხავი რატომღაც მიეწერება არა კირილე იერუსალიმელს, არამედ კირილე ალექსანდრიელს. მისი სათაური აქ შემდეგია: „თუშული წმიდისა კვირლე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ დღისა მისთჳს მეერგასისა, რაჲამს მოვიდა სული წმიდაჲ წმიდათა მოციქულთა ზედა“ (Jer.—17, 115 v<sup>5</sup>). ჩვენთვის საგულისხმო ადგილი აქ ასეა წარმოდგენილი: „გალილეველ იყენეს პეტრე და ანდრია, სპარსულ და აჟაკებრ იტყოდეს, იოანე და სხუანი იგი მოციქულნი ყოველსა ენასა ეტყოდეს წარმართთა მათ“ (117r<sup>6</sup>).

ესევე საკითხავი შესულია აგრეთვე ჩვენში დაცულ ძველ მრავალთავეში, როგორცა ე. წ. უდაბნოსა (A—1109) და კლარჯული (A—144). პირველს ჩვენი კონტექსტის შესაფერისი ადგილი აკლია ფურცლის დაკარგვის გამო, ხოლო მეორეში ის ასე იკითხება: „გალილეველ იყენეს პეტრე და ანდრია, სპარსონ და არშაკებრ იტყოდეს, იოანე და სხონი იგი მოციქულნი ყოველსა ენასა ეტყოდეს წარმართთა მათ“ (A—144, გვ. 242).

თუ შევუპირისპირებთ ერთმანეთს ხელნაწერთა ჩვენთვის საინტერესო კონტექსტს, შევნიშნავთ, რომ ის მცირეოდენი გადასხვაფერებული დაწერილობა, რომელიც ზოგიერთი სიტყვის მიმართ აქ შეინიშნება, გადამწერს ეკუთვნის. პირვანდელი სახე მის ხელთ შებღალულა ან იმის გამო, რომ ჯეროვნად ვერ დაჰკვირვებია დედანს, ანდა იმიტომ, რომ ძველი ფორმა უცხო შექმნილა მისი ხანისა თუ წრისათვის, რის გამო ის მას შეუცვლია ახლით. ასე მაგ., უთუოდ გვიანი ხანის გამოთქმა და დაწერილობაა „ანდრია“, რომლის ადრინდელი სახე სინურ ხელნაწერს დაუცავს: „ანდრეა“. ამის მომდევნო ორი სიტყვის ნაირსახეობა კი, რომელნიც უფრო რთული მოვლენის შედეგი უნდა იყვნენ, ვარაუდობს პირველადად ერთისათვის „სპარსებრს“ („სპარსლებრს-ს“—სინურში, „სპარსონ“—კლარჯულში და „სპარსულ“ იერუსალიმურში), ხოლო მეორისათვის აჩენს „არშაკებრ-ს“, რაც შეუბღალავად არის დაცული კლარჯულში (იერუსალიმურის „აჟაკებრ“ მისი დიალექტური ვარიანტი<sup>6</sup>, ხოლო სინურის „არშებრ-ს“ „აკ“ მარცვალი აქვს დაკლებული). რაც შეეხება კლარჯული ნუსხის „სხონი“ ფორმას, ნაცვლად სხვა ნუსხების „სხუანისა“, ესეც დიალექტური წარმოშობისა უნდა იყოს.

ბერძნულ შესაბამის ადგილთან შედარება თუ „არშებრ-ის“ ფარდად გვიჩვენებდა „მიდიურად“ ფორმას, სომხურთან შედარება უკვე, რაც ზემოთე წარმოვადგინეთ, მის ბაღდად გვაწვდის „პართევულად“ (მეტყველებას).

ბერძნულის ჩვენებასთან დაკავშირებით ვნახეთ ზემოთ, რომ აკად. ა. შანიძის დაკვირვებით, ძველ ქართულში მიდიელები ცნობილი ყოფილან „მარებ-ის“ სახელით, რის გამო „მიდიურად“ ძველად, მისივე ვარაუდით, უნდა გადმოცემულიყო ფორმით „მარებრ“, რომლის შებღალულ სახედ მას სინური მრავალთავის „არშებრ“ წაკითხვა მიაჩნია. ამ ვარაუდს, რომ „არშებრ“ იყოს

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, მეორედ შეგებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 650 (დამატება 1: „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“).

<sup>5</sup> R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, 1924—1926.

<sup>6</sup> შდრ. „დროშა“ და „დრაუჟი“ ძველი ტექსტებისა.

„მარებრ-ის“ შებღალული ფორმა, სომხური კონტექსტის ჩვენება, რომლის მიხედვით ბერძნულის საპირისპიროდ აქ „პართევულად“ მოიპოვება, როგორც აქვე ვნახავთ, არ ამართლებს.

საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში პ ა რ თ ი (საიდანაც პ ა რ თ ე ვ უ ლ ა დ არის წარმოქმნილი), უკეთ მის აღრინდელ ეტაპზე, გადმოიცემოდა ისეთი ფორმით, რომელიც „არშებრ-ს“ მიღებულად აცხადებს არა „მარებრ-ისაგან“, არამედ სულ სხვისაგან. ეს სხვა კი არის „არშაკ“. „პართ-ის“ საპირისპიროდ „არშაკ-ი“ იმიტომ უნდა წარმოდგარიყო, რომ, ჯერ ერთი, პართთა სამეფოს დაარსება ირანში არშაკ პართელის სახელთან იყო დაკავშირებული და, მეორეც, ამ სამეფოს დინასტია მის დაცემამდის არშაკის შთამომავლობას ანუ არშაკიდებს ეჭირა. ასე, მაგ., სომხური *Պարթևաց կույն* („პართთა კერძო“) რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნისა (აგათანგელოსის ნაწილისა), წამების ამ წიგნის ძველი ქართული თარგმანით (რომელიც ჩვენი ძიების თანახმად VIII—IX ს-ში უნდა იყოს შესრულებული), გადმოცემულია „(სოფელი) არშაკთაჲ-თ“<sup>7</sup>. „არშაკთა სოფელი“ ე. ი. ქვეყანა „ვესტათი მცხეთელის წამების წიგნში იწოდება „არშაკეთის სოფლადაც“. „მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით სოფლისა არშაკეთისაჲ“, ვკითხულობთ იქ ერთგან<sup>8</sup>. ამავე ცხოვრების წიგნში ვესტათი „არშაკეთის ხეველადაც“ (რაც იგივე „სოფელია“) არის ნახსენები. „ვიყავე ქუეყანისა სპარსეთისაჲ, გვეცისა არშაკეთისაჲ“, მოუთხრობს მოწამე მარშპანს თავისი წარმოშობილობის შესახებ.

„არშაკეთი“ ქვეყნის სახელია, ხოლო მცხოვრებთა სახელწოდება ძველად „არშაკნ-ი-ა“; აქიდან მათი ენა უნდა წოდებულიყო „არშაკებრ“, რაც, როგორც ზემორე აღვნიშნეთ, კიდევაც არის დაცული შეუბღალავად კლარჯული მრავალთავის ნუსხაში. სინურის მრავალთავის გადამწერს ეს ფორმა უნდა ჰქონოდა დასანუსხავად, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, უნებლიეთ „აკ“ მარცვალი დაუკლია. იერუსალიმის ხელნაწერის „აჟაკებრ“ კი იგივე „არშაკებრ-ია“, ჯერ, რაეს დაკარგვით და, მერმე, „შ“-ს გამჟღერებით „ჟ“-დ (მოვიგონოთ „დრაუჟი“ და „დროშა“).

ამრიგად, სინური მრავალთავის „არშებრ“ მართლაც შებღალული ფორმაა, მხოლოდ არა „მარებრ-ისა“ (ე. ი. „მიდიურად“ სიტყვისა), არამედ „არშაკებრ-ისა“ (ე. ი. „პართევულად“ სიტყვისა), რაც აღნიშნავს „არშაკულად“-ს ანუ „პართევულად“-ს (იგულისხმება ენა ანუ მეტყველება).

\* \* \*

„მხერვალ-ი“ სიტყვის ძველად არსებობა აკად. ა. შანიძემ აღნიშნა კვლავ იმავე სინური მრავალთავის მიხედვით<sup>9</sup>. მანამდე იგი სულხან-საბა ორბელიანსაც შეჰხვედრია, როგორც ეტყობა, გარკვეულ წყაროში, რომლის მიხედვით ის განუმარტავს კიდევაც, მაგრამ წყაროზე მიუთითებლად<sup>10</sup>.

<sup>7</sup> აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტულობის“ ძველი ქართული თარგმანი: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 152, 176.

<sup>8</sup> ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია..., ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა, თბ., 1953, გვ. 160, 15.

<sup>9</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა..., დანართი: ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 332.

<sup>10</sup> ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ის რედაქციით, ტფილისი, 1928, გვ. 241.

აკად. ა. შანიძემ ეს სიტყვა იზოგა სინური მრავალთავის ერთ-ერთ საკითხავში, რომელიც იოანე ოქროპირის მიეწერება და იწოდება სახელით: „სატფურებისათჳს“. აქ ერთ ადგილს იკითხება: „ვარსკულავთაჲ რომელიმე ღამით მხერვალ არს, რომელიმე მთიები, ხოლო მოციქულთაგანი არავინ ღამის მხერვალ არს, არამედ ყოველივე ვითარცა მთიებნი ბრწყინვალე არიან...“<sup>11</sup> აღნიშნული ნაწარმოების ბერძნული შესაბამისი ტექსტის მიხედვით ა. შანიძე ადგენს, რომ „ღამის მხერვალი“ ტერმინია, რომელიც უდრის ბერძნულ *ξοπαιρας*-ს ანუ ასპიროზს. მეორე სახელწოდება ამ მნათობისა (ვენერასი) კი ამავე კონტექსტით ქართულად მთიები-ა-ო. „მთიების“ ეტიმოლოგია სწორად მოჰყავს ს. ორბელიანს...“, წერს ავტორი და იქვე დასძენს: „მართლაც, „მთიები“ წარმოდგება თევზ-საგან და ასე დაიწლება: მ-თი(ვ)-ებ-ი→მთიები, რომელიც ათი(ვ)ებს, ანუ ათევს, ე. ი. ათენებს (შდრ. ღამე გავათე, გაათაი)“. რაც შეეხება პირველ ტერმინს, ავტორის აღიარებით, თურას აღნიშნავს აქ მისი ერთი ელემენტი—„მხერვალი“, რომელიც „ხერვა“ ზმნისაგან არის წარმომდგარი, არ ვიცით, „რადგანაც ასეთი ზმნა სხვა წყაროებიდან ჯერჯერობით არ ჩანსო“<sup>12</sup>.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „მხერვალი“ ნაცნობია ს.-ს. ორბელიანისთვისაც. იგი თავის ლექსიკონში წერს: „მხერვალი ნავის მატარებელიაო“. ამ სიტყვის შესახებ მენავე სიტყვის განმარტებისასაც ბაასობს. იგი წერს: „მხერვალი [ეწოდების] ნავის მავლინებელსა, რომელსა უპყრიეს ტიმონი-ო“. როგორც ირკვევა, ეს განმარტება დამყარებულია ბიბლიის ერთ ადგილზე, რომელიც ეზეკიელს ეკუთვნის.

ეზეკიელ წინასწარმეტყველთან ოშკური ნუსხის მიხედვით 27-ე თავის 27-ე მუხლში ვკითხულობთ: „მოჰყვანდი შენ საჭეთა მხერვალთა შენთაო“. სომხურ ბიბლიაში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: *«ქარხეჲნ ვჳჲვ ზაააქარჳ ქ»*, რომლითაც „საჭეთა მხერვალს“ შეესატყვისება *ზაააქარჳ*, ანუ სიტყვა სიტყვით ამავე კონტექსტის მოშველიებით: „ნავის მყვანებელი“, ხოლო თვით-„მხერვალს“—*მყვანებელი* = *ქარიჳ* (ზაააქარჳ კომპოზიტის მეორე კომპონენტის -*ქარ*-ის სახით).

თუ დავუკვირდებით ეზეკიელთან „მხერვალს“, მას მსაზღვრელად ახლავს „საჭეთა“: „საჭეთა მხერვალი, რაც იგივე *«ზაააქარჳ»* ანუ „ნავის მხერვალია“. იოვანე ოქროპირის საკითხავის ზემორე მოყვანილ ადგილს კი „მხერვალს“ მსაზღვრელად ახლავს „ღამით“ თუ „ღამის“ („ღამით მხერვალი“ და „ღამის მხერვალი“). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გამოთქმისა თუ ტერმინის საბადლო სომხურში მოსალოდნელია კვლავ კომპოზიტად, რომელიც შედგენილი იქნება, ერთი მხრით, „ღამისა-გან“—*ვხჳჲ* და, მეორე მხრით, ჩვენთვის ნაცნობი ქართული „მხერვალის“ სომხური შესაბამისით კომპოზიტში -*ქარჳ, ვხჳჲრჳქარჳ*. მართლაც, ასეთი სიტყვა ძველმა სომხურმა იცის და ისიც, რაც საგულისხმოა, ტერმინად, რომლითაც აღინიშნება *ξοπαιρας*, *vesper* ანუ ასპიროზი (ღამის თუ საღამოს ვარსკვლავი; იობ. 9,9-ს მიხედვით: „მწუხრისა ვარსკულავი“)<sup>13</sup>. ჩვეულებრივი სიტყვა-ხმარებისას ის „ღამე თუ ღამით მსვლელს, მსრბოლს“ აღნიშნავს ან „ღამე თუ ღამით წამყვანს“. მეორე სახელი

<sup>11</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 217—218.

<sup>12</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა... დანართი: ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 332.

<sup>13</sup> სპ. բարձրք Հայկական լեզուի, հաս. I, վեների, 1836, էջ 555.

სენებული მნათობისა (ვენერა-სი) სომხურში *ლასაჰერ*-ად იწოდება, რაც, როგორც ტერმინი, უდრის ბერძნულ *ფაჟაჰრე* ან *ჰაჟაჰრე*<sup>14</sup>. ჩვეულებრივი სიტყვა-ხმარებით კი იგია „სინათლის მომტანი“, ან „ბრწყინვალე“, ე. ი. „მნათობი“, „მთიები“.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი იოანე ოქროპირის ნაწარმოების ამონაწერიდან, როგორც დაადგინა აკად. ა. შანიძემ, ასტროლოგიური რიგის ტერმინებია: „ღამით მხერვალი“ თუ „ღამის მხერვალი“ და „მთიები“, შესაბამისნი ბერძნული *ჰაჟაჰრე*-ისა და *ფაჟაჰრე-ჰაჟაჰრე*-ისა.

1. ამათ სომხურიდან შეეფარდება *«ყქსერაქარ»* — „ღამის მხერვალი“ — „ჰაჟაჰრე“, ერთი მხრით, და *«ლასაჰერ»* — მთიები — „ფაჟაჰრე“ ანუ „ჰაჟაჰრე“-ი, მეორე მხრით.

2. ჩვეულებრივი სიტყვა-ხმარებით „ღამის მხერვალი“ უნდა ნიშნავდეს „ღამის მსვლელს“, „ღამით მსრბოლს“, ხოლო „მთიები“ — „მნათობს“, „მბრწყინვალეს“.

3. სომხური ენის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ „მხერვალი“, რომელიც წარმოადგება „ხერვა-საგან“, ნიშნავს: „წამყვანს“, „მინიმართველს“ ან „მსვლელს“, „მსრბოლს“, ხოლო აქედან „ხერვა“ იქნება — „წამყვანა“, „მართვა“ ან „სრბოლა“ თუ „სლვა“.

ერთგან ძველ წყაროში „ხერვა“ ზმნაც გვხვდება. ესეც ისევ ბიბლიაში იპოვება, მაგრამ არა ოშკურსა და საბას ნარედაქციევში (A—51), არამედ იერუსალიმურში (№ 7). აქ ესაიას 59-ე თავის მე-10—11 მუხლებში იკითხება: „დაეცნენ იგინი შოვა სამხრის ვითარცა შოვა ღამეს, და ვითარცა დათუთა რაჲ დღე მოუხნ სულთა ხერვასა, კუნესოდიან. და ვითარცა ტრედნი ცთომილნი ფქურებოდიან“.

ეს ადგილი წყობის მხრით, ისე როგორც საერთოდ რედაქციულად, სხვებისაგან გამოირჩევა. მის შესაბამისად

**ოშკურს ნუსხაშია:**

**საბას ნარედაქციევშია (A—51):**

„დაეცნენ იგინი შუვა სამხრის ვითარცა შუვა ღამეს. და ვითარცა დათუნი მოსიკუდილნი ეგრე სულთა ჰბერვიდენ. და ვითარცა ტრედნი ერთბამად ფრქუებოდიან“.

„დაეცნენ შუა სამხრის ვითარცა შუა ღამე, ვითარცა მოსიკუდილნი სულთ-ითქუმენ. ვითარცა დათუ და ვითარცა ტრედი ერთბამად ვილოდინ“.

მოყვანილი ადგილების შეპირისპირებიდან ჩანს, რომ ახლოს არიან ერთმანეთთან იერუსალიმისა და ოშკური ნუსხების ტექსტები.

ჩვენთვის საგულისხმო სიტყვა („ხერვა“), როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ იერუსალიმურშია. ფრაზა, რომელშიც ის გვხვდება, შემდეგია: „და ვითარცა დათუთა რაჲ დღე მოუხნ სულთა ხერვასა, კუნესოდიან“, რაც დღევანდელ ქართულზე გადმოტანით იქნება: [ისინი], როგორც დათუები, როცა დღე უახლოვდებათ (მოუდისთ), სულთა ამოხდისას, ანუ ამოსვლისას, — კენესიან. აქედან, როგორც ვხედავთ, „ხერვა“ არის „სლვა“ ან „კდომა“ („აღმოსლვა“ — „აღმოკდომა“).

<sup>14</sup> იქვე, 896.

## И. В. АБУЛАДЗЕ

ИЗ ЛЕКСИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА  
„არშებრ“ И „მხერვალი“ СИНАЙСКОГО МНОГОГЛАВА

## Резюме

Слово „არშებრ“ из текста Синайского многоглава (рукопись 864 г.) является искаженной формой не „მარებრ“ как это утверждают, а „არშაკებრ“, как это показывают другие списки названного памятника.

Что касается слова „მხერვალი“ (составного элемента термина „ღამის მხერვალი“ — «венеры»), то оно действительно произведено от „ხერვა“, употребление которого засвидетельствовано в одном из древних списков грузинской библии (Jeg. — 7: Исаия 59, 10—11).

ცნალა ჭურციკიძე

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ტექსტისა და  
მისი საკითხები

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მე-9 საუკუნეში შექმნილ თხზულებას წარმოადგენს. იგი ჩვენამდე მოღწეულია ორი რედაქციით: შატბერდულითა და ჭელიშურით.

შატბერდული ტექსტი „ქართლის მოქცევისა“ დაცულია მე-10 საუკუნის ხელნაწერში, ე. წ. შატბერდის კრებულში (S—1141)<sup>1</sup>, ჭელიშური კი მე-14—15 საუკუნეებით დათარიღებულ H—600 ხელნაწერში<sup>2</sup>.

ხელნაწერებში ფურცლების დაკლების გამო ორივე ტექსტი ნაკლულია, ოღონდ ის ადგილი, რომელიც შატბერდულს აკლია, ჭელიშურში სრულადაა წარმოდგენილი და, პირიქით, ჭელიშურის ნაკლული ადგილები შატბერდულით ივსება.

ამ ორი რედაქციის ურთიერთ მიმართების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი — ჭელიშური რედაქცია მიჩნეულია შატბერდული რედაქციის გადაკეთებად.<sup>3</sup>

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდული რედაქცია ორჯერაა გამოცემული, ჭელიშური კი ერთხელ. გამოცემები ეკუთვნის ე. თაყაიშვილს. 1890 წელს მან გამოსცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთი ნაწილი (ქრონიკა)<sup>4</sup>, 1891 წელს მეორე ნაწილი „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოასი“<sup>5</sup>, ხოლო 1906—1912 წწ. გამოცემულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობის II ტომში ე. თაყაიშვილმა ერთმანეთის პარალელურად მთლიანად გამოაქვეყნა ორივე რედაქციის ტექსტები<sup>6</sup>.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ე. თაყაიშვილის შემდეგ აღარავის გამოუცია. ამჟამად ორივე რედაქციის ტექსტები მომზადებული აქვს გამოსაცემად პროფ. ილია აბულაძეს. მასალების ამოკრეფის დროს აღნიშნული ტექსტების შემც-

<sup>1</sup> აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს: Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, გვ. 632—651.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 704—708; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი II, თბილისი, 1951.

<sup>3</sup> ს. ყუბანეიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჭელიშური რედაქცია, გვ. 92 (ცალკე ამონაბეჭდი).

<sup>4</sup> სამი ისტორიული წრონიკა, გამოცემული ექვეთიმე თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890, გვ. 1—39.

<sup>5</sup> ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა, ტფილისი, 1891, 4—74.

<sup>6</sup> Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. IV, გვ. 708—813.



ველ ხელნაწერებთან ერთად ვიყენებდით აგრეთვე პროფ. ილია აბულაძის მიერ გადმოწერილ ტექსტებს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდული რედაქციის ტექსტი მოთავსებულია ხელნაწერის 434—500 გვერდებზე. დაწერილია ლამაზი ნუსხახუცურით, პირველი ორი გვერდის გადაღული ტექსტი გვიანი ხელითაა გაცხოველებული. გადამწერია იოვანე ბერა.

ჭელიშური რედაქციის ტექსტი ძალზე დამახინჯებული ორთოგრაფითაა ნაწერი: ძალიან ხშირად ხელნაწერში სიტყვები ისეა დამახინჯებული და შეცვლილი, რომ მათი ამოცნობა ჭირს. ასე მაგალითად: ჩუენებასა ტექსტში წერია ჩუნებსა (21 v) სახით, სანახები — სანახე (26 v), სახლეულით — სხლეულით (26 v) და სხვ. ასეთ შემთხვევებში, თუ არ შატბერდული ნუსხა, მთელი რიგი ადგილების ამოკითხვას ვერც შევძლებდით. ზოგჯერ ქარაგმა აქვს სიტყვებს, რომლებიც სრულადაა დაწერილი, და უქარაგმოდაა ნახმარი სიტყვები, რომლებიც ქარაგმის ნიშნებს საჭიროებენ, ხელნაწერში დარღვეულია ო-სა და უ-ს, ჯ-ს, მ-ის, ჯ-ს მართლწერა.

ამგვარად, ჭელიშური ტექსტის გადამწერი არ ემორჩილება არავითარ ორთოგრაფიულ და ფონეტიკურ ნორმებს.

ჭელიშური ხელნაწერი ნაბოენია რაჭაში, სოფელ ჭელიშში, და მისი სახელწოდებაც ამ სოფლიდან მოდის. ხელნაწერის არც გადამწერის ადგილი და არც გადამწერი ცნობილი არ არის.

იქნებ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ხელნაწერის გადამწერის ვინაობის გასარკვევად შემდეგ გარემოებას: ტექსტში შეინიშნა რამდენიმე მაგალითი. სადაც ძ ც ჯ კანონზომიერად შეცვლილია ჯ ჩ უ-თი.

შატბერდული რედაქციის ვაცი-ს შესატყვისად ჭელიშურში იკითხება ვაჩი (7r), შატბერდულის მკჯრცხლ-ის პარალელურად ჭელიშურში გვაქვს მკჟრჩხლ, ადგილის სახელი ქინძარი (475 a) და აქედან ნაწარმოები წარმომავლობის სახელი ქინძარელი (S-ს აკლია) ჭელიშური რედაქციის ტექსტში წარმოდგენილია ქანჯრს (=ქინჯარი) და ქინჯარელი-ს (18r) სახით. და დასასრულ, შატბერდული ნუსხის ყივილი-ს შესატყვისად ჭელიშურში გვაქვს ყრინვაჲ 36 r. ყრინვა იგივეა, რაც ძველი ქართული ზრინვა (=ზრიალი, ტირილი), ოღონდ აქ ჯ შეცვლილია უ-თი.

ეს შენაცვლება ძ ც ჯ-სი ჯ ჩ უ-დ ორ რაიმეს გვაფიქრებინებს: ან საქმე გვაქვს გადამწერთან, რომელსაც ჰქონდა მეტყველების დეფექტი — მიდრეკილება შიშინებისაკენ (=სისინა ბგერების ნაცვლად კანონზომიერად წარმოთქვამდა შიშინა ბგერებს), ანდა უნდა ვივარაუდოთ, რომ ჭელიშური ძეგლის გადამწერი ზანია და იგი უნებურად ქართულ სიტყვებს ზანური ელფერით წარმოგვიდგენს.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით მთელი ხელნაწერის ჩაკითხვა, შეიძლება რაიმე გამოვლინდეს ან ერთი, ან მეორე ვარაუდის სასარგებლოდ.

სხვათა შორის ჭელიშური ხელნაწერის დამახინჯებული ორთოგრაფიაც შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მისი გადამწერი ქართულის ცუდ მცოდნედ ვივარაუდოთ.

რაც შეეხება ძეგლის ენობრივ მხარეს, ჭელიშური რედაქციის ტექსტი იმავე ენობრივი ნორმებითაა დაწერილი, რომლითაც შატბერდული, ოღონდ, როგორც უკვე შევნიშნეთ, ძალზეა დამახინჯებული გადამწერისაგან.



„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ენობრივი დახასიათებისათვის ძირითადად შატბერდული რედაქციის მასალას ვიყენებთ, ჭელიშური რედაქციის მონაცემებს იმ დროს ვიმოწმებთ, როცა მასში შატბერდულისაგან განსხვავებული რაიმე საყურადღებო ფაქტი დასტურდება, ანდა როდესაც შატბერდული რედაქციიდან დამოწმებულ ფაქტს მხარის დაჭერა სჭირდება.

მ რ თ მ გ რ ა ვ ი ა

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდული რედაქციის ტექსტი შატბერდის კრებულში შემავალ სხვა ძეგლებთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იოვანე ბერას მიერაა გადაწერილი. იოვანე ბერა პროფესიონალი გადამწერია, ამიტომ, რომ ჩვენს ძეგლში კლასიკური ქართულის ორთოგრაფია ორიოდ გამონაკლისის გარდა სანიმუშოა და დაცული<sup>7</sup>.

აქ განვიხილავთ **შ**, **ჟ** და **ჯ**-ს მართლწერას.

ძველი ზოგიერთ თავისებურებას ამჟღავნებს **შ**-ს მართლწერაში. როგორც ცნობილია, ძველი ქართულისათვის ნორმადაა მიჩნეული **შ** ასოს ეა დიფთონგის გადმოსაცემად ხმარება<sup>8</sup>.

ჩვენი ძეგლი ამ ასოს გამოყენების თვალსაზრისით ნორმისაგან საკმაოდ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს: **შ** ძალიან ხშირად არ გვხვდება იქ, სადაც მისი ხმარება მოსალოდნელია და, პირიქით, გვხვდება იქ, სადაც მას ნორმად მიჩნეული მდგომარეობის მიხედვით გამართლება არა აქვს.

ს უ რ ა თ ი ა ს ე თ ი ა

ა) **ე** ბოლოკიდურიანი საზოგადო სახელების სახელობით ბრუნვაში **შ** უმეტესად წარმოდგენილია, უფრო იშვიათია მის ნაცვლად **ე**-ს ხმარება: მზ **შ** მზრ წყინვალ **შ** 496 ა და: ტყუე ერთი დედაკაცი 437 ბ.

ბ) შედარებითი ხარისხის ფორმებში **შ** არც ერთხელ არ შეგვხვედრია: უქუესკნელეს 451 ხ, უზრწყინვალესი 491 ხ.

გ) **ე** ბოლოკიდურიანი საკუთარი სახელები ნათესაობით ბრუნვაში ხან **შ**-ს დაბოლოებას გვიჩვენებენ და ხან **ეს** დაბოლოებას: სარწმუნოვებაჲ ქრისტესი 440 ა, მაგრამ: ძმაჲ დემეტრესი 445 ხ და სხვ.

ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით **შ**-ს ხმარებას გამართლებას უძებნიან, ესრ<sup>შ</sup>თ/ეგრ<sup>შ</sup>თ ზმნისართებში და შემოსულ სიტყვებში, როგორიცაა ამ ძეგლის მიხედვით აშ<sup>შ</sup>ნ, იერუსალ<sup>შ</sup>მი და შ<sup>შ</sup>ნება<sup>9</sup>.

ძეგლში ესრ<sup>შ</sup>თ შეგვხვდა **შ** დაწერილობით: 454ა, ეგრ<sup>შ</sup>თ კი ე-თი: ეგრეთ 481.

შენება გვხვდება **შ**-თი იშვიათად, ე-თი კი უფრო ხშირად: შ<sup>შ</sup>ნებად 435 ხ, მაგრამ: აღიშენა 442, აღვაშენო 492 ხ.

<sup>7</sup> შატბერდის კრებულის გარდა იოვანე ბერას მიერაა გადაწერილი აგრეთვე პარხლის ოთხთხი.

<sup>8</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა; ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი, ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934, გვ. 9. აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა თითქმის უგამონაკლისოდა დაცული მხოლოდ ერთ ძეგლში, მე-9 საუკუნეში (864 წ.) გადაწერილ სინურ მრავალთავში: სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 303.

<sup>9</sup> ხუნებულ სამ სიტყვაში **შ** მიჩნეულია უცხო **ჟ**-ს ეკვივალენტად: თ. ყაუხჩიშვილი, მასალები **შ**-ს ისტორიისათვის (სადისერტაციო ნაშრომი), 1944, გვ. 17; 421—422.

ამენ ორჯერ შეგვხვდა, ორივეჯერ ე-თი.

იერუსალემი დაქარაგმებულია ი<sup>1</sup>მ სახით, რაც ჩვეულებრივ იერუსალემ სახით იხსნება: ი<sup>1</sup>მით 457 ხ, ი<sup>1</sup>მდ 450 ხ, 453 ა.

რაც შეეხება მ წინის ე-ს ნაცვლად ხმარებას, ძეგლში ამგვარი შემთხვევები ბევრი დადასტურდა. მ ნახმარია ე-ს ნაცვლად:

ა) ზნის აორისტის I და II პირის ფორმებში: დავიზამთრ მ 458 ხ, ვიხილ მ 471 ა.

ბ) ე-ზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებში: ალექსანდრ მ 434 ხ, ევთალ მ 444 ხ.

გ) ქრისტეანე ძალიან ხშირად ამგვარადაა დაქარაგმებული: ქ<sup>1</sup>მანე 446 ხ.

დ) დღე, დამე და თთუე-ში, როდესაც ისინი დროის გარემოებას გადმოსცემენ: დღე და დამე 453 ხ, შუვალამე 476 ხ. ათერთმეტთთუ მ 434 ხ...

ე) მეფე-ს წოდებითი ბრუნვის ფორმაში: შენ, მეფე მ 473 ახ, 474 ა.

ვ) თანდებულებთან, ზნისართებსა და ნაწილაკებთან: მთადმღე, 486 ხ, ქუეშე მ 439 ხ, მალე მ 478 ხ, სამე მ 468 ხ.

ზ) სხვა შემთხვევებში: მღვდარე ვიყავ 479 ა, მეფენი 467 ა, ოცსაღღესა 474 ხ, გარეგან 438 ა, დღემღღე 485 ხ, სეფეშული 467 ა.

საგულისხმოა, რომ მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად მ-ს ხმარების შემთხვევებით ჩვენი ძეგლი ჰგავს სვანურ მრავალთავს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ე-ს ხმარება დიფთონგებში (აჲ, ოჲ, უჲ) ძირითადად შეესაბამება ძველი ქართული ენის ნორმებს<sup>10</sup>.

ნორმის დარღვევის შემთხვევები მოდის აჲ დიფთონგზე, ისიც რორიოდე. ა-სთან ა მოსალოდნელია და არ გვხვდება: „მართალთა ცხოვრება და ცოდვილთა შურისგებაჲ“ 448 ხ.

ა არ არის მოსალოდნელი და გვხვდება: „ითხოვეს ბუნთურქთაჲ“ 434 ა. „სადაჲ არს ჩრდილოჲსა იგი ქუყანაჲ ანუ სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისაჲ“ 456 ა<sup>11</sup>.

ა ნახმარია ი-ს ნაცვლად: „კერპი აჲნი ა“ 435 ხ, გაჲნე 437 ხ, 458 ა. ორჯერ პირიქით, ი არის ნახმარი ე-ს ნაცვლად: დროშითა 460 ხ „ქ<sup>1</sup>მ შეიწყალე ბერაი მწ<sup>1</sup>რი“ 465 ა.

ზ ნიშანი ძეგლში გამოყენებულია უი დიფთონგის გადმოსაცემად და აგრეთვე ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში ბერძნული ს (იუფსილონის) ეკვივალენტად: კარიონ 447 ხ (Κάριον), სკმეონ 443 ა (Σκμαόν) მარტულიისა 491 ა (μαρτυρία).

#### ფონეტიკური პროცესები

ასიმილაცია. სთ ←-სდ: ესთენი ←-ესდენი: „იყვნეს ესოდენნი წელნი და ესთენნი ნათესავნი“ 464 ხ, ესთენ 447 ხ, 471 ა.

<sup>10</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა... გვ. 09.

<sup>11</sup> რამდენიმე შემთხვევაში ა ნახმარია არა უარყოფითთან. „არაჲ არს სხუაჲ“ 460 ა, „არაჲ მიუთხრეს“ 456 ა—ამ მაგალითებში არაჲ უარყოფითი ნაცვალსახელის არაფერის ფუნქციითაა ნახმარი.

შჯ ← სჯ: შჯ ული 446 ხ, დაშჯედ 490 ა, განშჯად 490 ა.

შჭ ← სჭ: შჭირს 478 ხ, შეშჭამდეს 434 ხ, სამშჭუალსა 469.

პ-დ → პ-ტ: ბერძნული სიტყვა *παρῖν*, *ἰν* ძეგლში გვხვდება „ასპიტის“ სახით: „შორის ასპიტთა და იქედნეთა“ 458 ხ.

შდრ. უსიმილაციო ფორმა „ასპიდი“: „ნაშობნი ასპიდთანი“ (Jer. № 7, 48 rb).

ჯ-ჭ → ჭ-ჭ: რეგრესულ სრულ ასიმილაციასთან უნდა გვქონდეს საქმე სიტყვაში „ჭაჭკ“ (← ჯაჭკ): „ტანსა მისსა ეცუა ჭაჭკ ოქროსაჲ“ 460 ხ. შდრ. მსგავსი ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული: წოწეული (← ძაწეული) — ლუკა 16, 19 c.

ეა ← ია: ბერძნულ სიტყვაში *πατριάρχης*, ა-სთან ასიმილაციით ი შეცვლილია ე-დ: პატრიარქისაგან 453 ხ, მაგრამ: პატრეაქსა 456 ხ.

იმავე (ია → ეა) პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე სიტყვაში „ქრისტენე“: ქენანობასა 457 ხ, ქენანობისაჲ 452 ხ და სხვ.

დისიმილაცია. ე ბისკოპოსი ← ეპისკოპოსი (შდრ. ბერძნ. *ἐπίσκοπος*). ძეგლში .ეს სიტყვა ორივე—დისიმილირებული და უდისიმილაციო—ფორმით გვხვდება: მთავარ ებისკოპოსი 442 ა, მაგრამ: „იოვანე ეპისკოპოსი“ 438 ა.

„სულნელი“ და „არმური“ ძეგლში მოცემული სახით დასტურდება, ე.ი. უდისიმილაციოდ: „არმური სულნელ ებისაჲ“ 492 ა.

D ნუსხის ტექსტში<sup>12</sup> ერთგან შეგვხვდა „არმული“. იგი მიღებული ჩანს „არმური“-დან ორი ფონეტიკური პროცესის შედეგად—დისიმილაცია და მეტათეზისი: არმული ← აღმური ← არმური.

რ-ს დისიმილაციითაა მიღებული ლ აგრეთვე შემდეგ ბერძნულ სიტყვებში: დევტალარი 453 ა (*δευτεράριον*), მარტულიისა 491 ა (*μαρτυριον*) და გრიგოლი 2 vC (—S) (*Γρηγόριον*).

-იან აფიქსს ქართულში (აღნიშნავს ვინმესაგან წარმომავლობას, ვისიმე მიმდევრობასა და კუთვნილებას) -იან აფიქსიდან მომდინარედ თვლიან<sup>13</sup>. მიზეზი ამ ცვლილებისა ხმოვანთა დისიმილაციაა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში ერთმანეთის პარალელურადაა წარმოდგენილი აგარეანი („ბაღდადი აგარეანთა დაიპყრეს“ 447 ა S) და აგარიანი C; ბაკურეანი 447 ხ, და ბაკურიანი C.

სუბსტიტუცია. ნამდული — ნანდული. ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირია ხმარება სიტყვისა „ნანდული“ (= ნამდვილს): ნანდული 478 ხ, 480 ხ. ქელიშურში: ნამდული 3r.

„ნანდელი“ დღეს დასტურდება ხევსურულში. აღ. ჭინჭარული მას მიიჩნევს ნ-სთან მ-ს სუბსტიტუციით „ნამდელი“-დან მიღებულად. სუბსტიტუციის საფუძვლად კი ასიმილაციას თვლის<sup>14</sup>.

მეტი საფუძველი გვაქვება, თუ ვიტყვით, რომ ხევსურულში ეს სიტყვა არქაული სახითაა შემორჩენილი, ხოლო დღევანდელი „ნამდელი“ წარმოად-

<sup>12</sup> D-თი აღნიშნულია A—144 ხელნაწირიდან გადმოწეოილი ტექტი „აღმართებაჲ პატრიონისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კულად გამოჩინებაჲ“, რომელიც შეეაბამება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მე-14 თავს. იგი ილ. აბულაძის მიერ გამოასაცხად მომზადებულ ტექსტში გათვალისწინებულია და D ლიტერითაც მის ნივრთა აღნიშნული. აქედანვე გვაქვს აღებული ლიტერები: S—შატბერდული რედაქციისათვის და C ქელიშურისათვის.

<sup>13</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები., გვ. 124.

<sup>14</sup> აღ. ჭინჭარული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 15.

გენს 6-სთან მ-ს სუბსტიტუციით მიღებულ ფორმას. ხევესურულში „ნანდვილი“-ს ასეთ კვალიფიკაციას ამართლებს 6-სთან მ-ს სუბსტიტუციის მსგავსი მაგალითების გარდა (ზურმა ← ზურნა, ულომც ← ულონც)<sup>15</sup> ქრონოლოგია: ძველ ქართულში მხოლოდ „ნანდვილი“ დასტურდება, „ნამდვილი“ შემდეგ იჩენს თავს.

მი ა ფ ო რ ი ← ნ ი ა ფ ო რ ი. ამ სიტყვას მიიჩნევენ ბერძნული *μεταφορε*-იდან მომდინარედ<sup>16</sup>. სიტყვა რამდენჯერმეა ძველში ნახმარი, აღსანიშნავია, რომ ძველის შატბერდულ რედაქციაში ყველგან გვაქვს „მი ა ფ ო რ ი“, ჭელი-შურში კი ამოსავალი ფორმა „ნიაფორი“.

„ჰკითხვიდა მი ა ფ ო რ ი დედაქაცსა მას“ 455 ხ, C-ში: ნ ე ა ფ ო რ ი. „სუსხანა ამსახურებდა მი ა ფ ო რ ს ა“... 450 ხ, C-ში: ნ ი ა ფ ო რ ს ა.

გ უ მ ბ ა დ ი — გ უ ნ ბ ა დ ი: ძველის შატბერდულ ნუსხაში ორჯერაა ნახმარი გ უ მ ბ ა დ ი: „გ უ მ ბ ა დ ი აღვაშენო“ 492 ხ, „გ უ მ ბ ა დ ი აღაშენა“ 493 ა. D ნუსხის ტექსტში შესატყვისად ორივეგან გვაქვს გ უ ნ ბ ა დ ი.

სიტყვა სპარსულია. უნდა აღინიშნოს, რომ სპარსულში მისი ორივე ფონეტიკური ვარიანტი დასტურდება (გ უ ნ ბ ა დ ი C... და გ უ მ ბ ა დ ი C), ასე რომ მოცემულ სიტყვაში 6-სა და მ-ს მონაცვლეობას ქართულ ნიადაგზე ვერ აგხსნივთ.

ლ — ნ: გვაქვს „ყვილი“, მაგრამ ზმნის პირიან ფორმაში ლ-ს ენაცვლება ნ: „ვიდრე არღა ეყვივნა მამალსა“ 477 ხ.

ნ-დ: „შინა“ — „შიდა“. შ ი დ ა-ც ი ხ ე 436 ა.

ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში აუსლაუტის S (სიგმა) ხან ს-ანითაა გადმოღებული და ხან ზ-ენით: ე ბ ი ს კ ო პ ო ს ი 438 ა, მაგრამ. კ ა თ ა ლ ი-კ ო ზ ი 444 ა. ე ლ ი ო ზ 469 ა, ე ლ ი ო ზ ს 469 ა, მაგრამ: ე ლ ი ო ს 469 ა, ე ლ ი ო ს ი ს მ ა ნ 470 ა.

ქართულ წ-ს, როგორც ცნობილია, ზანურში შეესატყვისება ჭ. წ-სა და ჭ-ს მონაცვლეობაზე იშვიათად თვითონ ქართულშივე იძებნება მაგალითები. ძველ ძეგლებში „დაწუხვა“ თვალის დახუჭვის ნიშნავდა, „მწუხარე“ კიდევ ბრმას, უსინათლოს: შდრ. ლიმონარი, 30, 3; 37, 10. ეგვეე მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართულში „დაჭუხვა“-საც: „და ი ჭ უ ხ ნ ი ს მათე თუალნი თჳსნი“ (მიმ. მოციქ. 22, 17). მსგავს მონაცვლეობასთან უნდა გვეკონდეს საქმე ტოპონიმიკურ სახელში კ ა ჭ რ ე თ ი, რომელიც „მოქცევაა ქართლისაჲ-ს“ ტექსტში კ ა წ ა რ ე თ ა დ იხსენიება: „ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კ ა წ ა რ ე თ ს და მონათლნა კხოელნი“ 440 ა.

აფრიკატიზაცია. თხ → ც, ე რ თ ს ა ხ ე → ე რ ც ა ხ ე: „ბორცვ იგი ჯუარისაჲ ე რ თ ს ა ხ ე დ კუზოდა სულნელად“ 491 ხ, D ნუსხაში შესატყვისად დადასტურდა ე რ ც ა ხ ე დ.

„ათსამეტი ს წლის“ 453 ხ, მაგრამ გვაქვს: „მთავარებისკოპოსნი ა თ ც ა მ ე ტ ნ ი“ 444 ა. „ათცამეტი“ წარმოადგენს ა თ ს ა მ ე ტ ი ს ა და ა ც ა მ ე ტ ი ს კონტამინირებულ ფორმას.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> C onybeare. Life of st. Nino, studia biblica et ecclesiastica, Oxford, 1900. ნიაფორი-ს *μεταφορε*-იდან მომდინარეობის შესახებ კონიბერის შეხედულება ამოღებული გვაქვს კ. კეკელიძის წიგნიდან: ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 531.

შთ-თშ → ჩ. შთ კომპლექსს ჩ მოუცია შ თ ე ნ ა ზნაში, გვხვდება: და ვ შ თ ი 458 a, და შ თ ე ს 450a და სხვ. მაგრამ: და ვ რ ჩ ი 469 a.

შთა- ზმნისწინი ჩა-დაა ქცეული რამდენიმე შემთხვევაში: შ თ ა ვ ი და 440 a, შ თ ა ვ ი დ ი ა ნ 464 ხ, მაგრამ: ჩ ა მ ო ე ლ ო 445 ხ, ჩ ა მ ო ე დ 463 ხ, მიმღობებში: ჩ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი, ჩ ა მ ო ც ვ ი ვ ე ნ ე ბ უ ლ ს ა 496 ხ.

ათ ჩ ჯ დ მ ე ტ ი: „დაადგრა დღჳ იგი ოცდაათ ჩ ჯ დ მ ე ტ დღჳდ-მღჳ“ 485 ხ, ა თ ც ა მ ე ტ ი ს მსგავსად ა ქ ა თ შ ჯ დ მ ე ტ ი ს ა და ა ჩ ჯ დ მ ე ტ ი ს კონტამინირებულ ფორმასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

ჟ ბგერა, როგორც ცნობილია, აფრიკატიზაციით გვაძლევს ჯ-ს<sup>17</sup>,

„მოქცევა ქართლისაჲს“-ის ტექსტში ქალაქი, რომელსაც დღეს „უჯარმა“-ს ვუწოდებთ, ხშირად იხსენიება, ოღონდ არა „უჯარმა“-დ, არამედ „უქარმა“-დ:

„უ ქ ა რ მ ა ს ქ ა ლ ა ქ ს ა“ 487 a, „დაჩი უ ქ ა რ მ ე ლ ი“ 444 a SC. „სა-ლომეს უ ქ ა რ მ ე ლ ს ა“ 487 a. ამ სახელის აფრიკატიზირებული ფორმა დასტურდება უკვე „ქართლის ცხოვრებაში“<sup>18</sup>, „უჯარმა“-დ იხსენიებს მას ვახუშტიც თავის გეოგრაფიაში<sup>19</sup>.

ე. ი. ჟ-ს ჯ-დ ქცევა ამ სიტყვაში ძველი პროტესი ყოფილა. „მოქცევა ქართლისაჲს“-დან ის ჩანს, რომ „უჯარმა“-ს ჟან-იანი, ე. ი. არქაული ვარიანტი გარკვეულ ენობრივ წრეში უნდა არსებულებოდა და იქიდან შემო-ეტანათ.

ძეგლში იხსენიება ქალღვევლთა ღმერთი, რომლის სახელიც სამი სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება: ი თ რ უ შ ა ნ ი S, ე თ რ უ ჯ ა ნ ო C და ი თ რ უ ჯ ა ნ ი (მროველთან). კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ი ს გამოკვლევის თანახმად იგი მოდის ფალაური ატრუშანიდან<sup>20</sup>. ავტორი აღნიშნული ვარიანტების წარმოშობის ახსნასაც გვაძლევს: „თავში ჯგუფური აზმოვანების ე-ი-ა და ტ-ს თ-ში გადასვლის გამო შატბერდულს ვერსიაში მივიღეთ „ითრუშანი“ი, ხოლო ამ უკანასკნელიდან ქელიშურსა და ლეონტი მროველისაში შ-ს ჯ-დ გადასვლის გამო ითრუჯანი“<sup>21</sup>.

შ-ს ჯ-დ გადასვლა, ე. ი. აფრიკატიზაცია ქართულში არ დასტურდება. „ითრუშანი“-ს ითრუჯან-ად შეცვლის ერთადერთი საფუძველი შეიძლება იყოს ანალოგია ჯ-ზე დაბლოკებულ სახელებთან.

**ბგერის გაჩენა.** ქართულისათვის დამახასიათებელია ხმოვნებს შორის ვ ბგერის განვითარება.

ოე → ოვე.

ს ა რ წ მ უ ნ ო ვ ე ბ ა ა 440 a, 449 ხ, „ს ა რ წ მ უ ნ ო ვ ე ბ ა ს ა ზ ე და“ 498 ხ, ამ სიტყვის ხმარების ყველა შემთხვევა ძეგლში ვ-ინიან ფორმას გვიჩვენებს.

<sup>17</sup> ამ საკითხზე დაწერილებით იხ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ნაშრომი: „ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში“, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 2, 1960, გვ. 225—233.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

<sup>19</sup> ვ ა ხ უ შ ტ ო, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე - ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 90.

<sup>20</sup> კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, შენიშვნები ძვ. ქართული ლიტ-ის ისტორიიდან, ითრუჯანი: ეტი-უდები ძვ. ქართული ლიტ. ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 266—270.

<sup>21</sup> ი ქ ვ ე, გვ. 269.

სასოვებაა 450 ხ, სასოვებითა 437 ა; უცხოვებასა-  
ცა 459ხ,

ვ ბგერაა განვითარებული საკუთარ სახელებში: „სამოელ“, „იოელ“, „ნოე“: სამოველ 444 ა, 447 ხ, იოველ 443 ხ, 447 ხ, ნოვესითგან 464 ხ, წარმომავლობის სახელში: პონტოველისა 489 ხ. კოდის-  
წყარო ადგილის სახელია, აქაურ მწიგნობრებს ძეგლი შემდეგნაირად  
ასახელებს: „კოდისწყაროველთა მწიგნობართა“ 467 ა.

ოო → ოგო: მხოლოგო 453 ხ, უცხოგო 464 ხ.

უე → უვე: ევმანუველ 463ხ.

ძველ ქართულში უ-ზე დაბოლოებულ ერთმარცვლიან სახელებს ზოგჯერ  
ფუძის ბოლოს ვ ემატება<sup>22</sup>. ასეთებია: რუ-ვ-ი, ბუ-ვ-ი, ცრუ-ვ-ი და სხვ.

ჩვენს ძეგლში რუ ვ-ს გარეშეა წარმოდგენილი: „რუა გამოილო ქსნით“  
435 ა, 442 ა, რუასთვისა რუა, მაგრამ ვ ბგერის არსებობას ამ სიტყ-  
ვაში ამჟღავნებს მისგან ნაწარმოები სახელი: მერუვენი 435 ა.

ოა → ოვა: „ყოველსა მას სტოვასა ბაგინისასა“ 484ა (შდრ. ბერძნ.  
σῶα, ῥ).

სონორ ნ და რ ბგერებთან: გამოაბრწყინვა 499 ხ, შეუუსწრვე  
460 ხ, ზაბილოვენ 452 ა (შდრ. ბერძნ. Ζαβύλω). კოსტანტინეპოვე-  
ლით 484 ხ.

რ ბგერაა განვითარებული ფალაური წარმოშობის სიტყვაში „მარზპა-  
ნი“ || „მარზაპანი“: „სპარსთა მეფისა მარზაპარნი“ 4'2 ხ.

ნ ბგერაა განვითარებული სიტყვაში: უტკივენლი 481 ა.

მ ბგერაა განვითარებული სიტყვაში „მდაბალი“: „მდაბალთა ჰხე-  
დავს და მაღალნი იგი შორით იცნის“ 474 ა SC, მ-ს განვითარების სა-  
ფუძველი აქ ანალოგიაა სიტყვასთან „მაღალი“.

გ ბგერაა განვითარებული სიტყვაში: გუასპურაგანი—442 ხ.  
445 ა. იგი ფალაური სახელწოდებაა სომხეთის ერთ-ერთი პროვინციისა,  
მომდინარეობს ვასპურაკან-იდან. ამ სახელის გან-იანი ფორმა მხოლოდ  
ქართულში არსებობს. საგულისხმოა რომ ვინის წინ გ ბგერის განვითარება  
სხვაგანაც შეინიშნება<sup>23</sup>. როგორც პროფ. ი. აბულაძემ მიგვითხია, გვი-  
რაბი და სომხური ვირაპ ერთი წარმოშობის სიტყვებია და გ-ს არსებო-  
ბა ამ სიტყვის მხოლოდ ქართულ ვარიანტში დასტურდება<sup>24</sup>.

<sup>22</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში  
თბილისი, 1957, გვ. 119.

<sup>23</sup> ვ-ს წინ უკანანისმიერი ბგერების განვითარების შესახებ იხ. ვ. თოფურია  
ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, ვნიშვის მთაბზე, X, 1941, გვ. 231—236.  
არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნი,  
უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946, გვ.  
124—127.

<sup>24</sup> რაც შეეხება ვ-ს უმარცვლო უ-დ გადაქცევას გუასპურაგანში ქართულისათვის  
ეს ჩვეულებრივი პროცესია, უკანანისმიერი ბგერებთან ვ ბგერაც უკანანისმიერი ხდება  
შდრ. ჰყავს, მაგრამ ჰყუანდეს (435 ა).

ერთმანეთის პარალელურად გვხვდება „სწრაფ“ და „წრაფ“ ფუძეები და მათგან ნაწარმოები სიტყვები: მწრაფლ 438 ხ, მოწრაფებით 475 ხ, მაგრამ: „სწრაფით ჭამნ“ 496 ხ, „სწრაფით მოსლვად“ 455 ა. აქ ამოსავალია „წრაფ“, ხოლო „სწრაფ“-ში ხ-ს განვითარებასთან უნდა გვკონდეს საქმე.

**ბგერათა დაკარგვა.** საყურადღებოა ა-ს რედუქცია სიტყვებში „ერისთავი“ და „რუხსთავი“:

საერისთვონი 452 ხ, ერისთვადცა 443 ხ, ა ხმოვანი რედუქცირებულია ამ სახელისაგან ნაწარმოებ ზმნაშიც: ერისთვობდა 445 ხ. ერთგან გვაქვს ამ სიტყვის შეუქუმშველი ფორმაც: „განაჩინეს ერისთავად გუარამ“ 445 ა.

„რუხსთავი“ მხოლოდ ერთგან შეგვხვდა: „რუხსთვისა რუხ“ 442 ა. აღსანიშნავია, რომ აქ „თავ“ სიტყვის შეკუმშვის შედეგად ვ-ს უმარცვლო უ არ მოუცია, როგორც ვარაუდობენ <sup>25</sup>.

ძეგლში სიტყვა „წელიწადი“ ერთხელ შეგვხვდა, მასში ა რედუქცირებულია: წელიწდისასა 481 ხ, იმ დროს, როდესაც, მაგალითად, ოთხთავის ტექსტში იგი რამდენჯერმეა წარმოდგენილი და ყოველთვის შეუქუმშველი სახით („წელიწადისა მის“, იოვ. 11, 49).

ა-ს რედუქციის წხვა შემთხვევებიდან დავასახელებდით: წილკნისა 442 ა (ზღრ. პარალელურად: წილკანელთა 440 ა). კუმოდა 491 ხ (← კუამოდა), ზღრ. „კუამლი სულნელებისა“ 458 ა. მართლ 490 ხ (← მართალ), ვერსადა 489 ხ (← ვერასადა),

„ბერძლ“: „მოიყვანა ბერძლ მეტყუელი დედაკაცი“ 463 ხ. თვლიან, რომ აქ საქმე გვაქვს -ულ (← ურ) სუფიქსისეული უ ხმოვნის რედუქციასთან <sup>26</sup>.

ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველოს გარკვეულ მხარეს კუხეთი ეწოდება. ამ მხარის შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის ჩვენი ძეგლიც. ოლონდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ს მიხედვით მას ჰქვია არა კუხეთი, არამედ კხოეთი, ხოლო იქაურ მოსახლეობას კხოელნი: „ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი“. 440 ა. ქელიშურ რედაქციაში პარალელურად გვაქვს კოხეთი || კაუხეთი და კაოხნი. ქელიშურ რედაქციაში წარმოდგენილი ფორმები შეიძლება კახეთისა და კუხეთის კონტამინაციით მიღებულ ფორმებად ჩავთვალოთ და ამ რედაქციის გადამწერის მიერ შემოატანილად მივიჩნიოთ.

ამას ვერ ვიტყვით შატბერდულ რედაქციაში წარმოდგენილ ფორმებზე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ს შატბერდული ნუსხა ყველაზე ძველი წყაროა, რომელიც ამ ადგილს ასახელებს, ამიტომ მასში წარმოდგენილ სახელწოდებასაც ნდობაც მეტი შეჭფერის.

საფიქრებელია, რომ „კხოეთი“ მიღებული იყოს „კუხოეთი“-დან უ-ს რედუქციის შედეგად, ხოლო კუხოეთი თავის მხრივ ნაწარმოები იყოს არა კუხ ფუძიდან, არამედ კუხო-დან. ლეგენდას „კხოეთი“-თ აღნიშნული

<sup>25</sup> მხედველობაში გვაქვს შემდეგი: თვის თანდებულის შესახებ ა. შანიძე წერს: „უკ გამოსულია თვის ფორმისაგან, ეს კი თავ სიტყვის ნათ. ბრუნვის ფორმაა შეკუმშული სახით“ (გრამატ, საფუძე, გვ. 624).

<sup>26</sup> ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 56.



ტერიტორიის კუხოსის (ქართლოსის ერთ-ერთი ძე) კუთვნილების შესახებ მეტი დამაჯერებლობა სწორედ იმ პერიოდში ექნებოდა (შეიძლება მეორე გზაც ვივარაუდოთ: კუხეთი → კოხეთი → კხოეთი).

ძეგლში რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა უმარცვლო უ-ს რედუქციაზე.

„მაყულა“ სიტყვაზე - **ოვან** სუფიქსის დართვისას რედუქცირდება ა ხმოვანი და ვლენულობთ ფორმას „მაყულოვანი“, აღნიშნული ფორმა დასტურდება კიდევ: „მაყულოვანსა მას შინა“ 449 ხ, 471 ხ. ორ შემთხვევაში ა-სთან ერთად ამოღებულია უმარცვლო უ-ც: „მაყულოვანსა შინა“ 475 ა, „მაყულოვანსა მას შინა“ 475 ა.

უმარცვლო უ დაკარგულია აგრეთვე სიტყვებში ექუსი, მოგუობა, ბორცუ: „დღეშ იყო მეექუსი“ 463 ხ. „მოგუნი მოგუეთას მოგობდეს“ 443 ა. „ბორცსა მას ქუეშ“ 496 ხ.

**ვ** ბგერა იკარგვის: **ო-ს წინ**: „შეორგულდი მე“ 478 ა.

**უ-ს წინ**: „მიუდეგ გზასა ძნელსა“ 459 ა და **უ-ს შემდეგ**: „შეურდი 472 ა (აქ ორი ვინაა დაკარგული: შევეურდი).

ხმოვნებს შორის: „განილია სული ჩუენი“ 478 ხ, მიემთხჯა 483 ხ, ფხოელთა 440 ა, „პატიოსნისა ჯ“ 491 ხ და სხვ.

**კ** ბგერაა დაკარგული ფალაურიდან მომდინარე სიტყვაში დროშა (← დროშაკ): „აღივსნეს მთანი იგი დროშაითა და ერთთა ვითარცა ყუავილითა“ 460 ხ.

შეგნება იმისა, რომ ა ამ სიტყვაში ფუძისეული არ იყო, როგორც ჩანს, არსებობდა, ამიტომაც ეს სახელი მოქმედებით ბრუნვაში უკვეცლად წარმოდგენილი.

**ლ** ბგერაა დაკარგული სიტყვაში: ცრემნი 453 ხ (← ცრემლნი) აგრეთვე: სიკუდილ 460 ხ, 492 ხ (← სიკუდილდ), ხადიდ 475 ა (← ხადილდ).

ეთნიკური სახელი „ბრანჯი“ ორჯერ შეგვხვდა **ნ** დაკარგული ფორმით: „მოველინა ბრაჯი მთავარდაკონი“ 484 ხ, „ჰქონდა წიგნი ბრაჯთა მეფისაჲ“ 484 ხ (შდრ. აღდგეს ბრანჯნი 551 ა).

**ნ** ბგერაა დაკარგული აგრეთვე ზმნისართში: მუთქუესვე.

ბერძნულ სიტყვაში *πατριάρχης* დაკარგულია **რ**. ძეგლში ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება, ყველგან ურჩაე-ოდ: პატრიაქსა 456 ხ, პატრიაქისაგან 453 ხ, პატრიაქისაჲ 498 ა და სხვ.

**რ-ს** დაკარგვით უნდა იყოს მიღებული ვითარების ზმნიზედები ეგეთი და ესე<sup>27</sup> (ეგრეთიდან და ესრიდან): „ჰელენე დედოფალი ეგეთსავე მხელსა შინა არსა?“ 456 ხ. „ესე განემრავლა მოწერილი“ 482 ხ.

**ს-ზე** ფუძეგათავებულ სახელებში მიცემითი ბრუნვის ნიშნის **ს-ს** დართვის შემდეგ ერთი **ხ** ხშირად იკარგვის: „ბოლნის“ 442 ხ. (უნდა იყოს; ბოლნისს).

სახელები, რომლებიც ძე. ქართულში **ჰ** ბგერას შეიცავდნენ, დღეს უმეტესად უჰაოდ არიან წარმოდგენილი. აღნიშნულ სიტყვებში **ჰ** ბგერის დაკარგვა ძველ ქართულშივეა დაწყებული<sup>28</sup>; „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში **ჰ-ს** დაკარგვის ტენდენცია ჩანს.

<sup>27</sup> ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ., გვ. 614.

<sup>28</sup> ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ., გვ. 129.

გვაქვს: ჰამბაეი 447 a, ჰასაკი 468 a, ჰამო (სულჰამო 485 b) ჰერაკლე 445 ხ და სხვ. მაგრამ ბერძნული სახელის ჰელენე-ს (Ἑλένη) გვერდით გვხვდება ამ სახელის უპაეო ფორმაც: ელენე 438 ხ, „ხმ ერთი ჰაეროვანი“ 489 a, მაგრამ პარალელურად D ნუსხაში გვაქვს: აეროვანი.

**მარცვლის დაკარგვა.** ძვ. ქართულში -ის და -ეთ სუფიქსებით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებზე წარმომავლობის -ელ სუფიქსის დართვისას აღნიშნული -ის და -ეთ სუფიქსები იკარგებოდა<sup>29</sup>.

-ეთ დაბოლოებაა მოკვეცილი შემდეგ შემთხვევებში: კხოელნი 440 a (← კხოეთი), სივნიელი 448 ხ (← სივნიეთი); თიანელი: „ერწუთიანელითა და ყუარელთა“ 440 a. აქ „ყუარელთა“-შიც მარცვალა დაკარგული: „ყუარელელთა“-ს ნაცვლად „ყუარელთა“ მიღებულია ელ მარცვლის ჩავარდნით. ახალი აღთქმის ძეგლებიდან ცნობილი პირი მარია მადალინელი ჩვენს ძეგლში მოხსენიებულია მაგდანელად (453 ხ). სიტყვაში ჩავარდნილია ლი მარცვალი. აღნიშნული სახელი „მაგდანელის“ სახით ოთხთავშიც დასტურდება.

**მეტათეზისი.** რ-სა და ლ-ს შორის ე. წ. საურთიერთო მეტათეზისია მომხდარი სიტყვაში „გორგასალი“, რომელიც ერთგან „გოლგასარი“-ს (443 ხ) სახით შეგვხვდა.

ჯერ დისიმილაცია და შემდეგ საურთიერთო მეტათეზისი ვივარაუდეთ სიტყვაში „არმული“ (ნ. დისიმილაცია).

მ რ ვ მ ლ მ გ ი ა

**საზოგადო სახელთა ბრუნება.** საზოგადო სახელთა ბრუნების თვალსაზრისით „მოქცევა ქართლისაჲ“ ძველი ქართული ენის ნორმებს მისდევს<sup>30</sup>.

სახელთა ხმარება წრფელობითი ბრუნვის ფორმით ძეგლში არც თუ ისე ხშირია. წრფელობითის ძირითადი ფუნქცია ამ ძეგლის მიხედვით არის შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გადმოცემა:

„ერთი სამებისაგანი კაც იქმენ“ 20r, „იყო მკვდრ“ 472 ხ, „იყავ მარადის... პატრიცეემულ“ 472 a.

წრფელობითი ქვემდებარედ: „იქმნა დაყუდება დიდ“ 479 a. „ესხნეს ძეგბ და ასულებ“ 464 a, „ესხნეს ორ შვილ“ 450 a.

წრფელობითი რთულ ზმნებში: ზრახვა-ყვეს 488 ხ, ჯერ და წეს არს 488 ხ, ღირს არს 499 a.

წრფელობითი დროის გარემოებად: პირველ 475 a, ძუელ 463 a, გულითად 471 a, განთიად 486 a, ხვალის დღე 486 ხ, ერთ დღე 474 ხ.

ვითარების გარემოებად: „ვითარ ათორმეტ წყრთა“ 479 ხ, მართლ 490 ხ.

<sup>29</sup> ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ., გვ. 129.  
<sup>30</sup> ამ ნორმათა შესახებ იხ. ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 13—16; ივ. იმნაი-  
ვიშვილი, ძველი ქართული ენის ტაბულები: ქართული ენის ისტორიული ჭრესტომათია,  
თბილისი, 1953, გვ. 313—319.

„განთიად“, „ბირველ“, „იღუმელ“, „მძღაგრ“ და მისთანა მაგალითები ი. იმნაიშვილს თავის წიგნში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები“ აქვს დამოწმებული როგორც წრფელობითის ფორმები<sup>31</sup>. ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: ამ წიგნში წარმოდგენილ მასალაში მხოლოდ ორი სახელი შეგვხვდა ფუძეკუმშვადი და ორივე შეკუმშული სახით; მკედრ (← მკედლარ), მართლ (← მართალ).

წრფელობით ბრუნვაში, როგორც ცნობილია, ფუძის კუმშვისათვის არც საფუძველი არსებობს და არც ხდება კუმშვა. თუ რატომ გვაქვს წრფელობით ბრუნვაში შეკუმშული ფუძეები, დასახელებულ ავტორთან ამაზე არაფერია ნათქვამი.

აღნიშნული ფაქტი ექვს ბაღებს, ხომ არ არის წრფელობითად მიჩნეული ზემოხსენებული ფორმები ირიბი ბრუნვების ფორმებიდან, კერძოდ ვითარებითიდან ბრუნვის ნიშნის ჩამოკვეცით მიღებული. ეს საკითხი მოითხოვს საგანგებო დაკვირვებას.

სახელობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი სახელები ჩვეულებრივ ი დაბოლოებითაა წარმოდგენილი, ა, ო, უ და უმარცვლო უ-ზე გათავებული სახელები კი შესაბამად აჰ, ოჰ, უჰ და ჯ დაბოლოებით:

„ზემოა ეკლესიაჰ“ 497 ა, „ტრაპეზი და ღჯნოა“ 464 ა, „რუხსთვისა რუჰა“ 435 ა, ბორცვ 465 ხ.

ე-ზე დაბოლოებულ სახელები გვხვდება მ და ე დაბოლოებით (იხ. ოროგრაფიაში).

ბერაი ერთადერთი გამონაკლისია, სადაც ა ფუძიანი სახელის დაბოლოებაში აჰ დიფთონგის ნაცვლად აი შეგვხვდა.

საგულისხმოა, რომ იოვანე ბერა მის მიერ გადაწერილი ხელნაწერების მინაწერებში ბერა-ს ყველგან ამგვარად—ი დაბოლოებით—წერს.

სახელობითი ბრუნვის ფუნქციებიდან აღსანიშნავია მისი ხმარება მიმართვის ფუნქციით: „აწ მეფე მ, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა“ 474 ა.

სახელები მოთხრობით ბრუნვაში, განურჩევლად ფუძის დაბოლოებისა, დაირთავენ -მან ფორმანტს: ნი ა ე მ ა ნ 462 ხ, დ ე დ ა მ ა ნ თჯმან 494 ა, მირან მე ფ ე მ ა ნ 491 ა და სხვ.

მიცემით ბრუნვაში საზოგადო სახელებთან ყოველთვის გვაქვს ემფატიკური ა, ძეგლმა ამ მხრივ გამონაკლისი არ იცის: ბ ლ უ ა რ ს ა 462 ა, მ დ ი ნ ა რ ე ს ა 452 ხ, გ უ გ ა ს ა 454 ხ და სხვ.

ამ ბრუნვის ფუნქციათაგან აღვნიშნავთ ნაკლებად ცნობილ და ნაკლებად გავრცელებულ ფუნქციებს:

ა) მიცემით ბრუნვაში დასმული საწყისი გადმოსცემს დროის გარემოებას: „მცირედსა მას მი რ უ ლ ე ბ ა ს ა ჩემსა“ 464 ა.

ბ) მიცემით ბრუნვაში დასმული სახელით გადმოცემულია უბრალო დამატება: წარვედ, შვილო, წ ო დ ე ბ ა ს ა მ ე ფ ი ს ა ს ა და წ ე ს ს ა შჯულისასა“ 469 ა, „მოვედით ყოველნი ს ი კ უ დ ი ლ ს ა მ ი ს ს ა“ 469 ა.

დღეს ამგვარ უბრალო დამატებას თანდებულნიანი მიცემითის ფორმები გადმოსცემენ.

<sup>31</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები, გვ. 649—658.

სახელი მოქმედებით ბრუნვაში გარკვეულ შემთხვევებში ა ემფატიკური-თაა გავრცობილი, გარკვეულ შემთხვევებში კი ემფატიკური ა-ს გარეშე დასტურდება.

ი. იმნაიშვილს მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთ ფუნქციად დასახელებული აქვს მიზეზის გარემოების გადმოცემა და ამ ფუნქციით ხმარებულ მოქმედებითზე მოტანილი აქვს მხოლოდ ორი მაგალითი. ერთი ასეთი მაგალითი ჩვენს ძეგლშიც შეგვხვდა: (ალექსანდრე მეფემ)... „რუჲ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუჲენი და სტაგითა რუჲსაჲთა და ჰრქჲან ადგილსა მას ნასტაგისა“ 435 ა. (სტაგითა რუჲსაჲთა—რუს სტაგის მიხედვით).

უემფატიკურო მოქმედებითი ძველ ქართულში გადმოიცემა გამოსვლა გარკვეული პუნქტიდან: „ვიხილე ზეციით... ჩამომავალი დიაკონი“ 458 ა. იგივე უემფატიკურო მოქმედებითი იხმარება აგრეთვე საპირისპირო მნიშვნელობით, გადმოსცემს მიმართულებას:

(ვარსკულავი)... „ერთი იგი წარვიდის აღმოსავალით და ერთი დასავალით“ 486 ა.

-ება და -ობა სუფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები ზოგჯერ იხმარებიან რა მოქმ. ბრუნვის ფორმით, წინადადებაში თავისებურ შინაარსს ავლენენ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში ასეთი მაგალითებია: (ჰელენეს)... „მოეწერა ნინოჲსა, დედოფლობით და მოციქულად და მახარებელად შეემკო“ 440 ხ.

„ჰრომთა დაიპყრეს მეფობით ქვეყანაჲ ჩუენი“ 482 ა.

„უჲმო ციხის თავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაც-ბოტობით“ 445 ხ.

აღნიშნულ შემთხვევებში მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულია ვითარების გარემოება<sup>32</sup>.

აქისიკაა აღსანიშნავი, რომ -ება და -ობა სუფიქსებით ნაწარმოები სახელები ვითარების გარემოების ფუნქციით ხმარებისას ყოველთვის მოქმედებით ბრუნვაში დგანან (ა ემფატიკურის გარეშე): მიწყებით 486 ხ, 454 ა, უცნებით 468 ა, ორგულებით 472 ა განსრულებით 442 ა, ერთობით 489 ხ და სხვ. ზემოხსენებული სამი მაგალითიც ჩვენის აზრით ამათ რიგში უნდა დადგეს.

ერთი მაგალითი შეგვხვდა მოქმედებითის უძველესი -ივ ნიშნით ნაწარმოებ ფორმაზე: ცოცხლივ 461 ხ.

ნათესაობითს, ვითარებითსა და წოდებით ბრუნვებში საზოგადო სახელები საყურადღებოს არაფერს გვიჩვენებენ.

**საკუთარ სახელთა ბრუნება.** ძეგლში დასტურდება მრავალი სხვადასხვა წარმოშობის (ქართული, ბერძნული, ფალაურ-სპარსული, სემიტური) საკუთარი სახელი (საქმე ეხება როგორც პირთა, ისე გეოგრაფიულ სახელებს), ბევრ მათგანს ამ ძეგლში მოხვედრამდეც (ზეპირ მეტყველებაში) და შემდეგაც (ძეგლის გადამწერთა წყალობით) მთელი რიგი ცვლილებები განუცდია. „მოქცე-

<sup>32</sup> ი. იმნაიშვილის წიგნში („სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“) ამგვარი მოქმედებითის ფუნქციის საკითხი ღიად და დატოვებული (გვ. 727—728). ავტორი მათ ორად აჯგუფებს. პირველი მაგალითის მსგავს მაგალითებს იგი უწოდებს „მოქმედებითი გარკვეული (სოციალური?) მდგომარეობის გამოხატველ ფორმებს“. მეორე: და მესამე მაგალითის მსგავს მაგალითებს კი: „მოქმედებითი ზოგ ხმანსთან“.

ვია ქართლისაჲში“ დამოწმებულ საკუთარ სახელთა მომდინარეობა და მათში მომხდარი ზემოხსენებული ცვლილებები ცალკე კვლევის საგანს შეადგენს.

რაც შეეხება ამ სახელთა ბრუნებას, ძველ ქართულში ადამიანთა საკუთარი სახელების ბრუნება განსხვავდება საზოგადო სახელთა ბრუნებისაგან. ეს განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: სახელობითში, მოთხოვითისა და წოდებითში საკუთარი სახელები ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკურ ა-ს არ დაირთავენ<sup>32</sup>. ქართლის მოქცევის ტექსტში ეს წესი ძირითადად დაცულია.

საკუთარი სახელი სახელობითში: „დადგა მეფედ საურმაგ“ 435 ხ, „კათალიკოზი იყო მაკარი“ 445 ა.

მოთხოვითში: „რომელი წარიღო სალომე“ 497 ა, „ამან ჯიბლო...კალაა გამოიღო“ 446 ა.

მიცემითში: „ვევდრებოდეს ზაბილოვნს“ 451 ა, „მეფესა კოსტანტინეს“ 437 ა, „ცოლას მეფისასა ნანას“ 438 ხ.

ნათესაობითში: „ელიოზის ნათესაენი“ 488 ხ, „რევის ძემან“ 493 ა.

სხვა ბრუნებებში საკუთარი სახელები არ შეგვხვდებოდა.

გეოგრაფიულ სახელთა ბრუნების მხრივ ძველში შემდეგი სურათი გვაქვს: სახელობით ბრუნებაში გეოგრაფიული სახელები სახელობითი ბრუნვის ნიშნით არიან გაფორმებულნი: „ტფილისი ეშენებინა“ 445 ა, „შემუსრა ბაღდადი“ 446 ა, „მიუბოდა მცხეთაჲ“ 435 ა.

ძველ ქართულში გეოგრაფიული სახელები მიცემით ბრუნვას ორგვარად აწარმოებენ: ემფატიკური ა-თი და მის გარეშე. მიცემითის ამ ორ ფორმას შორის ფუნქციები განაწილებულია<sup>34</sup>. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში გეოგრაფიული სახელების ხმარება მხოლოდ ლოკატივის მნიშვნელობით დასტურდება და, მაშასადამე, ისინი მიცემით ბრუნვას ემფატიკური ა-ს გარეშე აწარმოებენ: „ვიდრე მოსვადმდე მისა ტფილისს“ 446 ხ, „ჰურიანი მოვიდეს მცხეთას“ 436 ა და სხვ.

ერთგან, სადაც ლაპარაკია ზაბილოხის მიერ ბრანჯთა გაქრისტიანებაზე, ნათქვამია, რომ ბრანჯთა მეფეს თავისი ათი სამთავრო: „მიეგებვოდეს მდინარესა ზედა დიდსა ღდამარასა“ 452 ხ. ჭელიშურსა და ლეონტი მროველის რედაქციებში ამის ნაცვლად იკითხება „და ღრმასა“ ნ. მარი „ღდამარასა“ ფორმას მიიჩნევს რომელიღაც უცნობი მდინარის სახელწოდების დამახინჯებად<sup>35</sup>. აღნიშნული სიტყვა რომ მდინარის სახელწოდება ყოფილიყო, ძველში მოხსენებული სხვა გეოგრაფიული სახელების მსგავსად, მას ბოლოს ემფატიკური ა არ ექნებოდა. მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჭელიშურსა და ლეონტი მროველის რედაქციებში ეს ადგილი სწორადაა წარმოდგენილი, ე. ი. „ღდამარასა“ წარმოადგენს, პირიქით, „და ღრმასა“-ს და-

<sup>32</sup> ა. შან იძე, ძველი ქართული ენა..., გვ. 016; ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ომკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956, გვ. 76—92.

<sup>34</sup> სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ომკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში..., გვ. 113—114.

<sup>35</sup> Н. Марр, Деяния трёх святых близнецов мучеников Спевсипа, Еласипа и Меласипа: Записки Вост. Отд. Императорского Русского Археологического Общества, т. 17, 1906, გვ. 322.

მხიზჯებას. ამგვარი ახსნა თითქოს კონტექსტსაც უფრო ეგუება: მდინარის დასახსნათებლად დიდი და ღრმა-ს ერთად მოხსენიება.

ნათესაობით ბრუნვაში გეოგრაფიული სახელები შეგვხვდა მხოლოდ ა-თი გავრცობილი სახით: კახეთისა მთადმდე 486 ხ. ნეკრისა ეკლესიაჲ 442 ა (C).

მოქმედებით ბრუნვაში გეოგრაფიული სახელები დაწყებითის ფუნქციით არიან ნახმარი, დაბოლოებად აქვთ -ით, ხმოვანფუძიანებთან -ჲთ: „წიგნები მოსრულ იყო ჰრომით<sup>36</sup>, და ეგვპტით და ბაბილონით“ 482 ა, აგრეთვე: „კაბადუკიჲათ ქალაქით“ 484 ხ.

ვითარებით ბრუნვაში გეოგრაფიული სახელები -ად და -დ (ხმოვანფუძიან სახელებთან) ნიშნების გარდა -ა ნიშნითაც არიან წარმოდგენილი<sup>37</sup>. მოვიდა... „სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად“ 442 ხ. აგრეთვე: „ნინო შთავიდა კხოეთა“ 440 ა, „გარდაკრებს თოშეთა“ 440 ა, შემოვიდეს სივნიეთა“ 442 ხ.

მსაზღვრელ-საზღვრულს ბრუნების მხრივ ჩვენი ძველი ძველი ქართული ენის ნორმებს მისდევს.

ატრიატული მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად იბრუნვის იმისდა მიუხედავად, წინ უძღვის საზღვრულს, თუ მოსდევს მას: „ორ წელ“ 15 რ, „საკრველი საქმეც“ 441 ხ, „სარწმუნოჲმან დედოფალმან“ 9 რ, „ზემოსა ეკლესიასა“ 441 ხ, „პატიონისა ჯუარისა“ 437 ა, „დიდითა სიხარულთა“ 494 ხ, „ქალაქად მცხეთად“ 460 ა და: „შესაწირავი დიდი“ 491 ა, „გზასა ძნელსა“ 459 ა, „გალობითა დიდითა“ 490 ხ, „ქუეყანად მდაბლად“ 439 ა.

მართული მსაზღვრელის დროს პრეპოზიციული წყობის შემთხვევაში მსაზღვრელი არ იბრუნვის, იბრუნვის მხოლოდ საზღვრული, პოსტპოზიციური წყობისას კი იბრუნვის ორივე—საზღვრულიცა და მსაზღვრელიც; „ჩრდილოჲსა ქუეყანაჲ“ 456 ა, „ერთ დღისა სავალსა“ 452 ა, „თუჲსა ქალაქად“ 453 ა, მაგრამ: „ნათესავი ჩრდილოჲსაჲ“ 498 ა, „სამოთხესა მას მეფისასა“ 463 ხ, „სტავითა რუჲსაჲთა“ 435 ა, „ძედ ღმრთისა ცხოველისად“ 488 ა.

მართულ მსაზღვრელიანი საზღვრულ-მსაზღვრელის ბრუნებაში გამონაკლისის ქმნის ვითარებითი ბრუნვა, სადაც მსაზღვრელი ვითარებითი ნიშნის დთანხმოვანს ჩვეულებრივ კარგავს. ზემოთ მოტანილი მაგალითი ჩვენს ძველში ერთადერთია, სადაც ვითარებით ბრუნვაში ასეთ მსაზღვრელს დ შენარჩუნებული აქვს.

სახელ-გვარული სინტაგმები. ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ისეთი მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც საზღვრულად ადამიანის სახელია, ხოლო მსაზღვრელად პროფესიის, თანამდებობის, წარმომავლობისა და სხვა წოდების აღმნიშვნელი სიტყვა.

აღნიშნული სინტაგმები შემდეგნაირად იბრუნვიან: პირდაპირი წყობის დროს იბრუნვის მსაზღვრელი, უბრუნველია საზღვრული, შებრუნებული წყობის დროს კი იბრუნვის ორივე—მსაზღვრელიცა და საზღვრულიც<sup>38</sup>.

<sup>36</sup> ჰრომე (*Ῥώμη*) ხმოვანფუძიანი სახელია, მაგრამ ბრუნების დროს, როგორც ჩანს ფუძის ხმოვანს იკვეცს.

<sup>37</sup> ვითარებითის ა ნიშნის შესახებ იხ. ა. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956, გვ. 18—22.

<sup>38</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა..., გვ. 292. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 576.



„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში ამგვარ სახელ-გვარულ სინტაგმებზე მაგალითები დიდი რაოდენობით შეგვხვდა. ისინი ზემოხსენებული წესის მიხედვით იბრუნვებიან.

მაგალითები პირდაპირ წყობაზე: „ვახტანგ გორგასალი“ 443 ხ, „მირიან მეფემან“ 438 ხ<sup>39</sup>. „ალექსანდრეს მეფესა“ 435 ა (ეს ერთადერთი მაგალითია სადაც ხსენებული წესის საწინააღმდეგოდ მსაზღვრელიც ნაბრუნებია და საზღვრულიც) „ჰეროდე მეფისაგან“ 469 ხ. „ბრატმან მეფისა საგრილთა“ 471 ა...

შებრუნებულ წყობაზე მაგალითები საერთოდ უფრო ნაკლები დასტურდება, შედარებით ცოტა ასეთი მაგალითები ჩვენს ძეგლშიც: „სპარსი ხუარა“ 471 ხ, „მეფემან ამაზაერ“ 470 ა, „პატიახშმან ვარაშ“<sup>39</sup> 443ა, „მეფესა ჰერაკლეს“ 445 ხ, დედოფლისა ნანაჲსა“ 441 ა.

თვლიან, რომ გამარტივებული ბრუნება საზღვრულისა მეორეული მოვლენა უნდა იყოს, რომ თავიდანვე საზღვრულიც იბრუნვოდა, ისევე როგორც ის ცალკე აღებული იბრუნვის<sup>40</sup>.

### ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ა

ქართული ენა მდიდარია სიტყვაშარმოებელი აფიქსებით. აფიქსების ეს სიმდიდრე მთელი თავისი მრავალფეროვნებით აისახება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში.

ქართულში სიტყვაშარმოების ორი გზაა ცნობილი: სუფიქსებითა და პრეფიქს-სუფიქსებით.

ჩვენს ძეგლში ამას გარდა მხოლოდ პრეფიქსებით ნაწარმოები სახელებიც გვხვდება: **ს ა მ ქ ა რ ი**, და **ს ა გ რ ი ლ ი**, რომლებშიაც მაწარმოებლად **სა-**პრეფიქსი გამოიყოფა: („ს ა მ ქ ა რ ნ ი ესხნეს“ 460 ხ, „ნინო... ბრატმან მეფისა **ს ა გ რ ი ლ თ ა** და სასუენებელთა ჯდა“ 471ა) და **უ მ ა რ ჯ უ**—**უ**-პრეფიქსით ნაწარმოები **ე. წ. უქონლობის სახელი**: („**უ მ ა რ ჯ უ** იქმნა საქმშ იგი“ 476 ხ).

ეს ფაქტი საგულისხმოა. საფიქრებელია, რომ ძველი ქართულისათვის ამგვარი სიტყვაშარმოება უცხო არ უნდა ყოფილიყო.

წარმოებული სახელები მიღებული წესის თანახმად ჩვენც შინაარსის მიხედვით დავალაგეთ.

1. კნინობითი სახელებიდან ძეგლში შეგვხვდა **-აკ** სუფიქსით ნაწარმოები სახელი. „**ს ა ხ ლ ა კ ი**“: „იყო **ს ა ხ ლ ა კ ი** მცირე სამოთხის მცველისა“ 463 ხ.

2. ქონების სახელებიდან ძეგლში დასტურდება შემდეგი აფიქსებით ნაწარმოები სახელები:

ა) **იან/იან**. ამ აფიქსს ძველ ქართულში რამდენიმე ფუნქცია აქვს: აღნიშნავს ვინმესაგან წარმომავლობას, ვისიმე მიმდევრობას და კუთვნილებას. **იან/იან** აფიქსით ნაწარმოები სახელებიდან ძეგლში შეგვხვდა **აგარეანი**: „ბაღდადი **აგარეანი** და იპურსო“ 447ა (C:ში აგარიანთა), **ბაკურეანი** 447 ხ (C:ში: ბაკურიანი),

**იან** სუფიქსს შეიცავს აგრეთვე სიტყვა: **ფურცლიანიობასა** 485 ა (SC).

<sup>39</sup> სახელობითსა და მოთხრობითში საკუთარი სახელები ძე. ქართული ენის ნორმის თანახმად აქაც ფუძის საბით არიან წარმოდგენილი.

<sup>40</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა..., გვ. 292.

**ენა/იან** აფიქსს გამოყოფენ სახელში ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე / ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე . ამ სახელთან დაკავშირებით ჩვენ წინათ დაფუძვით ვარაუდი, რომ იგი შეიძლება ბერძნული *χρυσωσις*-იდან მომდინარე იყოს-თქო<sup>41</sup>. ამ ვარაუდის დაშვებას ამართლებს, ჯერ ერთი, ქართული ქრისტიანული სარწმუნოების ისტორიის გათვალისწინება (მისი დამოკიდებულება ბერძნულთან) და, რაც მთავარია, აღნიშნული სახელის ე დაბოლოებით წარმოდგენა. **ენა/იან** სუფიქსით ნაწარმოები სახელები თანხმოდანფუძიანები არიან, „ქრისტიანი“ კი ძველი ქართული ენის ძეგლებში ყველგან ე დაბოლოებით დასტურდება ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე , ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე მ ა ნ , ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე ნ ი 446 ხ.

ე დაბოლოების არსებობა ამ სახელში, ჩვენის აზრით, მხოლოდ ბერძნულით შეიძლება აიხსნას. ცნობილია, რომ ბერძნული *ως-ზე* დაბოლოებული სახელების გადმოღების ძირითადი გზა ბერძნული ვოკატივის ფორმით, ე. ი. *ε* დაბოლოებით გადმოღებაა<sup>42</sup>. ამგვარი დაბოლოებითაა შემოსული ჩვენში მამაკაცთა უამრავი საკუთარი სახელი: პეტრე, პავლე, ბართლომე, ფილიპე და სხვ. *χρυσωσις*-ის ვოკატივიც სწორედ *χρυσωσις-ა* და სრულიად ბუნებრივი ჩანს მისი ამ სახით შემოტანა ჩვენში.

დაბრკოლებას არ ქმნის ზოგჯერ **იან-ის ეან-ად** შეცვლა (ქრისტიანე/ქრისტიანე). **ია-ს ეა-დ** სუბსტიტუციის შემთხვევები ქართულში სხვაცაა (იხ. ასიმილაცია).

აღსანიშნავია, რომ პეტრესა და პავლეს წამებათა სინურ ნუსხაში, რომელიც უფრო ძველია, სვანური და პარხლის მრავალთაგების შესატყვისი ტექსტის ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე -ს პარალელურად ყველგან ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე -ა ნახმარი<sup>43</sup>.

ძველში ერთგან **-ენა** სუფიქსით ნაწარმოები გვარიც დასტურდება. შატბერდულ ნუსხაში ვკითხულობთ: (ჰურიათა)... „იწყეს სადაჲთვე წარსლვად თჳნიერ ხოლო ბარაბეანთა სა, რომელნიცა მოინათლნეს ორმოცდაათი სული სახლისა მათისაჲ“ 484 ა.

აქ საქმე გვაქვს წარმომავლობის სახელთან, რომელიც გვარადაა ქვეული.

ბ) **-იხან** სუფიქსით ნაწარმოები სახელებიდან ძველში შეგვხვდა: მახკლო სანანი 478 ა, ყუავილო სანანი 459 ხ, ცოლოსანი 447 ხ (SC).

საგულისხმოა, რომ **-იხან** სუფიქსით ძველ ქართულში ვინ ჯგუფის სახელთა კუთვნილებაც გადმოიცემოდა.

გ) **-ივან** სუფიქსით ნაწარმოები სახელებია: ქელოვანი 478 ხ, ჰაეროვანი 489 ა, მაყულოვანსა 471 ხ.

დ) **-იერ** (დისიმილაციით **-იელ**) სუფიქსითაა ნაწარმოები: შუენიერ 485 ხ, კორციელსა 434 ა (—C), სალმობიერთა 4v (—S), ბედნიერო 463 ა (—C), **-იერ** სუფიქსით ნაწარმოებ ფუძეზეა დართული ება ნაწარმოებელი შემდეგ სახელებში: შვილიერებასა 494 ა, ნაყოფიერებასა 476 ა, წადიერება 16v (—S).

<sup>41</sup> ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ..., გვ. 053.

<sup>42</sup> ს. ყაუხჩიი შვილი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში. არილი, ტფილისი. 1925, გვ. 89—106.

<sup>43</sup> ქართული ვერსიები აპოკრიფებისა..., გვ. 053, ერთგან ქ რ ი ს ტ ე ა ნ ე თ ა -ს ნაცვლად შეგვხვდა ქ რ ი ს ტ ე ს ი ა ნ ე თ ა „აღჰმართენით ორნი ესე ჯუარნი საცოდ ყოველთა ქრისტეიანეთა“ 486 ხ. აქ ან შეცდომასთან გვაქვს საქმე, ანდა გადამწერის მიერ ამ სიტყვის თავისებურ გააზრებასთან.





ე) ა სუფიქსითაა ნაწარმოები ქალის საკუთარი სახელი შ რ ო შ ა ნ ა  
(„მოვიდა და ესე ჩემი შ რ ო შ ა ნ ა“ 463 ხ). 465 გვერდზე მინაწერში მოხ-  
სენიებულია იოვანე ბერა, ამ ხელნაწერის გადამწერი: „ქრისტე, შეიწყალე  
ბ ე რ ა ი მწერალი“.

ვ) წარმომავლობის აღმნიშვნელ სახელთაგან ძეგლში დასტურდება -ელ  
და -ეულ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები.

ა) -ელ სუფიქსით აღინიშნება ადამიანთა სადაურობა. ქართლის მოქცე-  
ვის ტექსტში ამ სუფიქსით ნაწარმოები უამრავი სახელია წარმოდგენილი:  
„მ ც ხ ე თ ე ლ თ ა მკვდრთა, ბ ო დ ე ლ თ ა მღდელთა, კ ო დ ი ს წ ყ ა რ ო-  
ვ ე ლ თ ა მწიგნობართა და ს ო ბ ი ს კ ა ნ ა ნ ე ლ თ ა თარგმანთა“ 467a.  
ამას გარდა: „დაჩი უ ე ა რ მ ე ლ ი“ 444a, ქ ა რ თ ა ლ ე ლ თ ა 439ხ, წ ი ლ-  
კ ა ნ ე ლ თ ა 440a, კ ხ ო ე ლ ნ ი 440a და ა. შ.

ბ) ორიოდ შემთხვევაში -ელ აფიქსითაა ნაწარმოები ეთნიკური სახე-  
ლები, რომლებიც ჩვეულებრივ უაფიქსოდ დასტურდებიან: C რ ე დაქციის  
კ ა ო ხ ნ -ს (ეთნიკური სახელია) S-ში კ ხ ო ე ლ ნ ი (440 a) შეესაბამება, ხო-  
ლო ბ რ ა ნ ჯ ნ ი (451 a) C რ ე დაქციაში ბ რ ა ნ ჯ ე ლ ნ ი (ბრანჯლნი) სა-  
ხითაა წარმოდგენილი.

გ) -ეულ სუფიქსითაა ნაწარმოები მთელი: „მ თ ე უ ლ თ ა უქადაგა  
სარწმუნოვება“ 440a (—C), სახელული: „ყოვლით სახლეულით 26v  
(—S), დ ი ლ ე უ ლ ი: „დილეულით განვიდრე მწუხარდამღლ“ 493 a.

საგულისხმოა, რომ ჩვენს ძეგლში „მთეულს“ სხვა მნიშვნელობაც აქვს.  
ნინოს შეკითხვაზე, თუ რომელია ჩრდილოეთის ქვეყანა, უბასუხებენ: „ჩრდი-  
ლოესა ქუეყანაა სომხითისა მთეულ არს“ 456a, სადაც „სომხითისა მთეუ-  
ლი“ უნდა გავიგოთ როგორც სომხითის მთიანეთი, სომხითის მთიანი მხარე  
(C-ში სხვაგვარადაა: „ჰქუთა ჩრდილოა ქუეყანაა სომხითისა და მთიულეთისა  
და არს ფრიალ საწარმართოა“). მაშასადამე, -ეულ სუფიქსი აქ გადმოსცემს  
არა წარმომავლობას, არამედ ქონებას. აღნიშნული ფუნქციით -ეულ სუფიქსი  
დასტურდება აგრეთვე სიტყვაში: ს ი რ ც ხ ზ ლ ე უ ლ ი 10r (—S).

ამგვარად, ჩვენი ძეგლის მიხედვით -ეულ სუფიქსი თავისი ფუნქციებით  
(აღნიშნავს წარმომავლობას, ქონებას) -იან სუფიქსის სინონიმად გვევლინება.

4. -ნარ სუფიქსითაა ნაწარმოები (აწარმოებს მცენარეთა კრებულის სა-  
ხელებს): მ უ ხ ნ ა რ ი 26v (—S) და მ ა ღ ნ ა რ ი 26v (—S).

5. აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელ აფიქსებად გამოიყოფა -ობა,  
-ება სუფიქსები და სი—ე პრეფიქს-სუფიქსი:

ა) -ობა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ო ბ ა ა 444 ხ, დ ე ვ ტ ა ლ ა რ ო ბ ა ს ა 450ხ,  
ტ ყ უ ე ო ბ ა 449 a, ჯ უ ა რ ო ბ ა: „დადვა კრებაა ჯუარს ჯუარობასა“  
447a (—C), თ ა ვ ო ბ ა: „კათალიკონნი, რომელნი თ ა ვ ო ბ ი თ გ ა ნ იყენეს“  
7v (—S)

ბ) -ება: მ ო ც ა ლ ე ბ ა ა 499a, მ ო შ ი შ ე ბ ი თ ა 12r (—S), მ ო წ რ ა -  
ფ ე ბ ი თ 475ხ, მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ა თ ა 490<sup>44</sup>.

<sup>44</sup> ძველ ქართულში არის შემთხვევები, რომ სახელს არ დაერთვის აბსტრაქტულობის  
მაწარმოებელი სუფიქსი -ება და მას აბსტრაქტულობის შინაარსი მაინც აქვს: „მო-ოდენ-ფე-  
ნილ იყო ჰეშმარიტი“ (=ჰეშმარიტება). „გვედვედი საკრველებათა და საშინელსა“  
460 ხ (=საშინელება), „თუალნი თქუენნი ხედვენ საშინელებასა და საკვრველსა“ 496ხ.

გ) სი-ე: სი გ ლ ა ხ ა კ ო 449 ხ, „ს ი მ ა რ თ ლ ო ც ი ს ა ა და ს ი ნ ა თ ლ ო მ ხ ი ს ა ა“ 473 ა.

6. უ-ო და უ-ურ პრეფიქს-სუფიქსებით იწარმოება ქართულში უქონლობის სახელები. ეგვევ აფიქსებია გამოყენებული უქონლობის სახელების საწარმოებლად ჩვენს ძეგლშიც.

ა) უ-ო: უ ზ ო მ ო 478 ხ (—C), უ შ ვ ი ლ ო ა 464 ა, უ ჩ ი ნ ო თ ა 20 რ, და უ ს ა ბ ა მ ო ა 274 ა.

ბ) უ-ურ: უ კ ე თ უ რ თ ა 20 რ (—S).

7. დანიშნულების სახელები იწარმოება სა-ე და სა-ო პრეფიქს-სუფიქსებით.

ა) სა-ე: სა ს ა კ უ მ ე ვ ლ ო 458 ა, სა ს ა მ ო ს ლ ე: „ს ც უ შ თ დ ე ს სა ს ა მ ო ს ლ ე ს ა“ 12 რ (—S), სა ს ი ს ხ ლ ე: „ა დ გ ი ლ სა... სა ს ი ს ხ ლ ე ს ა“ 13 ვ (—S), „ს ა მ ო თ ხ ე ს ა მ ა ს“ 476 ა, „ს ა ყ უ ა ვ ი ლ ე დ შ ე მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი“ 21 რ (—S).

ძეგლში დანიშნულების სა-ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ორი გეოგრაფიული სახელიც დადასტურდა ს ა რ კ ი ნ ე და ს ა ფ უ რ ც ლ ე: ს ა რ კ ი ნ ე ქ ა ლ ა ქ ი“ 434 ა (—C); ს ა ფ უ რ ც ლ ი თ 18 რ (—S).

ბ) სა-ო: სა ზ ა რ ო 460 ხ, „ს ა მ ო ს ე ლ ი ს ა მ კ უ დ რ ო ა“ 451 ა, „ქ უ ე ყ ა ნ ა ა ს ა წ ა რ მ ა რ თ ო ა 456 ა, ს ა ე რ ი ს თ ვ ო ნ ი 452 ხ, ს ა მ ღ დ ე ლ ო ს ა 481 ხ და ს ხ ე.

დანიშნულების აღმნიშვნელი ზანური პრეფიქს-სუფიქსი ო-ე უნდა გამოიყოს გეოგრაფიულ სახელში ო ძ რ ა ე ე 434 ა ხ (ო-ე შეესატყვისება ქართულ სა-ე, სა-ო-ს). ო-ე-ს გამოყოფას ო ძ რ ა ე ე-ში ამართლებს შემდეგი ფაქტიც: ო ძ რ ა ე ე-ს მახლობლად ყოფილა წყარო ო ც ხ ე, რომელიც ვახუშტის გადმოცემით არის: „ფრიალ დიდი და ცხელი, მდულარის მსგავსი“<sup>45</sup>. სახელწოდებაში ამ წყაროს თვისების აღმნიშვნელი სიტყვა (ცხ→ცხელი) უნდა შედიოდეს, ო-ე კი დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი ჩანს.

8. წინავითარების სახელები ქართულში იწარმოება ნა-არ და ნა-ეგ პრეფიქს-სუფიქსებით. ამ აფიქსებით ნაწარმოები არც ერთი სახელი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში არ შეგვხვდრია. სამაგიეროდ აქ დადასტურდა ქართულში დღემდე უცნობი პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელი ნ ა ს ტ ა გ ი ს ი: „ს ტ ა გ ი თ ა რ უ ხ ა ა თ ა პ რ ქ ა ნ ა დ გ ი ლ სა მ ა ს ნ ა ს ტ ა გ ი ს ი“ 435 ა (—C).

9. ხელობის სახელები ძეგლში ნაწარმოებია შემდეგი აფიქსების საშუალებით: მე-ე, მე-ურ, მო-ე, მო-ურ.

ა) მე-ე: მ ე რ უ ე ე ნ ი 435 ა (—C), მ ე გ რ მ ლ ე 451 ხ.

ბ) მე-ურ: „ვ ი თ ხ ო ვ ე ს ა ზ რ დ ე ლ ი მ ე თ ე ე ზ ო რ თ ა გ ა ნ“ 17 ვ (—S).

გ) მო-ე: მ ო ნ ა დ ი რ ე თ ა გ ა ნ 496 ხ.

დ) მო-ურ: (დისიმილაციით მო-ულ) მ ო გ ზ ა უ რ ნ ი 459 ა, და ა მ ო თ ა უ ლ ე ს 442 ხ (—C)<sup>46</sup>.

10. გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად ქართულში შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ის აფიქსი, რომელიც საერთოდ სიტყვა-წარმოებაში გამოიყენება. ამგვარი წარმოების გეოგრაფიული სახელები უკვე მოვიხსენიეთ

<sup>45</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., გვ. 125.

<sup>46</sup> სიტყვა „მოთაულის“ წარმოება და მნიშვნელობა გარკვეული აქვს პროფ. ი. ა ბ ლ ა დ ე ს დასაბუქდად გამზადებულ ნაშრომში: „ძველი ქართულის ლექსიკიდან. მოთაული“.

სიტყვაწარმოების სხვა ჯგუფების განხილვისას. არის გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სხვა აფიქსებიც. ჩვენი ძეგლის მიხედვით ასეთებია: -ეთ-, -ით-, -ოთ-, -თ-, სა-ეთ და -ის.

ა) -ეთ. გეოგრაფიულ სახელთაგან ყველაზე ხშირია -ეთ სუფიქსით ნაწარმოები სახელები. -ეთ სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა დიდი რაოდენობა დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში: დ ვ ა ლ ე თ ი 6v (—S), ე რ ო შ ე თ ი 2v (L—S), თ ო შ ე თ ი 440a, კ ა წ ა რ ე თ ი 440a, კ ა ხ ე თ ი 440b, კ ხ ო ე თ ი 448b, ო ვ ს ე თ ი 6v (—S), ჟ ა ლ ე თ ი 440 a, წ ა ნ ა რ ე თ ი 6v (—S), ჯ ა ვ ა ხ ე თ ი 458b და სხვ.

ქართული ენა -ეთ სუფიქსით აწარმოებს სხვა ქვეყნების სახელებსაც. ასეთი სახელებია ჩვენს ძეგლში: ა ს უ რ ე თ ი 445b (—C), ხ ა ზ ა რ ე თ ი 6v (—S), ს ი ვ ნ ი ე თ ი 442b.

ბ) -ით: ს ო მ ხ ი თ ი 445 a, 458 a.

გ) -ოთ: თ ხ ო თ ი

დ) -თ: ღ ა რ თ ი

ე) -თა მ ც ხ ე თ ა 436 a, 445 a, 459b, მ ო გ უ თ ა 459 b.

სა-ეთ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ერთადერთი სახელი დასტურდება ჩვენს ძეგლში, ესაა: ს ა ბ ე რ ძ ე თ ი 457 b, 458 a, 475b.

ძეგლში დასტურდება -ისი დაბოლოებიანი რამდენიმე ტოპონიმიკური სახელი, ე. წ. ნაგენეტივარი სახელები: ტ ფ ი ლ ი ს ი 445 a (—C), ბ ო ლ ნ ი ს ი 442 b, მ ა ნ გ ლ ი ს ი 2 v (—S), ნ ე კ რ ი ს ი 442 a, უ რ ბ ნ ი ს ი<sup>47</sup> 434 a.

### კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში მრავალგვარი წარმოების კომპოზიტი გვხვდება. არის იშვიათი წარმოებისა და იშვიათი ხმარების კომპოზიტებიც.

ყველაზე ხშირია კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი ფუძითაა წარმოდგენილი, მეორე კი სახელობითი ბრუნვის ფორმით, ასეთებია: გ უ ლ გ დ ე ბ უ ლ ი 437 a, კ მ ნ უ ლ-კ ე თ ი ლ ი 1r (—S), პ ა ლ ა ტ-ბ ა ნ ა კ ი 9r, ძ ა ლ-ღ ი დ ი: „გზედვედი მეფეთა მათ ძალ-ღიდთა“ 461 b, „სულნელებჲ დიდ-ძალი“ 492a (—C), რ ტ ო-მ რ ა ვ ა ლ ი 463 a.

პირველი კომპონენტი სახელობით ბრუნვაშია, მეორე მიცემითში ერთი-ერთსა 483 ხ (—C). ამ სიტყვას ჩვეულებრივ განმარტავენ როგორც: ერთმანეთი, ერთიმეორე<sup>48</sup>. ჩვენს ძეგლში იგი მხოლოდ ერთგვან შეგვხვდა. ყურადღება მიიქცია მისმა განსხვავებულმა მნიშვნელობამ: „აღჰმართა წმიდამან ნინო ჯუარი ქრისტესი და ერთი-ერთსა ნათელ-სცემდა მუნ შინა ჴელითა იაკობ მღდელისაჲთა“.

კონტექსტის მიხედვით ერთი-ერთსა ნიშნავს არა ერთმანეთსა და ერთიმეორეს, არამედ თითოეულს, ყოველ მათგანს. შესაძ-

<sup>47</sup> ამ სახელის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, ურბნისი საქართველოს უძველესი ქალაქი, ცისკარი, № 4, 1958, გვ. 133.

<sup>48</sup> ქართული ენის ისტორიული ჭრუსტომითა, V—X საუკ. ძეგლები, გამოსცა და ტაბულეები და ლექსიკონი დაურთო ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1953.

ლებელია, რომ აღნიშნულ სიტყვას ეს მნიშვნელობა სხვაგანაც ჰქონდეს.

პირველი კომპონენტი სახელობითშია, მეორე მისი მსაზღვრელია და ნანათესაობითარ სახელობითში დგას: „ქუმოსა ეკლესიასა ერქუა წმიდაჲ. წმიდათაჲ“ 497b.

პირველი კომპონენტი მიცემით ბრუნვაშია, მეორე სახელობითში: ცხოველს-მყოფელი 498b (მეფემ)... „გულს-მოდგინედ გუმბადი აღაშენა“ 493 a.

პირველი კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაშია, მეორე სახელობითში; შედარებით ბევრია მაგალითები კომპოზიტების ამგვარ წარმოებაზე: ციხის-თავეი 445 b, დის-წული 443a, ზატოკის-ზატოკი 490 b, 491a (ძველ ძეგლებში ეს სიტყვა იშვიათად გვხვდება, აღნიშნავს აღდგომის მომდევნო კვირას), ღმრთის-მგდომი 20r, მეხის-ტეხა 473 b. ზარის-აღსაჯდელი 478a, მწუანის-ფეობა 485 a და სხვ.

პირველი კომპონენტი თა-იანი მრავლობითია ნათესაობით ბრუნვაში: შვილთ-მოყუარე ზრ (-S), ქელთ-შეუხებელად 480 a, ფერ-ტა-ფიცარნი 2v, ნავთ-სადგური 457a, საკვრველთ-მოქმედი 481 b.

ხშირია ისეთი კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ოღონდ ნათესაობითის შინაარსი აქვს, იგულისხმება, რომ მათში -თა მაწარმოებელი ჩავარდნილია. ასეთ კომპოზიტებად მივიჩნევთ აგრეთვე „გზა-მოგზაური“ და „ენა-მეცნიერება“.

აღნიშნული ორი სიტყვა ერთსა და იმავე კონტექსტში გვხვდება. ქართლში ვამომგზავრების წინ პატრიარქი ნინოას ავედრებს ქრისტეს. იგი მიმართავს ქრისტეს: „ექმენ. ქრისტეჲ, ამას გზა-მოგზაურ, ნავთ-სადგურ, მოძღუარ ენა-მეცნიერების, ვითარცა-იგი წინათა მათ მოშიშთა სახელისა შენისათა“ 457a. (ჭელიშურ რედაქციაში პარალელურად გვაქვს: „ექმენ, ქრისტე, მონასა ამას შენსა გზად წინამძღუარ, და ენაჲ მეცნიერ, ვითარცა-იგი წმიდათა მოციქულთა“).

გზა-მოგზაური ჭელიშური რედაქციის თანახმად (გზად-წინამძღუარ ← გზათწინამძღუარ) ნიშნავს გზის მასწავლებელს, მეგზურს, კონტექსტით ასეც შეიძლება გავგოთ და თანამგზავრადაც: მოგზაური ძველი ქართულით მეგზურცაა, და თანამგზავრიც. გზა-მოგზაური (← გზათამოგზაური), მაშასადამე, უდრის გზაში თანამგზავრს, ან გზის მაჩვენებელს.

„ექმენ მოძღუარ ენამეცნიერების“ უნდა ნიშნავდეს: მოძღვარ ექმენ ენათა ცოდნაში, ენათა გაგებაში. ე. ი. „ენამეცნიერება“-ც აგრეთვე კომპოზიტი ჩანს, მიღებული ენათა-მეცნიერება-დან.

ძველი ქართული ენის ძეგლებში აღნიშნულ ორ კომპოზიტთაგან არცერთი არ შეგვხვედრია, საგულისხმოა, რომ ენა-მეცნიერების მსგავსი წარმოებისა და შინაარსის კომპოზიტზე უთითებს ილ. აბულაძე ბალავარიანში, გამოცემის შესავალში<sup>49</sup> მას მოტანილი აქვს სიტყუა-მეცნიერება.

<sup>49</sup> ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 035.



პირველი კომპონენტი მოქმედებით ბრუნვაშია, მეორე სახელობითში:  
ნ ა თ ლ ი თ-შ ე მ ო ს ი ლ ი 480 ხ, 498 ხ, ძ ლ ე ვ ი თ-შ ე მ ო ს ი ლ ი 441a,  
488a, წ ი ლ ი თ-ხ უ ე დ რ ე ბ უ ლ ი 481ხ, კ ი რ ი თ-ხ უ რ ო ნ ი 2v (-S).

პირველი კომპონენტი ვითარებით ბრუნვაშია, მეორე, ჩვეულებრივ, სახე-  
ლობითში: მ ქ ნ ე დ-მ ო ლ უ ა წ ე 478ხ, ა ხ ლ ა დ-შ ო ბ ი ლ ი 467ხ, მ ა რ-  
ტ ო დ-შ ო ბ ი ლ ი<sup>50</sup> 439a.

## ზ მ ნ ა

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში ზმნა თავისებურსა და განსხვავებულს  
არაფერს გვიჩვენებს- ჩვენი ძველი ამ მხრივაც აგრეთვე კლასიკური ქართუ-  
ლის ნორმებს მიჰყვება.

ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი. მე-10—11 საუკუნეებიდან ბოლოთანხმოვნების ჩა-  
მოკვეცი თ ზმნისწინები მარტივდება<sup>51</sup>. ამგვარად გამარტივებულ ზმნისწინებ-  
ზე ნიმუშები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტშიც მოიპოვება:

ა ლ — ა: ა დ გ ო მ ა ა 450 ხ, ა დ გ ო მ ა ს ა 456 ხ, ა ს დ ე გ 490, ა თ ხ ე ლ-  
დ ე ბ ო დ ა 445a, ა ვ ი ხ ი ლ ე ნ 461 ხ. ა ს პ ო ლ ვ ა დ 495ხ. „ა უ რ ა ც ხ ე ლ ი-  
ს ა მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი ს ა“ 473a და სხვ.

გ ა ნ — გ ა: გ ა ი შ ო რ ა 436 a.

წ ა რ — წ ა: წ ა მ ო ვ ე დ 458 ხ.

რამდენიმე შემთხვევაში -შთა ზმნისწინი -ჩა-დაა ქცეული:

ჩ ა მ ო ვ ე დ 463 ხ, ჩ ა მ ო ი რ ლ უ ე ვ ო დ ე ს 477a, ჩ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი  
496 ხ (შდრ. შ თ ა ვ ი დ ა 440a, შ თ ა ვ ი დ ი ა ნ 464 ხ).

ტ მ ე ს ი. ძველში ხშირია ზმნების ტმესი: მ ო -ხ ო ლ ო -ვიდეს 440 ხ, და-სა-  
დავაკლო 461a, მ ო -ვ ი ნ მ ე -ვიდა 480 ხ და სხვ.

ზმნასა და ზმნისწინს შორის ჩართულია ორი სიტყვა, ნაწილაკი და  
ნაცვალსახელი: შე-ცა-შენვე-გპყრენ 451a.

ტმესს ადგილი აქვს მიმლეობებშიც, მიმლეობა ამ დროს შედგენილი შე-  
მასმენლის სახელადი ნაწილია: „იგი ყრმაჲ გ ა ნ-ს ა მ შ-ზ რ დ ი ლ არს“  
468a; „ა ლ მ ო -ო დ ე ნ-ს რ უ ლ ი ყ ო მ შ ს ი მ ა რ თ ლ ის ა ა და მ ო -ო დ ე ნ-  
ფ ე ნ ი ლ ი ყ ო კ ე შ მ ა რ ი ტ ი“ 498 a.

პ ი რ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი. I სუბიექტური პირის ნიშანი ვ იკარგვის უ  
ხმოვნის წინ და ვალ, ველ/ვიდ ზმნაში: „შ ე უ ლ გ ე ბ ი ქ რ ის ტ ე ს ა“ 474 ხ,  
„შ ე შ ე უ ს წ რ ვ ე ც ი ხ ე დ არ მ ა ზ ლ“ 460ხ, „მ ე წ ა რ ვ ა ლ, ვ ი ნ ა ა ც ა  
მ ო ვ ე დ“ 499a და სხვ.

მე-2 სუბიექტური და მე-3 ობიექტური პირის ნიშნების ხმარების თვალ-  
საზრისით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, რა სურათი-  
ცაა წარმოდგენილი ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში<sup>52</sup>. ეს ნიშნები

<sup>50</sup> მ ა რ ტ ო დ-შ ო ბ ი ლ ი ნიშნავს დედისერთას, მხოლოდშობილს. აღნიშნული კომ-  
პოზიტი სხვა ძეგლებში არ შეგვხვედრია, მაგრამ მ ა რ ტ ო-ს ა და მ ხ ო ლ ო-ს მონაცვლე-  
ობა ძველ ძეგლებშივე ჩვეულებრივია. შდრ. „არავინ არს სახიერ, გარნა მ ხ ო ლ ო ა ლ მ ე-  
რ თ ი“ მარკ. 10, 18 DE „არავინ არს ქველის-მოქმედი გარნა მ ა რ ტ ო ა ლ მ ერთი“ C.

<sup>51</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ვიოროგი მთაწმიდლის ენა; ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. თბი-  
ლისი, 1946, გვ. 69—70.

<sup>52</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი  
მესამე პირისა ქართულ ზმნებში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები,  
I, თბილისი, 1957, გვ. 117—261.

(პ, 0 ს/შ-თითოეული გარკვეულ შემთხვევაში) ან ნორმის შესაბამისადაა ნახმარი, ანდა მათ წარმოდგენა-არწარმოდგენას გარკვეული საფუძველი ეძებნება<sup>53</sup>.

არნ. ჩიქობავამ ქართულში შეამჩნია მთელი წყება პარალელური ხმარების ზმნებისა, როგორცაა: მისტყდებოდა/მიატყდებოდა, გვირს/გიჭირს, შესთვალა/შეუთვალა, შეპრია/შეურია და სხვა, რომელთა შორის განსხვავებას ქმნის ის, რომ ერთ შემთხვევაში გვაქვს პირის ნიშანი, მეორეში—რომელიმე ხმოვანი. ა. ჩიქობავამ აღნიშნულ ფორმათა ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ პირის ნიშნებს თავდაპირველად ხმოვნითი ელემენტიც უნდა ჰქონოდათ, რომელიც ზოგ შემთხვევაში დაკარგულა, ზოგჯერ კი შემონახულა<sup>54</sup>.

ამგვარი პრეფიქსებით განსხვავებულ ერთი შინაარსის ზმნებზე მაგალითები „მოქცევა ქართლისაჲს“-ს ტექსტშიც მოიპოვება:

- „რომელნი-იგი ღმრთად ჰქონდეს შდრ. „მშობელთა ჩემთა განმამათა თქუნთა“ 461 a. ყიდეს ყოველი, რააცა აქუნდა“ 453b.
- „მტკუარმან გარდამოხეთქა და „მო ა ქ უ ნ და იგი ათსა ათეულსა წარ ჰქონდა საშინელად ქაცსა“ 485 a.
- ქალაქი“ 477 a. „შე მო ა ქ უ ნ და ქალაქად“ 485a.
- „მოჰქუეთეს ნაძუ იგი და შე მ- „შე ა მ ზ ა დ ე ს სუეტად“ C.
- ზადეს სუეტად“ 476 a.
- „ა ღ მ ო ჰ ვ ი დ ო დ ე ს სულნი ა ღ მ ო უ ვ ი დ ო დ ე ს.
- წმიდათა მათ“ 458 a.
- „შე ჰ ვ ე დ რ ა სული თვისი გელთა შე ა ვ ე დ რ ა.
- ღმრთისათა“ 441 a.

ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად ქართლის მოქცევაშიც I ობიექტური პირის ნიშანი არის გუ და მ: „და გ უ ა ო ბ ლ ნ ა ჩუენ“ 498 a, „მღდელთა მათ გ უ ა ს წ ა ვ ე ს“ 489 a, „ღმერთი მე ქ მ ნ ა ჩუენ მოძღუარ და შე მ რ თ ნ ა ჩუენ ერსა ქსსა“ 496 a.

ძველ ქართულში ორპირიან სტატიკურ ზმნებში ე. წ. რეალური ობიექტის მრავლობითობა ჩვეულებრივ არ აისახება. ჩვენს ძეგლში ერთგან თავი უჩენია აღნიშნული ობიექტის მრავლობითობის თ მაწარმოებელს:

„და ეპყრათ იგი, რომელ ხარკითა აქუნდა“ 434 b.

მოქმედებითი გვარის ზმნები II სერიაში ენ/ნ ფორმანტით ასახავენ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას:

„და ღ ე წ ნ ა კ ე რ პ ნ ი იგი და და ფ ქ ვ ნ ა და და ა წ უ ლ ი ღ ნ ა“ 462 b, „და ა რ ღ ჯ ნ ა ზ ღ უ დ ე ნ ი იგი ქარმან სასტიკმან“ 462 b. ორიოდე მაგალითი შეგვხვდა, სადაც პირდ. ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ იყო ასახული: „ი ხ ი ღ ე ს ყოველთა ს ა ს წ ა უ ლ ნ ი ესე დიდებულნი“ 494 a.

რამდენიმე შემთხვევაში ზმნაში პირდ. ობიექტის მრავლობითობის ნიშანი წარმოდგენილია, პირდ. ობიექტი კი არ ჩანს:

<sup>53</sup> ა. შანიძე, სტატიკური პრეფიქსი მეორე პირისა და..., გვ. 84—130.

<sup>54</sup> ა. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, თბილისი, 1959, გვ. 151—168.

„დაიკრჩხილნა მწარედ დედაკაცმან მან“ 469 ხ.

„მეყსეულად დასწყუდნა ყრმასა მას“ 493 ხ.

„მოხედენ და შეჰრისხენ სულთა ამთ უჩინოთა“ 462a.

ივარაუდება, რომ აღნიშნულ ფორმებში პირდ. ობიექტი გაუჩინარებულია.

დღეს სტატიკური ზმნები აწმყოს I და II პირის ფორმებს აღწერით აწარმოებენ, მეშველი ზმნის გამოყენებით, ძველ ქართულში კი მათ უმეშველ-ზმნო წარმოება ჰქონდათ: „უფალო, იესუ ქრისტე, რომელი გურწამ“ 489ხ.

უწყვეტელი და მისგან ნაწარმოები მწკრივები ძველ ქართულში განარჩევენ -**ოდ**-იან და **დ**-იან ზმნათა უღლებას.

**ოდ**-იანი ზმნები უწყვეტელსა და I ბრძანებითს აწარმოებენ ე დაბოლოებით, უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითს კი **ო** დაბოლოებით, იმ დროს, როდესაც **დ**-იანი ზმნები ე დაბოლოებას ღებულობენ მხოლოდ I კავშირებითში.

აღნიშნული წესი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში უგამონაკლისოდაა გატარებული.

უწყვ. „მე ვ ტ ი რ ო დ ე მამისა ჩემისათჳს“ 477 a.

„აქა მოვიდა იგი, რომელსა თქუენ ევლ ტ ო დ ე თ“ 479 a.

კავშ. „რათა იხილონ მოძულეთა ჩუენთა და ჰრ ც ხ უ ე ნ ო დ ი ს“ 490a.

„რ არ ბ ი ო დ ი ა ნ მ ე ხ ს ტ ე ხ ა ნ ი კ უ ა ლ ს ა მ ი ს ს ა“ 473 ხ.

მ ი ნ დ ა / გ ი ნ დ ა / უ ნ დ ა ფორმებს დღეს აწმყოს შინაარსი აქვთ, ძველ ქართულში კი მათით, როგორც უწყვ. მწკრივის ფორმებით, წარსული დროის შინაარსი გადმოიცემოდა. ასეა ეს ჩვენს ძეგლშიც:

„იხილა მეფემან ამაზაელ სამოსელი იგი და უ ნ დ ა წარღებაჲ მისი“ 470 ხ. უ ნ დ ა აქ უდრის დღევანდელ უ ნ დ ო დ ა -ს.

აგრეთვე: „რად-იგი უ ნ დ ა ქრისტესა მათგან, მათ აღასრულეს“ 454 ხ.

ძეგლში გვხვდება უწყვეტლის ფორმები ე. წ. თანხმოდანთგასაყარი **ი**-ს გარეშე: ვ ხ ე დ ე ვ დ 463 ხ, ვ ე ძ ი ე ბ დ 468 ა, გ ა ნ ვ ი ც დ ე 559 ა, ვ ჰ მ ს ა ხ უ რ ე ბ დ 454a, ჰ ყ ო ფ დ 499ხ, უნიშნო ვნებითისა და საშუალი გვარის გარკვეული რიგის მ ე დ ი ო პ ა ს ი უ რ ზ მ ნ ე ბ ს წ ყ ვ ე ტ ი ლ შ ი დღეს თანხმოდან გასაყარი **ი** დაერთვით ბოლოს. ძველ ქართულში კი ისინი აღნიშნულ **ი**-ს არ დაირთავდნენ. მაგალითები ამ რიგის წყვეტილის ფორმებზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში მრავლად დასტურდება: „მე წ ა რ მ ო ვ ე დ“ 458ხ; „უცხოვებით მ ო ხ უ ე დ“ 472 ა, „ვითარ მ ო შ უ ე რ“ 449 ა, „მ ი უ დ ე გ გ ზ ა ს ა ძ ნ ე ლ ს ა“ 459 ა, გ ა რ დ ა მ ო ჰ ჰ ე დ 489ხ, „მე ო დ ე ნ ვ ი შ ე ვ მათგან“ 453 ა და სხვ.

ქართლის მოქცევის ტექსტი განსაკუთრებით მდიდარია ხოლმეობითის ფორმებით. ეს შეიძლება თვითონ ნაწარმოების ხასიათით აიხსნებოდეს: ნაწარმოების მიხედვით რამდენიმე თვითმხილველი პირი მოგვითხრობს ამბებს, რომლებიც თითქოს მათ თვალწინ ხდებოდა. ამგვარი თხრობისათვის ხოლმეობითის ფორმების გამოყენება შესაფერისია.

აქა-იქ შეინიშნება მაგალითები ე. წ. უწყვეტლის ხოლმეობითზეც<sup>56</sup>.

<sup>56</sup> გ. თ ო ფ უ რ ი ა, მესამე ტომის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, გვ. 967.

<sup>56</sup> ამ მწკრივის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, სამი მწკრივის თავისებურებანი ძვ. ქართულში. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VI, 1945. გვ. 245.

„მოვიდინ მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანინიან და მოვიდინ სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთულებდინ და ყუავილსა მას ძოვდინ და მოწლედ ჩემდამო ლაღადებედ... გარე-მომადგიან ქლავილით და ჯმოებედ ჩემდა მომართ“ 464ხ).

კიდევ: „მრავალნი უშვილონი მოვლენედ და ილოცვედ მისგან შვილიერებასა და შვილითა განმადლარნი ადიდებედ ღმერთსა და შესაწირავთა და მადლთა მისცემედ პატიოსანსა ჯუარსა, არა ხ' თუ რომელნი მუნ მივლენედ და მათ ოდენ მიჰმადლებნ სათხოველსა, არამედ მათცა, რომელნი შორს არიედ... გინა თუ ბრძოლასა ღუაწლსა შინა ხადიედ პატიოსანსა ჯუარსა მცხეთისასა, მუნთქუესვე მძლე ექმნიან მტერთა... და დიდითა სიხარულითა მოვიდინ მადლისა მიცემად პატიოსნისა ჯუარისა“ 494 ხ).

აწმყოს ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის ერთ კონტექსტში პარალელურ ხმარებას ხსნიან მათი ფუნქციების ერთგვარობით<sup>57</sup>.

მომავალი დროის გამოსახატავად ჩვეულებრივ გამოყენებულია კავშირებითის ფორმები: „გამოვსწულილო ადგილი იგი“ 471 ა, გაუწყოცა 449ხ, შეირყოცა 499 ა და სხვ. ორად-ორ შემთხვევაში ამ დანიშნულებით გამოყენებულია ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი „ყოფნა“ ზმნის აწმყოსთან ერთად: მიწვენად ხარ 461 ხ, მოსლვად ხარ 490 ა.

პირველი თურმეობითი ძველი წარმოებით იხმარება, ნაწარმოებია -ივხ დაბოლოებით; გვსწავიეს 449ა მოგვლეზე 490ა, გამოურჩიე 490ხ, უხილავს 449ხ და სხვ.

ერთპირიანი ზმნები I თურმეობითს ჩვეულებრივ მეშველი ზმნის დახმარებით აწარმოებენ. ერთგან შეგვხვდა III პირის ფორმა ახალი წარმოებით: „მოსრულასული ჩემი ჯორჯად ჩემდა“ 449ხ—მეშველი ზმნა მოკვეცილია.

ძეგლში ერთგან შეგვხვდა შუალობითი კონტაქტით ნაწარმოები ფორმა: ათქუმი 474 ხ. მაწარმოებელია -ევ. რომელიც მეორე სერიის ფორმებში -ივ-ად იქცევა ხოლმე, აქ ვთანხმოვანი ჩავარდნილია.

საწყისი. საწყისთან დაკავშირებით თავისებური არათფერი შეგვინიშნავს, დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს საწყისზე, რომლებიც ძველ ქართულში ახლისაგან განსხვავებულად იწარმოებიან: შესაქმე (=შექმნა), სივლტოლა 488 ა (=ლტოლა), შრიალე 454 ხ (=შრიალი), აღმართე 488ხ (აღმართვა), სრბა 480 ა (=სრბოლა).

ერთგან შეგვხვდა ასეთი წინადადება: „თავი შენი იგი იყავნ დასარწმუნოვებად კაცთა მიმართ“ 472 ხ, სადაც -ეზა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი გაგებულია მასდარად, მისთვის დაურთავთ ზმნისწინი და წინადადებაშიც მასდარის ფუნქციით გამოუყენებიათ.

ს ი ნ ტ ა მ ძ ი

**მსაზღვრელ-საზღვრული.** მსაზღვრელ-საზღვრულის რიგთან დაკავშირებით ძეგლში შემდეგი შეინიშნა: მრავალადა წარმოდგენილი მაგალითები როგორც საზღვრულ-მსაზღვრულზე, ისე მსაზღვრელ-საზღვრულზე. უფრო ზუს-

<sup>57</sup> ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1948, გვ. 43.





ტად სურათი ასეთია: ატრიბუტულ მსაზღვრელიან სინტაგმების შემთხვევაში ჭარბობს მაგალითები მსაზღვრელ-საზღვრულის რიგზე, მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის შემთხვევაში კი პირიქითაა: გაცილებით მეტია მაგალითები საზღვრულ-მსაზღვრელზე, ვიდრე მსაზღვრელ-საზღვრულზე.

ასე მაგალითად, ხშირია ამ რიგის მაგალითები: „ყოველი ქართლი“ 488ხ. „პატიოსანსა ჯუარსა“ 493 ა, „დიდი წადიერებაჲ“ 456 ხ, „ციხედ არ-მასდ“ 460 ხ.

უფრო ნაკლებია მაგალითები შებრუნებულ რიგზე: „ამბორებაჲ საუკუ-ნოჲ“ 454ა, „გზასა ძნელსა“ 459ა, „ცათა მალალთაჲთ“ 439ა, „ქუყყანად მდაბლად“ 439 ა.

მეტია მაგალითები: „კუართი იგი უფლისა იესუჲსი“ 455ხ, „ბაგინსა ჰურიათასა“ 456 ხ, „ჯუართა ქოსითა“ 477 ხ.

იშვიათია შებრუნებული რიგის მაგალითები: „ზაქარიაჲს ძმ“ 468 ხ, „ჩრდილოჲსა იგი ქუყყანაჲ“ 456ა, „რუჲსთისა რუჲ“ 442ა და სხვ.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმების თვალსა-ზრისით ჩვენი ძეგლი მისდევს ძველი ქართული ენის ნორმებს.

ებ-იან მრავლობითში, სულ რამდენიმე სახელი შეგვხვდა. აღნიშნულ სა-ხელებთან მხოლოდ რიცხვშია წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელიც, მართული მსაზღვრელიცა და შემასმენელიც: „ს ხუაჲ წიგნები“ 2რ, „ს ა-ნახები ქართლისაჲ“ 9ყ, „წიგნები მოსრულ იყო ჰრომით და ეგვბით და ბაბილონით ჰურიათაჲ მლდელთაჲ და მწიგნობართაჲ, რომელსა წერილ იყო ესრეთ“ 482 ა, „მოიწია წიგნები ჰრომით“ 484ხ, „წარიღეს წიგნები“ 485ა.

**შინაარსობლივი შეთანხმება.** კრებითი სახელით „ერი“ და აბსტრაქტულ-ლი სახელით „სიმრავლე“ გამოხატული ქვემდებარე შემასმენელს ხშირად მრავლობით რიცხვში შეიწყობს:

„შთავიდა ყოველი ერი მდინარესა მას და განიბანებოდეს და აღმოვიდოდეს გამოსავალსა ერთსა“ 452 ხ.

„ყოველმან ერმან იხილეს სახმ იგი ჯუარისაჲ მის“ 489 ა, „ესე მრავალგზის იხილა ყოველმან სიმრავლემან ერისამან“ 486 ა, „იხილეს სიმრავლემან სოფლისამან“ 485 ხ.

ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ბ რ უ ნ ვ ი ს ს ა კ ი თ ხ ი, ძველი ქართული ენის ძეგლებზე დაკვირვებისას შეინიშნა ერთი საინტერესო ფაქტი: ირიბი ობიექტი ამ ძეგლებში ყოველთვის უთანდებულო მიცემითი ბრუნვით არ არის წარმოდგენილი, იგი გვხვდება აგრეთვე თანდებულიან მიცემითსა და თანდებულიან ნათესაობით ბრუნვებში<sup>55</sup>.

მხვავსი მაგალითები „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტშიც დასტურ-დება:

(ნინომ... მეფეს)... „დაჰვედრა იაკობ მლდელი, რაჲთა შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყდარი და მის წინა შე მისცა წიგნი იგი ჰელენე დედო-ფლისა მოწერილი, რომელი მოეწერა ნინოჲსა“ 440 ა.

„მათ ღლეთა შე მე მ უ რ ვ ნ ე ს ფ რ ი ა დ ჰ უ რ ი ა ნ ი მ ც ხ ე თ ე ლ ნ ი ჩ ე მ ხ ე დ ა“ 448 ა.

<sup>55</sup> იხ. ამის შესახებ: O. ქუციციძე, ირიბი ობიექტი ძველ ქართულში, საქართველო-ს სსრ მეცნ. აკადემიის ზღნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, თბილისი, 1962, გვ. 35—51.

„სულნელებაჲ დიდძალი მიეფინებოდა ყოველსა ქუეყანასა“ 492 a.

იქვე D ნუსხის ტექსტში პარალელურად გვაქვს: „სულნელებაჲ დიდძალი მიეფინებოდა ყოველსა ზედა ქუეყანასა“.

„შეახო ნეტარმან ნინო ჯელი თუხი სუეტსა მას ცხოველსა და დასდვა ყრმასა მას ზედა“ 481a SC. იქვე: „დასდვა ჯელი წმიდამან ნინო ერთსა ქვასა“ 487b.

„სანატრელი იგი გოდებდა და დაადენდა ცრემლთა სუეტსა მას ზედა“ 476 a SC.

„სუეტი მოეახლა ხარისხსა მას ზედა“ 29 v.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ს ტექსტში სინტაქსური თვალსაზრისით ყურადღება მიიქცია რამდენიმე თავისებურებაჲ, რაც სხვა ორიგინალურ ქართულ ძეგლებში არ შეგვიჩვენავს.

1. მსაზღვრელ-საზღვრულის წინადადების სხვა წევრებით გათიშვა და საერთოდ წინადადების წევრების თავისუფალი განლაგება, ასე მაგალითად:

„ზაბილოვნს-და ესმა, მწრაფლ აუწყა ესე მეფესა და პატრეაქსა სიტყუაჲ მათი“ 451 a.

„ღმერთი ღმერთთა მათთაჲ უწესს მას, არმაზ, რომელ არაჲ არს სხუაჲ, გარეშჳ კერპი“ 460 a.

„ესე მრავალგზის იხილა ყოველმან სიმრაველმან ერისამან მაცხოვარებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ“ 486 a.

„აღვაშენე ზემოჲ ეკლესიაჲ თავისა ჩემისათჳს ქვითა დაერისა სიმრავლისათჳს 497 a (C-ში სხვაგვარადა).

„პეროჲფერი დედოფალი ქართლისა ერისთვისა დედაჲ იყო არქისი“ 9 r (-S).

2. წინადადებაში ერთი და იმავე სიტყვების გამეორება აზრის უფრო მკვეთრად გამოხატვისათვის:

„თხოზასა ვითხოზ მამისა ჩემისასა, რომელი წიგნთაგან ვიცი კითხვით და მამისა ჩემისაგან თხოზილსა“ 467 a.

„მოწერა... ვითარმედ იგივე ყრმაჲ, რომლისა სპარსთა მეფენი მოსრულ იყვნეს ძღუნითა, იგი ყრმაჲ გან-სამშ-ზრდილ არს“ 458 a.

„დედასა მისსა ვითარცა ესმა ჳმაჲ, ოდეს პასანიკმან ჯაზა სამ-შჳულსა დასცა კუერი მჳედლისაჲ იშ-მს, აჳა ესმა ჳმაჲ და იკრჩხილნა მწარედ დედაკაცმან მან“ 469b.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული რიგის სამივე წინადადება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“-ს ერთსა და იმავე თავში (თავი ჳ რომელი აღწერა დედაკაცმან ჰურიამან, სახელით სიღონია, ასულმან აბიათარ მღვდელისამან) შეგვხვდა.

3. რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ წინადადებაში წევრ-კავშირთან ერთად (რომელი) რამდენიმე შემთხვევაში ნახმარია იმავე ფუნქციის მქონე სხვა ნაცვალსახელიც:

1) „იყო მის თანა (იგულისხმება: რიფსიმესა და გაიანესთან—ც. ქ.) ნინო, რომლისა საქმშ მისი გამოიძია ჰელენე დედოფალმან,“ 437 b.

ქელიშური რედაქციის შესატყვის წინადადებაში ხაზგასმული მისი არ დასტურდება: „სახელი მისი ნინო, რომლისა საქმე გამოიძია ელენე დედოფალსა“.



2) „განკურნა (ნინომ ნანა დედოფალი,—(ქ.ქ.) ლოცვითა მისითა სენისა მისგან მძიმისა, რომლისა გელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნება მისი“ 471b).

შდრ. C-ში: „განკურნა სენისა მისგან მძიმისა, რომელი გელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებად მისსა“.

3) „ლირს ვიქმენ ზიარებად ქეშმარიტსა გორცსა და სისხლსა კრავისა მის ღმრთისასა, სოფლისა ცოდვისათჳს შეწირულისა, რომლისა ტპბილ არს მისი გემოჲს ხილვაჲ“ 483b) SC.

4) „მეჩუნა მე მშტ მბრწყინვალტ, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს ოქე“ 496 a SC.

5) „მოვკჳუეთე მე ხშ იგი და შევექმენ მისგან სამნი ჯუარნი: ერთი ესე, რომელი ზეცით იყო სასწაული მისი“ 497 a.

C-ში: „შევექმენ ჯუარი სამი: ერთი, რომლისა ზეცით იყო სასწაული მისი, რომელი ენისაგან კაცობრივისა ვერ შემძლებელ არს თქუმად დიდებასა მისსა“.

ქელიშური ტექსტიდან მოტანილ ამ წინადადებაში ჩვენთვის საინტერესო ფაქტს ორჯერა აქვს ადგილი.

ამგვარი შედგენილობის წინადადებები სხვა ორიგინალურ ძეგლებში არ შეგვხვებდრია, თარგმანებში კი ხშირია.

ეს სინტაქსური ფაქტი პირველად პროფ. ილია აბულაძემ შენიშნა და მიუთითა კიდევ მის არაქართულობაზე<sup>59</sup>.

1957 წ. ბელგიელმა მეცნიერმა ჟერარ გარიტმა გამოაქვეყნა სვიმონ ნესეკეტისა და ეფრემ ასურის ცხოვრებები<sup>60</sup>, აღნიშნული ძეგლები მან სირიულიდან თარგმნილად მიიჩნია, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მაგალითების მსგავსი ნიმუშები კი სირიისზემბად ჩათვალა<sup>61</sup>.

სემიტური ენებისათვის და მათ შორის სირიულისთვისაც დამახასიათებელია მიმართებითი ნაცვალსახელის უბრუნველობა. მის ბრუნვას წინადადებაში განსაზღვრავს ე. წ. ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი, რომელიც ყოველთვის ახლავს მიმართებით ნაცვალსახელს. თარგმნის დროს ზოგჯერ ისე ხდება, რომ მიმართებით ნაცვალსახელსა და ნაცვალსახელოვან ნაწილაკს ორივეს ცალ-ცალკე თარგმნიან, რისი შედეგიცაა თარგმანებში ზემოხსენებულ წინადადებათა მსგავსი წინადადებების გაჩენა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში ამგვარი სირიისზემების არსებობა დამაფიქრებელია.

1900 წელს კონიბერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ წმიდა ნინოს შესახებ ნამდვილი აქტები თავდაპირველად ასურულ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილიო. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მან მოიყვანა შემდეგი საბუთები:

1. ავტორს გამოყენებული აქვს ასურული მასალები,

2. ძეგლში მოტანილია მთელი წინადადება ასურულ ენაზე,

<sup>59</sup> ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა. IX—X სს-ში, თბილისი, 1944, გვ. 54.

<sup>60</sup> Vies géorgiennes de S. Syméon Stylite L'ancien et de S. Ephrem, éditées par Gérard Garitte; Corpus scriptorum christianorum orientalium, editum consilio Universitatis Catholicae Americae et Universitatis Catholicae Lovaniensis. Vol. 171. Scriptorum Iberici, toms 7, Louvain, 1957.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 49.

3. სიღონია იწერება როგორც სიღინია, სიღუნია, სიღონია, რაც იქიდან წარმოდგება, რომ ასურულ წერაში ხმოვნები გრაფიკულად არ აღინიშნებიან.

4. ძეგლში რამდენჯერმე ხმარებული ნეაფორი/მეაფორი უდრის ბერძნულ *νεω-αργος*-ს, აღნიშნულ სიტყვაში კ შეცვლილია ფ-დ სირიულ ნიადავზე ამ ორი ასოს ერთმანეთში არევის გამო<sup>62</sup>.

აღნიშნული საბუთების მიხედვით ნინოს აქტების სირიულიდან მომდინარეობა ვერ დამტკიცდება:

1. ამა თუ იმ ენაზე მასალების გამოყენება არ ნიშნავს, რომ მწერალი მაინც და მაინც იმ ენაზე წერს, რომელზედაც მასალებს ეცნობა.

2. ძეგლში სირიული წინადადების გვერდით მოტანილია საკმაოდ მონაწილე ფრაზა სპარსულად, რაც სრულიადაც არ მიუთითებს ნინოს აქტების თავდაპირველ სპარსულობაზე.

3. სიღონია სახელი მხოლოდ ერთგან გვხვდება სიღუნია სახით, ისიც ჭელიშურ რედაქციაში. ჭელიშური რედაქციის ტექსტი ორთოგრაფიულად ძალზე გაუმართავია, იქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სიტყვები *ო-ს* ნაცვლად უ დაწერილობით და პირიქით, ასე რომ სირიული დაწერილობის თავისებურება აქ არაფერ შუაშია.

4. დასასრულ, კ-ს ფ-ში აღრევა და *νεω-αργος*-იდან ნეაფორი-ს მიღება ადვილი დასაშვებია, რომ მომხდარიყო სხვა დროს, სხვა შემთხვევაში და ჩვენს ავტორს გამოეყენებინა უკვე ცვლილი და ხმარებაში დამკვიდრებული სიტყვა.

ნინოს აქტების სირიულიდან თარგმნის ამ საბუთების უგულვებლყოფის მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ე. წ. სინტაქსური სირიიზმები გვაფიქრებინებენ, რომ ძეგლის ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა სირიული თუ არა, სირიულიდან თარგმნილი გარკვეული წყაროები მაინც.

მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვისა და წინადადების წვერთა გამეორების მოყვანილი ნიშნებიც აგრეთვე შეიძლება შედეგი იყოს იმ უცხოური წყაროების ენის გავლენისა, რომლებიც ხელთ ჰქონდა ავტორს.

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

К ВОПРОСУ ТЕКСТА И ЯЗЫКА

„ОБРАЩЕНИЯ КАРТЛИ“

Резюме

„Обращение Картли“ памятник IX века. Текст упомянутого произведения характеризуется особенностями грузинского языка данной эпохи. Он содержит много интересного для изучения языковых норм классического грузинского языка.

В тексте „Обращения картли“ встречается ряд синтаксических особенностей, которыми он отличается от других памятников древнегрузинского языка. Так как эти особенности характерны для сирийского языка, можно заключить, что некоторые источники этого памятника сирийского происхождения.

<sup>62</sup> კონიბერის მოსაზრება დამოწმებულია კ. კეკელიძის წიგნიდან: ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი I, თბილისი, 1951, გვ. 195.

ცნობილი მუხრანის

### აღმოსავლეთის ავსტრალიის ცხოვრების ქართული მხარე

ძველი აღმოსავლეთის ავსტრალიის მიეკუთვნება თქმულება, რომელსაც ეწოდება „საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსვლისა“. ამ ავსტრალიის მოთხრობილია ღვთის მიერ ადამისა და ევასი სამოთხიდან გამოძევებაზე, მათ გამოძევებასა და სიკვდილზე.

ადამ და ევასი ზემოხსენებული ავსტრალიის შენახულია ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 153, H ფონდის №№ 433 და 881, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის № 128 და საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის № 186 ხელნაწერებში.

A—153 ხელნაწერი მე-17 საუკუნის ნუსხახუცურით გადაწერილ ძველს წარმოადგენს, ჩვენს ტექსტს მასში უჭირავს 1—54 გვერდები, ქუთაისის ხელნაწერი დათარიღებულია მე-15—16 საუკუნეებით, თუმცა იგი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მე-17 საუკუნეზე აღრინდელი არ უნდა იყოს. ადამის ავსტრალიის აქ უჭირავს გვერდები 1—23, დანარჩენი სამი მე-19 საუკუნის მხედრული ხელით გადაწერილი ხელნაწერებია. ადამ და ევასი ავსტრალიის პირველში მოთავსებულია 1r—23r, მეორეში 1r—16r, მესამეში 1—10 გვერდებზე<sup>1</sup>.

ხუთივე ხელნაწერში ტექსტის ბოლოს გაკეთებულია მინაწერი: „ამა წიგნსა ეწოდების ბერძულად ავსტროთა, რომელ არს სამოდროთა კითხვა და არა ყოვლისა ერისა საამჯნო ყოფა, უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა რჯულის კანონი“.

მთარგმნელისეულია ამ მინაწერის ტექსტი, თუ ვინმე გადამწერს ეკუთვნის, ცნობილი არაა. იგი საყურადღებოა სხვა მხრივ, სახელდობრ, რომ „საკითხავი ადამ და ევასი“ ძველადვე მიჩნეული ყოფილა ავსტრალიულ ძველად. აქვეა მოცემული იმდროინდელი თვალსაზრისის ავსტრალიულ ძველებზე, რომ ისინი საკითხავად ყველასათვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ „მეცნიერთათვის“, რომელთაც შეეძლოთ გარკვეულიყვნენ ავსტრალიულ ნაწარმოებებში.

ჩვენი ძველის, როგორც ავსტრალიის, შესახებ ლიტერატურული ცნობაც არსებობს. ამ ძველს იხსენიებს მე-10—11 საუკუნეების ცნობილი ქართველი მოღვაწე ექვთიმე ათონელი წერილში, რომელიც მას ათონიდან გამოუგზავნია საქართველოში ერთ-ერთი პირის შეკითხვის პასუხად. ამ წერილში ექვთიმე ჩამოთვლის ავსტრალიულ ნაწარმოებებს, რომელთაც კანონიკური ეკლესია არ

<sup>1</sup> გამოცემისათვის გამოვიყენეთ პირველი ოთხი ხელნაწერი, ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი გარდა იმისა, რომ ყველაზე გვიანდელია, ტექსტის გასამართავად საინტერესოსაც არაფერს იძლევა.

შეიწყნარებს<sup>2</sup>. ერთ-ერთ, ეკლესიისათვის ასეთ შეუწყნარებელ, ნაწარმოებად წერილის ავტორი ასახელებს „ადამის ცხოვრებასაც“<sup>3</sup>.

ხემოსხენებული ხელნაწერების გარდა დაიდებნა აგრეთვე მე-17 საუკუნის მხედრულით გადაწერილი ერთი ხელნაწერი—ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 5175. იგი შეიცავს ადამ და ევას აპოკრიფის ფრაგმენტებს. ხელნაწერი შედგება რვა ერთმანეთს მოცილებული ფურცლისაგან; პირველი და მესამე ფურცელი წარმოადგენს განსხვავებულ ქალაქს და განსხვავებულ (ოლონდ იმავე დროის) ხელითაა ნაწერი. ეტყობა, თავის დროზე ამ ფურცლებით ჩვენი ტექსტის დაკლებული ადგილები შეუვსიათ.

S—5175 ხელნაწერში ტექსტი იწყება შემდეგი ადგილით: კანის მიერ აბელის მოკვლის შემდეგ ადამს და ევას რომ შეეძინათ სეთი (იხ. გვ. 115). იგი წყდება იმ ადგილას, სადაც ადამის სიკვდილის შემდეგ ევასა და სეთის გამოცხადათ ჩვენება: ადამი ზღვდომი ოქროს ეტლზე და ანგელოზები ევედრებიან უფალს—„შეიწყალე პირველი დაბადებულიო“ (იხ. გვ. 131). ტექსტს შეგინთაც აკლია მე-3 და მე-4 ფურცლებს შორის ერთი ფურცლის შემცველი ტექსტი. როგორც სომხურ და ბერძნულ ტექსტებთან შედარებამ გვიჩვენა, დაკლებულ ფურცელზე უნდა ყოფილიყო გველისაგან ევას ცთუნების ეპიზოდი.

„ადამის ცხოვრების“ S—5175 ნომრით მოღწეული ფრაგმენტების შესახებ პირველ რიგში შემდეგი საკითხი დაისვა: რა ხელნაწერს ეკუთვნოდა აღნიშნული ფრაგმენტები? უფრო ზუსტად, შეიცავდა ამ ფრაგმენტების შემცველი ხელნაწერი სხვა ნეგლებსაც თუ მასში მხოლოდ „ადამის ცხოვრება“ იყო წარმოდგენილი?

ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიიქცია მინაწერებმა, რომლებიც გაკეთებულია მეოთხე ფურცლის რექტოზე კალიგრაფიული ხელით: „ამის მთქმელს გაჩაღხვა ნდომია და მწერელს გაკოპიტება, რომანოზ ცოდვილმან წავიკითხე ბოლომდის“ და ქვემო აშიაზე იმავე ხელითა და მეღნიით: „მთიული ვიკავ და ამაშიგაც ხშირად სწერია მთიულეთი“.

ამგვარად, წიგნში, რომელიც „რომანოზ ცოდვილს“ „ბოლომდის“ წაუკითხავს, მხოლოდ „ადამის ცხოვრება“ არ იგულისხმება, რადგან მინაწერის ავტორი გარკვევით აცხადებს „ამაშიგაც ხშირად სწერია მთიულეთიო“, „ადამის ცხოვრებაში“ კი მთიულეთის ხსენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ცხადია, ამ ხელნაწერში „ადამის ცხოვრებასთან“ ერთად არსებული კიდევ სხვა ნაწარმოები და მასში მთიულეთზე ყოფილა საუბარი.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ნაწარმოები?

S—5175 ხელნაწერი, როგორც დ. კარიჭაშვილი მიუთითებს, გადაწერილია მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელით. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებასთან“ ამ ფრაგმენტებს საერთო აქვს აგრეთვე: 1. ქალაქის ხარისხი, 2. ზომა ქალაქისა: „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერში ბოლო ფურცლები მოკლე ყოფილა და ისინი ხელნაწერის ზომაზე დაუგრძელებიათ, ამგვარადვეა დაგრძელებული ჩვენი ფრაგმენტების ფურცლებიც, 3. „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ბოლო ნაწილში ზოგან დარჩენილია

<sup>2</sup> წერილი ორი რედაქციითაა ჩვენამდე მოღწეული, ერთი გამოცემული აქვს საბინის: საქართველოს სამოთხე, გვ. 432—436, მეორე თ. ქორდანიას: ქრონიკები, II, გვ. 82—83.

<sup>3</sup> ამ სათაურითაა ცნობილი აღნიშნული აპოკრიფი ლათინურ ენაზეც.

სომხური გვერდობლივი პაგინაცია (იხ. გვ. 335v, 336r, 343v, 344r, 351v, 352r...), რაც S—5175 ხელნაწერის ორ ფურცელსაც აღმოაჩნდა (იხ. გვ. 2v, 4r). ხსენებული პაგინაცია გაკეთებული ჩანს მანამდე, ვიდრე „ქართლის ცხოვრების“ ან ადამის აპოკრიფის ტექსტებს გადაწერდნენ. ეს ნიშნავს, რომ გადაწერს ორივე ტექსტისათვის ქალაქშიც ერთი წყაროდან მიუღია. 4. ქართლის ცხოვრების ხელნაწერში ერთგან (გვ. 360) გვაქვს მინაწერი: „სიყრმისა ჯელით წერილი სიბერეს ნახეთ სადა რა, რომანოზ ცოდვილი“. იგი გარდა იმისა, რომ იმავე რომანოზ ცოდვილს ეკუთვნის, შესრულებული ჩანს ჩვენი ფრაგმენტების ხსენებულ მინაწერებთან ერთდროულად, ერთი მეღნითა და კალიგრაფიით<sup>4</sup>.

ყოველივე ეს ექვს ბაღებს, ხომ არ იყო ოდესმე „ადამის ცხოვრების“ ტექსტი მარიაამისეულ ქართლის ცხოვრებასთან ერთად ერთ ხელნაწერში შეკინძული და რომანოზ ცოდვილის მინაწერიც—„ამაშიგაც ხშირად სწერია მთიულეთითო“—ხომ არ გულისხმობს სწორედ ქართლის ცხოვრებაში მთიულეთის არაერთგზის მოხსენიების ფაქტს?

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა შემდეგიც: ადამის აპოკრიფი ჩვენი ფრაგმენტების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხუთ ხელნაწერშია წარმოდგენილი. ხუთივეგან მის მომდევნოდ დასტურდება მეორე აპოკრიფი: „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთჳს, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცვალება ნათესავთა, ვითარ ვპოვეთ ნათესაობა ქრისტესი ჯორციოთა, ვითარ წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა ადამისითგან ყოველთა მამათა ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღმრთისა ჩუენისა. პირველად ხოლო ესე თარგმანი წმიდამან მამამან ჩუენმან ეფრემ, შობა მამათითაგართა ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე მაცხოვრისა და ღისა“<sup>5</sup>.

ცალ-ცალკე ეს ორი ძეგლი შეგვხვდა მხოლოდ ერთხელ და ისიც—პირველი ზემოხსენებული ფრაგმენტების სახით, მეორე კი სწორედ მარიაამისეულ ხელნაწერში.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ დაწყებას ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის ამბების შემცველი აპოკრიფით გარკვეული დანიშნულება ჰქონდა—სახელდობრ, ეჩვენებინა, რომ საქართველოს ისტორია არის ნაწილი მსოფლიო ისტორიისა<sup>6</sup>.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მარიაამისეული ქართლის ცხოვრება ეფრემია აღნიშნული აპოკრიფით დაიწყეს. რაკი ადამის აპოკრიფიც ქვეყნისა და პირველი ადამიანების გაჩენის ამბებს მოგვითხრობს და თანაც გაცილებით უფრო ვრცლად, ამიტომ სრულიადაც არ იქნებოდა მოულოდნელი, თუ ქართლის ცხოვრების ტექსტს ამ ძეგლსაც დაურთავდნენ.

დასასრულ, კიდევ ერთი ფაქტი: ადამის აპოკრიფის ეს ფრაგმენტები რომ უფრო ფართო მკითხველისათვის გამიზნული ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი სასულიერო ნაწარმოებთა კრებულებია, ამაზე ისიც მი-

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ რომანოზ ცოდვილის (=რომანოზ არაგვის ერისთავი) მინაწერები ბევრ ხელნაწერში მოიპოვება, მაგრამ ამგვარი კალიგრაფიით ნაწერი არსად არ შეგვხვედრია.

<sup>5</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 012.

უთითებს, რომ ისინი გადაწერილია მხედრული ხელით. მხედრული ხელით კი მე-17 საუკუნეში სასულიერო ნაწარმოებები იშვიათად იწერებოდა.

ადამის აპოკრიფი თუ ოდესმე მართლა წარმოადგენდა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის შემადგენელ ნაწილს (რის დამამტკიცებელ საბუთებსაც კიდევ უნდა დამძენა), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამის აპოკრიფი გადაუწერიათ და დაურთავეთ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერისათვის ბოლოს. ამის მანიშნებელია, ჯერ ერთი, ის, რომ ჩვენს ფრაგმენტებთან საერთო ნიშანი—სომხური ასოებით პაგინირებული და ხელნაწერის ზომაზე დაგრძელებული ფურცლები—ქართლის ცხოვრების ხელნაწერს ბოლოში მოეპოვება, მეორეც, მინაწერს „წავიკითხე ბოლომდისო“ ხელნაწერებს ჩვეულებრივ ბოლოს ურთავენენ.

\* \*  
\*

S—5175 ხელნაწერის ტექსტის ადამის აპოკრიფის ცნობილ რედაქციასთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ფრაგმენტების სახით საქმე გვაქვს ადამის აპოკრიფის დღემდე უცნობ რედაქციასთან (A—153 და მისი მიმდგომი ხელნაწერების ტექსტებით წარმოდგენილი რედაქცია აღენიშნეთ C ასოთი, S—5175 ხელნაწერით წარმოდგენილი რედაქცია კი 4-თი).

S—5175 ხელნაწერს რამდენიმე ადგილი მოეპოვება მეტი A—153 ხელნაწერის ტექსტთან შედარებით, ასე მაგ.: ერთგან, სადაც ეშმაკი ურჩევს გველს, რომ მოეხმაროს ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევებაში, ნათქვამია: „მოვედ და ისმინე ჩემი, რაჯთა გამოვჯადო გარეშე ზღუდესა სამოთხისასა“. ეს ფრაზა C რედაქციაში პირდაპირ გრძელდება: „შთაეცუა გუელსა მას ეშმაკი, შთამოჰკიდა თავი თჳსი ზღუდესა მას სამოთხისასა, ღაღადყო და თქუა“... და ა. შ. 4 რედაქციაში კი ამ ორ ფრაზას შორის საკმაო მოცულობის ტექსტია ჩართული (იხ. ტექსტი გვ. 121).

ევას მიერ აკრძალული ხის ნაყოფის შეჭმა, მისგან ადამის შეცდენა, და ღვთის გამოჩენა სამოთხეში, ამ უკანასკნელის მიერ ადამის მიწოდებამდე C რედაქციაში ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული: (გუელმა) „მცა ხისა მისგან და ვჰამე და ვეც მამასა თქუენსა და ვცანთ, რამეთუ შიშუელ ვართ. და იყო რაჟამს მოვიდა ღმერთი სამოთხედ, დავემალენით პირისაგან უფლისა, რამეთუ შეგუემოსა ორთავე ფურცელი ლელჯსაჲ და უწოდა ღმერთმან ადამს“... 4 რედაქციაში კი ვრცლადაა მოთხრობილი ამ ნაყოფის შეჭმის შემდეგ ევას წუხილსა და შიშზე, მის მიერ ადამის შეცდენასა და სამოთხეში ღვთის გამოჩენაზე (იხ. ტექსტი გვ. 124). აგრეთვე, როდესაც ღმერთმა შეიტყო ადამისა და ევას შეცდენის ამბავი და გველის დანაშაული ამ საქმეში, მან C რედაქციის მიხედვით მხოლოდ გველი დაწყევლა, 4 რედაქციაში კი იგი სამივეს ცალ-ცალკე წყევლის (იხ. ტექსტი გვ. 125—126).

თავის მხრივ C რედაქციას 4-სთან შედარებით მეტი აქვს ადამის მიერ ევასა და აბელის სამოთხეში გაგზავნის ეპიზოდი, ადამი რომ სთხოვს მათ სამოთხეში წასვლას, 4 რედაქციაში მხოლოდ ესაა ნათქვამი, მაგრამ წასვლის ამბავი არ არის მოთხრობილი (იხ. ტექსტი გვ. 118—119).

არის ისეთი ადგილებიც, სადაც ერთი და იგივე ამბავი C რედაქციაში შეკუმშულადაა წარმოდგენილი, 4 რედაქციაში კი ვრცლად (იხ. გვ. 125 და 4 რედაქციის ტექსტი პარალელურად), ანდა პირიქით.



საკითხის გასარკვევად, თუ როგორია ეს ორი რედაქცია და რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის, აუცილებელი გახდა მათი შედარება ბერძნულ და სომხურ ტექსტებთან. სომხურად ეს ძველი სახელწოდებით *Գիրք Ադամայ* (წიგნი ადამისა) გამოცემულია კრებულში: *Թանգարան հին և նոր ნაխնასայ, Ա. Աნխანიანი գիրք հին կուთხარანայ, Վ. სხნასիქ Ս. Կապար, 1896*, გვ. 1—23. (კრებული გამოცემულია ვენეციაში დაცული სომხური ხელნაწერების მიხედვით), ბერძნულ ენაზე კი აღნიშნულ აპოკრიფს სათაურით *Apocalypsis Mosis* გავეცანით ტომენდორფის გამოცემის მიხედვით წიგნში *Apocalypses apocryphae* (გვ. 1—23).

ქართული თარგმანის დღემდე ცნობილი რედაქციის მიმართება ბერძნულთან გაარკვია აკად. კ. კეკელიძემ. მისი დახასიათებით: „ქართული თარგმანი წარმოადგენს შეზავებულ რედაქციას, რომელსაც საფუძვლად უდევს ტომენდორფის ბერძნული და ზეიერის ლათინური რეცენზია“<sup>6</sup>.

ბერძნული რედაქცია იწყება კენისა და აბელის გაჩენით, მთელი წინა ნაწილი ქართული ტექსტისა (იხ. გვ. 109—114) მასში არ დასტურდება. ამას გარდა ზოგიერთი ფაქტი თვით ტექსტის შიგნითაც ბერძნულში სხვაგვარადაა წარმოდგენილი და ქართულში სხვაგვარად; მაგ.: კენის მიერ აბელის მოკვლის შესახებ მოთხრობილია როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ტექსტში, მკვლელობის სურათი კი მხოლოდ ქართულ ტექსტშია აღწერილი (იხ. გვ. 115), ევას მოთხრობა გველისაგან მის შეცდენასა და ღმრთის სამოთხეში გამოჩენაზე ქართულთან შედარებით გაცილებით ვრცელადაა წარმოდგენილი ბერძნულში და სხვ.

ადამის აპოკრიფის სომხური ტექსტი ერთი რედაქციისა აღმოჩნდა ბერძნულთან, ასე რომ იმ სხვაობებს, რომლებიც არსებობს ქართულ და ბერძნულ რედაქციებს შორის, ადგილი აქვს ქართულსა და სომხურს შორისაც.

რაც შეეხება ქართული თარგმანის **4** რედაქციის ტექსტს, მისმა შედარებამ ბერძნულსა და სომხურთან საგულისხმო შედეგი მოგვცა: ყველა ის ადგილი, რომელიც **2** რედაქციაში ბერძნულისა და სომხურისაგან სხვაობს, **4** რედაქციაში სწორედ ისეა, როგორც ბერძნულსა და სომხურში: ასე მაგალითად: 1. კენის მიერ აბელის მოკვლის სურათი ბერძნულისა და სომხურის მსგავსად არც **4** რედაქციის ტექსტშია აღწერილი, 2. ეშმაკისაგან გველის ცოუნების ამბავი და ევას ზემოხსენებული მოთხრობა გველისაგან მის შეცდენასა და ღმრთის სამოთხეში გამოჩენაზე ისევე ვრცელია **4** რედაქციაში, როგორც ბერძნულსა და სომხურში, 3. აკრძალული ხის ნაყოფის შეჭმის გამო **4** რედაქციის მიხედვით ღმერთი რომ ადამს, ევას და გველს ცალ-ცალკე სწყევლის, ესეც აგრეთვე ბერძნულ და სომხურ ტექსტებში პოულობს შესატყვისს.

თუმცა შევხვდით საწინააღმდეგო ფაქტსაც—ევასა და სეთის წასვლა სამოთხის კარს ღმრთისაგან შეწყალების სათხოვნელად (იხ. გვ. 118—119) ბერძნულ და სომხურ ტექსტებთან ერთად წარმოდგენილია ქართული ტექსტის **2** რედაქციაში, და არ არის იგი **4**-ში.

რა მიმართებაშია **4** რედაქციის ტექსტი **2** რედაქციასთან?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **4** რედაქციის ტექსტი ჩვენამდე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, აკლია თავშიც, ბოლოშიც და შუაშიც, ამიტომ მისი

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 408—409.

თავდაპირველი მოცულობისა და შედგენილობის გარკვევა ჩვენთვის ცნელი გახდა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით იგი თითქოს ბერძნული და სომხური ტექსტებით წარმოდგენილი რედაქციის მიმყოლი ჩანს, მაგრამ **Σ** რედაქციის ტექსტთან მისი შედარება უფრო სხვა შთაბეჭდილებას ქმნის: სახელდობრ, რაც ამ ორ რედაქციას განასხვავებს, ეს ისაა, რომ ან ერთს აქვს გარკვეული ეპიზოდი მეტი, ან მეორეს, საერთო ნაწილში კი მათი სხვაობა ვარიანტულ სხვაობამდე დაიყვანება.

ამავე დროს ორივე რედაქციაში დაიძებნა ისეთი საერთო ფაქტები, რაც სხვადასხვა მთარგმნელს, თუ, მით უმეტეს, ისინი სხვადასხვა რედაქციის ტექსტებს თარგმნიდნენ, ცნელი წარმოსადგენია, რომ ერთნაირად გადმოვილოთ:

1. სიტყვა „ჭუვილი“ ძველ ქართულში „წუხილი“-ს (= შეწუხება, დაწუხება) სინონიმი, ოღონდ ტექსტებში იგი გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე „წუხილი“. ადამ და ევას აპოკრიფში კი სწორედ „ჭუვილია“ ნახმარი, თანაც ორივე რედაქციაში ერთმანეთის პარალელურად: „გულმან გითქუა და სჭუვი მისთჳ“ გვ. 116; „დასცხრეს ჭუვილი შენი“ (იქვე), „დასცხრე ჭუვილი სიგან შენისა“ და სხვ.

2. დღევანდელ ჭურჭელს ძველ ქართულში აღნიშნავდა სიტყვები: ჭურჭელი და ჭური, ზოგ ძველში ერთია ნახმარი, ზოგში მეორე; მაგალითად, ოთხთავში მხოლოდ ჭურჭელი დასტურდება, „ფსალმუნში“ კი ჭური. ადამის აპოკრიფის როგორც **Σ**, ისე **Φ** რედაქციაში ამ მნიშვნელობით მხოლოდ ჭური შეგვხვდა: „არა დამიტეოს მე უფალმან, არამედ მოიძიოს ჭური, რომელი შექმნა“ (გვ. 129, 1).

3. ერთგან ნათქვამია: „მოვიდა მიქაელ ანგელოზი კაცებისა“, ე. ი. მიქაელ ანგელოზმა კაცის სახე მიიღო (სომხური: *մարդկայն տեսկամք* კაცობრივი სახით). „კაცებისა“ ცუდი გამოხატვაა იმ შინაარსისა, რაც მასში იგულისხმება, მაგრამ იგი ორივე რედაქციაში ერთნაირად დასტურდება.

4. ერთგან, აგრეთვე ორივე რედაქციაში, შეგვხვდა ასეთი წინადადება: „ევა... იხილნა ეტლნი ცეცხლისანი და ნათელი აღმავალი ოთხთა ზედა“ 129, 40. სომხური და ბერძნული ტექსტების მოშველიებით გაირკვა, რომ აქ სიტყვა „ქართა“ ყოფილა გამოჩენილი (უნდა ყოფილიყო „აღმავალი ოთხთა ქართა ზედა“).

5. ორჯერ მე-3 პირით მიმდინარე თხრობაში უადგილო ადგილას ჩართულია თხრობა პირველი პირით („იხილა ევა“ ამის ნაცვლად: „ვიხილე მე ევა“), იგი სათარგმნი ტექსტიდან მომდინარე ჩანს, დასტურდება კი აპოკრიფის ორივე რედაქციაში.

ამგვარად, ამ ორი რედაქციის ურთიერთმიმართების შესახებ შეიძლება დავასკვნათ: ადამის აპოკრიფის აღნიშნულ რედაქციებს საფუძვლად უნდა დასდებოდნენ ერთი საერთო ქართული რედაქცია, რომელიც ალბათ ერთმა რედაქტორმა იმგვარად შეცვალა, რასახითაცაა იგი წარმოდგენილი **Σ** რედაქციაში, მეორემ კი იმგვარად, რასახეც აქვს მას **Φ** რედაქციაში.

ამგვარი დასკვნის გამოტანის სასარგებლოდ ის ფაქტიც ლაპარაკობს, რომ რედაქტირების კვალი გარკვევით ემჩნევა **Σ** რედაქციის ტექსტს: როდესაც ღმერთმა შეიტყო, რომ ადამი ევასაგან იცოუნა, ხოლო ევა გველისაგან, იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **Σ** რედაქციის მიხედვით მხოლოდ გველს

სწყევლის, და წყევლას ამგვარად იწყებს: „წარწყმდი შენცა და წყევლ იყავ“... წინადადების „შენცა“-თი დაწყება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც „შენცა“-მდე ვინმე „შენ“-ითაა მოხსენიებული, ასეთებად 9. რედაქციის მიხედვით ადამი და ევა ჩანს, რედაქტორმა ტექსტიდან ამოიღო მათი წყევლა, მაგრამ ამ წყევლის არსებობაზე დატოვა მინიშნება გველის წყევლის „შენცა“-თი დაწყებით.

\* \* \*

რომელი ენიდანაა თარგმნილი ადამის აპოკრიფი?

აკად. კ. კეკელიძე ამ ძეგლს სომხურიდან თარგმნილად ვარაუდობს. აღნიშნული ვარაუდი ემყარება შემდეგ საბუთს: „ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ის (ქართული ტექსტი, —ც. ქ.) უახლოვდება სომხურ ვერსიას, იმ ადგილებში, რომლებშიაც ის განსხვავდება ბერძნულ-ლათინური რედაქციებისაგან“<sup>7</sup>. ამ ვარაუდს უნდა უჭერდეს მხარს ერთი დეტალიც, რომელიც ქართულ-სომხური ტექსტების შედარებისას შეინიშნა.

ტექსტის ბოლოს თხრობა ჩვეულებრივ მე-3 პირში მიმდინარეობს: „ევა, ვითარცა აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და იხილნა ეტლნი ცეცხლისანი და ნათელი აღმავალი ოთხთა [ქართა] ზედა, ეგრე ბრწყინვალე იყვნეს, ვითარცა ვერარაჲ ემსგავსების თქუმად“ და ა. შ. III პირით მოთხრობილ ამ კონტექსტში ჩართულია: „და ვიხილე მე ევა სასაკუმეფლე სამი ოქროასაჲ და სამნი ანგელოზნი მოვიდეს სწრაფით საკურთხეველსა ზედა“... შემდეგ კვლავ გადადის თხრობა III პირში, და ცოტა ქვევით კონტექსტთან კავშირის გარეშე ისევ პირველი პირით იწყება: „ვიხილენ მე ევა, ორნი ნათელნი დიდნი, შიშათ დაღემულნი წინაშე მისსა, და ვტიროდე და ვარქუ ძესა ჩემსა სეითს: აღდეგ გუამისაგან მამისა შენისა და მოვედ ჩენდა და იხილე, რომელი თუალთა შენთა არა უხილავს ადამისთჳს მამისა შენისა“, თხრობა გადადის ისევ მე-3 პირში: „მაშინ აღდგა სეით და მივიდა ევაჲსა“...

ტექსტის ამგვარი გაბუნდოვნება, ავტორის თხრობაში უაღვლილ ადგილას ჩართვა I პირში მიმდინარე თხრობისა, ჩვენთვის აუხსნელია. ეს გაუგებრობა, შესაძლოა მოდიოდეს სომხური ტექსტიდან, სადაც შესატყვისად გვაქვს ერთ შემთხვევაში: *ახიანქრ ხკ კოპქაან ისქი* (= იხილა სასაკუმეფლენიცა ოქროასანი), მეორეში: *ახიანქრ ხსა აქ ხსა სქანჯქი სააჲქ საათბიქ* (= იხილა ევა სხუანი ნათელნი წინაშე ღმრთისა).

საფიქრებელია, რომ სომხური *ახიანქრ* (=ხედვიდა, იხილა) ქართველ მთარგმნელს წაეკითხა როგორც *ახიანქრ* (=ხედვიდა, ვიხილე, *რ* სა და *ქ*-ს დაწერილობის აღრევა გრაფიკულ ნიადაგზე ადგილი მოსალოდნელია), I წინადადების *ხკ* (=და კავშირი) კი საფუძველი გამხდარიყო ამ ადგილას *ხსა*-ს (ევა) ამოკითხვისა. ეს ჩვენი ვარაუდია, საერთოდ ამ ფაქტს დაკვირვება ესაჭიროება.

რაც შეეხება საკითხს ძეგლის გადმოთარგმნის დროის შესახებ, მართალია, ეს ძეგლი მე-17 საუკუნეზე უფრო ადრინდელ ხელნაწერებში ვერ გადასატურეთ, მაგრამ იგი რომ მე-10 საუკუნემდე უნდა იყოს თარგმნილი, ამაზე მიუთითებს მისი ენობრივი და ლექსიკური თავისებურებები.

<sup>7</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, 1951, გვ. 409.



აღსანიშნავია, რომ ძეგლის ორთოგრაფიული თვალსაზრისით განხილვა ამ მხრივ საინტერესოს არაფერს გვაძლევს, რადგან გვიანდელ ხელნაწერებში ძველი ორთოგრაფიის დაცვა არცაა მოსალოდნელი.

როგორია კონკრეტულად ადამის აპოკრიფის ენობრივი და ლექსიკური მხარე?

საგულისხმოა, რომ ჩვენს ძეგლს ფონეტიკურად ის სახე აქვს, რაც ადვილი შესაძლოა, მას მე-10 საუკუნემდე გადაწერილ ხელნაწერებშიც ჰქონდა: აქაც იგივე ფონეტიკური პროცესები დასტურდება, რაც ძველი ქართული ენის ძეგლებისთვისაა ჩვეულებრივი:

ასიმილაცია ხ ბგერისა ჯ, ჰ-სთან გვაძლევს შ-ს: შჯული, შჯიდე, შჰამდი (ღ-ში: სჰამდი).

გ უ ლ ი ს ხ მ ი ს-ყ ო ფ ა გვხვდება მხოლოდ ჯარ-ით გულისკმის-ყოფა სახით.

ღ და ღ რედაქციებში ერთმანეთის პარალელურადაა ნახმარი ს უ ლ ნ ე-ლები და ს უ რ ნ ე ლ ე ბ ა, ამ სიტყვის უღისიმილაციო და დისიმილირებული ფორმა. ძველი ქართულისათვის ერთიც ნორმალურია და მეორეც.

ზმნისწინები ძირითადად გაუმარტივებელი სახით, ე. ი. ბოლო თანხმოვნის მოუკვეცლადაა ჩეგლში დაცული:

ა ღ ვ ი დ ო ღ ა (130, 14), ა ღ ი ხ ი ღ ნ ა (129, 37), გ ა ნ გ ჯ ყ ვ ნ ა (120, 16), ა ღ ჭ ღ ი ა ნ (117, 17), გ ა ნ ვ ი დ ე (128, 10), და სხვა. შეგვხვდა თანხმოვანმოკვეცილი ზმნისწინიანი ფორმებიც: გ ა მ დ ი ღ რ ნ ე თ (126, 1), ა ჰ ჭ ღ ა (132, 8).

„მფრინველი“ წარმოადგენს მოქმედებითი გვარის მიმღეობას (მაწარმოებლით მ-ელ), რომელსაც ახალ ქართულში მოკვეცილი აქვს მ- პრეფიქსი. ძველ ქართულში ეს სიტყვა მ ფ რ ი ნ ვ ე ლ ი —სახით იხმარება, მ ფ რ ი ნ ვ ე ლ ი დასტურდება ჩვენს ძეგლშიც: მ ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა გ ა ნ ი (113, 1—2), მ ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა ც ი სა თ ა (129, 16).

გაუმარტივებლად, ა ხ მოენის მოუკვეცლად, იხმარება რიცხვითი სახელები, როგორიცაა: ა თ ო რ მ ე ტ ნ ი (113, 27), ო ც ღ ა ა თ ო თ ხ მ ე ტ ი (110, 7).

დაცულია ე ხ მოვანი შემდეგ რიცხვით სახელებშიც: ო რ მ ე ო ც ღ ღ ე (109, 28), ს ა მ ე ო ც ღ ა თ ი სა ლ მ ო ბ ა (117, 27), ეს ი მ დ რ ო ს, როდესაც ძველი ქართული ენის ძეგლებში მათი ხმოვანდაკარგული ფორმებიც გვხვდება. გვაქვს აგრეთვე: ხ უ თ ა თ ა ს ი (119, 16), მ ე ხ უ თ ა თ ა ს ე ს ა (119, 17).

ღონიან ვნებითი გვარის ზმნებში დს ნსაგან მიღებულად თვლიან: ჯერ ნარნარა ბგერების მეზობლობაში ნ დისიმილაციის გზით უნდა ქცეულიყო დ'დ, შემდეგ კი ანალოგიით ნს დ'დ ქცევა სხვა შემთხვევებშიც უნდა გატარებულიყო. ძველი ქართული ენის ძეგლებში ნარნარა ბგერების მეზობლობაში ნ უკვე ქცეულია დ'დ. არანარნარებთან კი ისევე ნ იხმარება<sup>3</sup>; ასეა ეს ჩვენს ძეგლშიც: ა ღ მ ო ს ც ე ნ დ ა, გ ა ნ ჯ უ რ დ ე თ, მაგრამ: გ ა ნ რ ი ს ხ ნ ა, შ ე ჭ უ ვ ნ ა ((132, 15)), გ ა ნ ჰ ლ ა ღ ნ ე (123, 22), დ ა გ ლ ა ხ ა კ ნ ე თ (125 38), გ ა ნ ს უ ჭ ნ ე თ (126, 1). ერთგან ნარნარა თანხმოვანზე ფუძეგათავებულ ზმნაშიც გვაქვს ნ სუფიქსი: გ ა მ დ ი ღ რ ნ ე თ (126, 1).

ჩა ზმნისწინი მიღებულია შთა ზმნისწინისაგან, ეს ზმნისწინი მხოლოდ შთა-ს სახით გვხვდება ადამის ცხოვრების შემცველ ხელნაწერებში: შ თ ა - ა ს ხ ე ს (130, 12), შ თ ა ე ც უ ა (121, 30), შ თ ა მ ო ჰ კ ი ღ ა (121, 31) და სხვ.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ნასაბელარი ზმნები ქართულში: თსუ მოაზრე, ტ. I, თბილისი, 1919, გვ. 87—96.

მთელ რიგ სიტყვებში თანხმოვნებს შორის უმარცვლო უ დაიკარგა; ძველ ქართულშივე ერთმანეთის გვერდით გვხვდება ერთი და იგივე სიტყვები უმარცვლო უნით და მის გარეშე; მათ ამგვარ პარალელურ ხმარებას ჩვენს ძეგლშიც აქვს ადგილი: საკუმეველი (130, 12), სასაკუმეველე (130, 9), ამქუმელი (114,1); მაგრამ: საკმეველ ისაჲ, სასაკმეველე, ამქმელი.

ძეგლის ენის მორფოლოგია და სინტაქსი თითქმის მთლიანად კლასიკური ქართულისაა.

სახელთა ბრუნების თვალსაზრისით „ადამის ცხოვრება“ გვერდით უდგას მე-5—10 საუკ. ძეგლებს.

აღნიშნავთ ზოგ თავისებურებას: ძეგლში ადგილი აქვს წრფელობითი ბრუნვის ხმარებას. იგი ჩვეულებრივ გამოიყენება და აქაც გვხვდება:

ა) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად:

არაწმიდა არიან (110, 13), დავრომილ არიან (131, 11), ქეთილ არს, საცნაურ არს (13, 3) და სხვ.

შედგენილ შემასმენელში სახელობითი ბრუნვის ფორმებიც შეგვხვდა: „(შენ)... ნაყოფიერისა ხისა აღმომეხურელი ხარ და არა დამნერგული, განმამწარებელი ხარ და არა დამატკბობელი“ (114, 5—6).

მაგრამ ასეთი შემთხვევები ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც არც თუ ისე იშვიათად დასტურდება.

ბ) რიცხვით სახელებში, როდესაც ისინი მსაზღვრელად არიან გამოყენებული: ოცდაათ ძე და ოცდაათ ასულ (115, 22—23), სამ ჟამ (131, 31), შეგვხვდა აგრეთვე ოცდაათოთხმეტი დღე (110, 7), სამეოცდაათი საღმობაჲ (117, 27), მაგრამ უჩვეულო ძველი ქართული ენის ძეგლებისათვის არც ესაა.

სახელები მოქმედებით ბრუნვაში ემფატიკური ა-ს გარეშე იხმარება, როდესაც მათ გამოსვლითის ფუნქცია ეკისრებათ, აგრეთვე პარონომაზიის შემთხვევებში.

ჩვენს ძეგლშიც გამოსვლითის ფუნქციით ხმარებისას მოქმედებითი ბრუნვა ემფატიკური ა-ს გარეშეა წარმოდგენილი:

გამოვიდა... სამოთხით (109, 3), გამოვალნ ჳმაჲ პირით შენით (110, 12), სამოსლით (110, 35), საყოფლით ჩუენით (112, 14) და სხვ. პარონომაზიის დროს იგი ა-ს დაირთავს ყოველთვის: ტიროდა (ტირილითა დიდითა) (113, 17), ვალობდა ვალობითა ანგელოზთაჲთა (121, 18), კურთხეულ არს... კურთხევითა (131, 25), სიკუდილითა მოსიკუდილ ვართ (109, 14) და სხვ.

პარონომაზიის დროს ა ემფატიკურის დართვა სხვა ძველ ძეგლებშიცაა შენიშნული და მას მსაზღვრელის დართვით ხსნიან<sup>9</sup>, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ იქ ასეთი მაგალითები კანტიკუნტადაა, ჩვენთან კი მხოლოდ ა ემფატიკურიანი ფორმები დასტურდება.

ძველ ქართულში ცნობილია მიმართულების გამოხატველ ზმნებთან სახელთა ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვის ფორმით ხმარება. ამ ფორმით ვინ ჯგუფის სახელები იხმარება, რა ჯგუფის სახელები მსგავსი

<sup>9</sup> ი. იმნაი შვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 241.



ფუნქციით ხმარებისას მიცემით ბრუნვაშია წარმოდგენილი. აღნიშნული ღია პირისპირება ჩათვლილია როგორც იმ დროის გადნონაშთი, როდესაც ენა განარჩევდა ადამიანისა და ნივთის კატეგორიებს<sup>10</sup>.

ეს წესი ვინ და რა ჯგუფის სახელთა დაპირისპირებისა გატარებულია მე-5—10 საუკ. ქართულში, წესის დაურღვევლად დასტურდება იგი წინამდებარე ძეგლშიც: მიიქვე ქრმისა შენისა (126, 12), მიგაქცო მას მთავრობასა (132, 18). მივედ მამისა შენისა ადამისა (119, 25), მივედ ხესა მას (122, 35) და სხვ.

ძეგლში ადგილი აქვს აგრეთვე ვინ და რა ჯგუფის სახელთა დაპირისპირებას ნათ. და მიც. ბრუნვებში წინაშე, თანა და ზედა თანდებულებთან: წინაშე ღმრთისა (131, 17), ადამის თანა (117, 5), წინაშე საკურთხეველსა (129, 13), დაერდომილსა მას ზედა გუამსა ადამისსა (132, 14) და სხვ.

ცნობილია, რომ ძველ ქართულშივე ადგილი ჰქონდა საკუთარ სახელთა ბრუნების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრების ფაქტებს: საკ. სახელები საზ. სახელთა მსგავსად საზ. ბრუნვაში დაირთავდნენ ი ფორმანტს, მოთხრობითში მან-ს, ირიბ ბრუნვებში კი ა ემვატიკურ ხმოვანს. „ადამის ცხოვრების“ ტექსტში საკუთარ სახელებზე ემვატიკური ა ხმოვნის დართვის შემთხვევები არ შევხვდვართ, ხშირია ი და მან ფორმანტდართული ფორმები: კაენი (114, 4), აბელი (114, 16), ადამი (132, 1), ადამან (120, 28), აბელმან (115, 1), კაენმან (115, 10), ევამან (113, 16) და სხვ.

რაც შეეხება ზმნას:

1. ძველი ქართული ენის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ტემის ჩვენს ძეგლშიც დასტურდება: მი-მცა-ვიდა (113, 2), მო-ოდენ-ვიდა, შე-ცა-უმატო (110, 4) და სხვ.

2. მე-3 სუბ. პირის ნიშანი უწყვეტელსა და აორისტში მრავლობით რიცხვში არის -ეს სუფიქსი: „შევიდეს ორნივე და დაყვეს მუნ ჰკდი დღე“ (109, 5), „ტიროდეს ორნივე“ (იქვე), ფსალმუნებდეს (132, 2), საყვრსა სცემდეს (132, 7).

3. ღება ზმნა რიცხვნაკლია, როდესაც პირდაპირი ობიექტი ახლავს მრავლობით რიცხვში, ამ ზმნას ენაცვლება ხუ მა<sup>11</sup>.

ეს მონაცვლეობა ამ ორი ფუძისა ძვ. ქართულის ნორმის მიხედვითაა გატარებული ჩვენს ძეგლშიც: მიიღეთ საცხებელი (132, 26), მოიხუნეს სამნი არმენკანი (133, 24), მოიხუნეს გუამნი (133, 4) და სხვ.

ძეგლში დასტურდება ისეთი არქაული მწკრივი, როგორცაა აწყყოს ხოლმეობითი, ამწყყოს ხოლმეობითის ფორმები უკუთქმით ბრძანებითშია გამოყენებული: ნურაჲ გქირნ (128, 33), ნუ გამოვალნ (110, 11), ნუ იყოფინ და სხვ.

ძეგლში გვხვდება აგრეთვე II ბრძანებითის მესამე პირის ფორმები: დიყავნ პირი (119, 3), წყუელ იყავნ ქუეყანაჲ (125, 32), მითხრენ-ლა (110, 4) და სხვ.

უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში ზმნათა დაბოლოებები განსხვავებულია, იმის მიხედვით, მწკრივთა ამ წრეში ეს ზმნები დ დაბოლოებას ღებულობენ თუ ოდ-ს. ოდ-იანებს უწყვეტელსა და I ბრძანებითში ე

<sup>10</sup> D. ქართველიძე, ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1960, გვ. 31—43.

<sup>11</sup> ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძვ. ქართულში, 1954, გვ. 239—240.

დაბოლოება მოუდით, I ხოლმეობითსა და I კავშირებითში -ი დაბოლოება. „ადამის ცხოვრების“ ტექსტში ეს წესი გატარებულია, არის დარღვევებიც (ოღ'იანების დონიანებთან გათანაბრების სახით), ოღონდ ძალზე იშვიათად.

უწყვ. არა უწყოდე (117, 8), I ბრძ. ტიროდეთ (118, 7), ხვდოდე (126, 20 ჟ), ო-ში პარალელურად გვაქვს ხვდოდი (ი დაბოლოებით, როგორც დონიანებშია); კავშ. I: „(პირუტყუნი)... გარე-მოვადგენ და მტიროდიან მე“ (110, 22), „რათა იზარდებოდიან“ (109, 26) და სხვ.

II სერიის ფორმებში სახ. ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება:

„მე შეგამთხვენ ჭირნი ესე“ (110, 4), „ადამ დაიძარხნას იტყუჟანი ესე“. ენ/6 გვაქვს აგრეთვე ინ/ენ-იან ვნებითში, როგორც კონვერსიული გარდამავალი ფორმიდან გადმოყოლილი:

მოიწივნეს დღენი (112, 35), განგეხუნენ თულნი (123, 20).

II კავშირებითში ნ-ს შემდეგ (ფუძისეულია ეს ნ თუ ფორმანტიკული) კავშირებითის ნიშანია ე ხმოვანი:

„(ღმერთმან)... მივსნეს მე“ (113, 23), „(უფალმან)... შემიწყნარნეს ჩუენ... შემიყუანნეს ჩუენ“ (109, 10).

ზოგჯერ პირდ. ობიექტის მრავლობითობის ნ ზმნაში წარმოდგენილი არ არის: დამადგინა ჩუენ (113, 36), მოიყვანა იგინი (114, 9) და სხვ. ასეთ შემთხვევებში ნ-ს დაკლება ფუძისეული ნ-ს არსებობით აიხსნება, მსგავსი მაგალითები ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც ხშირია.

ძველია ძეგლში I თურმეობითის წარმოებაც: ადგილებიეს (118, 30), მუცლად-გილებიეს (113, 33), „დამიდგინებთან ქერობინნი“ (127, 27), უკანასკნელი მაგალითის პარალელურად ო-ში გვაქვს „დამიდგინებია ქერობინი“, I თურმეობითის მწკრივში ზნების -ია დაბოლოებით წარმოდგენა ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც არაა იშვიათი.

მომავალ დროს ძველ ქართულში გადმოსცემს კავშირებითის ფორმები და ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი „ყოფნა“ ზმნის აწმყოსთან ერთად. „ადამის ცხოვრების“ ტექსტიც მომავალი დროის გამოსახატავად სწორედ ამ საშუალებებს მიმართავს: არა გშურდეს... აჭამო და სცე“ (123, 29—31), „ოდეს განვიდდე, შევესწირო საკმეველი... ისმინოს ჩემი ღმერთმან“ და: ყოფად არს (122, 19), დატევებად ხარ (127, 20) და დებად ხარ (128, 35).

ძეგლში ჩვეულებრივია ინფინიტივის კატეგორიის გადმოცემა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდართ: „ტირილად იწყო ევა“ (118, 19), „ვერ შეუძლო შემატებად“ (110, 5), „ბრძანა დაცემად საყვრისა“ (132, 5) „მიყოფად ჰელისა... მეშინის“ (123, 5) და სხვ.

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელია აბსოლუტივის კატეგორიის ქონება; იგი ზმნაზე რა || რაე ნაწილაკის დართვით გადმოიცემა, იგი გვხვდება „ადამის ცხოვრების“ წიგნშიც: „ამას რაე ეტყოდა ადამი ძესა თუსსა, სერთს, ღალად-ყო“ (117, 33); რამდენიმე ადგილას რა ნაწილაკი და-თია შეცვლილი, ალბათ, გადამწერის წყალობით: „ესე-ლა ესმა ადამს, ღალად-ყო“. „ესე ღა ესმა, წარვიდეს“ (118, 16).

ძეგლი ხასიათდება ა და მე კითხვითი ნაწილაკების ხშირი ხმარებით: გესმია (113, 18), გაუწყესა (113, 19), „რაე-მე ვყო“ (117, 35), „რად-

მე... მოჰკუდებდა“ (128, 28—29) და სხვ. ეს იმ დროს, როდესაც მე-10 საუკ. შემდეგდროინდელ ძეგლებში ისინი უკვე იშვიათად გვხვდება.

მცა ნაწილაკის ფუნქცია, ზმნის თხრობითი კილოს ფორმას კავშირებითის შინაარსი შესძინოს, ჩვენს ძეგლში შენარჩუნებულია:

„ნეტარ თუმცა მე მოვკუდი და შენ ხოლო შეგიწყყნარა“ (109, 15), „არამცა იხილა მტერმან შენმან შენი“ (132, 17) და სხვ.

რაც შეეხება მსაზღვრელ-საზღვრულის რიგს ჩვენს ძეგლში, ამ მხრივ აქაც იგივე სურათი ვგაქვს, რაც ძველ ძეგლებში: ატრიბუტულ მსაზღვრელიანი სინტაგმების შემთხვევაში მსაზღვრელი ხან წინ უსწრებს საზღვრულს და ხან მოსდევს: „ჯმითა დიდი თა“ (131, 24) „დიდიმან ანგელო ზმან“ (131, 21) „ბეჭედი იგი სამკედელი“ (133, 10), „შენი სამყარონი განხმულნი“, მართულ-მსაზღვრელიანი სინტაგმების შემთხვევაში კი სჭარბობს საზღვრულ-მსაზღვრელის რიგი: „ყუავილნი სამოთხისანი“ (132, 11) „ნათელი იგი მზისაჲ“ (131, 13), „სამარე იგი ადამისი“ (133, 11) და სხვ.

ძველი ადამისი აბოკრიფის ლექსიკაც, იგი ლექსიკური ერთეულებითაც მე-5—10 საუკ. ძეგლებს ეხმარება. ძეგლში დასტურდება მრავალი სიტყვა ძველი ქართულის ლექსიკური მარაგიდან, როგორცაა: გარდამატება (ნიშნავს გადაფარებას), საღმოზა (ტკივილი), ლხინება (მოფონება, მოშვება), კმნულკეთილობა (სიმშენიერე, მოხდენილობა), ჭკრობა (გამოხედვა, გამოშვება) და სხვ.

გარკვეულ სიტყვებს ძვ. ქართულში სხვა მნიშვნელობა აქვს, სხვა მნიშვნელობა შეიძინეს მათ მოგვიანო ხანაში, ასეთი სიტყვები ჩვენს ტექსტში ძველი მნიშვნელობით დასტურდება, ასე მაგ: „კარგი“-ს აღსანიშნავად ძეგლში იხმარება მხოლოდ „კეთილი“ („სქამ ნარჩევსა ადამისსა... და არა ნყოფთა კეთილთა სამოთხისათა“ (121, 2) იმ დროს, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ ამ სიტყვას ახალი მნიშვნელობა აქვს შეძენილი, და ადგილი აქვს უკვე სიტყვა „კარგი“-ს ხმარებასაც.

კნინი ძველ ქართულში ნიშნავს მცირეს, პატარას: „დიდი კნინსა თაყუანი-სცემა“ (120, 37), „პატარა“ ძველ ძეგლებში არ იხმარება, იმავე „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება „პატარა“ („იგი ქალი პატარაჲ“) და არ გვხვდება არცერთი შემთხვევა „კნინი“-ს ხმარებისა.

მოჭსენება, დღეს: თქმა, მოთხრობა, „ვეფხისტყაოსანში“ ამასთან ერთად მირთმევაც, ძველ ქართულში კი მას გახსენების, მოგონების მნიშვნელობა აქვს, ასეა ეს ჩვენს ძეგლშიც:

„მოეჭსენა ადამს სიტყუაჲ იგი ჩემი“ (125 22).

საყდარი, ძველი ქართულით ტახტი: „დადგნეს საყდარი ხესა მას თანა ცხორებისსა (111,31), „ვეფხისტყაოსანში“ ამ მნიშვნელობით მხოლოდ „ტახტი“ იხმარება, საყდარი მასში საერთოდ არ დასტურდება.

მსგავსი მაგალითები ბევრია.

გარდა ამისა, ძეგლში არ გვხვდება არაბულიდან და ახალი სპარსულიდან ნასესხები სიტყვები, რომლებიც ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში უკვე მე-9 საუკუნიდან იჩენენ თავს.

ყოველ ნაბიჯზე გვხვდება გამოთქმა: „მიუგო და ჰრქუა“, არ ჩანს მოგვიანო პერიოდისთვის ჩვეულებრივი „უბასუხა“. „უბასუხი“ ახალი სპარსული სიტყვაა და, როგორც ეტყობა, ჩვენს ძეგლში ჯერ არ უჩენია თავი.



საკითხავი ადამ და ევაღი  
სამოთხით<sup>1</sup> გამოსვლისად<sup>2</sup>

ს

[1] და იყო ოდეს გამოვიდა ადამ და ევა, ცოლი მისი, სამოთხით, გამოვიდეს<sup>3</sup> სამოთხეს აღმოსავალით<sup>4</sup> კერძო. ქმნა<sup>5</sup> ადამ ტალავარი საყუდე-  
ლად<sup>6</sup> თჳსა<sup>7</sup>. და შევიდეს ორნივე და დაყვეს მუნ შუდი დღე. ტიროდეს ორ-  
ნივე ტირილითა დიდითა<sup>8</sup>, რამეთუ ჭუოდეს საყოფელთა მათთჳს სასუფევე[ე]-  
ლისათა, რომელთა<sup>9</sup> განეშორნეს. და შემდგომად შუდისა დღისა შეემშინა და  
ეძიებდეს საქმელსა. ჰრქუა ევა ადამს: „უფალო ჩემო, ადამ, აღდგე და მიძიე  
მე<sup>10</sup> საზრდელი, რაათა ვჳმომთ [2] ვიდრე განცდადმდე, ვინ უწყის, შემიწყ-  
ნარნეს ჩუენ უფალმან და შემიყუანნეს ჩუენ<sup>11</sup> მასევე აღვილსა სამოთხისასა“.

და აღდგა ადამ შემდგომად შუდისა<sup>12</sup> დღისა<sup>13</sup> და იქცეოდა პირსა ზედა  
ქუეყანისასა. და არა პოვა საზრდელი მსგავსად მისა<sup>14</sup>, რომელსა-იგი<sup>15</sup> ჰამდეს  
სამოთხესა მას<sup>16</sup> შინა.

მიუგო ადამ ევას და ჰრქუა<sup>17</sup>: „სიკუდილითა მოსიკუდიდ ვართ“. ჰრქუა<sup>18</sup>  
ევა ადამს: „ნეტარ თუმცა მე მოვკუედი<sup>18</sup> და შენ ხოლო<sup>19</sup> შეგიწყნარა<sup>20</sup> სა-  
მოთხედ“. მიუგო ადამ ევას და ჰრქუა: „დიდი რისხვაა არს ჩუენ გამო ყო-  
ველთა ზედა დაბადებულთა. ესე არა უწყის, ანუ თუ ჩემ გამო, ანუ თუ<sup>21</sup> შენ  
გამო“. მიუგო ევა ადამს: „უფალო ჩემო, უკუეთუ ჯერ-გიჩნს, მო[შ]მაკუდინე  
მე, რაათა მოვისპო პირისაგან ღმრთისა და ანგელოზთაგან მისთა, რაათა<sup>20</sup>  
დასცბრეს რისხვაა ღმრთისაჲ შენ ზედა, რომელ არს ჩემ გამო და შეგიყვანოს  
მუნვე სამოთხედ“. მიუგო ადამ და ჰრქუა: „ნუვე, ნუცა<sup>22</sup> მოიგსენებ მაგას  
საქმესა<sup>23</sup>, რაათა არა ღმერთმან სხუაჲ სასჯელი მოაფლინოს ჩუენ ზედა კლვი-  
სათჳს, ვითარ-მე აღვილო ჴელი ჩემი ვნებად ჴორცთავე თჳსთა ზედა“?

მაშინ ჰრქუა<sup>24</sup> ევა: „აღდგე, ვიძიოთ ორთავე მხალი“. და არა პოეს გე-  
მოა მსგავსად<sup>25</sup> ხილისა მის, რომელი იყო სამოთხესა მას შინა. და ჰრქუა<sup>26</sup>  
ევა: „ესე დაბადა ღმერთმან მჳეცთათჳს, რაათა იხ[ა]რდებოდინან, ხოლო ჩუ-  
ენდა საზრდელად იყო<sup>27</sup> ან[4]გელოზთა იგი ცხოვრებაჲ<sup>28</sup>. აწ მოვედ და შევი-  
ნანოთ სინანულითა დიდითა ფრიად ორმეოც დღე, რაათა წყალობა ყოს  
ღმერთმან ჩუენ ზედა და მომცეს ჩუენ საზრდელი უმჯობესი<sup>29</sup> პირუტყუთასა, <sup>30</sup>  
რაათა არა მსგავსად მათსა ვიყვნეთ.“ მიუგო ადამ ევას და ჰრქუა: „მითხარ-  
ლა მე აწ, რაბამითა სინანულითა ინანი<sup>30</sup>, ანუ რაოდენთა დღეთა შეუძლო

A—A=153, Q—ქუთ. № 128, B—H=433, C—H=881.

<sup>1</sup> სამოთხისაგან B, სამოთხითგან C. <sup>2</sup> გამოსვლისა აღმოსავლეთისათა C. <sup>3</sup> მოვიდეს B.  
<sup>4</sup> აღმოსავლეთით C. <sup>5</sup> და ქმნა QBC. <sup>6</sup> საყოფელად QBC. <sup>7</sup> თჳსა B. <sup>8</sup> მათითა QAC. <sup>9</sup> რომელთაგან B. <sup>10</sup> მე—B. <sup>11</sup> უფალმან და შემიყუანნეს ჩუენ—A. <sup>12</sup> შუდისა—QAC. <sup>13</sup> დღისა—  
C. <sup>14</sup> მის AB. <sup>15</sup> იგი იგინი C. <sup>16</sup> მას—C. <sup>17</sup> და ჰრქუა—B. <sup>18</sup> მოვკუედი A, მოვკვედე C.  
<sup>19</sup> მხოლოდ B—C. <sup>20</sup> შეგიყვანა QBC. <sup>21</sup> თუ—QC. <sup>22</sup> ნუცა QA, ნურცა C. <sup>23</sup> საქმესა—  
B. <sup>24</sup> თქუა QB. <sup>25</sup> მსგავსად გემო B. <sup>26</sup> თქუა QBC. <sup>27</sup> იყო—B. <sup>28</sup> იგი ცხოვრებაჲ—QAC.  
<sup>29</sup> უმეტესი A. <sup>30</sup> ინანი B.

სინანულად სინანულისა შენისა, ნუუჟუე<sup>1</sup> აღუთქუათ ღმერთსა<sup>2</sup> და ვერ აღუ-  
სრულოთ<sup>3</sup> აღთქუმა იგი<sup>4</sup> მისი, რომელი აღუთქუათ<sup>5</sup>. მიუგო ადამს ევა<sup>6</sup> და  
პრქუა<sup>7</sup>: „მითხრენ-ლა<sup>8</sup> რიცხუნი იგი დღეთანი, რაოდენ ჟამ ეგულებს<sup>9</sup> სინა-  
ნული, ვინ იცის, შე-ცა-უმბატო<sup>10</sup> მას, რამეთუ მე შეგამთხვე[ნ] კირნი ესე“.   
5 მიუგო ადამ და პრქუა ევას: „ვერ შეუძლო შემატებად, გარნა რაოდენი  
გრქუა, ეგეოდენ<sup>12</sup> დაადგერ და იყავ<sup>12</sup>. და<sup>14</sup> მე შევიანაო ორმოცო<sup>15</sup> დღე და  
შენ შეინანე ოცდაათოთხმეტი<sup>16</sup> დღე. ექუსნი იგი დღენი მე მომიტევენ, რამე-  
თუ შენ არა დაებადღე დღესა მას მეექუსესსა, რომელსა<sup>17</sup> შექმნა ღმერთმან ყო-  
ველი დაბადებული? აწ შენ<sup>18</sup> აღდგე და მივედ მდინარესა ტიგრისისასა<sup>19</sup> და  
10 მიიღე ქვაჲ ფერჯთა ქუეშე შენთა და შთადგე წყალსა<sup>20</sup> მას<sup>21</sup> შინა და სამო-  
სელი დაიფარე ვიდრე ყელადმდე. და ვიდრე ილოცვიდე<sup>22</sup>, რუ გამოვალნ ჳმაჲ  
პირით შენით, რამეთუ არა ღირს ვართ აღებად პი[6]რთა ჩუენთა, რამეთუ  
ბაგენი ჩუენნი არაწმიდა არიან გარდასლვითა მით<sup>23</sup> მცნებათაჲთა ჳამადისა  
მისგან სამოთხისა, რომლისა-იგი<sup>24</sup> არა გვბრძანა ღმერთმან<sup>25</sup>. არამედ დადუ-  
15 მენ, ხოლო წყალსა მას შინა ინანდი: ლ'დ: დღე ყოვლითა გულითა შენითა  
და მე<sup>26</sup> ეგრეთვე ვყო იორდანესა მდინარესა შინა, ვიდრემდე<sup>27</sup> არა<sup>28</sup> ისმინოს  
ჩუენი ღმერთმან და მოგუცეს ჩუენ საზრდელი“.

წარვიდა ევა მდინარესა მას ტიგრისისასა<sup>29</sup> და ყო ეგრე<sup>30</sup>, ვითარცა  
ამცნო მას ადამ, ხოლო ადამ დაადგრა იორდანესა მდინარესა<sup>31</sup> და თმანი  
20 თავისა მისისანი გარდაემატნეს<sup>32</sup>. და თქუა ადამ: „შენ გეტყუ, იორდანე,  
იჭირვოდე ჩემ თანავე და შეკრიბენ ყოველნიე[7]ქ, რომელნი არიან გარემოს  
შენსა პირუტყუნნი, რაჲთა გარე-მოგადგენ და მტიროდიან<sup>33</sup> მე, არა თუ  
მათუჲს, არამედ ჩუენთუჲს<sup>34</sup>, რამეთუ მათ არა მოაკლო ღმერთმან საძოვარი,  
რომელი მისცა<sup>35</sup> ღმერთმან დასაბამითგან<sup>36</sup>, ხოლო მე მოვაკლდი ცხორებისა  
3 მემისაგან და საზრდელისა<sup>37</sup>“.

ესე რა თქუა<sup>38</sup> ადამ ტირილითა მწარითა, შეკრბეს ყოველნი საცხო-  
ვარნი მის თანა და გარე-მოადგეს მას ვითარცა ზღუდენი. მას ჟამსა, ვითარ-  
ცა წყალმან იორდანემან დააცადა სლვაჲ თუჲსი, მაშინ აღუტევა ადამ ჳმაჲ<sup>39</sup>  
ღმრთისა მიმართ და იქცია მუჴლი ჳმისა თუჲსისაჲ<sup>40</sup> ექუსად მსგავსად ჳმისა  
30 მის ყოველთა ანგელოზთაჲსა ყოველსა ჟამსა.

ოდეს აღესრულნეს დღენი იგი [8] ათორმეტნი ტირილსა მას შინა  
მისსა, შეძრწუნდა ეშმაკი და იქცია ხატი მისი და სამოსელი მისი სიცრუ-  
ვითა მით ჳელოვანებისა<sup>41</sup> მისისათა, და<sup>42</sup> მივიდა იგი ევას თანა მდინარესა  
მას ტიგრისისასა და დადგა იგი გარეშე, და ტიროდა და დააწოთბდა სიცი-  
35 რუსისა<sup>43</sup> ცრემლთა მისთა ზედა სამოსელსა<sup>44</sup> მისსა<sup>45</sup> და სამოსლით ქუეყანად<sup>46</sup>.  
და პრქუა ევას: „გამოვედ შაგიერ წყლით და დასცხერ კირთა<sup>47</sup> მავათგან,

<sup>1</sup> ანუ უჟუშ B. <sup>2</sup> ღმერთსა—QAC. <sup>3</sup> აღესრულოთ C. <sup>4</sup> იგი—QC. <sup>5</sup> აღუსრულოთ...  
აღუთქუათ) შეუძლოთ B. <sup>6</sup>—ევა ადამს B. <sup>7</sup> და პრქუა—B. <sup>8</sup> მითხრენით C. <sup>9</sup> გეგულებს B.  
<sup>10</sup> შეცაუმბატოს QAC. <sup>11</sup> ეგე B. <sup>12</sup> ეგოდენ B. <sup>13</sup> ყავ QB. <sup>14</sup> ხოლო B. <sup>15</sup> ორმოცი B.  
<sup>16</sup> ოცდაათოთხმეტი C. <sup>17</sup> რომელ B. <sup>18</sup> აწ შენ—QAC. <sup>19</sup> ტიგრისისა QAC. <sup>20</sup> წყალთა B.  
<sup>21</sup> მათ B. <sup>22</sup> ლოცვიდე C. <sup>23</sup> მით—A. <sup>24</sup> რომელსა-იგი C. <sup>25</sup> ღმერთმან ჳამად B. <sup>26</sup> მეცა B.  
<sup>27</sup> ვითარმდე QAB. <sup>28</sup> რათა B. <sup>29</sup> ტიგრისისა QA, ტიგრისისა C. <sup>30</sup> ეგრეთ QBC. <sup>31</sup> მდინა-  
რესა იორდანესა A. <sup>32</sup> გარდაეყარნეს B. <sup>33</sup> მტიროდენ A. <sup>34</sup> ჩემთვის QB, ჩემთათუჲს C.  
<sup>35</sup> მომცა QAC. <sup>36</sup> დასაბამითგან—B. <sup>37</sup> საზრდელისაგანცა C. <sup>38</sup> ესე-და თქუა) ესე რა იხ-  
ვოდა B. <sup>39</sup> ადამ ჳმაჲ—QAC. <sup>40</sup> მისისა B. <sup>41</sup> ჳელოვანებისა QBC. <sup>42</sup> და—QAC <sup>43</sup> სიცრუსისა—  
QAC. <sup>44</sup>—სამოსელსა ზედა B. <sup>45</sup> მისთა B. <sup>46</sup> მიწათა B. <sup>47</sup> მრავალთა კირთა B.

„და უწოდა<sup>1</sup> ღმერთმან<sup>2</sup> ადამს: <sup>10</sup> [ღმერთმან] უწოდა ადამს და „ადამ, ადამ, სადა ხარ?“ და მან ჰრქუა: ჰრქუა: „აადამ, ადამ, სადა ხარ“, მე აჟა ვარ, უფალო, რამეთუ შიშუელ ვიყავ და დავემალე“. ხოლო ღმერთმან თქუა: და ვინ გითხრა შენ, რამეთუ შიშუელ ხარ შენ, გარნა მისგანი, <sup>15</sup> თხისასა?“ მაშინ მიუგო მამამან თქუენმან და ჰრქუა უფალსა: „დამალულ ვარ მე, რამეთუ მეშინის, შიშუელ ვარ და მრცხუნის“. მიუგო ღმერთმან და ჰრქუა: „ვინ გითხრა შენ, ვითარმედ <sup>20</sup> შიშუელ ხარ? ნუჟუჟე შეურაცხ-ჰყავ მცნებამ ჩემი, რომელი გამცენ შენ?“ მაშინ მოეჭსენა ადამს სიტყუამ იგი ჩემი, რომელი ვთქუ, ვითარმედ: ნუ ზრუნავ, არამედ ჩემ ზედაცა იყოს ესე. <sup>25</sup> და თქუა ადამ: „უფალო, დედაკაცი ესე, რომელ მომეც მე, მან მაცთუნა“. მაშინ მომექცა მე და მრქუა: „რამა ჰყავ?“ მე მოვაჭსენე სიტყუამ იგი გუელისა მის და ვთქუ, ვითარმედ: „გუელმან მაცთუნა მე“.

C

4.

„მიუგო ღმერთმან ადამს და ჰრქუა: „რამას<sup>3</sup> ისმინე ცოლისა შენისა და შეურაცხ-ჰყავ მცნებამ ჩემი? წყეულ იყავნე ქუეყანამ საქმეთა შინა შენთა, იქმოდეშ<sup>4</sup> და არა გამოგცეს ნაყოფი. ეკალ-<sup>35</sup> სა<sup>5</sup> და კუროსთავსა აღმოგიცენებდეს შენ. ოფლითა პირისა შენისათა სქამდე პურსა\*\*\*. იყავ კუნესითა მრავლითა, შრომითა შეუერ და [არა] განისუენო, გშიოდეს და [არა] განსძღე, იჭირვოდე სიმწარი[ვ]საგან და<sup>6</sup> [არა] განსძღე, გემოდა [არა] იხილო სიტკბოებისაგან, გჭირდეს სიციხისაგან და გვენებოდეს ყინელისაგან, დაგლახაქეთ

<sup>1</sup> უწოდდა B. <sup>2</sup> ღმერთი QBC. <sup>3</sup> სქამე B. <sup>4</sup> მცა+მაცთუნა B.

ნუსხაშია: <sup>1</sup> მაშენებელისა. <sup>2</sup> თხისა. <sup>3</sup> რათა, <sup>4</sup> იქმოდიშეცა. <sup>5</sup> ეკლისა. <sup>6</sup> და განსძღე.

\*\* დაბად. 3,9 \*\* შდრ. დაბად. 3, 10. \*\*\* შდრ. დაბად. 3, 11. \*\*\*\* შდრ. და-

C

D

და [არა] გამდიდრნეთ, ჭამდეთ და [არა] განსუქნეთ, განსტფეთ ცეცხლითა და [არა] განჯურდეთ, ილტო... წყლითა და განჰყინენ, და მგეტათა, რომელთა ზედა შენ უფლებდი, იგინი შენ ზედა აღდგენ. დაუმტყიცებელ იყო, რამეთუ<sup>1</sup> მცნებანი ჩემნი არ დაიმარხენ“.

5 „მომეტეცა მე და მრქუა: „რახსა<sup>2</sup> ისმინე შენ გუელისა და დაუტყვევ მცნებანი ჩემნი, რომელნი<sup>3</sup> გამცენ შენ? იყავ შრომათა შინა და საღმობათა, შევ ნაყოფი მრავალი. და ოდეს შეა, წარსწირო ცხორებაჲ შენი ურვათა გამო და საღმობათა, უკუეთუ განერე ჭირთა მათ<sup>4</sup>, არლარა მოიქცე ქუეყანად. და განაფიცებ<sup>5</sup> გული შენი 10 ბრძოლისა მისგან დიდისა, რომელი დადვა გუელმან<sup>6</sup> შენ თანა, მიიქეც შეყსეულად მუნვე. ჭუვილითა<sup>7</sup>. შეგ<sup>8</sup> ნაშობი შენი და მოწყალებითა მიიქეც ქრმისა შენისა და იგი შენ ზედა უფლებდეს“\*.

C

D

„და პრქუა ღმერთმან<sup>1</sup> გუელსა მას: „წარწყმდი შენცა [39] და წყეულ 15 იყავ<sup>2</sup> ყოველთა შორის პირუტყუთა, მოაკლდი საზრდელისაგან შენისა, რომელსა სჰამდი, და მიწა იყავნ საჰმელად შენდა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, მკერდითა და მუც-<sup>3</sup>ლითა შენითა ხვდოდე<sup>4</sup> შენ“. მოაკლდენ შენგან გელნი და ფერკნი შენნი და ნუ იყვენნ ყურნი და ფრჩხილნი შენნი და ნუ იყოფინ ნუცა<sup>5</sup> ერთი ასოჲ შენი, დაგსაჯენ<sup>6</sup> შენ პატოხან-<sup>7</sup>მან ჯუარმან<sup>8</sup>, რომელი აღიღოს ძემან ჩემმან ქუეყანასა ზედა, საცთურისა მისთჳს<sup>9</sup> აცთუნე. არამედ შენ იყავ<sup>8</sup> კულადვე მგლინავ და განსხეულ(!) უკეთურებითა გულისა შენისაჲთა, და 30 დადვდა მტერობაჲ შორის შენსა და შორის ნათესავისა მისგან დედაკაცი-სა, იგი უმზირდეს თავსა შენსა და შენ უმზირდებ ბრჰალსა მისსა\*\* ვიდრე დღედმდე სასჯელისა“.

„ოდეს მრქუა მე ესე ყოველი, გან- 15 რისხნა გუელსა ზედა რისხვითა: „წყეულ იყავ შენ ყოველთა შორის მგეტ- [6]თა, მოაკლდი შენ საზრდელისა შენისაგან, რომელსა შჰამდი, მიწა იყოს შენი საჰმელი ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, მკერდითა და მუცლითა შენითა ხვდოდე. მოაკლდენ გელნი, ფერკნი და ყურნი შენნი, და ფრთენი შენნი. დაგსაჯოს ჭემმარიტმან ჯუარმან, რომელი აღიაროს ძემან ჩემმან<sup>9</sup> ქუეყანასა ზედა საცთურისა მისთჳს, რომელ<sup>10</sup> აცთუნა ადამი. იყავ<sup>11</sup> განლეულ და განსხირბულ უკეთურებითა გულისა შენისაჲთა და მტერობაჲ დადვდა შორის შენსა და ნათესავსა მავას დედა-<sup>12</sup>კაცისასა, იგი უმზირდეს თავსა შენსა და შენ უმზირდებ ბრჰალსა მისსა ვიდრე დღეინდელად დღედმდე“.

35

„ესე თქუა ღმერთმან და ბრძანა ჩუენი ორთავე გამოვლინებაჲ სამოთხით. ევედრებოდა ადამ [40] ანგე-

„ესე თქუა ღმერთმან და გზბრძანა [გა]მოვლინებაჲ ჩუენი სამოთხით. ოდეს გამოგუავლინებდა ჩუენ, ევედ-

<sup>1</sup> ღმერთმან—B. <sup>2</sup> იყავნ QABC. <sup>3</sup> ხვდოდი QABC. <sup>4</sup> ნურცა A. <sup>5</sup> დაგსაჯენ—C. <sup>6</sup> ჯუარმან+მან C. <sup>7</sup> რომელი C. <sup>8</sup> იყავნ QAC.

ნუსხაშია: <sup>1</sup> რათა. <sup>2</sup> რათა. <sup>3</sup> რომელი. <sup>4</sup> მათთა. <sup>5</sup> განაფიცხნეთ. <sup>6</sup> გუელმა. <sup>7</sup> ჭურვილითა. <sup>8</sup> შავი. <sup>9</sup> ჩემან. <sup>10</sup> რომელი. <sup>11</sup> იყავნ.

\* შდრ. დაბად. 3, 16. \*\* შდრ. დაბად. 3, 14. \*\*\* დაბად. 3, 15.

ტ

ღ

ლოზთა და ჰრქუა: „მაცადეთ მე<sup>1</sup>, რა-  
 ღათა ვევედრო უფალსა, ვინ უწყის,  
 თუ სინანული<sup>2</sup> მცეს მე უფალმან  
 ამისთჳს, რომელი-ესე ვყავ მე და არა  
 გამოვგნდე სამოთხით“.

„მაშინ დააცადეს ანგელოზთა გა-  
 მოძიებამ ჩუენი<sup>3</sup>, ევედრებოდა<sup>4</sup> აღამ  
 უფალსა და თქუა: „გევედრები, მო-  
 მიტყევე მე, უფალო, რომელი-ესე ვყავ“.

„მაშინ ჰრქუა უფალმან ანგელოზ-<sup>10</sup>  
 თა: „რამსა დააცადეთ გაროყვანებამ  
 აღამისთა სამოთხით, ნუუყუე ჩემი ბრა-  
 ლი არსა, ანუ თუ არა<sup>5</sup> მართალი  
 ვსაჯე?“

„მაშინ დავარდეს ანგელოზნი ქუე-<sup>15</sup>  
 ყანასა ზედა<sup>6</sup> და ჰრქუეს თაყუანის-ცე-  
 მით უფალსა: „მართალ ხარ შენ,  
 უფალო, და წრფელ არს სასჯელი შე-  
 ნი“<sup>7</sup>. მოექცა უფალი და ჰრქუა<sup>8</sup> აღამს:  
 „არა დატყევებდ ხარ შენ სამოთხესა<sup>20</sup>,  
 ბულ ხარ შენ სამოთხესა შინა“<sup>9</sup>. მი-  
 უგო აღამ და ჰრქუა უფალ-  
 სა: „გევედრები შენ, უფალო, მეც მე  
 ხისა მისგან<sup>8</sup> ცხორებისა, რათა ვჰა-  
 მო გამოსლვად ჩემდამდე“. მაშინ ეტ-  
 ყოდა უფალი აღამს და ჰრქუა: „არ-<sup>25</sup>  
 ღარა მიიღო იგი ცხორებასა შენსა,  
 დამიდგინებია ქერ[41]ობინი<sup>9</sup> მოტყი-  
 ნარე და მახული იქცევისი<sup>10</sup> დაცვად  
 მაგისა შენთჳს\*, რათა არა გემო იხი-  
 ლო და უკუდავ იყო და იქადლი,<sup>30</sup>  
 ვითარმედ: არა მოვკუდე მე უკუნისამ-  
 დე. და ჰყო ბრძოლა, რომელ ჰყო  
 მტერმან შენ ზედა. უკუეთუ განხვდე  
 სამოთხისაგან და დაიცვა თავი შენი  
 ყოვლისაგან ბოროტისა და სთქუა,<sup>35</sup>  
 ვითარმედ<sup>11</sup>: მოვკუდე და [შემდგო-  
 მად] სიკუდილისა აღვდგე მერმესა<sup>12</sup>  
 მას, მაშინ-ღა მიგცე შენ ხისა მისგან<sup>13</sup>

რებოდა აღამ ანგელოზთა და თქუა:  
 „მაცადეთ მე, რამათა ვევედრო უფალ-  
 სა, ვინ უწყის, სინანული [მცეს უფალ-  
 მან] ამისჳს, რომელი ვყავ, რამათა არა  
 გამოვგნდე ჩუენ სამოთხით“.

„მაშინ ჰრქუა [ღმერთმან] ანგელოზ-  
 თა მათ: „რამსა აცადეთ განგდად აღა-  
 მისა სამოთხით<sup>1</sup>, ანუ ბრალი ჩემი [არსა,  
 ანუ არა] მართლად ვსაჯე“<sup>2?</sup>.

„ანგელოზნი დავარდეს ქუეყანად და  
 თაყუანი-სცეს უფალსა და [ჰ]რქუეს:  
 „მართალ ხარ შენ, უფალო“, და  
 წრფელ არს სა[ვ]სჯელი შენი“. მო-  
 ექცა აღამს და ჰრქუა: „არა დატყევე-  
 ბულ ხარ შენ სამოთხესა შინა“. მი-  
 უგო აღამ და [ჰ]რქუა: „უფალო, გე-  
 ვედრები, მეც<sup>4</sup>, რამათა ვჰამო ხისა  
 მისგან ცხორებისა ვიდრე განსლვად  
 ჩემდამდე“. მაშინ ჰრქუა უფალმან:  
 „არღარა მიიღო მისგან ცხორებასა  
 შენსა. დამიდგინებია ქერობინი და  
 ჯმალი ცხოველისა<sup>5</sup> ორპირი იქცევისი  
 და სცავს მას, რამათა გემო მისი არა  
 იხილო, და უკუდავ იქმე და იქადლო.  
 და არა მოვკუდე უკუნისამდე. და  
 ქმნე<sup>6</sup> ბრძოლა, რომელი დადვა მტერ-  
 მან შენ თანა. უკუეთუ განხვდე<sup>6</sup> სა-  
 მოთხით და დაიცვა<sup>7</sup> ყოვლისაგან ბო-  
 როტისა, მოჰკუდე და შემდგომად სი-  
 კუდილისა აღსდგე მერმესა მას აღდ-  
 გომასა. მაშინ-ღა მიგცე ხისა მისგან  
 ცხორებისა და უკუდავ იყო უკუნი-  
 სამდე“. ესე რა თქუა უფალმან, ბრძა-

<sup>1</sup> მე—B. <sup>2</sup> სინანული—A. <sup>3</sup>—გამოძიება ჩუენი ანგელოზთა B. <sup>4</sup> და ევედრებოდა B.  
<sup>5</sup> არა—A. <sup>6</sup> ზედა—Q.A.C. <sup>7</sup> და ჰრქუა—C. <sup>8</sup> მისგანი Q.C. <sup>9</sup> ქერობინი C. <sup>10</sup> იქცევისი C  
<sup>11</sup> ვითარ-მე B. <sup>12</sup> და მერმესა A. <sup>13</sup> მისგანი Q.C.  
 ნუსხაშია: <sup>1</sup> სამოთხედ. <sup>2</sup>+მაშინ ვსაჯენ. <sup>3</sup> უფლისა. <sup>4</sup> მეცა. <sup>5</sup> მექმნე. <sup>6</sup> განხვდეთ. <sup>7</sup> და-  
 იცვთ.



ჯ

ღ

სამოთხისა და უკუდავ იყო უკუნისა-  
 მდე“. ესე რაჲ თქ[უა] უფალმან სა-  
 მოთხეს, და ტიროდა მამაჲ თქუენი  
 წინაშე ანგელოზთა. ხოლო მათ ჰრქუეს  
 მას: „რაჲ არს, ანუ რაჲ გიყოთ შენ?“  
 მაშინ<sup>2</sup> მიუგო მამამან თქუენმან და  
 ჰრქუა: „აჰა ესერა მე განვალ, აწ გე-  
 ვედრები თქუენ, რაჲთა განსლვასა  
 ამას ჩემსა აღვილო<sup>3</sup> საკუმეველი სა-  
 მოთხისაგან, რაჲთა ოდეს განვიდე,  
 შევწირო საკუმეველი სულნელებისაჲ<sup>4</sup>  
 და [42] ისმინოს ჩემი ღმერთმან“. და  
 მიუტევეს ანგელოზთა. და მოილო სა-  
 კუმეველი სურნელი ოთხი<sup>5</sup>: ნარდი[ი]ნი,  
 კროკონი<sup>6</sup>, ლერწამი<sup>7</sup> და იამინდოჲ<sup>8</sup>—  
 ესე გამოილო სამოთხით ადამ ქუე-  
 ყანად.

„ხოლო აწ, შეილნო ჩემნო, გა-  
 უწყე თქუენ ესე სახე ყოველი, რო-  
 მელთა შევიტყუენით და ამას გევედ-  
 რები, რაჲთა<sup>9</sup> დაიცვნეთ თავნი თქუ-  
 ენი და ნუ დააც[ა]ლებთ კეთილის  
 ყოფასა“.

ესე ლა თქუა ევა შორის შეილთა  
 თვსთა, ოდეს ეძინა ადამს სნეულეზა-  
 სა მისსა. და მეორესა დღესა გამო-  
 სლვად იყო<sup>10</sup> [ს]ული გუამისაგან მი-  
 სისა. ჰრქუა ევა ადამს: „რად-მე<sup>11</sup> შენ  
 ხოლო მოჰკუდები და მე ცოცხალ ვარ,  
 ანუ რაოდენ ჟამადმდე<sup>12</sup> ვიყო, ანუ<sup>13</sup>  
 რაჲ ყოფად არს ჩემდა შემდგომად  
 სიკუდილისა შენისა? მაუწყე მე“. მა-  
 შინ ჰრქუა ადამ ევას: „ნურაჲ გჰირნ  
 შენ, რაჲცა ჰყავ<sup>14</sup>. უკუეთუ მოვკუდეთ  
 ორნივე, შენცა დად[43]ებად ხარ ჩემ  
 თანა<sup>15</sup> და თუ მე ნოვკუდე, ნუ შე-  
 მძრვენ<sup>16</sup> ადგილით ჩემით, ვიდრე ოდეს  
 ღმერთმან გიბრძანოს ჩემთვის, რამეთუ  
 არა დამიტყოს მე უფალმან, არამედ

ნა გამოძებაჲ ჩუენი სამოთხით. ტირო-  
 და მამაჲ თქუენი წინაშე ანგელოზთა  
 და ჰრქუეს მას: „რაჲ გიყოთ შენ?“  
 მიუგო მამამან თქუენმან ანგელოზთა  
 მათ: „აჰა ესერა აწ განვალ, გვედრე-  
 ბით თქუენ, რაჲთა აღვილო მე სამო-  
 თხისაგან საკმეველი, რაჲთა ოდეს გან-  
 ვიდე, შევწირო სურნელებაჲ საკმე-  
 ლისაჲ, რაჲთა ისმინოს ჩემი ღმერთ-  
 მან“. და გამოვლო (!) სამოთხით ოთხი  
 საკმეველი სულნელი: ნარდ[7]იონი და  
 კროკონი და ლერწამი, კინამონი<sup>1</sup>.  
 მიილო ესე ადამ და გამოვიდა სამო-  
 თხით.

„და აწ, შეილნო ჩემნო, გაუწყეთ  
 თქუენ<sup>2</sup>, რომლითა შევიტყუენით ჩუენ,  
 რაჲთა დავიცვნეთ თავნი ჩუენნი“.

ესე რაჲ ჰრქუა<sup>3</sup> ევა შეილთა თვსთა,  
 ეძინა ადამს სნეულეზასა<sup>4</sup> შინა მისსა-  
 მეორესა დღესა გამოსლვად იყო სული  
 მისი გუამისაგან. ჰრქუა ევა ადამს:  
 „რად შენ მოჰკუდები და მე ცოცხალ  
 ვარ? ანუ რაოდენი ჟამი დავყო შენ  
 თანა და უკანა? ანუ ვითარ ვიყო და  
 რაჲ ყოფად არს ჩემსა შემდგომად სი-  
 კუდილისა შენისა? მაუწყე მე“. მაშინ  
 ჰრქუა ადამ ევას: „ნურაჲ გჰირნ, რაჲ-  
 ცა ჰყავ, უკუეთუ მოვკუდეთ ორ-  
 ნივე, შენცა დადებად ხარ ჩემ თანა.  
 და მე ხოლო თუ მოვკუდე, ნუ შემძ-  
 რავ ადგილით ჩემით, ვიდრე ოდენ  
 გიბრძანოს<sup>5</sup> ღმერთმან ჩემთვის, რაჲთა  
 არა დამივიწყოს მე ღმერთმან, არამედ

<sup>1</sup> შენ—B. <sup>2</sup> მაშინ—QBC. <sup>3</sup> აღილო C. <sup>4</sup> სურნელებისა Q.A. <sup>5</sup> ოთხი ნარდინი სურ-  
 ნელი QABC. <sup>6</sup> კორტონი QABC. <sup>7</sup> ლერწამისი Q, ლერწამისი BC. <sup>8</sup> ამინდო A. <sup>9</sup> რომ-  
 ლითა C. <sup>10</sup> იყოს AC. <sup>11</sup> სადმე B. <sup>12</sup> ჟამამდე QBC. <sup>13</sup> ნუ C. <sup>14</sup> გყავ C. <sup>15</sup> ჩუენ თანა QBC]  
 ჩუენთა A. <sup>16</sup> შემძრავნ A.  
 ნუსხაშია: <sup>1</sup> ნიკანამო. <sup>2</sup> შენ. <sup>3</sup> თქუა. <sup>4</sup> სულნელებასა. <sup>5</sup> გზბრძანოს. <sup>6</sup> ნურას გჰირან რათამცა.

ტ

ყ

მოიძიოს ჭური, რომელი შექმნა. აღ-  
დგე და ილოცე ღმრთისა მიმართ,  
რათა შეივედროს<sup>1</sup> სული ჩემი ჯელთა  
შემოქმედისა ჩემისათა. რამეთუ არა  
უწყი, ვითარ შემთხუევად ვარ მე<sup>2</sup> შე-  
მოქმედისა<sup>3</sup> ყოველთაჲსა<sup>4</sup> ანუ თუ  
მრისხავსა<sup>5</sup>, ანუ თუ შემიწყნარებს?<sup>6</sup>

მაშინ აღდგა ევა და გამოვიდა  
აღამისგან და ინანა და თქუა: „შე-  
გცოდე, ღმერთო, შეგცოდე და ვცო-  
დე წინაშე შენსა, ვცოდე წინაშე რჩე-  
ულთა ანგელოზთა შენთა, ვცოდე წი-  
ნაშე ქერობინთა<sup>7</sup>, ვცოდე წინაშე<sup>8</sup>  
საკურთხეველსა სიწმიდისა შენისასა,  
ვცოდე წინაშე ნათესავთა ცისათა,  
ვცოდე წინაშე მფრინველთა ცისათა<sup>9</sup>,  
ვცოდე წინაშე მგეტა ქუეყანისათა.  
შეგცოდე, ღმერთო, ყოველთა ანგა-  
რებითა ჩემითა ყოველთა შორის  
დაბადებულთა<sup>10</sup> შენთა, გვედრები,  
თქუენ [44] ყოველთა<sup>11</sup> დაბადებულთა  
ცისათა<sup>12</sup> და ქუეყანისათა, ევედრებო-  
დეთ ჩემთს<sup>13</sup> უფალსა ყოველთასა“.

ილოცვიდა ოდენ ევა ფერჯთა  
თსთა ზედა<sup>14</sup> და მესყულად მოვიდა  
მიქაელ<sup>15</sup> ანგელოზი კაცებისა და  
აღადგინა ევა და ჰრქუა: „აღდგე სინა-  
ნულისაგან მაგის შენისა, რამეთუ აღამ,  
ქმარი შენი, გამოსრულ არს ჯორცთა-  
გან. აღდგე და იხილე სული მისი, ვი-  
თარ-ღა<sup>16</sup> ჰყავს შემოქმედსა თსსა“.

აღდგა ევა და დაიდგა ჯელი პირსა  
ზედა თსსა და ამალღა ანგელოზი  
იგი და ჰრქუა ევას: „აღიხილენ თუ-  
აღნი შენნი და განემორე<sup>17</sup> ზრუნვა-  
თაგან ქუეყანისათა“<sup>18</sup>. ხოლო ევა, ვი-  
თარცა<sup>18</sup> აღიხილნა თუალნი თსნი  
ზეცად და იხილნა ეტლნი ცეცხლისა-  
ნი<sup>19</sup> და ნათელი აღმავალი ოთხთა  
[ქართა] ზედა, ეგრე ბრწყინვალე იყ-  
ვიდეს, ვითარმედ ვერ ემსგავსებოდა

მოიძიოს ჭური, რომელი შექმნა. აწ  
აღდგე შენ და ილოცვიდი<sup>1</sup> ღმრთისა  
მიმართ, რათა შეჰვედრო სული შენი  
და ჩემი ჯელთა შემოქმედისათა<sup>2</sup>, რა-  
მეთუ<sup>3</sup> არა უწყი, ვითარ შემთხუევად  
ვარ მამასა ყოველისა სულისასა, ანუ  
მრისხავს, ანუ შემიწყნაროს?<sup>4</sup>

მაშინ აღდგა [v] ევა და გამოვი-  
და მისგან, ინანდა და თქუა: „შეგცოდე  
წინაშე ანგელოზთა შენთა, და ვცოდე  
წინაშე ქერობინთა, და ვცოდე წინაშე  
საკურთხეველისა შენისა, და ვცოდე წი-  
ნაშე შენსა, უფალო, და ვცოდე წი-  
ნაშე ნათლისა წმიდისაჲსა, ვცოდე წი-  
ნაშე მფრინველთა ცისათა და მგეტა  
ქუეყანისათა, შეგცოდე, უფალო, ყოვე-  
ლთა ანგა[ა]რებითა შორის ყოველთა  
დაბადებულთა შენთა, გვედრები ყო-  
ველთა დაბადებულთა ცისათა და ქუ-  
ეყანისათა, ევედრებოდეთ ჩუენთს  
უფალსა ყოველთასა“.

ოდეს ილოცვიდა ევა ამას, მეყ-  
სულად მოვიდა მიქაელ ანგელოზი  
კაცებისა, აღადგინა ევა: „აღდგე სი-  
ნანულისაგან შენისა, რამეთუ აღამი,  
ქმარი შენი, განვიდა ჯორცთაგან. აღ-  
დგე და იხილე სული მისი, ვითარ  
ჰყავს სული მისი შემოქმედსა თსსა“.

აღდგა ევა და დადგა ჯელი თსი  
[პირსა] ზედა, აღდგა და ამალღ-  
და ანგელოზი იგი და თქუა: „აღი-  
ხილენ თუალნი შენნი და იხილენ. გა-  
ნემორე<sup>17</sup> ქუეყანასა [და] იხილო“<sup>18</sup>. ხო-  
ლო ვითარ აღიხილნა თუალნი ზეცად,  
იხილნა ეტლნი ნათლისანი აღმავალნი  
ოფხთა [ქართა] ზედა, ეგრე ბრწყინ-  
ვიდეს, ვითარმედ ვერ ემსგავსებოდა

<sup>1</sup> შევედროს QBC. <sup>2</sup> მე —B. <sup>3</sup> შემოქმედსა QAB. <sup>4</sup> ყოველსა A. <sup>5</sup> ანუ თუ მრისხავსა—  
B. <sup>6</sup> თუ—B. <sup>7</sup> ქერუვინთა B. <sup>8</sup> წინაშე—C. <sup>9</sup> წმინდისათა C. <sup>10</sup> დიდებულთა A. <sup>11</sup> ყოველ-  
თა—B. <sup>12</sup> ცისა—QBC. <sup>13</sup> ჩუენთს A. <sup>14</sup> ~ზედა თსთა B. <sup>15</sup> მიქელ A, მიხაელ B. <sup>16</sup> ჰყავს A.  
<sup>17</sup> განემორენ A. <sup>18</sup> ვითარცა—B. <sup>19</sup> ცეცხლისანი A.

ნუსხაშია: <sup>1</sup> ილოცვიდა. <sup>2</sup> შემოქმედისათა. <sup>3</sup> რათა. <sup>4</sup> განემორენ.

C

Q

ნეს, ვითარცა ვერარაა ემსგავსების თქუმად, ვერ შემძლებელ იყო განცდად ვე[45]რცა მუსლით, ვერცა ზურგით, და ანგელოზნი წინა უძლოდეს ეტლთა მათ. და ვითარცა მივიდეს. <sup>5</sup> სადაცა-იგი იყო მამაჲ, დადგა ეტლი იგი და სერაბინნი<sup>1</sup> დგეს შორის მისსა და შორის ეტლთა. და ვიხილე მე, ევა<sup>2</sup>, სასაკუმეველე სამი ოქროსსაჲ და სამნი ანგელოზნი მოვიდეს სწრაფით საკურთ- <sup>10</sup> ხეველსა ზედა. მოიღეს ნაკურთხალი და შთაასხეს საკუმეველი ანგელოზთა მათ მას ზედა. და ვითარცა ჰბერვიდეს, აღვიდოდა კუამლი და დაჰფარნა სამყარონი ცისანი. აქებდეს<sup>3</sup> ანგელოზნი იგი<sup>4</sup> და თაყუანის-სცემდეს, დალაღებდეს<sup>5</sup> და იტყოდეს<sup>6</sup>: „ღმერთო, მიუტყევ ადამს, რამეთუ ხატი შენი და ქმნილი ჯელთა შენთაჲ არს და დაბადებული შენი არს“. და ვი- <sup>20</sup> ხილენ მე, ევა<sup>7</sup>, ორნი ნათელნი დიდნი შიშით დაცემულნი წინაშე მისსა და ეტიროდეს<sup>8</sup> და ვარქუ ძესა ჩემსა სეთს: „აღდგე გუამის[46]აგან მამისა<sup>9</sup> შენისა და მოვედ ჩემდა და იხილე, რომელი თუალთა შენთა არა უხილავს ადამისთჳს, მამისა შენისა“.

მაშინ აღდგა სეთ და მივიდა ევაჲსა<sup>10</sup>, დედისა თჳსისა, და ჰრქუა: „რად სტირი<sup>11</sup> აღიხილენ თუალნი შენნი და იხილენ შჳდნი სამყარონი განხუმულნი და იხილე მსგავსებაჲ მამისა ადამისი, ვითარ ძეს იგი წინაშე ღმრთისა. და ყოველნი ანგელოზნი ევედრებანი მისთჳს და იტყუნ: მი- <sup>35</sup> უტყევი, ღმერთო, ადამს, რამეთუ ხატი შენი არს და მსგავსი, რამეთუ შენ შეჰჰქმენ“.

თქმად, [ვერ] შემძლებელ იყო განცდად ვერცა მუსლითა და ვერცა ზურგითა. და ანგელოზნი წი[8]ნა უძლოდეს მას, სადა იყო მამაჲ თქუენი. და დადგა ეტლი იგი, სერობინნი იგი დადგეს ეტლთა.

„და ვიხილე მე, ევა, და სამი საკუმეველე და ფილები... მოვიდეს სწრაფით საკურთხეველსა ზედა. მოიღეს ნაკურთხალი და შთაასხეს მას სასაკუმეველსა და დაასხეს საკუმეველი ანგელოზთა მას ზედა, ვითარ ბერვიდა და აღვიდოდა კუამლი საკუმეველისაჲ მის, დაფარნა სამყარონი ზეცათანი. <sup>15</sup> აქებდეს ანგელოზნი იგი და თაყუანი-სცემდეს ღმერთსა. დალაღებდეს და იტყოდეს: „ღმერთო, მიუტყევი ადამს, რამეთუ ხატი შენი არის და ქმნილი ჯელთა შენთაჲ. ვიხილენ<sup>2</sup> მე, ევა, და ორნი ნათელნი დიდნი შიშითა დაცემულნი წინაშე ღმრთისა, ეტიროდეს და ვარქუ<sup>2</sup> ძესა ჩემსა სეთს: „აღდგე გუამისა მამისაგან და მოვედ ჩემდა, რათა ვიხილო, რომელი არავის უხილავს მამისა შენისა ადამისი“.

„მაშინ მოვიდა [სეთ] და მრქუა: „რამასათჳს სტირი?“ მიუტყე: „აღიხილენ თუალნი შენნი და იხილენ შჳდნი სამყარონი განხუმულნი და იხილე მსგავსებაჲ მამისა შენისა ადამისი, ვითარ წინაშე ღმრთისა ძეს<sup>3</sup>. და ყოველნი ევედრებანი მისთჳს ღმერთსა: „მოუტყევნი ადამს ყოველნი შეცოდებანი მისნი, რამეთუ ხატი შენი არს და მს[47]გავსებაჲ<sup>4</sup> შენი, რამეთუ შენ შეჰჰქმენ“.

<sup>1</sup> სერობინნი Q, სერობინი B. <sup>2</sup> ევაჲ C. <sup>3</sup> აღვიდოდა კუამლი და დაჰფარნა სამყარონი ცისანი, აქებდეს—B. <sup>4</sup> იგინი A. <sup>5</sup> დალაღ-ყვეს B. <sup>6</sup> თქუეს Q, სტყვეს BC. <sup>7</sup> ევაჲ C. <sup>8</sup> ეტიროდი QABC. <sup>9</sup> მამისაგან გუამისა QABC. <sup>10</sup> ევაჲსა QAC. <sup>11</sup> სტირი QBC.  
ნუსხაშია: <sup>1</sup> ვიხილე. <sup>2</sup> ვრქუა. <sup>3</sup> ძესა. <sup>4</sup> მსგავსებაჲ. <sup>5</sup> რათა.

ჯ

ჟ

„# შვილო ჩემო, ნუმცა ინდოთა მათ მისცემენ<sup>1</sup> ნაქმართა სისხლისათა<sup>2</sup>, რამეთუ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა“. მიუგო ევას სეით და ჰრქუა: „არა ეგრე<sup>3</sup>, დედაო, არა იცან<sup>4</sup> ესე, რომელთა ინდოებამ სთქუ<sup>5</sup> სისხლისფერთამ მათ<sup>6</sup>. მიუგო ევა და ჰრქუა: „არა ვიცნი, შვილო ჩემო“. მიუგო სეით და ჰრქუა: „ესე ა[47]-რიან მზე და მთოვარე და იგინი დავრდომილ არიან და ევედრებიან ადამისთჳს, მამისა ჩემისა“. „სადა არს ნათელი იგი მზისაჲ, რამეთუ არღა რაჲ არს მის თანა. ანუ რადმე დაშვებულ არს ეგრე?“ მიუგო სეით და ჰრქუა ევას: „რამეთუ განქარდა ნათელი მისი წინაშე ღმრთისა ყოველთაჲსა და შავ-ა<sup>7</sup> ნათელი მისი შიშისაგან ღმრთისა“.

ამის რაჲ ეტყოდა სეით ევას,<sup>20</sup> მემყსეულად დიდმან ანგელოზმან დაჰბერა საყვარსა და აღემართნეს ანგელოზნი, რომელნი დაცემულ იყვნეს პირსა ზედა თჳსსა. ევედრებოდეს<sup>8</sup> ადამისთჳს, ვმა-ყვეს ვმითა დიდითა და<sup>25</sup> თქუეს: „კურთხეულ ხარ, უფალო, რომელმან შეიწყნარე პირველქმნული“.

კურთხევითა. შეიწყალე პირველი და

ბადებულო“\*...

ჯ

და ოდეს თქუეს ანგელოზთა ვმაჲ ესე, მოივლინა მისა ერთი სერაბინ-<sup>30</sup> თაგანი<sup>10</sup> ექუსფრთე და მიიტაცა<sup>11</sup> ადამი ტბასა მას<sup>12</sup> ქეროვანისასა და განბანა სამჯერ, მოიყვანა იგი წინაშე ღმრთისა და [48] იღვა იგი პირსა ზედა თჳსსა ვიდრე სამ ჟამ ოდენ. და შემდგომად მისსა მიყო ტელი თჳსი ღმერთმან საყდრით თჳსით და აღადგინა ადამი და მისცა მიქაელს<sup>13</sup> და ჰრქუა მას: „მიიყვანე ეგე მესამესა ცასა სამოთხეს და დაუტევე<sup>14</sup> წინაშე სა-<sup>35</sup> კურთხეველსა ვიდრე დღემდემ<sup>15</sup> განგებისა, რომელი მეგულვების ყოველთა თანა ვორციელთა საყუარელისა ძისა ჩემისა თანა“<sup>16</sup>.

<sup>1</sup> ინდოსა მას QABC. <sup>2</sup> ნაქმარსა სისხლისასა QABC. <sup>3</sup> ეგრეთ B. <sup>4</sup> იცნა QAC. <sup>5</sup> სთქუა QAC. <sup>6</sup> ფერისაჲ მის QAC. <sup>7</sup> შვა Q. <sup>8</sup> ევედრებოდა B. <sup>9</sup> პირველქმნილი A, პირველქმნული B. <sup>10</sup> სერობინთაგანი QC. <sup>11</sup> მოიტაცა A. <sup>12</sup> ტბასა მას ხატების მის C. <sup>13</sup> მიქელს A. <sup>14</sup> ეგე მესამესა... დაუტევე—A. <sup>15</sup> დღემდემ+და A. <sup>16</sup> ჩემისათა QBC.  
 ნუსხაშია: <sup>1</sup> ჰინდოთა იმას. <sup>2</sup> მიუგე მე. <sup>3</sup> რათა. <sup>4</sup> და შევიდა. <sup>5</sup> რომელი.

\* აქედან ჟ. რედაქციის ნუსხას აკლია.

„რა-ამე არს, შვილო სეით, ანუმცა ჰინდოთა იმათ<sup>1</sup> მისცემენ სისხლსა ქრმისა ჩემისასა, რამეთუ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა?“ მიუგო სეით და ჰრქუა ევას: „არა იცენნა, ვინ არიან, დედაო ჩემო, რომელი სთქუ სისხლისა ფერისა მის?“... მიუგო [სეით] და ჰრქუა: „ესე არიან მზე და მთოვარე და იგინი დავრდომილ არიან და ევედრებიან ადამისთჳს, მამისა ჩემისა.“ „სადა არს ნათელი მზისაჲ, რამეთუ არაჲ არს მის თანა. ანუ რადმე დაშვებულ არს ეგრე?“ მიუგო<sup>2</sup> სეით და ჰრქუა: „რამეთუ<sup>3</sup> განქარდა ნათელი მისგან წინაშე ღმრთისა ყოველთაჲსა, დაშავდა<sup>4</sup> ნათელი იგი მზისაჲ შიშისაგან ღმრთისა“.

ამის-ლა ეტყოდა სეით ევას, მემყსეულად დიდმან ანგელოზმან საყვარს დასცა და აღემართნეს ყოველნი ანგელოზნი, რომელნი დაცემულ იყუნეს პირსა ზედა და ევედრებოდეს ადამისთჳს და ვმოზდეს ვმითა საშინელითა: მისთჳს და კურთხეულ არს ღმერთი ყოვლითა კურთხევითა. შეიწყალე პირველი და ბადებულო“\*...

ჯ

ჯ

ჯ

მაშინ მიქაელ<sup>1</sup> წარიყვანა ადამი ადგილსა მას, რომელსა<sup>2</sup> უბრძანა ღმერთ-  
 მან, და ყოველნი<sup>3</sup> ანგელოზნი<sup>3</sup> ფსალმუნებდეს ფსალმუნსა<sup>4</sup> ანგელოზთასა<sup>5</sup>. აქებ-  
 დეს საკრველებასა მას, მიტეგებასა ადამისსა<sup>6</sup> და აღთქუმასა მას მერმისასა.

შემდგომად ამისსა ღალად-ყო მიქაელ<sup>7</sup> ღმრთისა მიმართ და ღმერთმან  
 ბრძანა დაცემად<sup>8</sup> საყვრისა და შეკრებაჲ ყოველთა ანგელოზთაჲ წინაშე  
 ღმრთისა თითოეულად წესთა მათ, რომელთა<sup>9</sup> აქუნდა სასაკუმეველ და რო-  
 მელთამე აქუნდა საგალობლები<sup>10</sup> და რომელნიმე საყვრსა სცემდეს<sup>11</sup>. და აჰა  
 უფალი საბაოთისა აჰჯდა ქერობინთა<sup>12</sup> ქართა ზედა და ანგელოზნი შვლით  
 ცით წინა უძღოდეს მას, და მოვიდეს [49] ქუეყანად, სადაცა ისხნეს ჯორცნი  
 ადამისნი. და ყოველნი ანგელოზნი უგალობდეს. და მოიწია პირველად სამოთ-  
 ხესა თჳსსა, და შეიძრნეს ყუავილნი სამოთხისანი სულნელებითა თჳსითა, სულ-  
 ნელებისაგან დიდებულისა<sup>13</sup> ღმრთისა დასულბეს<sup>14</sup> ყოველნი ნაშობნი ადა-  
 მისნი, გარნა სეით ხოლო არა, რამეთუ ნაშობი იყო სიმდიდრისა ღმრთი-  
 საჲ. და ოდეს მოვიდა უფალი დაერდომილსა<sup>15</sup> მას ზედა გუამსა ადა-  
 მისსა, შეჭუნა<sup>16</sup> მას ზედა უფალი და ჰრქუა ჳმითა მწუხარებისაჲთა: „უკუ-  
 ეთუმეცა დაგემარხნეს მცნებანი ჩემნი, არამეცა დავრდომილ იყავ მეგას ად-  
 გილსა, არამეცა იხილა მტერმან შენმან შენი, რომელ<sup>17</sup> გამოგავდო შენ მეგას  
 ადგილსა, არამედ სიხარული მისი ჭუვილად გარდავაქციო და მიგაქციო მას  
 მთავრობასა და დაგსუა შენ საყდართა ზედა მტერისა შენისათა, რომელ-იგი<sup>18</sup>  
 ჯდა მას ზედა, რომლისა თანა იპოვა ამჲ[ა]რტავეანებაჲ იგი. [50] გამოვარ-  
 დეს მეგას ადგილსა და შენ გიხილოს მეგას<sup>19</sup> ადგილსა მეჯდომარე საყ-  
 დართა ზედა“. და ამისა შემდგომად უბრძანა ღმერთმან მიქაელს<sup>20</sup> და მიაგ-  
 ლინა სამოთხეს, რომელ არს მესამესა ცასა. მოიხუენეს სამნი არმენაკნი სინ-  
 დისანი წარგრაგნილნი<sup>21</sup> და ჰრქუა ღმერთმან მიქაელს<sup>22</sup> და გაბრიელს<sup>23</sup>: „გან-  
 მარტენით<sup>24</sup> არმენაკნი ეგე და შეგრაგნეთ გუამი ადამისი და მოიღეთ საცხე-  
 ბელი ზეთის ხილისაგან და დაასხით მეგას ზედა. და შემოსეს იგი სამთა ან-  
 გელოზთა. და ოდეს შემოსეს გუამი იგი ადამისი, და ჰრქუა ღმერთმან: „მო-  
 იღეთ<sup>25</sup> გუამი იგი აბელისიცა<sup>26</sup> და მოიხუენით სხუანიცა არმენაკნი და შემო-  
 სეთ იგიცა, რამეთუ შეუმოსელი იდეა მიერ დლითგან, ვინა[ა]ცა მოკლა იგი  
 ჰენმან უკეთურმან და უნდა დაფლავად ქუეყანასა და ვერ უძლო<sup>26</sup>, რამეთუ  
 აღმოვარდის<sup>27</sup> ქუეყანით გუამი იგი მი[51]სი<sup>28</sup>. და ჳმაჲ<sup>29</sup> ესმა ზეცით. და  
 ჰრქუა მას: „ვერ დაეფლას<sup>30</sup> ეგე ქუეყანასა, არა თუ პირველად ქმნილი<sup>31</sup> მი-  
 იქცეს ქუეყანად, რომლისაგან შექმნეს<sup>32</sup>“. მას ჳმისა მოილო იგი რომელსამე  
 კლდესა ზედა და იდეა იგი მუნ, ვიდრემდის მოკულა ადამი. მაშინ მოიღეს  
 და შემოსეს იგი ვითარცა მამაჲ თჳსი. უბრძანა ღმერთმან აღებაჲ ორთავე

<sup>1</sup> მიქელ A, მიხაელ B. <sup>2</sup> რომელ C. <sup>3</sup> ანგელოზნი B. <sup>4</sup> ფსალმუნთა QBC. <sup>5</sup> ან-  
 გელოზთათა QBC. <sup>6</sup> ადამისასა C. <sup>7</sup> მიქელ A, მიხაელ B. <sup>8</sup> დაცემა A. <sup>9</sup> რათა C. <sup>10</sup> და  
 რომელთამე აქუნდა საგალობლები—A. <sup>11</sup> სცემდენ B. <sup>12</sup> ხეროვინთა B, ქერაბინთა C. <sup>13</sup> დი-  
 დებისა QBC. <sup>14</sup> დასულბის C. <sup>15</sup> დაერდომილისა C. <sup>16</sup> შეჭუნა B, შეიჭუნა C. <sup>17</sup> რომელსა  
 A. <sup>18</sup> რომელი-იგი A. <sup>19</sup> მას QC. <sup>20</sup> მიქელს A, მიხაელს B. <sup>21</sup> წარგრაგნილი BC. <sup>22</sup> მიქელს  
 A, მიხაელს B. <sup>23</sup> გაბრიელს B. <sup>24</sup> განიშარტენით QB. <sup>25</sup> მიიღეთ A. <sup>26</sup> აბელისიცა A. <sup>26</sup> უძ-  
 დეს B. <sup>27</sup> აღმოვარდა A, აღმთარდის B. <sup>28</sup> მისი—B. <sup>29</sup> ხოლო C. <sup>30</sup> დაეფლა A. <sup>31</sup> კმნილი-  
 QC. <sup>32</sup> შეიქმნეს AB.



## C

სამოთხით კერძო აღმოსავალით<sup>1</sup>, ადგილსა მას, რომელსაცა აღირო მიწაა ღმერთმან და შექმნა ადამი, და უბრძანა ღმერთმან აღმოთხრად მიქაელს<sup>2</sup>. და მიავლინა ღმერთმან სამოთხედ შუდნი ანგელოზნი და მოიღეს მრავალი სულნელება<sup>3</sup> სამოთხით და დაუბყრეს მათ. და მოიხუნეს გუამნი ორთანივე მათ. და შთასხნეს<sup>4</sup> საფლავსა<sup>5</sup> და დაფარეს და მიექცა ღმერთი და უწოდა მ<sup>6</sup> ადამს<sup>7</sup>. მიუგო გუამმან მან<sup>7</sup> ადამისმან მიწით გამო და თქუა: „აჰა ესერა ფარაო“. და ჰრქუა მას უფალმან: „აჰა ე[52]სერაცა<sup>8</sup> გრქუა შენ, ვითარმედ მიწა ხარ და მიწად მიხვდე შენ, ხოლო აღდგომამ, რომელ აღვითქუ<sup>9</sup>, აღვადგინო ჟამსა აღდგომისასა“.

ხოლო შემდგომად ამისსა მოიღო ღმერთმან ბექედი იგი სამკედელი და 10 დაბეჭდა სამარე იგი ადამისი და ჰრქუა: „ნუმცა ვინ შეეხების ექუსთა<sup>10</sup> ამით დღეთა, ვიდრემდე მოიქცეს გუერდი შენი შენდავე“.

მაშინ-ლა ღმერთი<sup>11</sup> აღვდა ზეცად და ანგელოზნი თვითოეულად წესთა თვსთა ზედა. ხოლო ევა დასულელებულ იყო, ესერა<sup>12</sup> ყოველი იხილა. ტიროდა ევა და უნდა ხილვა<sup>13</sup>, სადა დადევს ადამი, რამეთუ არა უწყოდა. ოდეს 15 გარდამოჭდა უფალი ქუეყანად, [აღმატა] არა ყოველთა ხეთა სამოთხისათა სულნელება [მისი, რამეთუ] სულნელებისა მისგან ყოველნი დასულბეს. ვიდრე შემოსადმდე<sup>14</sup> და დამარხვად ადამისა არავინ<sup>15</sup> აგრძნა სეითისა<sup>16</sup> ხოლო: და ილოცვიდა ევა, ტიროდა, რათამცა მიიყვანეს და უჩუენეს, სადა [53] დადევს ადამ. და ოდეს აღასრულა ლოცვა იგი, თქუა: „უფალო, ნუ უცხო მყოფ მე 20 ადგილისა მისგან ადამისისა<sup>17</sup>, არამედ ბრძანე ჩემიცა მის თანა, ვითარცა ორნივე ვიყვენით სამოთხესა შინა განუმორებელად ურთიერთას, სიკუდილსა მას ჩუენსა<sup>18</sup> ნუ განმაშორებ, არამედ სადაცა იგი დასდევ, მიუნცა მე“. და შემდგომად ლოცვისა მისისა აღმოუტევა სული.

და მოვიდა მიქაელ ანგელოზი და ასწავა სეითს, ვითარ შეჰმოსოს ევას. 25 მოვიდეს სამნი ანგელოზნი და აღიღეს გუამი ევასი და დადევს, სადაცა-იგი დადევს გუამი ადამისი. და შემდგომად ამისა ეტყოდა მიქაელ<sup>19</sup> ანგელოზი: „შემოსეთ ყოველი მკუდარი, რომელი მოკუდეს, ესრეთ<sup>20</sup>, ვიდრე აღსასრულადმდე ყოველთა კაცთასა“. ოდეს ასწავა სეითს ესე ყოველი, ამალდა ზეცად სეითისგან<sup>21</sup> და ჰრქუა მას<sup>22</sup>: „უფროჲს ხუთისა დღისა არა ივლოვდეთ 30 მკუდართა ზედა, ხოლო დღესა მას მეზუდ[54]ესა განმხიარულდეთ, რამეთუ ამას დღესა განისუენა ღმერთმან ყოველთაგან მისთა, რომელ<sup>23</sup> ქმნა<sup>24</sup> უფალმან“, რომლისაჲ არს დიდებამ და პატივი და თაყუანის-ცემამ თანა მამით და სულით წმიდით<sup>25</sup> აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ<sup>26</sup>.

<sup>1</sup> აღმოსავალთა B. <sup>2</sup> მიქელს A, მიხაილს B. <sup>3</sup> სურნელებამ A, სულნელები C. <sup>4</sup> შთასხნეს C. <sup>5</sup> საფლავსა—QAC. <sup>6</sup> ადამ C. <sup>7</sup> მან—A. <sup>8</sup> ესერა B. <sup>9</sup> გეტუა A, აგითქვ C. <sup>10</sup> ექვს C. <sup>11</sup> უფალი QBC. <sup>12</sup> ესრეთ B. <sup>13</sup> ხილვისა QBC. <sup>14</sup> შემოსადმდე QAC. <sup>15</sup> სხუამან არავინ B. <sup>16</sup> სეითისსა QAC. <sup>17</sup> ადამისსა QABC. <sup>18</sup> ჩუენცა A. <sup>19</sup> მიქელ A, მიხაილ B. <sup>20</sup> ესრეთ+სახედ B. <sup>21</sup> სეითისგან—B <sup>22</sup> მას] სეითს ანგელოზმან B. <sup>23</sup> რომელი C. <sup>24</sup> ქმნა C. <sup>25</sup> წმიდითურთ BC. <sup>26</sup> აწ და მარადის და უკუნითი უკუნისაამდე, ამინ—A.

## ლექსიკა

- ამქუმელ-ი** 114,3 ამყვანი, აქ: ბებია ქალი.  
**არმენაკ-ი** 132, 24 ქსოვილი, ტილო (სუნბო აივო რ, ყასაარასკაქ).  
**ბრქალ-ი** 126 33, ფეხის ქუსლი (πέρσνα, რ, ყარჯაყარ).  
**გამოცემა, 0—შ** მოცემა: „არა გამოგცეს ნაყოფი“ 125, 33.  
**განღეულ-ი** 126, 25 დაღეული, მიწაზე განრთხმული, „მგლინავი“ ლ.  
**განსხეულ-ი** 126, 28 „განსხირბული“ 4.  
**განსხირბულ-ი** 126, 26 გაჭიმული, გაქრული.  
**გარდამატება, ე** გადაფარება: „თმანი თავისა მისისანი გარდაემატენს“ 110, 20; **გარდამატებულ-ი** 111, 32 გადაფარებული.  
**გარდასხმა** (დასხმა ლ), **ი-2** გადაყრა, დაყრა: „გარდაისხით მიწა თავსათქუნსა 118, 6—7.  
**გარეშე გარეთ** (ზმნზ.): „დადგა იგი გარეშე და ტიროდა“ 110, 34.  
**დავრდომილ-ი** 111, 20 დავარდნილი, ძირს დაგდებული: „ევა დავრდომილ იყო ქუეყანასა ზედა ვითარცა მკუდარი“ 112, 24—25.  
**დასულბება, 0—1** გაკვირვება, განცვიფრება, დაბნედა: „ყოველნი დასულბეს“ 38, 32. **დასულბებულ-ი** 133, 14 განცვიფრებული; დაბნედილი.  
**დასჯა** 125,2 გასამართლება, განსჯა.  
**დაუნჯებულ-ი** 117, 30 შენახული, დაცული.  
**დაყოფა** (პირისა), **-ი** ვნ. 119,3 გაჩუმება, დაჩუმება.  
**დაცადება, ა—ვ** 127, 6 დაყოვნება.  
**დაწობა, ა—ვ**: „დააწობდა ცრემლთა“—დაადენდა ცრემლებს.  
**ექუსფრთე** 131, 29 ექუსფრთიანი.  
**ზმა, 0—2** ქმნა: „რასა ზამ სამოთხესა შინა“ 121, 36.  
**ზოგ-ი** ნახევარი: „მომეც მე ზოგი სალმოზისა შენისა“ 117, 37.  
**თივა** 114, 2, ბალახი.  
**თნევა** მოწონება: „სთნდა სიტყუა ესე ჩემი“ 112, 2.  
**იამინდო** (ამინდო A, იამინდა D) 128, 15 მოხსენებულთა როგორც მეოთხე საკმეველი, აღამა რომ სამოთხიდან წამოიღო. 4. რედაქციის ტექსტში შესატყვისად გვაქვს „ნიკანამო“, ბერძნულსა და სომხურში *ნიკანამო*, *ქინამინ*, შეიძლება ეს სიტყვა წარმოადგენდეს ფონეტიკურ ვარიანტს ბერძნული სიტყვისას *νικαμα, τος, τς* (იამა, იამატოს—წამალი).  
**იტყევის-ი** 127, 28 მბრუნავი (στροφικός, *ჯორჯანასკაქ*).  
**კორტონ-ი** 128 სქ. 6 „კოროკონი“ 4. ეს სიტყვა ან „კოროკონის“ დამახინჯება, ანდა მოდის ბერძნული სიტყვიდან *χρῶτος, ἴ*, რაც ნიშნავს ბალახს.  
**კოროკონ-ი** 128, 5, ზაფრანა (*რ არაჯი*).  
**კუროსთავ-ი** 125,34 შავი ნარი, თავცეცხლა.  
**ლხინება, უ-(შ)2** შემსუბუქება, გაადვილება (ჭირისა): „მილხინოს მე ჭირთა ამათ შინა ჩემთა“ 112, 36.  
**მაგიერ 1.** (ზმნიზ.): „აწ აღმოჰვედ მაგიერ“ 111,4.  
**2.** (ჩე. ნაცვ. ს.): „გამოვედ მაგიერ წყლით“ 110, 36  
**მგლინავ** ი 126,25 მხოხავი, მცურავი.  
**მეცნიერ-ი** მცოდნე: „მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“ 122, 29.  
**მიერ:** „მიერ წყლით“ 111,8—იმ წყლიდან.  
**მოტყინარე** 127 28 ანთებული, მოკაშკაშე.

ნარდინ-ი ნარდონ-ი 4, 128, 14 ნარდის ხის ზეთი (ჩ ვაძბიძე).

ნარჩევ-ი 127, 5 მონარჩენი, ცუდი, უვარგისი რამ.

ნაქმარ-ი 131, 2 გაკეთებული, შექმნილი.

ნიკანამო 128, სქ. 1 ბერძნულსა და სომხურ ტექსტებში ამ სიტყვის ფარდად გვაქვს *νακαμασιον* და *κλινσμιον*, რაც ნიშნავს დარიჩინს, საფიქრებელია, რომ „ნიკანამო“ სწორედ ამ სიტყვის ფონეტიკურად შებღალულ ფორმას წარმოადგენდეს.

პირად-პირად-ი სხვადასხვაგვარი: „გუმეზანი პირად-პირადნი“ 117,27.

რაბამ-ი 109, 31 როგორი.

საბაოთ 132, 8, უფალი (ებრ.).

საზრდელ-ი 109, 9 საზრდო.

სალმობა 113, 4 ტკივილი.

სამკედელ-ი სამკუთხედი: „მოილო ღმერთმან ბეჭედი იგი სამკედელ“ 133, 10.

საყდარ-ი 111, 31 ტახტი.

საყუდელ-ი 109, 4—5 სამყოფი, სადგომი.

საცხოვარ-ი 110, 27 ცხვარი.

სახე ნიშანი, სასწაული, შემთხვევა: „გიოხრა სახე, რომლითა შევიტყუე“ 120, 8.

სიმდიდრე დიდება, სიდიადე: „სეთ... ნაზობი იყო სიმდიდრისა ღმრთისაჲ“ 132, 13.

სინდ-ი 132,25 თხელი ბამბის ქსოვილი; იგივე არმენაკი (სინდჷ ოხიჯ ჩ).

სჯა, ე ჩხუბი, დავა: „ეშმაკი იგი ეშმაკსა მას ესჯოდა“ 115, 8.

ტალავარ-ი 109, 4 კარავი.

ტარიგ-ი 113, 13 შესაწირავი, მსხვერპლი.

უმრწემებს-ი 112, 9—10 უმცირესი, უფრო პატარა.

ფარაო 133, 7 ფარაონის ბერძნული ფორმა. აქ: უფალი.

ქარზბა 115, 9 გამპვირვალე ქვა: „ქვა ჭიქის მსგავსი“ (საბა).

ქმნა, ი—2 მიწის დამუშავება, მიწათმოქმედება: „წყევლ იყავნ ქუეყანაჲ საქმეთა შინა შენთა, იქმოდემცა და არა გამოგცეს ნაყოფი“ 128 33.

ქმნულკეთილობა 111,10 სილამაზე, მშვენიერება.

ქცევა, ი—2 შებრუნება, შეცვლა: „იქცია მუტლი გნისა თისისა“ 110, 29; „იქცია ხატი მისი და სამოსელი“ 110,32.

შებეჭდულ-ი 113, 8 დაბეჭდილი.

შეტყუვალი, ა—2: „შევატყუოთ“ 121,12 მოვატყუოთ; • ვნ. მოტყუება: „შევიტყუენიოთ“ 128,16 მოგტყუვდით: „შენითა შეტყუელიოთ იყო გამოსლვაჲ ჩუენი სამოთხით“ 111,22.

შეურაცხ-ი 121, 1 უვარგისი, ცუდი.

შეჭუვნება, ი—1 111, 21, წუხილი, შეწუხება.

შურომა, ი—1 119, 14 დაღლა, დაქანცვა.

ძალ-ი ანგელოზთა ცხრა დასთავან ერთ-ერთის სახელია; „ანგელოსთ დასნი მესუთე“ (საბა): „მოვიდეს ზეცით ათორმეტნი ანგელოზნი და ორნი ძალნი“ 113, 28; „და ჰრქუა ადამს ძალმანი“ 114, 7.

წყლულ-ი 121, 31 დაჭრილი.

კამად-ი 110, 13 საკმელი.

კვრობა, 0—2 კვრეტა, მზერა: „ვიჭვრობდი ზღუდელ მიმართ სამოთხისად“ 121, 19.

ჭუვილ-ი, ი, 0—1, 114, 3; წუხილი: „კჭუვი“ 122, 9.

ჭურ-ი 129, 1 ჭურჭელი.

ვმოზა, 0—1 ყვირილი: „რასა ჰვმოზ“ 124, 14.

КУРЦИКИДЗЕ Ц. И.

ГРУЗИНСКАЯ ВЕРСИЯ «ЖИТИЯ АДАМА»

Резюме

На грузинском языке апокрифический памятник «Житие Адама» сохранен в двух редакциях. Они восходят к одному грузинскому источнику.

При языковом и лексическом анализе выясняется, что «Житие Адама» переведено до IX—X веков, видимо с армянского языка.

ლია კიკნაძე

## გიორგი ავალიშვილის ენა

(„იერუსალიმში მოგზაურობის“ მიხედვით)

მე-18 ს. II ნახევრისა და მე-19 ს. I ნახევრის მრავალმხრივ საინტერესო საზოგადო მოღვაწე და მწერალი გ. ავალიშვილი ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია, როგორც თვალსაჩინო წარმომადგენელი მთარგმნელთა იმ პლედისა, რომელიც ნაყოფიერ შრომას ეწეოდა რუსულიდან ქართულად თარგმნის საქმეში. იგი კარგად იცნობდა ქართულ და რუსულ ლიტერატურას. იცოდა რუსული, თურქული და სომხური ენები. გ. ავალიშვილმა პირველმა თარგმნა რუსი კომედიოგრაფის სუმაროკოვის პიესები, ქართულ დრამატურგიას საფუძველი ჩაუყარა და დაიმკვიდრა ქართული დრამატურგიის მამამთავრის საპატიო სახელი.

გარდა თარგმანებისა მას ეკუთვნის აგრეთვე ორიგინალური ნაწარმოებებიც, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია „იერუსალიმში მოგზაურობა“ (ამ თხზულების სრული სახელწოდება ასეთია: „მგზავრობა თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა და უკუნქვევად იერუსალიმით თბილისისადმივე კიპრის ჭალაკისა, მცირე აზიისა და ანატოლიის ძლით“). ეს ნაწარმოები დიდ ინტერესს იწვევს ისტორიულ-ფილოლოგიური თუ გეოგრაფიული თვალსაზრისით<sup>1</sup>.

„იერუსალიმში მოგზაურობა“ საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც, რადგან იგი წარმოგვიდგენს ენის განვითარების რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ეტაპს, როცა სალიტერატურო ენა განიცდიდა ანტონ I-ის სკოლის დიდ გავლენას.

რაში მდგომარეობს ამ ეტაპის სირთულე? ამის გასათვალისწინებლად თვალი გადავაგლოთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას მე-12 საუკუნიდან მე-19 ს. დასაწყისამდე.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში იწყება, რაც მნიშვნელოვნადაა განპირობებული საერო მწერლობის განვითარებით. კლასიკურ მწიგნობრულ ნორმათა გვერდით თავს იჩენს ხალხური მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ფორმებიც, რასაც მოსდევს ძველი ქართულის თანდათანობითი ტრანსფორმაცია. ძველი და ახალი ფორმების ჭიდილი დასრულდა ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებით მე-18 საუკუნეში, ენისა, რომელიც „მიღებულია ძველი ქართულის გადა-

<sup>1</sup> იხ. ვლ. მეტრეველის გამოკვლევა, რომელიც წინასიტყვაობად წამოძვარება ტექსტის გამოცემას. ტექსტი მომზადებულია გამოსაცემად ავტორაფის S-450-ის მიხედვით



მუშაების შედეგად ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე მაგრამ ძველი ქართულის ფორმები ჯერ კიდევ იჩენდნენ თავს მორფოლოგიასა თუ სინტაქსში. ძველი ქართული კარგა ხანს არსებობდა, როგორც საეკლესიო მწერლობის ენა.

მე-18 ს. 60-იან წლებში სალიტერატურო ენის განვითარება შეფერხდა, რაც დაკავშირებული იყო ანტონისა და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ანტონმა დააკანონა სამი სტილი მეტყველებისა. მაღალი სტილი იოანე პეტრიწის ენას იღებდა სამაგალითოდ. იგი იყო „ქართულის თავისებური სუროგატი. ენა ღვლარჭინლი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“<sup>2</sup>. ანტონის სკოლამ დიდი გავლენა მოიპოვა არა მარტო მის თანამედროვეებზე, არამედ მე-19 ს. I ნახევრის მწერლებზედაც. მან მთელი საუკუნე იბატონა და საგრძნობლად შეაფერხა ქართული სამწერლობო ენის ბუნებრივი განვითარება.

მე-18 ს. და მე-19 ს. I ნახევრის სამწერლობო ენაში ადგილი აქვს დიდ სიჭრელეს, რასაც ქმნიდა ერთი მხრივ, ძველი ქართულიდან და ცოცხალი დიალექტებიდან მომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, ანტონის სკოლის ხელოვნური ფორმები. მაშასადამე, ამ დროის სამწერლობო ენა მოკლებულია იმ დახვეწილობას და მკაცრ ნორმებს, რაც სალიტერატურო ენისთვისაა დამახასიათებელი.

სამწერლობო ენის განვითარების ეს ჭრელი სურათი კარგადაა ასახული გ. ავალიშვილის ძეგლში, ამიტომაც იგი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

რამდენადაც „იერუსალიმში მოგზაურობა“ უმთავრესად შეიცავს წმინდა ადგილებისა და მათი ნახვით მიღებული შთაბეჭდილებების აღწერას, ავტორი იყენებს „მაღალი მატერიების“ შესაფერის „მაღალ შტილს“. ამიტომ ძეგლის ენა ძირითადად არქაულია, მძიმე და ხელოვნური. გვხვდება უჩვეულო და თავისებური სიტყვაწარმოების ნიმუშები, რაც იმ დროის გარკვეულ სალიტერატურო ნორმებს უბასუხებდა და წიგნის ხელოვნურ მეტყველებაში კანონზომიერად მიიჩნეოდა<sup>3</sup>.

მაგრამ „მაღალი შტილის“ გვერდით გვაქვს შედარებით მარტივი სტილის გამოყენების შემთხვევებიც უმთავრესად რომანტიკული და სათავგადასავლო ამბების გადმოცემისას. მაშასადამე, ჩვენი ძეგლი საყურადღებოა სხვადასხვა სტილების გამოყენების თვალსაზრისითაც.

„იერუსალიმში მოგზაურობის“ ენა საინტერესოა იმიტაც, რომ კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ჭეშმარიტებას: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“<sup>4</sup>. ამის საფუძველს გვაძლევს სასაუბრო მეტყველების ის ფაქტები, რომელთაც საკმაოდ ვხვდებით ძეგლში, მიუხედავად ავტორის მისწრაფებისა არქაულობისაკენ.

„იერუსალიმში მოგზაურობა“ ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხით (S—450), რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ენიშის მოამბე, ტ. II, 1939, გვ. 15.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 021.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ბარათაშვილის ენა (ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემები, წერილები, ფედერაცია, 1939) გვ. 150.

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 43.

## მ რ თ მ ბ რ ა ვ ი ა

მე-19 ს. 60-იან წლებამდე ქართულ დამწერლობაში იხმარებოდა ძველი ქართულიდან მომდინარე ასოები: ა, ე, ჯ, ქ, ზ და მე-18 ს. ანტონ I-ის მიერ შემოღებული: ძ, ჭ და ჸ.

გ. ავალიშვილის ძეგლში ყველა ეს ასო იხმარება.

ა-ს ხმარება ისეთივეა, როგორც ძველ ქართულში.

მე 12 საუკუნიდან ე-ს ჩვეულებრივ უ-ს შემდეგ წერენ. ჩვენს ძეგლშიც უ-ს შემდეგ ე იწერება.

ე-ს მოხაზულობა მსგავსია ჰაესი, ამიტომ მათ ხშირად რევედნენ ერთმანეთში. „მოგზაურობაშიც“ ზოგჯერ ჰ-ს ადგილას ე გვხვდება, მაგ.:

ტექიმ-ბაში (86r); ტეროდესითა (122v).

ჯ გადმოსცემს როგორც ძველ უი ჯგუფს, ისე ვი-საც, მაგ.:

მძვნეარეა (9r); მშვდობით (11r) მაგრამ:

შული (7v); ქჯთა (10v); ჯაქჯთ (9r).

ჯ მე-16 საუკუნიდან არეულად იხმარება. ჩვენს ძეგლშიც ნებისმიერია მისი ხმარება, მაგ.:

არის იქ, სადაც ძვ. ქართულში ხანი გვქონდა:

ცნედარი (9r); მოჭუტებული (7v); სამჭობისასა (11v); ცნოვარ (124v).

ან პირიქით: ძველ ქართულში ჯარია, ჩვენს ძეგლში კი ხანი: ხშირ (39r); დახშულნი (126v);

ძ გამოყენებულია უცხო წარმოშობის სიტყვებსა და საკუთარ სახელებში, მაგ.:

ჭირმანით (111r); ძლაგი (73v); ძრანცუხი (81v) შდრ. იქვე: ფრანგი; ონოძრე (7v).

ჭ ჩვეულებრივ მიმართვისას გვხვდება:

საინტერესოა ერთი მაგალითი, სადაც ჭ ჰ-ს მაგივრად იხმარება:

ესთხოვე წარმოებად ჭოსა ანუ არასა (167v).

ირაციონალური ხმოვანი გ ანტონ I-ის მსგავსად თანხმოვანთგამყარადა გამოყენებული, მაგ.:

ბრძანებისამებურ (173v); აღმითქვამეს (77v); მსხვერპლ (155r).

ძეგლის ენა ფორმათა დიდი სიჭრელით ხასიათდება. ერთი და იგივე სიტყვა რამდენიმე დაწერილობით გვხვდება, მაგ.:

საეკუშლი (186r) || საეკეველი (187r) || საიკუშლი (182v); ჩივთილაკისა (188r) || ჩიჭთილაკისა (188r); მსურჯს (89v) || მსურვის (74v); მაუდითა (51r) || მოუდსა (45r); კონსელერისა (195r) || კანსელერი (154r).

აღსანიშნავია ჰ || ჰს ხმარების სიხშირე (მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან იგი ამოშლილია). ზოგჯერ ჰ-ს ხმარება გამართლებულია ძვ. ქართულის ნორმების მიხედვით, მაგ.:

ჰაქიმი (174v, 175r); ჰაზრი (166v, 168r, 170r); ჰაუზიანი (191v).

მაგრამ ჩვეულებრივ ჰ || ჰს სრულიად უფუნქციოა და ერთგვარი სამკაულის როლს ასრულებს, რაც ანტონის სკოლის ნორმათა გამოვლინებას წარმოადგენს. მაგ.:

ჰსჩანს (41v); ჰშთამჯდარმან (59v); უჰსჯულოსა (70r); მონაჰსტერსა (137v); ჰშტაბს-კაპიტანი (193v); ევჰსტათი (34r).



საინტერესოა, რომ სიტყვებში, სადაც მოსალოდნელი იყო ყ, გვაქვს უკმაბარანი (163r); კანწი (140v); კუთი (84v); ულაკი (100v); ალაკაფი (66r); კავა (139v).

### ფ მ ნ ბ ი კ ა

როგორც ორთოგრაფიის მიმოხილვისას იყო აღნიშნული, ჩვენს ძეგლში ხშირად ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ფორმით გვხვდება, მაგრამ ფორმათა ასეთი ნაირფერობა უმრავლეს შემთხვევაში ფონეტიკური პროცესებით არ აიხსნება. არ აიხსნება იმიტომ, რომ ასეთ სიტყვათა უმეტესობა უცხო წარმოშობისაა და მათ პარალელურ ფორმებს ზოგჯერ საფუძველი აქვთ თვით იმ ენაში, საიდანაც ისინი შემოვიდნენ, ხოლო ზოგჯერ გადმოტანისას ვლუბულობდით სახესხვაობას, რადგან ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი უცხო სიტყვათა გადმოტანის წესები. ერთი და იგივე სიტყვა შემოჰქონდათ სხვადასხვა ფორმით იმის მიხედვით, თუ რა პრინციპი იყო მხედველობაში მიღებული მათი გადმოტანისას.

ჩვენს ძეგლში ფონეტიკური პროცესები არც ისე ფართოდ იჩენს თავს. მათგან აღსანიშნავია:

ასიმილაცია: სჯ > შჯ: გავშინჯე (41r)

დისიმილაცია: თებში (124v); ქალაქი (160r).

აფრიკატიზაცია: ქ > ჯ: ლაჯუარდისა (166v)

ზ > ძ ძღვისასა (65v)

დეზაფრიკატიზაცია: ძუნტობს (53r)

აუსლაუტში ბგერის დაყრუების მაგალითია: **სახელათ** (57v).

აღსანიშნავია, რომ ძეგლში ხშირად ძველი ქართულის მსგავსად გაშლილფუძიანი სიტყვები გვხვდება, მაგ.:

გარეგანობითა (57v); ჰშთამომავლობითა (18v); დასამოწმებელად (24v);

მტვერად (64v); ამპარტავანებისა (48v); წყალისა (7v).

გამოიყენება რედუქცირებული ფორმებიც:

ღესპნებად (37v); მოაჯრითა (46r); მოსკოვლი (74v, 89v); დაიმდებულ-

ნი (65r).

გვხვდება ი-ს რედუქციის მაგალითიც: ძღვეამოსლისა (52r).

### მ რ ფ მ ლ მ ბ ი ა

#### სახელთა ბრუნება

ძეგლში ხშირია ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი წრფელობითი ბრუნვის გამოყენების შემთხვევები. იგი გვხვდება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, დროისა და ვითარების გარემოებების ფუნქციით, მაგ.:

შემძღებელ ვარ (167v); მიმწუხრ (87v); ზაფხულ (37v); მსწრაფლ (65r).

სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები ბრუნვის ნიშანს დაირთავენ:

ძეა (16v); მიროა (137r); სასნეულოა (59r).

იშვიათად უნიშნოლაც გვაქვს: ეკკლესია (135v).

მოთხრობითში ჩვეულებრივია არქაული -მან ნიშანი, მაგრამ იშვიათად გამარტივებული -მა || მ-ც გვხვდება, მაგ.:

მეფემან (162v); ელუარებამან (164v); მაგრამ: პატრონამ (61r); გზამ (82r).



მიცემითის ემფატიკურხმოვნია და უემფატიკურო ფორმებია გამოყენებული ადგილის და დროის გარემოებების გადმოსაცემად, მაგ.:

წარველ ლიდიას (152v); მოვიქეც ქუთათისხსა (12v);

არ აღმოიღოს ჯმა მას დროხ (83r); პირველსა ბინდსა მოვედით (163r). თავისებურია ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები. ა-ზე და ე-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები ბოლო ხმოვანს არ იკვეცენ და ვლგებულობთ -აჲ,-ეჲ დიფთონგებს, მაგ.:

აკლდამასა (62r); კლდეასა (138r); სახეათა (52v); კალიათა (158r).

ზოგჯერ ბრუნვის ნიშნისეული -ჲ იკარგვის:

ხოლო სამსახურნიცა ჰყოფენ მას ღირსად უძრფასესისა პატივისა კავალერონობასა (125r).

საინტერესოა თანიანი მრავლობითის -ჲ ხმოვნიანი ფორმა „ქართუ-შლით“.

ადგილი წმიდისა გოლგოთისა ყოფილა ქართუშლით<sup>6</sup> (149v).

ძველი ქართულის მსგავსად, ხშირად მოქმედებითი ბრუნვა გამოხვლითის მნიშვნელობას გადმოსცემს, მაგ.:

როსხით მოსლფული უფალი (33v); გამოტანებული თბილისით (34v);

ზოგჯერ ემფატიკურხმოვნიანი მოქმედებითიც ამავე შინაარსით იხმარება, მაგ.:

ხოლო რაჲცა შეეხების მოსვენებასა ჩემსა, იგი წამითა ამით არლა უკუშ არს ველმწიფებასა შინა ჩემსა (166r); გარდასლფულთა ჭრეგატიათა ამით რაოდენთამე მატროსთა უწყეს ზიდუად შეშათა (19r).

გვხვდება ფორმა, რომელიც მიჩნეულია მოქმედებითის თავისებურ სახეობად და რომლის ხმარება იშვიათია თვით ძველ ქართულში<sup>7</sup>, მაგ.:

წამითი წამად (140v); საფაშოთი საფაშოდ (172r);

ჯარისხითი ჯარისხად (51r); ღუქნითი ღუქნად (51r).

ეს ფორმები გამოხატავენ დროისა და ადგილის გარემოებებს. ისინი ჯერ კიდევ ძველ ქართულში ერთგვარ ტექნიკურ გამოთქმადაა ქცეული<sup>8</sup> და მათი ხმარება ჩვენს ძეგლში ავტორის არქაულობისაკენ მისწრაფების ტენდენციის გამოხატულებაა.

წოდებითი ბრუნვის ჩვეულებრივი ფორმების გვერდით ზოგჯერ გვხვდება მიმართვისას სახელობითის გამოყენების შემთხვევები. ასეთი მაგალითები ცოტაა, თანაც 5 ერთსა და იმავე სიტყვას ეხება, მაგ.:

ვითარ იყოფინ ეგე, აიას ღესპოტი! (170v); რად საჭირო არს ეგე აიას ღესპოტი! (169v); ქეშმარიტსა უბნობთ, აიას ღესპოტი! (169v); აიას ღესპო-

<sup>6</sup> ანალაგიური ფორმები გვხვდება ალ. ჭავჭავაძის ლექსებში: ცბიერთი, ფერთი, მტერთი (იხ. ივ. ქავთათრაძე, ალ. ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი, უნ. შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 300). ასეთი ფორმები დამახასიათებელია ფშაური დიალექტისთვისაც; ვაჟა-ფშაველას ხშირად იყენებს მას, მაგ.:

გსთქვათ სიბრალული კარგია კაცის კვლა ყველასა სკარბობს,  
ხე-ქვა, ბალახით, ცხოველით, თუნდ მტერი იყოს ყოველით.  
(გველის მტემელი, ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები, 1960, გვ. 512).

<sup>7</sup> ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის. წელიწადეული, 1924, გვ. 315.

<sup>8</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, 1957, გვ. 725.

**ტ**, ეგე არ შესაძლო არს თუ იტქემის არავითარმე (169v); **დესპოტი აქენდემ**! უწყით თქუენ (169v); **შეჟიმ-ბაში** მე ყოველსავე ვარწმუნებ უიჭუშლად რჩევასა თქუენსა (180v).

მიმართვის ასეთი ფორმა, შესაძლებელია, რუსულის ერთგვარი გავლენის შედეგი იყოს.

### საკუთარი სახელი

უფრო მეტ თავისებურებას გვიჩვენებს ბრუნების დროს საკუთარი სახელი. ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი, ძველი ქართულის მსგავსად, სახელობითში ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ ზოგჯერ საზოგადო სახელების ანალოგიით უჩნდება სახელობითის ნიშანი, მაგ.:

პეტრეა (162r); სტეფანეა (147r); ვალენტინეა (40r); ათანასეა (40r).

სინტერესია საკუთარ სახელთა **მოთხრობითი** ბრუნვა. ავტორი ცდილობს, დაიცვას ძველი ქართულის წესი—გაუფორმებლად, სუფთა ფუძით წარმოდგინოს სახელი, მაგრამ მხოლოდ სინახევროდ ასრულებს მას: **-მან** ფორმანტის საკომპენსაციოდ რგოლს წერს საკუთარი სახელის ზემოთ, მაგ.:

მიუგო... **ვენედიქტე**° (45v); დამანახუა ჰაჯი **პოლიკარპე**° (146v); მაშინ არხიმანდრიტმან **ათანასე**° ღირს რწმუნებულ მყო (48r)<sup>9</sup>.

მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც ჩვენი ძველი შეიქმნა, ახალი სალიტერატურო ენა უკვე ჩამოყალიბებული იყო და, რასაკვირველია, საკუთარი სახელი საზოგადოსთან იყო გათანაბრებული ბრუნების მხრივ. ამ ფაქტს არ შეიძლება თავი არ ეჩინა გ. ავალიშვილის ენაში მიუხედავად მისი ერთგულებისა ანტონის სკოლის ნორმების მიმართ: არც თუ იშვიათად საკუთარი სახელები გაფორმებულია მოთხრობითის ნიშნით და ზოგჯერ იგი ახალი ქართულისებური გამარტივებული სახით ერთვის სახელს, მაგ.:

-მან: **დაშკოვმან** გამოჰკითხა ბაზილიძესა მდგმოებამ მისი (91r); გრაფ **კაპნისტმან** განუტევენა იგინი (27v); **მიხაილციანოვმან** შექმნა სიცილი (90v).

-მა || -მ: აქ მოიყვანა ერთმან თბილისელმან დედეაკემან **იალხაპიტამ** (89r); დღესა ამის მწუხრსა მისცა... **სივინიმ** ბალი (77v); ნეოქიტე **ვანვამ**... მრქუა (58r).

ზოგჯერ ერთი წინადადების ფარგლებში, ერთმანეთის გვერდით გვაქვს გაფორმებული და გაუფორმებელი მოთხრობითი, მაგ.:

რამეთუ **პაისიიმ** შიშულითა შპავითა და **სპირიდონ**° მახვლითა... არ აენონ მტერთა თჳსთა (151r); რომლისაცა საფლავისა ხილულად წარგვიყუანეს ერთმან იერომონოზოსმან **ნიკოლაოს**° და ერთმან აქაურმან **ნიკოლაოსმანვე** ჯანაშენ ოღლიმ (111r).

საკუთარ სახელთან ემფატიკური -ა ხმოვანი ხან გვაქვს და ხან არა, მაგ.:  
 სამწირუშლოა... **გიორგისა** (139v); მაგრამ: სადგომი პატრისა **ვალენტინესი** (42r).

ემფატიკური -ი ერთვის სახელს მოქმედებით ბრუნვაში:

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ამავე ფუნქციით გამოიყენება რგოლი ანტონ I-ის ნაწარმოებებში, მაგ.: შექმნა ვახუშტი° წესიერ და კეთილად (წყობილისიტყვაობა S—121, გვ. 252); პეტრე° რქუა, მაქსიმე° ჰსთქუა (გრამატიკა, S—108, გვ. 136).

წარველ ლევკოსისადმი კონსტანტინე **პერისტანეთი**, ძითა მისითა **იერონიმეთი** (158r); რომელიცა გამოძეუა ერთჟამისა სავალსა ძმითურთ თჳსით **კონსტანტინეთი** (70r).

ასეთივე სურათი გვაქვს ორმაგი წარმოების ბრუნვებშიც:

ემფატიკური ხმოვანი ხან ერთვის საკუთარ სახელს და ხან არა, მაგ: ტაძარსა შინა **აპოლონისასა** (45r); თჳს მისლჳსა ჩემისა ვიცე-კონსულისა **მილონაჲსასა** (90v); მაგრამ: შეველ კუფეჟლისა შინა ღირსისა **საბასასა** (140r); დავჰსდევით სახლსა ბერძნისა **ბერნანდოსსა** (163r).

უფრო ხშირია უემფატიკურო ფორმების ხმარების შემთხვევები.

საინტერესოა, რომ ნანათესაობითარი მიცემითის ფორმები გამოიყენება.

ადგილის გარემოების გადმოსაცემად, მაგ.:

მიველ სამადლობელად და განმწუღობებად უფლისა ბარონ **სტროგანოვისას** (39v); დანიშნულსა ჟამსა მივედით სახლის პატრონითურთ ჩემით და მისის ცოლ-შუღლებით კონსულისა **შამპონისას** (66v).

ასეთი მაგალითები უცხოა ძველი ქართულისათვის, სამაგიეროდ იხმარება ახალ ქართულში და დამახასიათებელია უფრო დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა მეტყველებისათვის.

საკუთარი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში ხან გამარტივებული სახით გვხვდება (ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნის ჩაყარდნის შედეგად) და ხან „დიფთონგიანი“ ფორმით, მაგ.:

მოხუცებულმან მშობელმან **სოჴიასა** ანტონი პერეტეე მიიღოს წინადადებაჲ ესე (169v); შემდგომ წავედით ერთობით მოხილუად ქალეშბეი **შარვაშიძეს** სახლისა (18v); შორის ჩემსა და **სოჴიასა** (166r); ხოლო შემდგომ შეველ ტაძარსა შინა... მოწამისა **თეკლასსა** (121r).

„დიფთონგიანი“ ფორმები:

თჳს მისლჳსა ჩემისა სახლსა ვიცე-კონსულისა **მილონაჲსასა** (57v); მიველ სახლსა იერუსალიმის პატრიარხისა **პოლიკარპეასასა** სადგომსა არხიმანდრიტისა **ვენედიკტესსა** (40r).

ეს უკანასკნელი მაგალითი საინტერესოა, როგორც ნიმუში პარალელური ფორმების ერთმანეთის გვერდით ხმარებისა. ბრუნვების ტიპის მიხედვით მსგავსი საკუთარი სახელები **პოლიკარპე** და **ვენედიკტე** აბსოლუტურად უნდა დამთხვეოდნენ ერთმანეთს, მაგრამ დამთხვევის ნაცვლად ჩვენს წინაა ორი ნიშნით განსხვავებული ფორმები: პირველ ფორმაში ბრუნვის ნიშანი არ იკვეცება და ემფატიკური ა-ც არის, მაშინ, როდესაც მეორე ფორმაში არც ერთი გვაქვს და არც მეორე.

საინტერესოა **იოანესი** ფორმა, რომელიც რუსულის „Иванович“-ის ფარდალაა შექმნილი:

ხოლო ორიცა სხუა ცხენი მივეც კუალად ამასუშ... მთხოვნელმან მიყუანად მათსა საქართველოსა შინა და მიცემად ძმისა ჩემისა უფლისა... იოანე **იოანესისა** ავალოვისად (17r); თავადო გიორგი **იოანესო** (195v).

ასეთი წარმოება ქართულისთვის უცხო და მიუღებელი არაა, შდრ. XIX-ს. ქართულში გავრცელებული წარმოება ცოლის ქმრის გვარით მოხსენ-

ნიებისა, მაგ.: ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა.

### სახელთა რიცხვი

სახელთა მრავლობითი რიცხვი გამოიხატება როგორც ნარ-თანინი, ისე -ებანი მრავლობითით. უფრო ხშირია ძველი ფორმანტების გამოყენების შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ -ებ ნიშანი მეტწილად ირიბ ბრუნვებშია გამოყენებული.

ახალი წარმოების მაგალითები:

აღები (83r); შესამოსლებითა (155r); ფანჯრებ-ფარდებითა (97r);

სახლეულებითა (96r); ხეებითა (97r);

ერთი -ე დაკარგულია: მოსამსახურებითა (96r).

საინტერესოა ორივე ტიპის მრავლობითის შერწყმის მაგალითები:

სამწიროუშლოებთა შინა (150r); დუზ-ოღლებთა (40v).

### ნაცვალსახელი

„მოგზაურობაში“ ხშირად გვხვდება III პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელის (პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობით) მოქმედებითი ბრუნვა ინსტრუმენტალისის და გამოსვლითის მნიშვნელობით, მაგ.:

მრავალთა ადგილთა შინა ხედავ მისით წარმოღებულთა არხთა, (94v); აღმუყანმან ჩემმან კიბესა შემარონინა ორი ოთალი და მათით სასტუმროსა (154v). ხოლო აღმსებთა მათთა მისით დაგვიდევს კაცად-კაცადსა თვთო (155v); წამითი წამად მრავლდებოდის მათით რიცხვ ჩუჴნ მოგზაეურთა (92v).

ჩვენებით ნაცვალსახელს ეხე (პირის ნაცვალსახელის ფუნქციით) ზოგჯერ ერთვის სახელობითის ნიშანი, რაც უჩვეულოა ძველ და ახალ ქართულში, მაგ.:

გარნა ჰსჯდა ეხეა წარშლითა ფერკათათა (34v); ვითარითა სახითა მრწმუნებიეს მე ეხეა (40r).

ცალკე უნდა აღინიშნოს კუთვნილებითი ნაცვალსახელების ერთი ჯგუფის შესახებ, რომელიც ადგილის გარემოებებს მნიშვნელობით იხმარება, მაგ.:

წარმოვიყუანე თვს თანა დავით ორბელიანი სადილად ჩემსახ (16v);

ჟამი ესე განვატარე შუშბითა ჩემსახ (13r); შემდგომ მცირედრე

შესუსნებისა მილონაჲსა ამისახ ვსთხოვე ამას ჩუშნებად ჩემდა

(57v); მაშინ უთუოდ ვისადილო მისხა (168r).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ნაცვალსახელები გამოხატავს მოქმედების მიმართულებას და ადგილს. ანალოგიური ფორმები განხილული გვქონდა სახელთა ბრუნებისას (შამპიონისას, სტროგანოვისას). ასეთი ფორმები ახალი ქართულის დასავლური დიალექტებისთვისა და მახასიათებელი.

III პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელი თხი ძე. ქართულის მსგავსად გვხვდება I და II პირებთანაც, მაგ.:

III პ. აქუსცა მდგომება თხი ამას შინა (34v).

II პ. ვინათგან თუმცა ჰგონებთ თქუშნ მხოლოდ ოდენ ცივებითა პურობილად თავსა თხხა, არამედ ველი მე მომსრუტლსა ქირსა (22r).

I პ. უთუოდ მეცა ესრეთჲს გავუფრთხილდებოდი თავსა თჯსა და სახლეულებასა ჩემსა (33v).

საინტერესოა ბოლო მაგალითი, სადაც ძველი და ახალი ვითარებაა ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი.

იმეათად მისი-ც გვხვდება III პირთან, მაგ.:

ვინაჲთჳან ესრეთ იჩუშნებოდა სახეჲ მისი (40r); შორის ჩემსა და მამისა მისისა (169r).

განუსაზღვრელი ნაცვალსახელები არქაული ფორმით გამოიყენება:

რომელთა რაოდენთამე ჯელჳყუეს აღმოწევად ღუზათა, ვითთამე აღმოსლუად ზე დირაგათა დამოკიდებულთა თოკთა (17v); მოწესემან ვინმე (196v).

საინტერესოა ორმაგად ნაწარმოები ნანათესაობითარი ვითარებითის თანდებულდართული ფორმა ვისსამეახადმი (9v).

არქაული სახითაა გამოყენებული მიმართებითი და კითხვითი ნაცვალსახელები, მაგ.:

მოხოვა ჩუშნებად... ბაზილიცისა, რომელი მოვაყუანიინე და ვაჩუე-ნეტა (91r); რაჲცა სავმარ არნ მათთჳს (51v); ვინანი ხართ თქუშნ (185r); რად საჭირო არს თქუშნთჳს სახელი და გვარი ჩემი (190r).

წარმოქმნილ სიტყვებში ჩვენებით ნაცვალსახელთა სახელობითის ფუძეა გამოყენებული, მაგ.:

ეგსახედ (91r); ესსახედჲს (71r); ესსახედისა კადნიერებისათჳს (32v); ესრეთჲს (22r).

ეხსახედჲს-ს მსგავს კომბინაციებში ახალ ქართულში ჩვეულებრივ II ფუძე ამ იხმარება (ამსახედვე, ამნაირი...)

## ნ ა წ ე ვ ა რ ი

ჩვენს ძეგლში ძველი ქართულის მსგავსად ნაწევარი ერთვის სახელს, მაგ.: დღეჲ ესე (195v); დედაკაცმან ამან (32r); ქალაქსა ამას (187r); სტუმრისა ამის (37v)...

თავისებურია ნაწევრად გამოყენებულ ეხე ჩვენებით ნაცვალსახელზე სახელობითის -ი (> ა) ნიშნის დართვა, მაგ.:

პროთოლიაკონი ესეჲ (48v); ფესჳ ესეჲ (34r); ნივთი ესეჲ (36r).

## რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი

რიცხვითი სახელი ყველგან არქაული ფორმითაა გამოყენებული, მაგ.: რაოდენობითი:

ათერთმეტ (192v); ათსამმეტ (19v); ორმოცადმდე (151r);

ორმოცდაათი (175r); სამოცადმდე (150v).

რიგობითი: მეათერთმეტესა (131r); მეათორმეტესა (125v); მეათსამეტისა (9v); მეორმოცესა (138v).

## ზედსართავი სახელი

ძველში ხშირად გამოყენებული ზედსართავის ხარისხის ფორმები.

ოდნაობითი ხარისხის საწარმოებლად მო-ე და მო-ო აფიქსები გამოიყენება, მაგ.:

მოგრძე (147r); მოიწროოა (33v); მოცხელო (90v); მოახლო (66v).

უფროობითი ხარისხის საწარმოებლად უ-ეს ფორმანტებია გამოყენებული, მაგ.:

უსხოველესა (91r); უსარწმუნოეს-უსაყუარელესი (197r); უღბილესი (181r); უჭაბუკესნი (72r).

საინტერესოა ხარისხის წარმოება სახელებისა და მიმღეობებისაგან, მაგ.:

უნამსახუროვესა (75v); უშემაწუხებელესა (140r); უაღმატებულესისა (145r); უგაუძღვებელესად (107r); უსახარბიელესისა (100r).

ასეთი წარმოება ძველი ქართულისათვის არ არის უცხო. დღევანდელ ქართულში შეუძლებელია „საწადელი“-დან უსაწადელესი ვაწარმოოთ, „განცხადებულიდან“ — უგანცხადებულესი, „შეუცირველი“-დან უშეუძრველესი და სხვა, ძველ ქართულში კი ასეთი ფორმების წარმოებაც ჩვეულებრივი და ნორმალურია<sup>10</sup>. მაგრამ საფიქრებელია, რომ ჩვენს ძველში ამგვარი ფორმების მოპარბებული ხმარებისათვის საკმარისი არ უნდა ყოფილიყო მარტო ტრადიცია, არამედ გარკვეული გავლენა რუსულსაც უნდა ჰქონოდა: უსამღვდელოესი, უმადლესობა, უბრწყინვალესობა, უგანათლებულესობა და მსგავსი ფორმები ხომ სწორედ შესაბამისი რუსული ტერმინების გადმოსაცემადია შექმნილი!

ძალიან ხელოვნურად ჟღერს კომპოზიციებისაგან ნაწარმოები ხარისხის ფორმები:

უადულსაცნობელესად (142v); უპატივსაცემელესო (157r).

გვაქვს ორმაგი წარმოების ხარისხის ფორმები. ოდნაობითი ხარისხის ზედსართავებისაგან — მოგრძე, მომცრო, მომსხო — ნაწარმოებია უფროობითი ხარისხი:

უმოგრძეესი (43v); უმომცროესი (134r); უმომსხოესი (45v).

უ-ეს აფიქსების ბარალელურად გამოიყენება უუ-ეს აფიქსები, ისინი ხარისხს აწარმოებენ როგორც ზედსართავისაგან, ისე სახელისაგან, მაგ.:

უუშუშნიერესი (43v); უუომომცროესი (25v); უუიწროესი (25r);

უუღამაზესი (66r); უუღირსესსა (120v); უუმორჩილესი (171r);

უუსრულსაცნობელესად (100v); უუფერგურესსა (94v).

## სქესის აღნიშვნა სახელებში

როგორც ცნობილია, ქართულ ენას სქესის მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვა არ შეუძლია. მაგრამ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში უცხო ენათა გავლენით შემუშავდა მისი გამოხატვის ერთგვარი პირობითი საშუალება — სუფიქსი<sup>11</sup>, რომელმაც მე-18 ს. რუსული ენის მიბაძვით ფარ-

<sup>10</sup> ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 451.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 168.

თო გამოყენება პოვა. ხშირად იხმარება იგი ჩვენი ავტორის როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ნაწარმოებებშიც. ეს ფორმანტი გ. ავალიშვილთან გამოიყენება არა მარტო ზედსართავეებში და არსებით სახელებში, არამედ ნაწარმოებ სიტყვებში, მიმღებობებში და ნაცვალსახელებში, მაგ.:

მეუღლაა (60r); ამხანაგაასა (82r); არხიტექტორაა (148r); შუშნი-ერათა (196r); ჭაბუკა (82r); მოჭუცებულა (17v); მხედუშლა (21r); ახნაურთაგანაასა (111v); რომელააცა (163r).

საინტერესოა, რომ 'მარია მაგდანელი' მარია მაგდანელა-ს სახით იხმარება.

### თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი

თანდებული ჩვენს ძეგლში ძირითადად არქაული სახითაა წარმოდგენილი. განვიხილოთ მათი გამოყენების შემთხვევები ბრუნვების მიხედვით:

ხშირად იხმარება -ებრ თანდებული, რომელიც არსებით სახელთან ფუძეს ერთვის, მაგ:

მაგალითებრ (170v); ბურთებრ (195r); სახელებრ (182v).

მიცემითან გვხვდება: ზედა, შინა, თანა თანდებულები, მაგ.:

ზედა: გელსა ზედა (199r); ღმერთსა ზედა (27r).

შინა: უდაბურსა შინა (110v); ეზოსა შინა (16r). იშვიათად ში-ც გამოიყენება: შემდგომ წარვედით ბალში (196r).

თანა: მიმშჯდობებასა თანა (197r); მოახლოებასავე თანა (157r).

ზოგჯერ შეკვეცილი სახით გვხვდება:

განვისუშნეთ მასთან (196v):.

თანა ნათესაობითანაც იხმარება, მაგ.:

მისაელის თანა (121v); პატრისა თანა (8r); ფანჯრისა თანა (166r); სუ-ტრისა მის თანა (185r).

როგორც ვხედავთ, ორბრუნვიანობის საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ ქართულში, აქ მოშლილია: თანა თანდებული ნათესაობითში ერთვის როგორც სულიერ, ისე უსულო სახელს.

შორის თანდებულიც ასევე სულიერსა და უსულო სახელს ნათესაობითის ფუძეზე ერთვის. ამასთანავე მას აქვს, ძველი ქართულის მსგავსად, ში თანდებულის მნიშვნელობა (როცა ერთ სახელთანაა) და შუა-ს მნიშვნელობა (როცა ორთან ან კრებით სახელთანაა), მაგ.:

ცოლისა მის შორის (179v); ბაზრისა შორის (177r); შორის ჩემსა და შულისა თვისისა (136v); ჰაუზისა და გალავნისა ამის შორის (133v).

თვს თანდებულიც ნათესაობითის ფუძეს ერთვის: ხან სახელის წინ დგას და ხანაც მოსდევს მას. იმ უამრავ ქვესათაურებში, რომლებიც ტექსტის კიდევბზეა გატანილი, იგი ყოველთვის სახელის წინ დგას, მაგ.:

თვს სახლ-საწოლისა (170r). თვს წვმიერებისა (159v);

თვს სასტიკად ზღვს აღშფოთებისა (28v).

მოსდევს სახელს:

მღუდელმთავარმან ამან აუწყა კუნთანეელსა ამას ჩუშნთვს (127v).

თანდებულის წინ გადმოტანა ანტონ კათალიკოსის სკოლისთვისაა დამახასიათებელი. თვითონ ანტონი ამ წესს „სისტემებრ ატარებდა“ თვის

თანდებულის მიმართ ვარკვეულ შემთხვევებში, უმთავრესად სათაურებში<sup>12</sup>. მაშასადამე თქს თანდებულის წინ გადმოტანა ჩვენს ძეგლში აშკარა გამოვლინება ანტონის სკოლის გავლენისა.

**მებრ** თანდებული -**ებრ** თანდებულის სახესხვაობაა (მნიშვნელობა იგივე აქვს) და ნათესაობითი ფუძეს ერთვის, მაგ.:

პირველისამებრვე (138r); ზომისამებრ (169v); თქმულთამებრ (138r).

აქვე განვიხილავთ -**მი** და -**მო** თანდებულების დართვის შემთხვევებსაც, მაგ.:

წარველ ნუშათი კონსტანტინოპოლისადმი (41v); დახავლეთისადმი არს ბჭეა დავითისა (145v); წარველ ეკლესიისადმი (10v); რომელიცა წარვიდა ნავისადმი თუსისა (154r).

აქ. შანიძეს მიაჩნია, რომ და-მი რთული თანდებულია, რომელიც წარმოდგენილია ნაცვალსახელში **შენდამი**. ამ თანდებულისა და სახელის ნათესაობითი ფუძეზე დართული თანდებულის მიმართ (უფლისა მიმართ) კონტამინაციის საფუძველზე შემუშავდა **ისდამი**→**ისადმი**<sup>13</sup>. ამავე ნიადაგზე აიხსნება ფორმები **სხუათადმი**, **პირამიდათადმი**, რომლებიც განსხვავებული იმით, რომ სახელს თანიანი მრავლობითის ფორმა აქვს, მაგ.:

ბალიოზო! წარგზავნეთა ჩემგან ვედრებული წერილი საქართუ-  
 შლოსა შინა თვადთა **ორბელიანოვთადმი** (96v); უბრძანა რეიზ-  
 მან ჰაჯი-ამბად ველქუშუმეთსა თუსსა მიცემად **სხუათადმი** ბრძანე-  
 ბისა (28r); ხოლო ესე... გარდასცემდის ბრძანებასა მას **მატროს-  
 თადმი** (20v); გზა **პირამიდათადმი** არს ნაყოფმოსილთა ველთა  
 შორის (92r); გარნა მცნობობა... იყო მიდრეკილ **თეთრთადმი**  
 (22v).

მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი მაგალითების ნაწილი ზემოთმოყვანილი ნიმუშებისაგან განსხვავებული მნიშვნელობითაა ნახმარი (აქვს თვის თანდებულებიანი სახელის შინაარსი), ფორმით მათი იდენტურობა და ამდენად სავსებით მისაღებია. მაგრამ იშვიათი ხმარების გამო, ხელოვნურ ფორმებად რჩებიან და უნდა მივიჩნიოთ გ. ავალიშვილის ენის ინდივიდუალურ, ნოვატორულ თავისებურებად.

1 პირში -**მი** -**მო**-ს სასით გვქონდა ძეგლ ქართულში. ასეა ჩვენს ძეგლშიც, მაგ.:

უკეთუ ჰგრძნობთ ჩემდამო რაოდენმე მიდრეკილებასა (167v); მყის წარვაველინე იგი მოწადე მისა ჩემდამო (39v).

გამოიყენება არქაული „თჯიერ“ თანდებული, მაგ.:

თჯიერ ყოელისა იჭვისა (156v); თჯიერ ზომიერების დაცუსა(148r).

იშვიათად **გარდა** თანდებულიც გვხვდება, მაგ.:

**გარდა** ამათსა არიან ხენი ზეთისხილთა (58r).

**გამო** თანდებული (ახ. ქართ-გან) ნათესაობით ბრუნვასთან ორი მნიშვნელობით იხმარება: ან მოქმედების მიზეზს გამოხატავს და ან გვიჩვენებს მასალას, რისგანაც საგანია გაკეთებული, მაგ.:

უფალმან კაპნისტმან ამან, შეპყრობილმან **განცვარებისა გამო**  
 მთხოვა ნებისა მიცემად მისდა (24v); ლოქანი **ხისა გამო** ქმნილი (75v).

<sup>12</sup> აქ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 618.

<sup>13</sup> აქ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 71.



**გამო** (ახ. ქართ.-გან) ერთვის მოქმედებით ბრუნვას და გამოხატავს საწყის პუნქტს დროში ან სივრცეში, მაგ.:

მისცესცა უწყებამ ჭრეგატითა ამით **ზარბაზნით გამო** სროლითა (26r); ვითარცა დაურეკეს იგი, მყის განგვიღესცა **შიგნით გამო** (174r).

ძველში ხშირად გამოყენებული -**დამ** თანდებული, მაგ.:

აქედამ მივედით გეთსამიანიას (134v); აღიღეს **მკუდრიდამ** დროშია (72r).

გვხვდება -**გან** თანდებულიც:

რომელამცა იყო ნათესავით კიბრიელი თვთ ქალაქითგან სალმინისა (163r); ვიარეთ დღეა ესე მთულემელთა ტყეთა შორის, დია ბნელთა და მზეასა **შარავანდელთაგანცა** განუცდელსა გზასა (16r).

ძველში გვხვდება -**ურთ** თანდებული, მაგ.:

პატრონითურთ (66v); ძმითურთ (70v); მისთურთულ (24r).

-**ურთ** თანდებულს ხშირად ერთვის **ერთად** ზმნიზედა, მაგ.:

ერთად თანამოგზაურეებითურთ (150v); რომლისათურთცა ერთად (137v).

ეს ფაქტი და ისიც, რომ **ურთ** თანდებული იშვიათად იხმარება ახალ ქართულში, გვაფიქრებინებს, რომ გ. ავალიშვილის დროს შესუსტებული იყო მისი ფუნქცია—გადმოეცა 'ერთად ყოფნის' შინაარსი. ანალოგიურია ახალ ქართულში თან თანდებულიანი სახელი, რომელსაც 'ერთად ყოფნის' შინაარსის გასაძლიერებლად დაერთვის ეგვევ ზმნიზედა.

ჩვენს ძველში **ერთად** ზმნიზედა ერთვის მოქმედებითის სუფთა ფუძესაც, მაგ.: წარგზავნე ბაზილიძე **ერთად მსახურითა** ჩემითა (89v);

ხოლო **ერთად** სახლისა **პატრონით** ჩემით... მივედით კარანტინსა შინა (27v).

-**მდე** თანდებული, ძველი ქართულის მსგავსად, ვითარებითის სრულ ფუძეს ერთვის, მაგ.:

**განთენებადმდე** (191v); მუნადმდე (70r).

საინტერესოა ფორმა, სადაც 'მდე' თანდებული ერთვის თანაინი მრავლობითის ხელოვნურად გაკეთებულ ვითარებითის ფუძეს:

ღრუბელთადმდე (28v).

გარდა ზემოთ განხილული საკუთრივ თანდებულებისა, გვხვდება ზმნიზედების თანდებულებად გამოყენების შემთხვევები. ეს ზმნიზედებია: იმიერ, შინაგან, წინააღმდეგად, ახლოს, გარე, შემდგომად, ქულზე, ქულ და სხვა.

თანდებულის როლში გამოდის აგრეთვე მომავალი დროის მიმდევების ვითარებითი ბრუნვის ფორმა **შესახებელად**, მაგ.:

შემდგომად ამისა მოვისაუბრე აგენტისა ანტონი პერეტის თანა **შესახებელად ასულისა** მისისა სოჭიასი (168r).

ახალ ქართულში გვაქვს მისი გამარტივებული სახე **შესახებ**, რომლის გამოც აკ. შანიძე წერს: „უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ძალიან გავრცელდა ამ სიტყვის გამოყენება თანდებულად“-ო<sup>14</sup>.

რამდენადმე თავისებური ჩანს **შინა** თანდებულის გამოყენება მაგალითში: ავაწონინე ბარგი ჩემი, შემდგარი ოთხსა **კანთარსა შინა** (193r).

<sup>14</sup> აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 624.

## სახელთა წარმოქმნა

სახელთა წარმოქმნა გ. ავალიშვილის ენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უბანია. წარმოქმნის პრინციპები და ხერხები ძირითადად ისეთივეა, როგორც ძველსა და ახალ ქართულში, მაგრამ გვაქვს მათგან განსხვავებული, თავისებურად ნაწარმოები ერთეულები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ახალ ქართულში მსგავსი წარმოების ფორმების ისტორიის გასაგებად; მეორეც, თავისთავად მნიშვნელოვანია ქართული ენის გრამატიკული შედგენილობის ცვლილება-განვითარების თვალსაზრისით და ბოლოს, მეტად საინტერესოა მწერლის სტილის ინდივიდუალურ თვისებათა ხასიათის გასარკვევად:

ჩვენ აქ შევხვებით სახელებისაგან ნაწარმოებ ფორმებს, ხოლო მიმღობებსა და საწყისებს ზმნასთან დაკავშირებით განვიხილავთ.

წარმოქმნის აფიქსები მრავალრიცხოვანია: გვაქვს, როგორც პრეფიქსები, ისე სუფიქსები ან ორივე ერთად, ზოგჯერ სულ სხვა დანიშნულების აფიქსი წარმოქმნელის როლში გვევლინება.

ქონების აღმნიშვნელი სახელების ნაწარმოებელი აფიქსებიდან აღსანიშნავია:

**ენ** || **იან**: სახეანითა (125v); ორლულეანმან (129v); ორძგიდეანი (35r); ბესეთკებიანი, ხეხილიანი, წყაროიანი (33r).

**იერ**: ქუშყნიერთა (98v); ნაყოფიერთა (58v).

**-ოსან**: საყდროსნისა (80r).

**-ოვან**: კაროვანისა (8r); ჯეროვანისა (187v); ფერკოვანისა (139v); შდრ. ძველი ქართულისებური ფორმა, დადასტურებული აქვე: ფრკივოსანთა (3v).

**-ედ** სუფიქსი იშვიათად იხმარებოდა ძველ ქართულში. ასევეა ჩვენს ძეგლშიც, მაგ.: ესახედისა (32v).

უქონლობის აფიქსთაგან ძეგლში იხმარება:

**უ-ო**: უმათოდ (189r); ურომლოდაც (171v); უსახეოასა (36v); უკაცობრივოდ (81v); უთნო (60v); უნაყოთა (122v); უამროასა (156r).

საინტერესოა, რომ რთული სიტყვა მთლიანად, როგორც ერთი ფუძე, ექცევა წარმოქმნის ყალიბში, მაგ.:

უგვარშესაბამოსა (49r); უუუშდრ-ხიტყუაოს მიზეზად (3v).

წარმომავლობის აფიქსებიდან გამოყენებულია:

**-ელ**: სევასტოპოლელი (17r, 18v); ვალარშაბატელი (35r); ქანელი (59v).

**-ურ**: მუნებურნი (60r); ვგვიბტურნი (61v).

აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს შემდეგი აფიქსები:

**-ობა**: ყრმაობისა (180v); ვაკეობა (158r); ცივობითა (33r) შდრ. სიცივე; ცხოველობა (188r); სადითობა (98r).

**-ება**: შფოთება (28v); სავსება (177v); კაცებასა (162r); საამოებისა (112r).

ზოგჯერ ნამყოს ვნებითი გვარის მიმღობის ფუძისაგანაა აბსტრაქტული სახელი ნაწარმოები, მაგ.:

შენებულება (23r); აღტეხილება (28v).

**სი-ე**: სისპეტაკე (175v); სიმუხთლე (51r); სიამოვნება (165v).

**სი-ება**: სიხშირე (65r).

საინტერესოა ფორმა **სისუფთაეობა** (19r) სადაც აბსტრაქტულობის მაწარმოებელი ორგვარი საშუალებაა გამოყენებული: **სი-ე** და **ობა**.

დანიშნულები სსახელები შემდეგ აფიქსებს გვიჩვენებენ:

**სა-:** საგრილსა (28r); საძლისსა (90r).

**სა-ო:** სამანძილოსა (188r); სამწყემს-მთავროსა (20v); სათჯსოასა (9v); საკოროლოასა (25v).

საინტერესოა **მარად** ზმნიზედისაგან ნაწარმოები **სამარადოდ** (18v).

**სა-ე:** საკუჭნავე (8v);

**სა-ურ:** სამზეური (36v).

ხელობის აღმნიშვნელი სახელები წარმოდგენილია შემდეგი აფიქსებით:

**მე-ე:** მეკუჭნავე (8v); მეწყლენი (129r); მეგემე (57v); მედღესასწაულე (60v); მეაქლემე (109v); მეერთბუნებითა (162r); მეორგულე (188r); მემონასტრენი (128v);

**მო-ე:** მოენეასა (130v); მოწყსე (159v); მოსახლე (22v); მოქირავე (190v).

**მე-ურ:** მეთევზური (117r).

წინა ვითარების სახელები ნაწარმოებია შემდეგი აფიქსებით:

**ნა-არ:** ნაქართველარნი (80r); ნაგელოენარნი (58r); ნაბიბლიოტეკარივე (66v).

**ნა-ევ:** ნამტილევი (127v); ნააგენტევი (92v); ნაარხიტექტორევი (35r).

გარდა ზემოთ მოტანილი საკუთრივ წარმოქმნის აფიქსებისა სიტყვათა საწარმოებლად გამოყენებულია ზოგი სხვა დანიშნულების აფიქსი, მაგალითად, ბრუნვათა ნიშნები და თანდებულები.

ძალიან პროდუქტიულია ჩვენს ძეგლში მოქმედებითი ბრუნვის -**ი** სუფიქსი სიტყვათწარმოების ფუნქციით, მაგ.:

სტუმართმოყუარებითი (154v); მღუმარებითი (83v); მოკლქამობითნი (54v); რისხუთისა (64v); გულითსა (17r).

საინტერესოა საწყისისგან ნაწარმოები ფორმები:

მიმოალერსებითი (49r); მიმოგურობითთა (76v).

მოქმედებითის უძველესი -**ივ** ნიშანი -**ებრ** თანდებულთან ერთად შეგვხვდა სიტყვებში:

მამებრივ (156v); პოლიტიკებრივისა (70v).

ვითარებითი ბრუნვის -**ად** ნიშანი გვაქვს მაგალითებში:

აღმოცენებადისა (136r); განღვიძებადისა (176r).

თანდებულები გამოყენებულია ახალი სიტყვების საწარმოებლად:

-**მებრ**, -**ებრ**: გუშინდლისამებრივე (28v); ამისებრსავე (18r); შენებრთა (164v); ქრისტეანებრითა (169r).

**მიერ**: მისმიერისა (167v); ამისმიერთა (12v); შენმიერსა (185v); ჩემნიერისა (22r).

-**ვან**: კერძოასგანი (98r); მათგანი (138r); შემოსლველთაგანმან (174v); მსახურთაგანმან (29r).

-**თანა**: ჩემთანათა (16v).

საინტერესოა **მებრ** თანდებულთა და -**ვე** ნაწილაკით წარმოქმნილი სიტყვა „მებრვე“. მოვიყვანთ წინადადებებში:



აწ მოვიდა სახლსა ჩემსა განდგომილი ბერი გერასიმე, გამომყუან-  
მან ჩემმან გარე, მაჩუქნა ოქრო და ნიშნებითა ჯელისათა მომცა  
ცნობაჲ თქუენ შიერ მისდა მიცემისათჳს მისისა. მერმე დამანახუა  
ეკლესია და მებრვე ნიშნებითა მთხოველმან თქუენთჳს ლოცჳსა  
დამიტევა ოქრო იგი და განმეშორა (163v); ლბილსა რაამესა  
დააჩნდების ანუ გამოეწერების შეხებაჲ ჳეთთამე ნივთთა შიერ,  
მებრუქ კლდესა ამას აქუს თჳს ზედა გამოხატვეული სახეჲ (131r-v).

მოყვანილ მაგალითებში „მებრუქ“ ნიშნავს მსგავსს, ისეთივეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მებრვე“ პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილს მიაჩნია ილია ჭავჭავაძის შიერ რუსულის ი тому подобиим-ს შესატყვისად შექმნილად. იგი წერს: „ილიას შემოღებულთა აგრეთვე შემდეგი სიტყვები: „ნაკვესი“, „დამაკვირდი“, „სრა-სასახლე“, „მებრვე“ და სხვ.“<sup>15</sup> (ი. გრიშაშვილს ეს ცნობა დ. ერისთავის კერძო წერილიდან ამოუღია და იქვე მოჰყავს კიდევ შესაბამისი ადგილი). „მებრვე“-ს გაზ. „ივერიაც“ ხშირად ხმარობდა ზემოთ ნათქვამი მნიშვნელობით. მოვლსმინოთ ი. გრიშაშვილს: „ილიამ კი ეს სიტყვა „მებრვე“ იხმარა ი тому подобиим საბადლოდ, მაგრამ იგი ქართულმა მწერლობამ არ მიიღო და შემდეგში „ივერიაც“ იძულებული იყო მებრვეს ნაცვლად შემოეღო სულხან-საბა ორბელიანის „და მისთანათა“.

როგორც ჩვენი ძეგლიდან მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს „მებრვე“ ი тому подобиим-ს მნიშვნელობით გაცილებით ადრე ილია ჭავჭავაძემდე უხმარია გ. ავალიშვილს. როგორც ჩანს, „მებრვე“ საერთოდ ხმარებული სიტყვაა მე-18-19 ს. მაგრამ მიუხედავად „ივერიის“ ცდისა იგი არ დამკვიდრებულა სალიტერატურო ენაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ანტონ I-იც ხმარობდა მებრ-ს, როგორც დამოუკიდებელ სიტყვას, მაგრამ მას დღევანდელი „მიხედვით“ სიტყვის მნიშვნელობა ჰქონდა<sup>16</sup>.

### შერწყმული სახელები

საინტერესოა შერწყმული სახელების წარმოება არა მარტო იმიტომ, რომ გ. ავალიშვილის ნაწარმოებებში თხზვა მეტად გავრცელებული ხერხია, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება გ. ავალიშვილის ენის დახასიათების დროს.

ჩვენი ავტორი სახელთა შერწყმისას ძირითადად იყენებს ქართული ენის სიტყვაწარმოებაში მიღებულ პრინციპებს: წინადადების ერთგვაროვან წევრებს ერთ ცალიბში კრავს, რაც ბევრ შემთხვევაში ენას უფრო მეტ მოქნილობას ანიჭებს; და თხრობას დინამიკურს ხდის. გ. ავალიშვილი ყოველ შესაძლებელ შემთხვევას იყენებს კომპოზიტების<sup>17</sup> შექმნის დროს. როგორც ჩანს, ეს მისი საყვარელი ხერხია და ზოგჯერ დიდ ოსტატობას და შემოქმედებით თავისუფლებას ამჟღავნებს მათი შექმნის პროცესში.

ჩვენი ავტორის მისწრაფება სახელთა შერწყმისაკენ აშკარად ჩანს მის ნათარგმნ ნაწარმოებებშიც, რომლებშიც ხშირად საინტერესო კომპოზიტებს ვხვდებით.

<sup>15</sup> ი. გ. რ. ი. შ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ილია და მებრვე, ლიტერატურული საქართველო, 1937, № 14 (36).

<sup>16</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 618.

<sup>17</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ „კომპოზიტებს“ ვხმარობთ ფართო გაგებით, შერწყმული სახელის მნიშვნელობით.

მაგრამ ზოგჯერ გ. ავალიშვილი ლალატობს სიტყვაწარმოების მიღებულ პრინციპებს, თვითნებურად ეწევა სიტყვების შერწყმას, რის გამოც მიღებული კომპოზიტები ხელოვნური, ნებისმიერი წარმოების ნიმუშებად რჩებიან.

ჩვენი ავტორი უმთავრესად სახელთა შერწყმას აწარმოებს. გვხვდება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგენილი კომპოზიტებიც.

ტოლადშერწყმულ სახელებში გამოყოფთ შემდეგ ჯგუფებს: ა) არსებითი სახელებისაგან შედგენილი:

ხილ-მარცხულთა (163v); წყალ-წყაროთა (112r); ჰაეა-ჰაერსა (183v); ბალჩა-ბაღ-წყაროები (164v); კაც-ცხენ-ჯორებითა (171v); აქლემ-ცხენ-ჯორ-ვირთა (110v).

ზოგჯერ შემადგენელი სიტყვის ფუძისეული ხმოვანი მოკვეცილია: მაჯ-ენის (177r); შდრ. ცივება-სიცხეთა (21v).

ფუძის გაორმაგებითაა მიღებული კომპოზიტი: სახედ-სახედ (90r) მრავალცნებიან კომპოზიტს ერთი საერთო აფიქსი ერთვის, მაგ.:

გელ-მკლავ-მკერდიანი (166v); ცხენ-ჯორ-ვიროსანი (185r); თხემ-ფანჯროსანი (46v); უცხზრ-ენო (141r); უპაშპოროთ-ჭერმანობისათა (186v).

ასეთ შემთხვევაში თითქოს უფრო მტკიცე კავშირი იგრძნობა შერწყმულ სახელებს შორის, რადგან აფიქსი დაერთო, როგორც ერთ მთლიან ერთეულს, ერთცნებიან სახელს. უფრო მექანიკურია შეკავშირება, როდესაც აფიქსები ცალ-ცალკე ერთვიან კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებს, მაგ.:

ქჯან-კლდე-ლოჯიანი (173r); ვენაგ-ბალოვან-წყაროიანი (56v); უგვარ-უშესაბამო (49r); უარ-ულმობღვლესად (61v).

ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ფუძეებია შერწყმული კომპოზიტებში:

სამლუდელ-საერო (7v); სიახლ-სიმტკიცისასა (192v); ნადბ-ნასო-ფლარნი (163v); ნაკუსთ-ნამუშაკვენი (46r); სიგრძე-სიგან-სიმაღლეათა (64v).

ბ) ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი სახელების შერწყმითაა მიღებული კომპოზიტები:

ამაყ-უშუსრად (172r); მაღალ-განიერი (159v); შუშნ-გემიერ (64r); უცხო-უცნობნი (164v); სწორ-ვრცელნი (71r); დიდ-გრძელ-განიერისა (158v); შავ-ხშირ-გრძელ-ხუტუტ წყწილ თმათა (39r).

ბოლო მაგალითში ხუთი ზედსართავი სახელია შერწყმული. შერწყმა ძალიან მექანიკურია და ხელოვნური.

ოდნაობითი ხარისხის ფორმა აქვს ერთს ან ორივე შემადგენელ ზედსართავს, მაგ.:

თეთრ-მოდიდო (133v); გრძელ-მომრგულო (145v) ბნელ-მომტრო (111r); მოკლ-მომსჯოლასა (20v); მგრგუალ-მოგრძეასა (84v); მომაღლო-მომდაბლოთა (119r); მოწითლ-მოჭრელოასა (136v); მობნელ-ლურჯოსა (110r).

საინტერესოა სამი უკანასკნელი მაგალითი მათში შემავალ სიტყვათა დაკავშირების ხარისხის თვალსაზრისით. პირველ მაგალითში დაკავშირება ყველაზე სუსტია: დამოუკიდებელი აფიქსებით გაფორმებული ზედსართავი სახელები მექანიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს. მეორე მაგალითში შეკავშირება უფრო მტკიცეა: -ო სუფიქსი საერთოა ორივე შემადგენელი ნაწილისა-

თვის, მესამე კომპოზიტი ყველაზე მაღალია შერწყმის ხარისხი: აფიქსები დაერთვის, როგორც ერთ მთლიან ერთეულს.

უფრო მთლიანი ხარისხის ფორმები შედის კომპოზიტებში:

უჭაბუკეს-ულამაზესთა (184v); უსარწმუნოეს-უსაყუარლესისა (107r); უსაჩინ-უსათნოესითა (3v).

გ) მიმღეობები ა შერწყმული შემდეგ კომპოზიტებში:

აღზრდილ-აღმაღლებული (34r); მჯდომ-მოთამაშედ (73v); მატარებელ-მომღერალთა (31r); დაწერილ-დახატულნი (127v); სასროლ-სატყორცთა (99r); შემგმარ-ზრქელებული (142r).

საინტერესოა ბოლო მაგალითი: ორივე შემადგენელ მიმღეობას აქვს საერთო შე პრეფერბი, რაც გახაზავს მათ მტკიცე კავშირს.

დ) მასდარების შერწყმით მიღებული კომპოზიტები:

მიუყან-მიტანად (154v); ქცევა-უბნობასა (159v); მიმორბევ-მიმოქვენება (73v); სმენ-აღსრულებად (20v); აბანაკ-დაბანაკებისა (190r); დამცოვენ -დაობლებასა (171v).

ბოლო კომპოზიტი ანალოგიურია ზემოთ განხილული მაგალითებისა: სუფიქსი (ამ შემთხვევაში -ება) საერთოა ორივე შემადგენელი ნაწილისათვის.

ე) თავისებურია ზმნების პირიანი ფორმებისაგან შედგენილი კომპოზიტები:

მოვაყუან-მოვატანინე (154v); ვისადილ-ვახშმეთ (173r); შეჰყუარ-მოსწონებიყო (68r); იპოენ-იხილუშბის (142r); მსმენ-მეხილუა (11v); აქმევ-ასმევენ (106v); ემტერ-ემწინაღმდეგებიან (111v).

როგორც ვხედავთ ყველაგან პირველი ზმნა შექვეცილი სახითაა წარმოდგენილი, რაც ხაზს უსვამს მის დამოკიდებულებას მომდევნო ზმნისაგან:

ასეთი ტიპი შერწყმისა ქართული სიტყვაწარმოებისათვის არ არის დამახასიათებელი. აქ გ. ავალიშვილი ნოვატორად გვევლინება, მაგრამ მის წამოწყებას გამგრძელებელი არ გამოუჩნდა: დიდი ხელოვნურობის გამო ასეთი ტიპი შერწყმისა არ დამკვიდრდა ქართულ ენაში.

ართოლად შერწყმულ სახელებში ერთი სიტყვა განსაზღვრავს რაიმე ნიშნის მიხედვით მეორეს. მსაზღვრელის როლში სხვადასხვა ტიპის სახელი შეიძლება გეჰონდეს.

ა) არსებითი სახელი, ბრუნვაში მდგომი ან ნაწარმოები:

მმა-მღუღელი (10v); გელარგოსანი (73r); მარილ-ტიბიანი (110r); ცხენ-ქუშკითოსანი (19v); გულ-უზაჟსლობითი (43v).

ბ) ზედსართავი სახელი:

ცულ-კაცობასა (83r); მწვდ-მეტყუალებითა (108r); შუშნიერ-სახეობათა (98r); საცხე-მდგმოებისა (127r); ახალ-კრებული (183r); წუშრ-ულვაშ-მოქერო (107v).

გ) მიმღეობა:

ელდაცემული (9r); მავთულ-წენულითა (68v); კაუხტურქხურვილი (9r); ფანჯარ-ტანებული (148r); ჭყუევანებული (80v); მანტია-სხმული (168r); კბილ-ჩაყრევიანებული (91r); კარდაკეტელსა (174r).

დ) რიცხვითი სახელია მსაზღვრელად გამოყენებული:

ერთქუშყენელსა (136v); ერთ-მემანულეთა (83r); ორშუდეულგზის- (194r); ოთხკაცხლებული (122v).

მართულ მსაზღვრელიანი კომპოზიტიებიც ხშირად გვხვდება „მოგზაურობაში“, მაგ.:

სახელდღეობა (38r); ფერჯთსამოსი (137r); ლაჯუარდფეროვანისა (64r); ნიეთმოყუარებათა (92v).

როგორც ვხედავთ, მსაზღვრელის ბრუნვის დაბოლოება სულ მოკვეცილია, როცა მხოლობითი დგას და ნაწილობრივ, როცა მრავლობითშია.

ზოგჯერ საზღვრულს ორი მსაზღვრელი ახლავს ან მსაზღვრელს თავის მხრივ მსაზღვრელი ერთვის, მაგ.:

თეთრძაფგანვლებული (32 r); თხემ-ოქროვან-ვეცხლიანებული (183v); პერანგ-გულისპირ-ჰშთამოხეულისა (151v); თავ-ველ-მკერდ-რთფულმან (77r).

გვხვდება კომპოზიტიები, რომლებიც შედგენილია სხვადასხვა ბრუნვის ფორმის მქონე სახელებისაგან, მაგ.:

ყურადმღებლობითა (180r); თუალ-აკურით-ბმული (59r), ოქროთ-დაფერვილითა (128r); ლაფთავსხმული (83r) შდრ. ახ. ქართ. თავ-ლაფდასხმული.

კომპოზიტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ზმნიზედა გვაქვს ან ზმნიზედისაგან ნაწარმოები სიტყვა, მაგ.:

აქმყოფობისასა (125r); ზემოდანიშნეულთა (194r); ქუშსაგებელითა (17v); უკმოთხოვისასა (195r); გელქუშეთნი (185r); გარდი-გარდ-მო-დგმულნი (111r).

თანდებულია სახელთან შერწყმული შემდეგ მაგალითებში:

შიგანდევთა (49r); თანამსახურსა (146r); თანამოგზაურად (172r); თანაარსი (162r); თანამემგზავრეხსა (38r).

საინტერესოა ორი თანდებულის შერწყმის მაგალითი:

თჳს-შორისი<sup>18</sup> საუბარი (90v); გართულ თჳსშორისთა საუბართა (97v).

საინტერესოა კომპოზიტი ხან-აღზრდილ-ზმულმან (156r), სადაც აღზრდილ ჩართულია ხანზმულს შორის.

თავისებურია სიტყვათა მთელი ჯგუფის გაერთიანება ერთ კომპოზიტში:

შევუდევით ევრობულად გასწორებულსა გზასა... ადგილ-ადგილ რკალისა სავარძელ-მწუანედ ღებულებითა დგმულსა (97r); შემოვიდა ერთი უცნობი კაირელი თათარი ჩვენდა სამითა თანამყოლ-კაცდაიარღებულთა (109r); თჳს ნამტილევისა და მას შინა ღირს-ყურადსაღებელისა ხისა (128v).

როგორც ვხედავთ, კარგად შეკრული კომპოზიტიების გვერდით გვაქვს ხელოვნური, უჩვეულო ფორმები, რომლებსაც ავტორი სრულიად კანონიერად თვლის და შეუზღუდველად გამოიყენებს კიდევც.

<sup>18</sup> შორისი ფორმა პეტრიწის ენაში დადასტურებული: „ყოველი ნაწილთ შორისი ყოვლობა ნაწილი არს ნაწილთაგანისა ყოვლობისა“ (ი. პეტრიწის შრომები. II, 1927, გვ. 132).

ეს ბუნებრივიც ჩანს, რამდენადაც ხელოვნური სიტყვაწარმოება იმ დროის გარკვეულ სალიტერატურო ნორმებს უპასუხებდა და წიგნის ხელოვნურ მეტყველებაში კანონზომიერად მიიჩნეოდა<sup>19</sup>.

### ზ მ ნ ა

ზმნა ჩვეულებრივ არქაული პრევერბებითაა წარმოდგენილი.

თავისებური ჩანს -აღ პრევერბის გამოყენება სახელის წინ და ნასახელა-რი ზმნის მასდარში, მაგ.:

ეკკლესია სამრეკლოათურთ გალავანვლებული და აღმონასტრად წოდებული (163v); აღსადილებითურთ (180r).

პრევერბების ხმაოების საინტერესო შემთხვევები გვაქვს შემდეგ მაგალიტებში:

ღანთიადსა თანა (126r); შდრ. სინათლესა თანა ღანთიადისასა (192r), განთიად (193v), განიხილუა გემოა (22r) შდრ. იხილუა ჩემგან უარი (იქვე); გაცლითა ზარბაზნისათა (18v); შდრ. ზარბაზნათა გამოცლითა (17v); ხოლო მსურველთა ჳმარებად ნურაჲსა შესლუასავე თანა მისსა აბანოსა შეართმევენ ქალაღღთა შინა გახუტულთა: ერთითა ნურასა, ცომებრ გაკეთებულსა და მეორეთა სანთლისა ქონსა (84v).

აქ შეართმევენ ნიშნავს შიგ შეუტანენ, შიგნით შეტანით მიართმევენ.

შეინიშნება პრევერბების მონაცვლეობა: ერთის ნაცვლად მეორეა ნახმარი, მაგ.: ღა-ს ნაცვლად გა: გამეთხოვაცა (31v); გავსხედით (7v); გავჳშიო (31 v).

ძველი ქართულის მსგავსად ცემა ზმნა უპრევერბოდ ვგვხვდება, მაგ.:

მეცით მე ნებაჲ ხმარებად ჳრანკუზულისა (170v-171r); ცუთილებამან ჩემისა სიმრთელისა არა მცა ეამი განხილუად და ცნობად რაჲსა-მე (82v).

თავისებური ჩანს უპრევერბოდ ხმარება შემდეგი ზმნებისა:

ბჳეთა ამათ ძლით უყუანიათ გარდამგდომელნი დასასჯელად გოლგოთას (146v); რომელმანცა... მიწყო საუბარი (82v-83r); გარეგანი სახეჲ ამისი არ ვფერების შინაგანსა დიდებულებასა (41r); შვეიცარი ამისი ვერ ვითანჳმეთ (37v).

დიალექტური ფორმაა პრევერბისა ზმნაში 'შემამტროფოდიან' (157v).

პირის ნიშნები. I ჳ. ნიშანი ვ უ ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან ხან არის და ხან არა, მაგ.:

ვუწყოდი (160r); ვუბრძანე (184r); ვუმეორებდი (134r); უფარძმე (40v); ურჩივე (184r); უტევოთ (59v).

ვ თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში I ჳ. ნიშანი ჩვეულებრივ არ იკარგვის: ვვაჳრობ (38r); ვვარცა (175r); ჳშთავვლეთ (137v).

ვალ ზმნაში ვ-III პირშიც გვაქვს, მაგ.: წარვევალს (48v).

ზოგჯერ პრევერბიან ზმნაში ვ ორმაგადაა წარმოდგენილი, მაგ.:

ვმოვიწადინეთ (88v); ვდავლიეთ (59v); წარვმოვალებინო (181r).

აღსანიშნავია, რომ ავტორი ხშირად შლის ამ ზედმეტ ვინებს.

<sup>19</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, ბარათაშვილის ენა, ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემები, წერილები, ჟღერაკია, 1939, გვ. 150.



II პ. 3 || ს ნიშანს, როგორც მოსალოდნელი იყო, მორფოლოგიური და-  
 ნიშნულება არა აქვს და იხმარება ზმნის ყველა პირში, მაგ.:

დავპში (31v); ჰმთავედით (28v); აღჰსდგა (31v); ჰსცხა (18v).  
 ავტორი გრძნობს ჰაეს ზედმეტობას და ხშირად შლის კიდევ.

თემის ნიშნებთან დაკავშირებით აღსანიშნავია მონაცვლეობა  
 ობ || ებ, მაგ.:

ცხოვრებს (185v); აპირობთ (168v); დაესწრობის (162v). ეს მონაცვლეობა კარგად ჩანს მიმღეობებში:

მნადირებელისა (107v) || მნადირობელი (11v). მიმმადლებელი  
 (155v, 157r, 77r, 163v, 196r) || მიმმადლობელმან (57v, 165v).

მწკრივთა წარმოებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

**აწმყოში** -ამ, -ავ თემის ნიშნიანი ზმნები, ძვ. ქართულის მსგავსად, იკუმ-  
 შებიან აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირში, მაგ.:

ზლუდვენ (191v); იმარხვან (136r); შორვენ (41v); მოხარშვენ (71v).

შეგვხვდა ძველ ქართულში ხმარებული ვარი ფორმა, რომელიც საშუალ  
 საუკუნეებში ჩვეულებრივ სტერეოტიპულ გამოთქმებშია გამოყენებული, მაგ.:

წელთა შინა ჩემთა მყოფი, ვითართაცა შინა ვარი მე, მსახურებს  
 უფროს ქირდჷსა მიტევებასა და მოთმინებით სმენასა მათსა (166r).

პრევერბიან ფორმებს ჩვენს ძეგლში მომავლის გაგება აქვთ. მაგ.:

და უკეთუ ბრძანებთ, წარვალს მუნ (179r); მაშინ იგიცა ვერ განე-  
 რების იქვსა (150r); და უკეთუ მიაზმენ მას ზედა კაცს კჷყუვა-  
 ვნებულსა და წარიკითხუნ მას განწესებულსა ლოცვასა, მასვე  
 წამსა მოექცევის მას გონებაჲ მისი (29v).

საინტერესოა, რომ გვხვდება ზმნები, რომლებიც ფორმით აწმყოს ხოლ-  
 მეობითის მსგავსია, მაგრამ შინაარსით სავსებით განსხვავებულია, მაგ.:

არიან დამოკიდებულ იარაღნი კაცთა და ცხენთა ყოველნივე, რა-  
 ცა საკმარ არნ მათჷს (51v); ვითარმედ ძლიერთა და მყართა  
 ბორცუთა შენტა ზედა უდგნ შევინებულნი ფერგნი თჷსნი (53v);  
 აქუნ შემზარველნი არდაბაგნი (41r); პლატანუსსა ამას აქუნ ბუ-  
 ნებითად ორი ბჷეჲ (34r); რომელთაცა უდგნ ქუშშე თჷსსა ჰაუნნი  
 (58r); წინაშე ამათსა ჰკიდავენ კზ-ნი დიდრონი კანდელნი (145r).

ყველა მოყვანილ მაგალითში აწმყოს ხოლმეობითისებური ფორმა შეწყო-  
 ბილია მრავლობითის ფორმის ან შინაარსის მქონე სახელთან, რაც გვაფი-  
 ქრებინებს, რომ ძველი ფორმის ახლებურად გააზრებასთან გვაქვს საქმე. შე-  
 საძღვებელია, გაუგებრობის შედეგიც იყოს ასეთი შეწყობა: მე-18 საუკუნეში  
 აწმყოს ხოლმეობითის ფორმების ხმარებას საფუძველი არ გააჩნდა და მისი  
 შინაარსიც არ იყო სულ მთლად ნათელი, ამიტომ აწმყოს ხოლმეობითი ფორ-  
 მის მიხედვით მრავლობითს მიაშვავეს და მის სახეობად მიიჩნიეს. ამ მხრივ  
 გ. ავალიშვილი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ასევე მრავლობითის მნიშვნე-  
 ლობით აქვს ასეთი ფორმები გამოყენებული ალ. ჭავჭავაძისა<sup>20</sup>.

თავისებურია აგრეთვე III პ. ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ფორმების გამოყენება,  
 მაგ.:

იყოფინ მათ შორის იპოვნებოდნენ საერონიცა წიგნი ქართველნი  
 (130r); [თათართა] ჰმთამადღეს დიღეგსა მრავალთა სხუათა თანა,

<sup>20</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ალ. ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი. უნ. შრომები, 55, 1954, გვ. 306.

**იყოფინ** ნამდულ ჩემებრვე უბრალოთა (186v); არ **იყოფინ** ბეგზადა! უკეთუ მსახურებს იგი ყურადმღებელობასა, მაშინ **იყოფინ** ვიყიდოცა იგი (174r); და ვითარ **იყოფინ** ქორწინება თქუშნი მის თანა (169v) **იყოფინ** ჰგონებთ თქუშნი (166r); რომლისაგანცა **იყოფინ** იწარმოოს ნაყოფიან კეთილმან (60r); **იყოფინ** იყოთმცა სამსახურსა შინა მისსა (48v); ესრეთუშ **იყოფინ**, რომელ ქცევამ ესე მისი იყოს ზუმრობავე (83v).

მოყვანილი მაგალითებიდან **იყოფინ**-ს მხოლოდ ორ შემთხვევაში აქვს ზნურით, დამოუკიდებელი მნიშვნელობა. სხვა შემთხვევებში მას აქვს **ეგებ**, **მგონი** ნაწილაკებისა და **შესაძლებელია**-ს მნიშვნელობა.

ეს ფაქტი, რომ მხოლოდ ერთადერთი ყოფნა ზნა შეგვხვდა III პ. ბრძანებითის ფორმით და რომ იგიც დაცლილია თავისი მნიშვნელობისაგან, მიუთითებს იმაზე, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია დააბრუნოს ის, რაც განვლილი ეტაპია ენაში და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში აღარ აქვს საფუძველი.

თავისებურია უწყვეტლის ფორმები:

ფრინვდა (130v); ზომღნენ (18r); ვგულეგბოდი (31v) შდრ. ახ. ქართ. ვეგულეგბოდი; ველოდდი (193v); გველოდდა<sup>21</sup> (173v).

ხშირად იხმარება უწყვეტლის **ხოლმეობითის** ფორმები, მაგ.:

გკითხვდი (195r); მაყენებდის (160v); სემიდიან (37v); ელოდდიან (63v).

**უწყვეტელში** III პ. მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ყველგან ახალი -ნენ სუფიქსია გამოყენებული, მაგ.:

მსახურებდნენ (180r); სლზდნენ (36v); მაქენდნენ (36r).

საინტერესოა მოდერნიზებული ფორმები: **სლზდნენ**, **მაქენდნენ**, სადაც არქაულ ფორმაზე ახალი -ნენ სუფიქსია დართული.

**წყვეტილ** ში, როგორც წესი, -ევ თემის ნიშნისა ზნები ინარჩუნებენ სუფიქსისეულ ვინს, მაგ.:

მოგვეწვია (191v); მომეხვია (76v); დალივეს (46v).

აღსანიშნავია, რომ ამავე მწკრივში ზნებს I და II პირში -ევ სუფიქსი დაერთვის, მაგ.:

მიეუგევ (196v); დავსდევ (170r); წინადაეუდევ (170r); დავუწყევით (184v); მიილევით (68v); განვაგრძევ (39v); დავიცევ (60v).

ხშირად წყვეტილში გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებშიც მასდარიდანაა ვინი გადმოყოლილი, მაგ.:

შეაძრწუნვა (13r); დაჰფარვა (13r); შეატურვა (21v); დავკრძალევ (22v).

**წყვეტილის** III პ. მრავლობითი რიცხვი უწყვეტლის მსგავსად ახალი -ნენ სუფიქსით იწარმოება, მაგ.:

მომეგებნენ (188v); დავგებუნენ (188v); შემოვიდნენ (174r).

სახელობითში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვი, ჩვეულებრივ, აღნიშნულია ზნაში, მაგ.:

<sup>21</sup> ე. ბ ა რ ნ ვ ი ა მ სიტყვას ასევე ორი დონით ხმარობს მაგ.: ნუთუ მეტს ბედს ელოდდა მისი ქალი? (მიმქრ. შარავანდედი, გვ. 35); რა კეთილს უნდა მოელოდდეს ათაბაგი სულთანისაგან? (დედლოვ. ბიზანტიისა, გვ. 429) იხ. ისტ. რომანები, თბ., 1947.

მოითხოვნა სახასო გლენი (39v); გარნა მსწრაფლ დავამშავდნ  
 იგინი (165v); განგისუნა მყისულ ბჰენი მონასტერისა (21r).

მაგრამ, რომ ეს წესი აღარ არის მოქმედი და მხოლოდ წერილობითი  
 ტრადიციის შედეგია ზემოთ მოყვანილი ფორმები, გვიჩვენებს ისეთი მაგალი-  
 თები, სადაც ნარი წარმოდგენილია ზმნაში მიუხედავად იმისა, რომ სახელი  
 მხოლოდობითმა ან ებიან მრავლობითში, მაგ.:

ამან მიაქცივნა პირი თუკი კედლისა მიმართ (175v); მოგვბერნა  
 პირისპირ გრიგალმან ქარმან (63r); აქ დაასრულნა საეჭველი  
 ამბავი თუკი (187r); წარავლინა იროდი და მოსწყუნა ყოველი  
 ყრმები (132v).

ზოგჯერ სახელი მრავლობითშია, ზმნაში კი არაა ასახული, მაგ.:

შეგედრებულმან საფარველსა ქუშზე თქუსნა. დავგიწყე ყოველნი  
 ქირნი (187r).

კავშირებითი II ჩვეულებრივ ახალი ქართულის მსგავსადაა ნაწარმოები,  
 მაგ.:

ვუბრძანო (38v); ვანიწონოს (32r).

ევ სუფიქსის (> ივ) გინი, წყვეტილის მსგავსად, აქაც შენარჩუნებულია,  
 მაგ.:

შეგემთხვეოს (194r); დაურღვივონ (80r).

II ხოლმეობითის მწკრივი იშვიათად გვხვდება. სულ რამდენიმე მაგალი-  
 თი გვაქვს:

ვანვიდი (60v); წარვლის (147v); ალადის (163v); მოეცის (43r).

საინტერესოა რთული ზმნა თვხ ეყვხ, მაგ.:

თუთ ალი-ბეგი იგი, რომელსაცა თვხ ეყვხ ადგილი ესე, ვერ მოი-  
 ქცეოდა ჩემთანა ესრეთ მკუხახედ (185v).

თვხ ეყვხ მე-18 საუკ. სხვა მწერალთა ნაწერებშიც გვხვდება<sup>22</sup>.

თურმეობითი I-ის საწარმოებლად გამოიყენება, როგორც ძველი -იე, ისე  
 ახალი -ია სუფიქსი, მაგ.:

ძველი წარმოება:

მიმიწერიეს (51v); უდიდებიეს (148r); უყოფიეს (121v).

ხელოვნური ფორმები:

უსაუბრებიეს (149r); უუწყებიეს (108r); უიძულებიეს (107v); შდრ.  
 ძვ. ქართ. იძულებულ უყოფიეს.

ახალი წარმოება:

უბოძებია (45v); წარუდგენია (51v); დაუწერია (96v); გიყიდნიათ  
 (180v).

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში, ერთმანეთის გვერდით ძველი  
 და ახალი წარმოების ფორმები გვაქვს წარმოდგენილი. მაგ.:

გყავსთა ცოლი?—არა. —ჰქერიობთ ანუ სრულიად არა გყოლიათ.  
 იგი?—აროდეს მყოლიეს (169v).

თურმეობითი II ნაწარმოებია როგორც I სერიის, ისე II სერიის ფუძი-  
 საგან, მაგ.:

<sup>22</sup> იხ. გ ა ი ზ ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი ს ერთ-ერთი თარგმანი S-378, გვ. 122.



ახალი ქართულის მსგავსადა ნაწარმოები: ეთხოვებინა (195r); გამოცხადებინა (91v); ებოძებინა (122r).

ძველი ქართულისათვისაა დამახასიათებელი ფორმები: მოევილინა (169r); განეგლო, განემვნო (53r); ებრძანა (190r).

თურმეობით I ის მსგავსად თურმეობით II-შიც გვაქვს ნარ-ჩართული ფორმები:

შეეცადნათ (186r); ეშოვნა (173r)

-**ეგ** > -**ივ** სუფიქსის ვინი აქაც შენარჩუნებულია:

დაეღივა (151v); ჩამოეხივათ (151r).

საინტერესოა, რომ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის II თურმეობითი ჩვენს ძეგლში ყველგან იყო დამხმარე ზმნითაა ნაწარმოები, მაგ.:

სმენიყოსთ (147r), მისცემიყო (181v); რწმუნებმიყო (9r); დართყოცა (90v); ნდომებმიყოცა (122r); გასწყრომიყო (91v).

ამ ფორმებს დიალექტური ელფერი აქვს.

გარდაუვალი ზმნების III სერიის ფორმები გვიჩვენებენ როგორც არქაულს, ისე ახალ წარმოებას, მაგ.:

წოლილარს (132r); ყოფილარს (87v); გატეხილარს (99r); დაცემულარს (99r); შერაცხილარს (170v); ქმნილარს (136r).

ახ. ქართულისებური:

მჯდარა (135v); ყოფილა (144r); მდებარებულა (68r); მიცულილა (126r).

ახალი ქართულის მსგავსად I პირში ორმაგი პირის ნიშანი გვაქვს (მიძლეობაში და დამხმარე ზმნაში), მაგ.:

ყოფილვარ (178r); ებარებვივარ (174v); შევჰკრულვარ (36v); შესწუხებულხართ (74v).

ასეთივე ვითარება გვაქვს II თურმეობითში:

მივჰქცევულვიყავ (122v); ვჰყოფილვიყავ (178r); შევსლველვიყავ (8r) გვხვდება ძვ. ქართულისებური ფორმაც:

წარსლველვიყავით (171v).

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზმნები გვხვდება როგორც ახალი ისე, ძველი ფორმით, მაგ.:

გმოსიეს (117r); უჰყრიეს (32v); გწადს (29v); მიყუარ შენ (79v); სწადნოჲს (167v); ვაკლ მე (29v); ჰპყრობია (68r); აჩნია (135r); ასუტნია (139v).

უჩვეულოა ფორმები:

მსურჰს (74r, 167r, 179v); გსურჰს (180r); სურჰს (74r, 55r, 125r); ვგონე (194r); ჰგონა (40r); ჰკიდს (145v); უკიდს (139v); ჰსცხაცა (18v).

მაცემითში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვი ახალი ქართულის მსგავსად აღნიშნულია ზმნაში. III პირის ნიშანი -ს, ზოგიერთი დიალექტის მსგავსად, არ იკარგვის თ-ს წინ, მაგ.:

იამათ (84v); მისცემიათ (151r); გსურჰსთ (98v); გნებაგსთ (194r); მოსცემიესთ (72r); გიხილჰესთ (179v).

მოყვანილი მაგალითების ნაწილი არქაული ზმნებია, რომელთაც ახალი -თ სუფიქსის დართვის შედეგად მოდერნიზებული სახე მიუღიათ.

**ენებითი გვარის ზმნებს,** ძვ. ქართულის მსგავსად, III პირში **-ის** დაბოლოება აქვთ, მაგ.:

მიხარის (74v); ეწოდების (71v); იცნობების (19v); დგების (160v). იშვიათად გვხვდება ახალი ფორმატ: გამოცხადდება (190r).

ხშირია ენებითის ისეთი ფორმების გამოყენება, სადაც შესაბამისი მოქმედებითისაგან გადმოყოლილი **-ენ** სუფიქსი გვაქვს, მაგ.:

შემემთხვევნი (9v); შევიქურევნი (65v); გავმოვლენი (110r).

**გვარის** თვალსაზრისით საინტერესო ზმნები გვხვდება, როგორც მაგალითად:

იძლევების (137v); პატივიცემებიან (59v); მოიწოდებიან (139r); გავიმშვიდობენითცა (155r); გავითაყუანენით (60v); შეიშინა (138r); შევიელდე (60v); განეცხადებით (125r); ეცინით (95r); დღეგრძელდეს (123r) შდრ. ახ. ქართ. იღღეგრძელოს.

**ქცევის** თვალსაზრისით საინტერესოა ფორმები:

გაამოა (176r); განვკარძაღე (78r) შდრ. ახ. ქართ. განვკარძაღე; დავაშრომებ (27r); განამეორა<sup>23</sup> (8r); განმზადებს (178v); ვიშინავილგბ (137r); მითხოვოთ (74r).

**კაუზატივი** -ინ და ევ-ინ აფიქსებით იწარმოება, მაგ.:

**-ინ:** გავატანინე (193r); განმარონინა (8r); დაებრუნენინებინა (194r); შემიკერვინა (176v).

ეს უკანასკნელი ფორმა იშვიათად იხმარება. იგი არის შუალობითი კონტაქტის სასხვისო ქცევა და ქართლ-კახურშია გავრცელებული.

**-ევ-ინ:** წარვაქცევინე (183v); წავართმევინე (184v); დაგვიდგმევინა (48v); დაუშვევინებინე (136r); დავაბნევინე (194v).

მოყვანილი მაგალითებიდან საინტერესოა **დაგვიდგმევინა** ფორმა, რომელიც აგრეთვე შუალობითი კონტაქტის სასხვისო ქცევას წარმოადგენს.

### ნასახელარი ზმნები

როგორც ზემოთ, სახელთა წარმოქმნის დროს იყო ნაჩვენები, სიტყვაწარმოება გ. ავალიშვილის საყვარელი ხერხია. მას იგი ძალიან ხშირად მიმართავს და ქმნის მრავალი ტიპის ნაწარმოებ სიტყვებს. ამათ რიგში შედის სახელისაგან ნაწარმოები ზმნებიც, რომელთაც ჩვენ ახლა განვიხილავთ.

ნასახელარი ზმნები ჩვენს ძეგლში დიდი რაოდენობით გვხვდება. საწარმოებლად აღებულია სახელის როგორც მარტივი, ისე ნაწარმოები ფუძე. აქ შეიძლება შეგვხვდეს მეტყველების სხვადასხვა ნაწილებისაგან ნაწარმოები ზმნები.

**მარტივი არხებითი** სახელებისაგან ნაწარმოები ზმნების მაგალითებია:

გავესალამე (70v); მოზლაპრეობენ (94r); ვბოდიშობ (196r); ვგულვობ (168v); ქვრიობ (168r); მოვისადილეთ (11r).

**ზედხართავი** სახელებისაგან იწარმოება ზმნები:

სავსეობენ (59r); მარტივობს (132v); უმჯობესობს (19r); ესხუაების (127r); უმეტესობდნენ (163v).

**ნაწარმოები სახელებია** წარმომქმნელად გამოყენებული შემდეგ მაგალითები:

<sup>23</sup> ეს ფორმა გვხვდება გაიოზარხიმანდრიტის ერთ-ერთ თარგმანშიც: S—378.

კეთილდღეობდეს (156r); მეთანამოგზაურნენ (191v); იმლუდელმოქ-  
მედა (122r); ვიგულსმოღვინე (125v); სათანადოებენ (155v).

მე-18 ს. სიტყვაწარმოებაში ხშირადაა მიმღეობები გამოყენებული და ამდენად ჩვენს ძეგლში მათგან ზმნების წარმოება სრულიად ბუნებრივი ჩანს, მაგ.:

განმცემელობს (98r); მიმღებელობს (106r); მიმზიდუშლობს (19v);  
ზომოლოცუშლობ (44v); მტვირთუშლობს (33v) მოიმგრძნობელნენყე  
(153v).

ზმნები იწარმოება აგრეთვე **ზმნიზედებისაგან**, მაგ.:

დავასაშუალებთ (10r); ვეახლოებოდით (31r); ძნიაღობს (98v).

საწყისის საწარმოებლად - ა სუფიქსია გამოყენებული, მაგ.:

განგრძობა (34v); მკლებელობა (76r); გამომძიებლობა (48r).

თავისებურია საწყისის ფორმები:

ბანვა (90v); ბრძუა (94v); აღსადილება (180r).

საინტერესოა ნასახელარი ზმნის მასდარი **გამწეებაც** (21r).

მიმღეობა „მოგზაურობაში“ ძალიან ხშირად გამოიყენება, როგორც  
სიტყვაწარმოებაში, ისე განკერძოებულ განსაზღვრებიანი წინადადების დროს.

მიმღეობათა წარმოება თავისებურებებით ხასიათდება, რაც ძირითადად  
აფიქსთა შენაცვლებაში ვლინდება. ძეგლში ხშირად ძველი ქართულისათვის  
დამახასიათებელი სრულაფიქსიანი ფორმების გვერდით გვხვდება ხელოვნუ-  
რად გამარტივებული ფორმები, მაგ.: ისეთი მიმღეობები, რომლებიც ძველ  
ქართულში ნაწარმოები იყვნენ მ-ელ აფიქსებით, ჩვენს ძეგლში მარტოოდენ  
მ- პრეფიქსითაა წარმოდგენილი, ან პირიქით, ძველსა და ახალ ქართულში  
ხმარებული მ- პრეფიქსის ნაცვლად მ-ელ აფიქსებია გამოყენებული.

მ-პრეფიქსი გამოყენებულია მოქმედებითი და საშ. გვარის მიმღეობე-  
ბის საწარმოებლად, მაგ.:

მწერმან (141v); მბრძანები (9v), შდრ. ახ. ქართ. მბრძანებელი;  
გამომტევები (20v); მიმღები (18v); დამბეჭდმან (166v); განმღებ-  
მან (180r); მჩუშნებნი (149r); შდრ. ახ. ქართ. მჩუენებელი; მკურ-  
ნებსა (122r); შდრ. მკურნალის (9v); მსურვები (58v); შდრ. მომ-  
სურველმან (8r); განმმეორები (163v); შდრ. მამეორებელი (180v);  
მშორები (142v); მომქონნი (16v).

თავისებურია ზმნის უპრეგებრო ფუძეებიდან ნაწარმოები მიმღეობები:

მწყებმან (3v); მტევენნი (34v).

მა- პრეფიქსი იშვიათად გვხვდება, მაგ.:

ალმაშენები (17v); მაწარმოები (58r); წარმომადგენნი (94v); მიმა-  
ვალი (181v).

მე- პრეფიქსიც აგრეთვე იშვიათად გამოიყენება:

მექონი (35v, 38r, 194v) შდრ. მქონე (90r).

მო- პრეფიქსი გვხვდება მიმღეობაში: **მოზაძავმან** (129v).

მი-ე აწარმოებს მიმღეობებს:

განმგრძენი (7v); შდრ. ახ. ქართ. გამგრძელებელი; მქონე (23r);  
აღმომტევეთა (64r) მომცრემლე (17v).

მი-ელ აფიქსები ხშირადაა გამოყენებული, მაგ.:

შემომდგომელისა (163r); მკრძალველი (194r); მქანებელად (141r);

დამრულველმან (176r); დამტეველი (75r); მვედრებელისა (175v);  
მლოდნელი (76v); მჰლევენიბელი (92v); მბოდიშებელმან (24r).

**მე-ე:** მელაქუსე (13r).

საინტერესოა ფორმები, რომლებიც ძველსა და ახალ ქართულში უფრო  
პარტიკულად, მხოლოდ პრეფიქსით იყო ნაწარმოები, მაგ.:

მომყუანელი (137v); შდრ. ახ. და ძვ. ქართ. მომყუანი; მჭერელნი  
(126r) შდრ. ახ. და ძვ. ქართ. მჭერი; მწოლელი (175v) შდრ. ახ. და  
ძვ. ქართ. მწოლი.

**ნახსენარი ზმნების მიმღებობებიც** ამავე აფიქსებითაა ნაწარმოები, მაგ.:  
მეზაშობებელნი (111v); მსარგებლობელი (130v); მსადილობელნი  
(185r); მდღებობელი (183v); მპატრონებელსა (168v); მჭერიობელი-  
სა (15v); მმეფობელი<sup>24</sup> (156r).

**მა-ე** იშვიათად გამოიყენება: მაწარმოენი (119v)

**მა-ელ** აწარმოებს მიმღებობებს:

დამბარკოლებელ (62r); მარწმუნებელმან (86v); განმამართლებელად  
(174v); მაიმორებელი (180v); დამაწყობინებელმან (193r).

**მ-არ;** მდგომარ—მცხოვრების (194r); ჰშთამომჯდარ (175v); მცხუართა  
(124v); მნთებართა (119r).

**მე-არ:** მეშვოთარნი (147v).

**მო-ე** გვხვდება მიმღებობებში:

მოთავაზენი (157v); მოსწრაფემან (154v).

**მომავალი დროის მიმღებობები** იწარმოება შემდეგი აფიქსებით:

**სა-** წარსაკითხავითა (131v); სადები (76r); არსაცნაურ (135v).

**სა-ო:** სასურვოდ (160r).

**სა-ელ:** შესახებელად (137r); საქირაებელად (112r); საბანელი (128r);  
განსავაჭრებელად (36r); შესადგომელისა (172r), გამოსავაზენელისა (24r).

**წარსული დროის მიმღებობათა** საწარმოებლად გამოიყენებულა:

**-ულ:** ჩუქებული (91r); მიქონებულსა (90r); მომიზღებული (92v); დატკიბლე-  
ბული (127r); გალობებული (156r); მხიარულებულნი (82r).

საინტერესოა ზმნის **უპრევერბო** ფუძისაგან ნაწარმოები მიმღებობები:

ბმული (18r); ნთებული (57r); ცვმული (174r); ხურჯლი (174r);

წყებული (26v); კლებული (97r); რწყევლნი (17v); კიდებული (33r);

ყუანებული (156r).

**-ილ:** ძლუანელი (117v); ქოლვილმან (125v); წოლელი (135v); თოლვილთა  
(172v); დაბეჭდელი (47v).

უბრევერბოდ შეგვხვდა **კერვილი** (76r) შდრ. ახ. ქართ. შეკერილი.

**-ნა:** დანაშთთა (142v); ნასყიდვი (91v); ნახლები (178r); ნაქირაებითა  
(91v); ნაშთნი (150r).

**ნა-ო:** ნამყონი (196r).

**ნა-არ:** გარდმონაცენართა (65r).

როგორც ვხედავთ, ჩვენი ძველი მდიდარია მიმღებობების საინტერესო  
ფორმებით. მიმღებობათა წარმოების გამარტივება, რაც ზოგჯერ ხელოვნურო-  
ბამდე მიდის, მარტო გ. ავალიშვილისთვის არაა დამახასიათებელი. იგი კარ-

<sup>24</sup> ეს მაგალითი საინტერესოა, რადგან მეფობს ზმნას საერთოდ არ აქვს მიმღებობა. იხ.  
ა. ა. შა ნი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 598.

გად თავსდება იმდროინდელი სიტყვაწარმოების ჩარჩოებში. ასეთივე გამარტივებულ ფორმებს ვხვდებით ალ. ჭავჭავაძის ნაწერებში, მაგ.: ხელის ამღე, მგრძნი, განმაახლი<sup>25</sup>.

თუ პრეფიქს-სუფიქსური წარმოებიდან (მ-ელ) ოდენ პრეფიქსურზე (მ-) გადასვლაში წარმოების გამარტივების ტენდენციას დავინახავთ, რომელმაც ზოგიერთ შემთხვევაში ახალ ქართულში უფრო დახვეწილი ფორმები მოგვცა, მაგ.: **სახატველი** > **სახატავი**; **მომწერელი** > **მომწერი**, მაშინ აუხსნელი დაგვრჩება პირიქითი პროცესი: პრეფიქსული წარმოების (მჭერი, მწოლი, მომყუანი) ნაცვლად სუფიქს-პრეფიქსულის გამოყენება (მჭერელი, მწოლელი, მომყუანელი).

ზმნი ზედა ჩვენს ძეგლში ძირითადად არქაული ფორმებითაა წარმოდგენილი.

საინტერესოა შინაარსის ცვლის თვალსაზრისით **არასადა**, **ვერასადა** ზმნიზედები, მაგ.:

იერუსალიმით იერიხომდე გზასა ამას ზედა არავითარიმე იხილუშბის **არასადა** მცირედითა ნაწილი ძუშლთა შენობათა (135v); გარნა **ვერასადა** შემნიშვნელნი მათნი მოიქცნენ შემდგომად ერთისა ჟამისა წარსლუთ მათით (64r); გარნა აღმდგართა კუალად წარსლუად **ვერდასადა** ვპოვენით კაირელი არაბი (191v).

ძველ ქართულში **არასადა**-ს და **ვერასადა**-ს დროის გაგება ჰქონდა და ნიშნავდა **არასოდეს**, **ვერასოდეს**. მოყვანილ მაგალითებში კი ადგილის ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს **არხად**, **ვერხად**. მაშასადამე, არქაული ფორმა ახლებურადაა გააზრებული.

ზმნიზედა **ზედაათცა** გვაქვს მაგალითში:

ბანნი მათნი არიან ვაქე, რომელთა **ზედაათცა** შესიძლო არს გასინჯუად ყოველთა სასიამოვნოთა სახეთა (41r).

ამ ზმნიზედას აქვს **ზემოდან** ზმნიზედის მნიშვნელობა. შეიძლება ანალოგია გავავლოთ ფშაურში ხმარებულ **ზენაით** ზმნიზედასთან, მაგ.:

**ზენაით** მეორე მოსჩანს, იმღერის, მათანი ხევიან<sup>26</sup>.

საინტერესოა გასუბსტანტივებული ზმნიზედის ბრუნების მაგალითი:

ვისწრაფეთ ჩუშნცა მოწვენად მათსა, აღმსლველთა **აღმისა** საკმაოდ ცუდ-მაღლისა (192r).

აქ გვაქვს **აღმა** ზმნიზედის ნათესაობითი ბრუნვა.

ნაწილაკი ჩვენს ძეგლში ხშირად ვხვდებით.

განმაძლიერებელი მნიშვნელობის მქონე -ცა ნაწილაკი ერთვის მეტყველების თითქმის ყველა ნაწილს, მაგ.:

სასახლეცა (128r); მცირედითცა (179r); მეცა (110v); დღესცა (131r).

ხშირად **ცა** ნაწილაკი ზმნებსაც დაერთვის, რაც არქაიზმია, მაგ.:

ისახელდებისცა (126v); უწყუათცა (151v); მოიღესცა (77r).

აღსანიშნავია, რომ სახელთან **ცა** ნაწილაკის ხმარების შემთხვევებს ბევრად სჭარბობს მისი ზმნასთან გამოყენების მაგალითები.

ღა ნაწილაკი გამოიყენება სახელთანაც და ზმნასთანაც, მაგ.:

<sup>25</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ალ. ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი, უნ. შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 307.

<sup>26</sup> ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა, ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები, 1960, გვ. 345.



საქიროდლა (169v), აჩრდილილა (68v), არსლა (166r).

**ვე** ნაწილაკი გვხვდება მეტყველების ყველა ნაწილთან, გარდა ზმნისა, მაგ.:

შესლვასავე (152r); ქუსლვე (7v); თანასწორვე (29r).

საინტერესოა მაგალითი, სადაც **ვე** ნაწილაკი ერთვის სახელსაც და მის თანდებულსაც:

გამოჰსჩნდა საზაფხულო სასახლეა სულთნისა **მარმარილოასავე გა-  
მოვე** შენებულითა ზღუდვითა (35r).

უჩვეულოა აგრეთვე სახელის ნათესაობითის **ვე** ნაწილაკდართული ფორ-  
მა, რომელსაც ნაწილაკის შემდეგაც ერთვის ბრუნვის ნიშნები, მაგ.:

შორის ორთა ამათ პირამიდთა ჰსდვას თითბრისა **ხუშველი** სამთა  
გველთა მიერ **თითბრისავესითა** (45r).

**თითქმის** ნაწილაკი აღრინდელი **თუითქვმის** სახით გვხვდება, მაგ.:

ეკლესია... არს **თუითქვმის** სრულიად დარღვეულ დროთა მიერ  
(152v).

„მოგზაურობაში“ ზმნებს ხშირად ერთვის ნაწილაკი „ვე“. როგორც ივ. ქავთარაძემ დაადასტურა მე-12—18 ს. ტექსტებში<sup>27</sup> ამ ნაწილაკს აქვს **ხოლმე**-ს გაგება.

ჩვენს ძეგლშიც **ვე** ნაწილაკი უპირატესად ხოლმეობითის ფორმებს ან განგრძობითი შინაარსის ზმნებს ერთვის შინაარსის გასაძლიერებლად (რამ-  
დენადაც ხოლმეობითის კატეგორია ცოცხალი აღარ არის), მაგ.:

რომელსაცა აკრძალვით **ემორჩილებოდიანვე** თუ უპირველესნი  
ვაზირ-მოწესენი სულთნისა (40v); სადაცა **შესწირვიდიანვე** სპარ-  
სნი მსხვერპლთა ცეცხლსა (81r); რომლისა ძლით **იტანჯვანვე** მა-  
რად აქაურნი ესევითარსა ცხელსა ჰაერსა შინა (106v).

**მცა** ნაწილაკი გვხვდება „მოგზაურობაში“, მაგრამ მისი ფუნქცია მოშ-  
ლილია. „ახლადწამოყალიბებული მყოფადისა და ზოგი სხვა გარემოების გამო  
მცა-ს სინტაქსური ფუნქცია მოიშალა სალიტერატურო ენაში და საბოლოოდ  
მოისპო. ეს პროცესი დაიწყო XI საუკუნიდან და XVIII საუკუნის დამლევე-  
სათვის ძირითადად დასრულდა“<sup>28</sup>.

ჩვენი ავტორის არქაულობისაკენ დიდმა მისწრაფებამაც კი ვერ გააცო-  
ცხლა ეს ნაწილაკი. სრულიად ზედმეტია იგი კავშირებითის მწკრივებთან,  
მაგ.:

რომელ უკეთუ დესპოტი შენი **ზრუნვიდესმცა** წმიდათა ტაძარ-  
თათჳს ღმრთისათა (165r); დაღათუ **იყოსმცა** თქუსნი მართალ  
(174r); **რათამცა** ჰპოვნოს მუნ ნაწილი მისი წმიდისა სახარებითურთ  
მოციქულისა მათესით (162v).

თბრობითი კილოს ზმნებსაც ერთვის, მაგრამ კილოს ვერ უცვლის:

**გვმართებდამცა** ჩუსნ თუთ მოსულად მუნ დაუყოვნებლივ (157r);  
მაშინ, ვუბნობ, რამეთუ მტკიცედ **შემრაცხდითმცა** უწარმგებელე-  
სად (165r).

<sup>27</sup> ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 11 1961, გვ. 25.

<sup>28</sup> პ. გაჩეჩილაძე, კვლავ -მცა ნაწილაკისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერე-  
ბა, 960, გვ. 251.

ხშირია კითხვითი შინაარსის გადმოსაცემად, ძველი ქართულის მსგავსად, - ა სუფიქსის გამოყენების შემთხვევები, მაგ.:

**იცნობდითა** თქუშნ ბაში-აჩულთა მეფე სოლომონსა? (49r);

**მოგეწონათა** სახარებაჲ დედაკაცისა მის? (128v);

**გყავსა** ქმარი? (167r);

მართალსა **ვითყუა** (169v); მუსგლმანი ხარაა! (89v).

ამ უკანასკნელ მაგალითში ორი ა გვაქვს: ალბათ, კითხვის მეტი ინტენსივობის გამოსახატავად.

კ ა ვ შ ი რ ი. ჩვენს ძეგლში ძირითადად არქაული სახის კავშირები იხმარება.

**მაერთებელი** კავშირებიდან აღსანიშნავია ან კავშირი, რომელიც ანუ სახით გვხვდება, რაც ჩვეულებრივია მე-19 ს. მწერალთათვის, მაგ.:

არ გაქუსა შენ საჩივარი რაჲმე უფროსთა მოწესეთა შენთა ამხანავთა ანუ სხუათა ვისთამე აქაურთა ზედა (69v).

**მაპირისპირებელი** კავშირებიდან აღსანიშნავია:

**გარნა**: მოველ ჭალაკსა ამას ხიო ქალაკსა, **გარნა** აქაც დამხუდა იგივე შემთხუშვად (61v).

**ხოლო**: ხოლო ვითარცა შეგედით სიერცესა ზღუასასა, იწყეს მაშინ ორთა ამით ნიაფთა... ბრძოლაჲ ძლიერი (63v).

**არამედ**: ხიო ქალაკისა ამის არხიებისკოპოსისა მწადდა ხილუჲა, **არამედ** იყო წარსლელ სავარხიოჲსა თვისსა სოფელსა შინა (62v).

მაპირისპირებელი **მაგრამ** კავშირი არ გვხვდება ძეგლში, სამაგიეროდ შეგვხვდა მისი დიალექტური სახესხვაობა **მარა**, მაგ.:

გვწადდა შესლუჲა შინაგან პირამიდისა ამის, **მარა** არაბთა არ ვვითევეს ყოფად ამისა (93r).

**მაქვემდებარებელი** კავშირებიდან აღსანიშნავია:

**რომელ**:ამად ვსაჭიროებ, **რომელ** მაუწყოს მე ფასი ორთა მათ დაუვიწყებელთა წამალთა (23r).

**რომელ** კავშირი იშვიათად ახალი ქართულისებური, გამარტივებული სახითაც გვხვდება, მაგ.:

ამას ვუთხარ ჰშთამჯდარმან ნუშასა შინა, **რომ** ხუად გემსა ზედა მოვილოდინებ მას დილით (59v).

**ვითარმედ**: აღვისწრაფე ამისთჳს მყისად... დამსდებმან თავისა მაგალითად, **ვითარმედ** არ ვეჩვენო ხშირად სუსტთა სქესთა (60r).

**რამეთუ** კავშირს ხან ობიექტური კავშირის მნიშვნელობა აქვს, ხან მიზეზისა, მაგ.:

ობიექტური: ვიბილუშთ ესრეთუშ, მით **რამეთუ** განველო მზესა უმეტესი ნახევარი გზისა თვისსა (58v).

მიზეზისა: მზა ვარ დაცუად მეზობლისა ჩემისა ამის დედაკაცისა... მით **რამეთუ** ერთად მისითურთ ვიბილუშთ მუნ (61r).

**მიზნის** **მაქვემდებარებელი** კავშირი, ახალი ქართულის მსგავსად, რათა-ს სახით გვაქვს ყველგან, მაგ.:

და ესრეთ ვსთხოვ მას, **რათა** იუბნოს მდაბიოჲსა ენითა (49r); შევუთვლი მუსალიმსა, **რათა** შემპყრობმან მისმან, გალახოს მძიმედ (153v).

ხშირადაა გამოყენებული მიზეზის არქაული კავშირი ვინაჲთგან, მაგ.:

გარნა ვუბრძანე დაგებად სტოლისა, ვინაჲთგან ვიყუშნით უსადი-  
ლო (36r).

ამავე მნიშვნელობით იხმარება ამ კავშირის უფრო ძველი სახეობა ვინა<sup>29</sup>,  
მაგ.:

თუმცა არღა საჭირო იყო კითხუად მათდა სიმრთელესათჳს კარა  
პიტასა, ვინა სახეთა ზედა მათთა იყენენყე ცხოვლად გამოწერილ  
მზიარულებანი (177v); მაშინ შენდა უშესაბამეს არს წარსლუჲა  
აქაჲთ, ვინა მე ჴელითა ღმრთისათა შექმნილი და სახითა მისითა  
განდიდებული ვარ უხესთაეს შენსა უპატიოსნეს (138r); ორნივე  
ადგილნი ესე ადგენენ სწორესა გარდიგარდმოსა ხაზსა, ვინა მთაჲ  
ეკლესიისასა წმიდისა გოლგოთისა არს სამკრეთისადმი, ხოლო  
სამწირულჲოჲ ესე ჩრდილოეთისა მიმართ (144r).

**დროის მაქვემდებარებელი** კავშირიც არქაული ფორმით გვხვდება:

ოდესცა მოვედით სადგომსა მილონაჲსასა, თხოვისა ძლით ჩემისა  
წარავლინა კაცი (59r-v).

დათმობითი კავშირებიდან აღსანიშნავია:

**უკეთუ:** უკეთუ სახითა მაგით და ქცევითა... იჩვენები ღმრთისა მოყუარებასა  
და მლოცველობასა, თუთ მაგითვე ამტკიცებ ცუდკაცობასა და ფარი-  
სეველობასა შენსა (83r).

**თუმცა:** თუმცა თქვმაჲ ესე ჩემი იყო თუთ უწინააღმდეგეს მისა (61r).

ასევე არქაული სახით შეგვხვდა პ ი რ ო ბ ი თ ი და ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი კ ა ვ შ ი -  
რ ბ ი, მაგ.:

დალაუშცა იყოს ესე აღთუნი... მაშინ დავანებებდით თქუშნვე (134r).

და ვითარცა წარვიდნენ ესენი, წარმოველ მეცა ნავისადმი ჩემისა (59v).

როგორც ვხედავთ, ჩვენს ძეგლში ორიოდვე გამონაკლისის გარდა, არქა-  
ული კავშირებია გამოყენებული.

### „დიალექტიზმების“ შესახებ

ჩვენი ძეგლი იმითაცაა საინტერესო, რომ გამოიყოფა დიალექტური  
ელფერის მქონე ფორმები, რომელთა ლოკალიზაცია ძირითადად შესაძლებე-  
ლია ქართლური და კახური დიალექტებით. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რამ-  
დენადაც მე-17—19 საუკუნეებში ქართლურისა და კახურის გავლენა სალიტე-  
რატურო ენაზე განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობოდა<sup>30</sup>.

მაგრამ აქ დგება საკითხი: ჩვენს მიერ დიალექტიზმებად გამოყოფილი  
ფორმები საკუთრივ მწერლისათვისაა დამახასიათებელი, თუ ასახავა იმდრო-  
ინდელი სამწერლობო ენის ვითარებასაც? ამ საკითხზე პასუხის გაცემა გაჭირ-  
დებოდა, რამდენადაც წინა საუკუნეებში, როდესაც ენა შექმნა-ჩამოყალიბების  
პროცესში იყო და არ ჰქონდა ერთიანი, ნორმირებული სახე, ძნელია ერთ-  
მანეთისაგან გაიმიჯნოს ამ ტიპის მოვლენები, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის  
საინტერესო ეტაპი (მე-18 ს. და მე-19 ს. 1 ნახევარი) არც ისე კარგადაა

<sup>29</sup> ჯერ კიდევ ძვ. ქართულში გვაქვს ლოკალური ხმნიხედის ვინაჲ-ს კავშირად გამოყე-  
ნების შემთხვევები. შემდგომი განვითარების შედეგად იგი მიზეზის კავშირად იქცა. იხ.  
შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, 1954, გვ. 131, 290, 345.

<sup>30</sup> ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ლ უ რ ი ა, ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტო-  
ლოგია, 1961, გვ. 269.

შესწავლილი, რომ ითქვას, რა ახასიათებდა სამწერლობო ენას. ასეთ პირობებში, ცხადია, ვერ განვსაზღვრავთ „მოგზაურობის“ დიალექტიზმები საკუთრივ მწერალს ახასიათებს თუ სამწერლობო ენას, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს მათი კვალიფიკაცია მომავალში, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია გამოვყოთ ისინი ცალკე და მივუთითოთ რომელი დიალექტის კუთვნილებას შეიძლება წარმოადგენდნენ. დიალექტური ელფერი აქვს ზედსართავის ფორმებს:

სწორე (82v); ოთხკუთხე (139v); მტირალე (136r); მოგრძე (147r).

„მოგზაურობაში“ ძალიან ხშირია დამ თანდებულის გამოყენების შემთხვევები. ამ თანდებულმა მე-19 ს. დიდი გავრცელება პოვა, რასაც შეუწყვეს ხელი ქართლიდან და კახეთიდან გამოსულმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა (მაგ.: ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ხშირად გვხვდება იგი). ჩვენს ძეგლში ეს თანდებული იხმარება გამო, გან თანდებულების გვერდით და მათივე მნიშვნელობით, მაგ.:

ვიარეთ აქედამ კუალად ექვსი ჯამი (182v);

შესლვულთა შარ-კიშლასსა, მოებარათ სახლები დამ რაოდენნიმე ქარ-ძროხა და კამბეჩნი (183r); გარნა გარდამიხლდა გზი დამ (151r).

დიალექტური ფორმითაა წარმოდგენილი პრევერბი ზნაში შემამტრფო-ლიან (157r).

II და III სერიაში -ევ > -ივ თემის ნიშნის -ვ თანხმოვანი ყოველთვის შენარჩუნებულია. ვინიანი ფორმები დამახასიათებელია ქართლურისა და კახურისათვის<sup>31</sup> და ვფიქრობთ, სწორედ მათი გავლენაა აქ სავარაუდებელი, მაგ.:

მოგეწივა (191v); მდივა (82v); მოაფრქვივა (28r);

შეგვემთხვა (35r); დაურღვივონ (80r).

საინტერესოა წყვეტილში ზნის I და II პირში -ევ || -ევ-ი სუფიქსის დართვის შემთხვევები. ეს მოვლენა ქართლურისა და კახურისთვისაა დამახასიათებელი<sup>32</sup>. „მოგზაურობაში“ ხშირია -ევ-იანი ფორმების გამოყენება, მაგ.:

მივუგვე (196r); დავსდევე (170r); ძალ-ვიდევე (179r);

განვაგრძევე (39v); მიილევით (79v); დავუწყვიეთ (184v).

ჩვენს ძეგლში ხშირად იხმარება აგრეთვე -ინიანი ვნებითის ფორმები, რომელთაც შესაბამისი მოქმედებითის ფორმიდან აქვთ გადმოყოლილი მრავლობითის -ენ სუფიქსი. -ინ-ინიანი ვნებითის ამგვარი წარმოება წყვეტილსა და კავშირებით II-ში ძველი ქართულისთვისაცაა დამახასიათებელი და აღმოსავლურ კილოებშიც ფართოდაა გავრცელებული. ვფიქრობთ, ასეთი ფორმების მოჭარბებული ხმარება „მოგზაურობაში“ უფრო ქართლურისა და კახურის გავლენის შედეგი უნდა იყოს, მაგ.:

ავიყარენით აქედამ განთიადმდე (183r); მოვიწივენით სახლსა თავადისა ესპილანტისასა (37v); შევიჭურვენით ჩუშნცა მოგერებად კუშთებათა (65v).

<sup>31</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ა, ქართლური, არილი, ტფ., 1925; ა. ჩ. ი. კ. ო. ბ. ა. ვ. ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, ტფ., 1925.

<sup>32</sup> იხ. ზემოთ დასახელებული წარმოები.

თურმეობითი II-ის საწარმოებლად, როგორც წესი, გამოყენებულია იყო მეშველი ზმნა -ოდ სუფიქსის ნაცვლად (გარდაუვალ ზმნებში). ასეთი წარმოება დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის (ქართლური, კახური, ფერეიდნული, მთიულური, ფშაური). მაშასადამე იყო-თი ნაწარმოები ფორმა დიალექტიზმია, მაგ.:

რომელსაცა სწუშვიყო სისუსტეა ესე (192r); რომელთაცა დაბრკოლებისა მიზეზად შექმნიყოთ ერთი მოლა (191r); რომელნიცა აგვდევენბიყუნენ არზრუმის სიახლოითუქ (191v).

ადგილის გარემოების გადმოსაცემად იხმარება ნანათესაობითარი მიცემითის ფორმები, რომლებიც ამჟამად დასავლური კილოებისათვისაა დამახასიათებელი, მაგ.:

მივედით... კონსულისა შამპიონისას (66v); იყუნენ ჩემსას (75r); მიგვიპატიეა თჳსას (159r); შემდგომ მცირედრე შესუშნებისა მილონაჲსა ამისას, ესთხოვე ამას ჩუშნებად ჩემდა (57v).

მაპირისპირებელი მაგრამ კავშირი მარა-ს სახით შეგვხვდა, მაგ.:

გვწადა შესლუა შინავან პირამიდისა ამის, მარა არაბთა არ გვიტყვეს ყოჲად ამისა (88r).

ჩვენს ძეგლში დადასტურებული დიალექტიზმების მაგალითები საინტერესოა ორი თვალსაზრისით: ჯერ ერთი, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გახაზავს, რომ არქაულობისაკენ დიდად მოსწრაფე მწერალთანაც კი ნებსით თუ უნებლიეთ არქაული ფორმების გვერდით თავს იჩენს სასაუბრო მეტყველების ნიშანდობლივი ნიშნუშები. მეორეც, ეს არის მასალა ისტორიული დიალექტოლოგიისათვის, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე ენაში დიალექტების ზვედრითი წონის განსაზღვრა.

### „რუსიციზმების“ შესახებ

გ. ავალიშვილის ორიგინალურ ნაწარმოებში ხშირად გვხვდება რუსიციზმები, რუსული ფორმით გადმოტანილი სიტყვები, რუსულ ქარგაზე შექმნილი გამოთქმები. ეს უპირველეს ყოვლისა იმ საერთო ტენდენციის გამოხატულებაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-18—19 ს. ქართველ მწერალთა ერთ ნაწილში. ამ ტენდენციის საფუძველი იყო რუსეთ-საქართველოს შორის ლიტერატურულ-კულტურული კავშირის გაცხოველება, რის გამოც მრავალი ნაწარმოები ითარგმნებოდა ქართულად და ამ გზით ბევრი რუსული სიტყვა, გამოთქმა თუ რუსული ყალიბის მიხედვით შექმნილი შესატყვისი იკიდებდა ფეხს არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არამედ მწერლობაშიც. მე-18—19 ს-ში ხშირად რუსული ტერმინებისა და ცალკეული სიტყვების ქართულად გადმოღების ცდები და ზოგი რამ, რაც არ ეწინააღმდეგებოდა ქართული ენის ბუნებას, მკვიდრდებოდა კიდევ.

აღსანიშნავია, რომ გ. ავალიშვილის ორიგინალური ნაწარმოები უფრო „სცოდავს“ რუსიციზმების გამოყენების მხრივ, ვიდრე თარგმანები. თარგმნილ ნაწარმოებებში იშვიათად შევხვდებით რუსულ სიტყვას. ავტორი ცდილობს, ზოგჯერ პედანტური კეთილსინდისიერებითაც კი, ქართული შესატყვისი მოუძებნოს რუსულ სიტყვასა თუ გამოთქმას. „მოგზაურობაში“ უფრო თავისუფლება იგრძნობა ამ მხრივ. აქ შესაძლებელია თხზულების ჟანრმაც ითამაშა გარკვეული როლი: რადგან აღწერა დიდ სიზუსტეს მოითხოვდა, ავტორი

ცდილობდა, როგორც ჩანს, ზუსტად გადმოეცა რუსი თუ უცხოელი მოხელეების გვარი და სახელი, ტიტული, გეოგრაფიული სახელები, რომელთა დიდი უმეტესობა არც იყო ქართულში ცნობილი და, რა თქმა უნდა, რუსული ფორმით გადმოცემა იყო ერთადერთი გზა.

გ. ავალიშვილს იერუსალიმში მოგზაურობამდე (1819 წ.) რუსულიდან თარგმნის დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული, ბევრი სიტყვისა თუ გამოთქმისათვის ქართული შესატყვისი ჰქონდა მოცემილი. ამათგან რა დამკვიდრდა და რა არა, სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენი ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის გასათვალისწინებლად საინტერესოა მის მიერ ჩატარებული მუშაობა, საინტერესოა ფორმითა და შინაარსით, მნიშვნელოვანია ქართული ენის გრამატიკული შედგენილობის განმეორება-განვითარების თვალსაზრისით. თავისი მდიდარი გამოცდილება ავტორს გამოუყენებია და თარგმნის პროცესში შექმნილი ტერმინები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულები ორიგინალურ ძეგლშიც მოუტია.

გ. ავალიშვილის დროს ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი და ჩამოყალიბებული რუსულიდან თუ რუსულის გზით შემოსული სიტყვების ქართულად გადმოღების პრინციპები. ამიტომ ქართულად გადმოღებისას იხმარებოდა ისეთი ფორმებიც, რომლებიც ქართულის ბუნებას მთლად არ ევლუბოდა. ამ მხრივ საინტერესოა ორი ერთნაირი თანხმოვნის შემცველი ფუძეების გადმოცემა ქართულში. ქართული ასეთ შემთხვევაში ამარტივებს სიტყვას, წყვილი თანხმოვიდან ერთს ხმარობს. გ. ავალიშვილი კი რუსულის მიხედვით წყვილ თანხმოვანს სტოვებს, მაგ.:

კორესპონდენტი (124r); კელლია (129r); კოლლეგისაგან (39v); ვილიამინოვისა (197r); ლელლი (31v); გოლლანდიისა (157v).

რუსული გვარები, სახელები და მანის სახელები რუსული წარმოთქმის მიხედვითაა გადმოტანილი:

იერმოლოვი (197r); ივან ვასილიევიჩი (18v); ანასტასიევიჩი (26r); იაკობ ალექსიევიჩი (193v); მიხაილ ოსიფოვიჩი (10v); ზახარია (11r).

გეოგრაფიული სახელები, ჩვეულებრივ, რუსულის ფორმითაა გადმოსული, მაგ.:

ვიზანტია (53r); ნილო (69r); პარიჟი (58r); არაგია (111r) შდრ. არაბიისათა (126v); ლიეის (92r); მონგოლიისა (97v); ვიქანიით (125v); ანგლიის (66v); ქრანციის (77v); ნემციისა (78v); აქონისასა (153r); ოსტინდიისა (68r); ტრაპიზონიისადმი (16r); კაირთან (80v); კრიმის (100r).

მრავლად გვხვდება რუსული სიტყვები:

ქარანდაში (94r); სოვეტნიკი, სეკრეტარი (7v); სტოლი (196r); ბუტილკა (170r); უეზდი (7v); ჩუგუნი (14r); ქონარნი (73r); სკლიანოკი (18v); გრაძინჩიკები (70r); დროშკა, ბრიჟკა (25r); ოდნოკოლკასა (155r); რაპორტითა (22r).

აქვე აღსანიშნავია, რომ **ო**-ს შემცველი ფუძეები რუსულისა გადმოტანილია დაწერილობის და არა წარმოთქმის მიხედვით: სოვეტნიკი (11r). ქონარნი (73r); ოდნოკოლკა (155r).

რუსული სამოხელეო ტიტულები და დანიშნულებითი სახელები ასევე პირდაპირაა გადმოტანილი, ოღონდ ზოგჯერ მსაზღვრელი შინაარსის ხაზგასასმელად მწერალს ქართული ნათესაობითის **-ის** ნიშანი დაურთავს, მაგ.:

დეურნი ოციცერი (17v); დესტიტელნი სტატსკი სოვეტნიკობით (3v); ხვეშნოჲ ძრევატი (18v); კოლლეჟსკის სეკრეტარი (33v); ნადვორნის სოვეტნიკი (11r, 128r); დივიზიონნის ლენერლისა (197r); გუბერნსკის სეკრეტრის (7v).

წარმომავლობის სახელები ნაწარმოებია რუსულის ფორმიდან:

კურსკის გუბერნიელი (122r); სტეფანე ვიზანტიელი (149r); პოლშელისა (25v); ანგლიური (17r); გერმანიულსა (101r); ძრანცუზულსა (101r).

რუსული ნაწარმოები ფორმა ქართული აფიქსითაა გაფორმებული:

იტალიანურსა (56v); სლავიანისა ენასა ზედა (136v).

რუსულიდან მომდინარე სიტყვებიდან ქართული აფიქსებით ნაწარმოებია ახალი სიტყვები:

საკოროლოდსა (8r); ტანცობისა (78r); სააპეკო (163r); ნასალდათარი (182v);

რუსულ სიტყვებში ზოგჯერ განსაზღვრულ ასოებს ქართული შესატყვისის ასოები შეეფარდება, მაგ.:

r > ღ: ლენერალ-ლეიტენანტი (195v); მოლილეცსა (8r); ლიმნაზიისა (158v); ლერბებით (195r).

t > თ: თურციასა (170v); ბესეთეებიანი (33r); სალქეთკა (195r); ლაზარეთი (163r); პაკეთი (196r); პაშპორთი (39v); კიბითკა (25r).

p > ფ: აფეთკასა (142r); ოსიფოვიჩი (10v).

k > ქ: ქარტინა (133r); თაბაქერქისა (160v).

ასეთ შემთხვევებში სავარაუდებელია რუსულის გამოთქმის ვაკლენა.

ა-ზე დაბოლოებული რუსული სიტყვები -ი დაბოლოებითაა გადმოტანილი:

Маска—მასკი (100r); Пшара—შპავი (151r);

რუსულიდან მომდინარე სიტყვები ქართული აფიქსებითაა გაფორმებული და ქართულ ფონეტიკურ წესებს არიან დაქვემდებარებული, მაგ.:

ცესარის პოლად (70v); სტაქანთა (88v); სეკრეტრისა (7 v); შინლით (184v).

რუსული სიტყვების კალკირებასთან უნდა გვკონდეს საქმე შემდეგ მაგალითებში:

ნაწილობით (142v)—частично; ქუშვანმხედველობასა (193v)—подзрение; წინადამიღუშს (17r)—предложили; სახესა ქუშუე (180v)—под видом; რაჲ ყოფად (167v)—что делать; დიდებობენ (33r)—славятся; წარმოებული (82r)—проишествие; მათ შორის (186v)—между тем; ცხოველმხატვრობითსა (92r)—живописный; ჯარისხითი ჯარისხად (20v)—постепенно.

### ს ი ნ ტ ა ქ ს ი

„მოგზაურობის“ სინტაქსი საკმაოდ რთულია. ჩვენი ძეგლის ენის ხელოვნურობაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. მარტივი, ბუნებრივი წინადადებების გვერდით ხშირად შეგვხვდება ხელოვნურად გართულებული წინადადება; ენას ამძიმებს ქართულისათვის ნაკლებად დამახასიათებელი რა კონსტ-

რუქციანი წინადადებები, მიმღობებისა და ე. წ. ინფინიტური ფორმების ხშირი გამოყენება. ვერ ვიტყვით, რომ ეს მოვლენები სრულიად უცხო იყოს ძველი ქართულისათვის, მაგრამ ჩვენს ძველში ისინი ჭარბად იხმარება, რაც ენას ხელოვნურს და აზრს ბუნდოვანს ხდის. ავტორს აშკარად ეტყობა მისწრაფება ენის „გაარქაულებისაკენ“. ამის გამოა სწორედ, რომ იგი კავშირებს მხოლოდ და მხოლოდ არქაული ფორმით ხმარობს (მცირე გამონაკლისის გარდა) და ზოგჯერ ხმარობს იქაც, სადაც საჭიროება ამას არ მოითხოვს.

მსაზღვრელ-საზღვრულის მხრივ ძველში ასეთი სურათი გვაქვს: იხმარება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა, ამასთან ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი პრეპოზიციური წყობის შემთხვევები უფრო ხშირია ატრიბუტული მსაზღვრელის გამოყენების დროს. ორივე წყობის შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელი ატრიბუტულია, სრულ შეთანხმებასთან გვაქვს საქმე, მაგ.:

სახელობითი: ვაკეა ადგილი (57r);

მოთხრობითი: მძაფრმან სენმან (19r); ცოლმან შენმან (96v);

მიცემითი: მცირეს ხანს (60v);

ნათესაობითი: შავის რქის (170r); ცხოვრებისა ჩემისა (26v);

მოქმედებითი: საკუთრითა ზელითა (142v); ციხითურთ განმაგრებულით (55v);

ვითარებითი: სხუად სახედ(35r); ბინად ჩუწნად (27r).

უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ.: ანგლიელის მღუდელით (126r); სხვს გზით (126v); სამის მსახურით (129v); საგანგებოს კაცით (78r).

ვითარებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი მიცემითში დგას, მაგ.:

ორს ფრთედ (177r); კარგს ნიშნად (80r); იშვთს ნივთად (142r); შესაბამს სახედ (431v).

პოსტპოზიციური წყობის დროს მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, მართულ-შეთანხმებულია, მაგ.:

მჯარესა დასავლეთისასა (66v); ხეთა კიპაროსისთა (31r), თამაშობითა კომედისათა (196r); ეზოდ ტაძრისად (148r).

მოქმედებით ბრუნვაში, როგორც ვხედავთ, ბრუნვის ნიშნისეული ი (>e) ჩავარდნილია. ასევე არ ჩანს იგი გამოსვლითის ფორმებში, მაგ.:

სახლით საპატრიარხოესათ (146r); წერტილით ქუშყნისათ (145r); დლით გამოცხადებისათ (129r).

ასევე მართულ-შეთანხმებულია მსაზღვრელად გამოყენებული საკუთარი სახელი და ნაცვალსახელი, მაგ.:

ბრძანებისა ძლით მანახესსა (134v); ეკკლესიასა შინა... ნიკოლაოსისსა (75v); საფლავთა... წმიდათა პავლასსა და ევსტიხისასა (132v); ფანჯრებით ამისით (45v); სახელითა ჩუწნთჳს ჯუარცემულისა იესოსითა (13r).



მეორე ხანი უფუნქციო ჩანს მაგალითებში:

აღვეელ ხილუად უწმინდესისა მეუფეჲსა პატრიარხისა **პოლიკარპეს-სა** (43r); ვკითხე სპირიდონ **სივანისსა** (164v); წარვიყუანე არტემ ბოლდანოვიჩი... ხილუად ზემოთქმულისა ახლად მოსლგულისა არ-ხიმანდრიტისა **ვენელიკტესსა** (28v).

პოსტპოზიციური წყობისას მართული მსაზღვრელი ზოგჯერ არ შეეთანხმება საზღვრულს, მაგ.:

მსახურმან საკურთხეველისა (26v); ნათელმან დღისა (184r).

ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრული გათიშულია, მათ შორის სიტყვა ან მთელი წინადადება<sup>32</sup> დგას:

არ აღძვრა მსწრაფლ ლმობად **გულნი** ნაპირსა ზღუსასა მყოფთა მენავეთ მოძღუართა **ბერძენთანი** შეწვენად (153v). აქ **მომლოდ-ნელმან** ჩემ მიერ წარგზავნილისა **კაცისამან**, ვიხილულ იგი (30r); გაშალეს ძლაგი როსსიისა, მიმცნები სხუათამიდი **როსსიელისა** მის-და მისლუსათს **სტუმრისა** (66r); ესრეთულ სხუანიცა არიან **საფ-ლაგნი** ორთავე ვაშათა ამათ **შვილთანი** (78v).

საინტერესოა, რომ მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი ნარ-თანინი მრავლობითის ირიბ ბრუნვებში ორმაგი **-თათა** სუფიქსითაა წარმოდგენილი. ასეთი სუფიქსაცია ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, არ გვხვდებოდა<sup>33</sup>, მაგ.:

ვიარეთ ვზაჲ, ზღუდვილი ორისულ ქერძოდ საფლავთა მიერ თათართათა (45v); სჯულთა ოსმანიანთათა (159v); შეწვენითა არაბთათა (82r); გუამთა სქესთათა (155r); სიჭაბუკითვე წელთათა (195v).

ზოგჯერ გვხვდება მსაზღვრელის ისეთი ფორმები, რომლებიც საზღვრულს ვარაუდობენ, მაგრამ საზღვრული დაკარგულია, არ ჩანს. მსაზღვრელის ასეთი სახე ძველ ქართულში იხმარებოდა, მაგ.:

აღმოსლუსას თანა მზისა **ალიონთასა** ვიხილულთ იმიერ კერძო წყლისა ამის ავაზკნი (126r); ძინიკის ხისა ამის ძირსა თანა არს ექუსი ჰაუზი **ქჯისისა** (139r); შემდგომად იყო დაღვეჲჲ კეთილწარ-მართებისათს... თანართუთავე **მრავალუამიერობისათა** (153v); მას შინა ცვულა სიმრავლე წიგნთა, რომელიცა **პტოლომეოსთაზე** ირიცხებოდა უპირველესად სრულსა ქულყანასა ზედა (68v).

ზოგჯერ მართული მსაზღვრელი, ძველი მრავლობითით გაფორმებული, ხმოვანმოკვეცილი გვხვდება, მაგ.:

ამან მომიარღანანა ვეცხლის თეთრი, ძველთა **ჯელმწიფეთ** სახეთა თს ზედა მქონებელი (87v); გარნა სხულბრ ამსგავსებენ კალმუხთა და **ნოლათ** ურემთა (34v); თს **ლათინთ** გელმწიფების განყოფისა (141r); **ცხენთ** ფერგთა დგრიალნი (185r),

<sup>32</sup> ი. ვ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, 1956, გვ. 598, 611, 612.

ასეთი ფორმები შესაძლოა კომპოზიტებისაკენ გარდამავალ საფეხურად მივიჩნიოთ.

აზრობრივი შეთანხმების მაგალითია:

**სიმრავლე** ლათინთ სამლუდელოთანი (119r).

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზმნა სახელისაგან თანდებულიან ფორმას მოითხოვს, თანდებული აქვს მსაზღვრელს და არა საზღვრულს, მაგ.:

რაოდენმე განმაშორა **წინამდებარესაგან** საგნისა (171r); მაქვს ბატვი შევედრებად **თქვენისადმი** ბრწყინვალეებისა კაცისა ამის (97v); ვკითხე მიხილციანოვს ფრანგთა მათ **ესევითარისათჳს** ქცევისა (82r).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ძეგლში ძალიან ხშირადაა გამოყენებული ე. წ. მასდარული კონსტრუქციის წინადადებები, მაგ.:

ხოლო ოდესცა ნებსით ინებებს **დატევებად** თჳსისა და **მიღებად** ჩემისა, მაშინ არ დავაბრკოლებ მას (171r); ამან... აღმოთქუა **მიხლუად** (186v); ვუბრძანე წოლით **დარაჯობად** და **მოჩვენებად** თავთა თჳსთა რეცა მძინარედ (181v).

მასდარული კონსტრუქცია ძვ. ქართულშიც იხმარებოდა, მაგრამ უცხო ენათა ინფინიტივის გადმოსაცემად შემუშავებული ასეთი ფორმები უდღეური აღმოჩნდა. „თვით ძველ ქართულში იყო ჩასახული და შემდეგში უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა infinitiv-ის გადმოცემა ჩვენი ჩვეულებრივი საწყისით სახელობითს (და მიცემითს) ბრუნვაში“<sup>34</sup>. გ. ავალიშვილი კი, როგორც წესი, ყველა შესაძლებელ შემთხვევაში იყენებს ინფინიტივის ფორმას. მაგალითად, უარყოფითობის<sup>35</sup>აფიქსით გაფორმებული საწყისიც კი „ინფინიტივის“ ფორმით აქვს გადმოცემული:

რაოდენცა ძალმედუა ვცდილობდი **უჩვენებლობად** მისა სახესა ზედა ჩემსა გამოწერილისა შეწუხებისა (189r).

ზოგჯერ ქვემდებარეც კი ინფინიტივითაა გამოხატული, რაც ძალიან აბუნდოვანებს წინადადების შინაარსს, მაგ.:

ვთხოვე მიწორად ვისდამიცა ჯერ არს, რომელ წინადადებულის ამის ბატვიისა ჩემდა ფაშისა მიერ **მიღებად** ჩემგან არს ყოვლითურთ შეუძლებელ (71v); ძნელ არს მუნ **ჩასლუად** (78v); სხუშბრ შეუძლებელ იყო განსჯისამებრ ბორბალთა ქართა ერთთაგან **ბრძანებად** და მეორეთა მიერ **სმენ-აღსრულებად** (20v); გარნა აწ გშუშნისთ **მორჩილებად** რჩევისა ჩემისა და **მიღებად** წამლისა ამის (22r); ვითარმედ მრავალთა სანატრელ იყოს **მონაწილეობად** წარმოებულს მას შინა ელლინთა მიერ (26v).

ინფინიტივის როლის ასეთ გაზრდაში, უდავოა, დიდი წილი მიუძღვის რუსულ ენას, რომლისთვისაც ეს კატეგორია დამახასიათებელია.

<sup>34</sup> ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, 1957, გვ. 751.

ინფინიტის ფორმების გვერდით გვხვდება საწყისის ჩვეულებრივი ფორმებიც, მაგ.:

ამისთვის გმართებხტ თქუშნ...სიფრთხილით სლუაჲ და დადგომაჲ (182v); ვერ ძალვიდეგ მე განრინებაჲ შენი მწუხარებისაგან შენისა (179r); თანამადს დამზადებაჲ ნივთთა (168v).

საინტერესოა ერთი მაგალითი, სადაც მომავლის მიმღეობა (ეს სიტყვა-ძველ ქართულში გაარსებითებულია, მაგრამ ჩვენს მაგალითში მიმღეობად უნდა გავიგოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობასთან გვექნება საქმე) მას-ღარის მნიშვნელობით იხმარება:

ვინაჲთგან უკრძალვენ ერთნი მეორეთა სახედველთა ცოლთა, ასულთა და ყოველთა მდედრობითთა სქესთა სახლისა თჳსისა-თა (33r).

**სახედველთა = ხედვა-ს.**

ძე. ქართულის მსგავსად, ჩვეულებრივ, ვითარებითში „დასმული საწყისია გამოყენებული მიზნის გარემოების შინაარსის გადმოსაცემად, მაგ.:

მგედართმთავარსა... \*წარუვლენიეს ნაწილი ვაშტთა თჳსთა დაფ-ლოზად რომეტისა (107v); ნუ შერგების ცდუნებად ძმისწულისა თჳსისა (80r); თჳს ხილუად ჩემად მოსლჳსა ძრანციის აგენტის გასპარასი (78v—79r).

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე მომავალი ღრვის მიმღეობა ან თანდებულნი საწყისი, მაგ.:

შეველ... სრულსაყოფელად (21v); დილით წარგზავნე კაცი ჰა-ჯი-აჰმად ბეგისადმი შესატყობინებელად (182r); რომელთაცა აი-ძულებდა მოძღუარი მათი წკებლისა ცემითა ჳმამალად კითხუ-თათჳს და ქნევადცა თავთა სხეულითურთ (142r).

ბოლო მაგალითში ძველი და ახალი ფორმები ერთმანეთის გვერდითაა გამოყენებული.

როგორც ვხედავთ, მიზნის გარემოების შინაარსის გადმოსაცემად ჩვენს ძველში გვხვდება როგორც ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი, ისე ახალი ქართულისებური ფორმები.

ასევე რამდენიმე სახის ფორმა გამოიყენება „მოგზაურობაში“ მიმართუ-ლების გადმოსაცემად. ძირითადად მიმართულების გადმოსაცემად გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითი, უფრო იშვიათად ვითარებითის ფორმები, რაც ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ ამათ პარალელურად მიმართულება გამოხატულია ახალი ქართულისებური საშუალებებით: ნანათესაობითარი მიცემითით და თანდებულნი ბრუნვებით, მაგ.:

ვითარებითი:

ვხედავ მიმავლობასა თქუშნსა იერუსალიმად (111v); შემდგო-მად მოადრეებულისა სადილისა წარვედით იერიხოდ (126r); აქედან უკმოქცევულთა სურამადვე განვისუშნეთ რა მცირედი ხანი, ვიხი-ლულთ... ეკზარხ-მიტროპოლიტი (10v).

ნანათესაობითარი ვითარებითი:

შეველ პატრისა **ონიძრესად** (9v); მოვედით ხეცქრენისისა **პირამი-  
დისად** (94v); თჳს მოსლჳსა ჩემისა უფლისა კომენდანტისა **დედ-  
რემოვიჩისად** (16v).

ნანათესაობითარი მიცემითი:

მოვედით... კონსულისა **შამპიონისას** (66v); მიველ სანადლობელად  
 და განმშუღობებად უფლისა ბარონ **სტროგანოვისას** (39v); შე-  
 მდგომ წირჳსა მიგვიპატიჳთ **თჳსას** ნწყემსთმთავარმან ამან (159r);  
 წარმოვიყუანე თჳსთანა დავით ორბელიანი სადილად **ჩემსას**  
 (16v).

თანდებულიანი ბრუნვა:

შეველდევით გზასა **ალექსანდრიისადში** (65v); წარმოვედითცა **იერუ-  
სალიმისადში** (127r); წარველ ფრჳვი პეტრე ლარაძეთურთ ზემო-  
 კსენებულისა **ეკკლესიისადში** მოსმენად წირვისა (10v).

ზოგჯერ ერთი წინადადების ფარგლებშია სხვადასხვა ფორმები ნახმა-  
 რი, მაგ.:

სხუშბრ ქალაქი ესე, მდებარეჲ მაღალთა მთათა ძირსა, არს მექო-  
 ნი კერძოდ **სამჯრეთისად** მთათა, ხოლო აღმოსავლეთისა, დასაე-  
 ლეთისა და **ჩრდილოეთისადში** ზღჳსა (58r).

საინტერესოა მაგალითი, სადაც პუნქტამდე მიწვენილობა ერთ შემთხვე-  
 ვაში გადმოცემულია სახელის ვითარებითის ფორმით და მეორე შემთხვევა-  
 ში თანდებულიანი ბრუნვით:

ვიქირავეთ ერთსა ქარვანსარაიასა შინა ოთხი ცხენი დანიშნულ **ად-  
გილად** და მუნით აქვე **ქარვანსარაიადმდე** (45r).

როგორც ვხედავთ, ერთისა და იმავე მოვლენის გადმოსაცემად გამოიყე-  
 ნება სხვადასხვა დროისა და წარმომავლობის ფორმები.

ნანათესაობითარი ვითარებითი გვხვდება აგრეთვე სხვა შემთხვევებშიც:

დროის გარემოების ფუნქციით:

და დავშორდითცა ურთიერთსა, მეორეჲსა **დღეჲსად** მერმე ერთ-  
 მანეთისა ხილუად მოიმედენი (13v); დროსა მისისა წარსლჳსასა  
 ვთხოვე **სხულისად** წირვაჲ და პარაკლისი მშვიდობისათჳს ჩემისა  
 (10v).

დანაშნულების გადმოსაცემად:

ვნახე სპილოჲ იე—ისა წლისა, მოყუანილი ინდიელთა მიერ არშა-  
 ლანად **მაჰად-ალი ფაშისად** (78v); ხოლო ორიცა სხუჲა ცხენი მი-  
 ვეც კუალად ამსლჳს, მთხოველმან მიყუანად მათსა საქართუშლოსა  
 შინა და მიცემად ძმისა ჩემისა უფლისა ნადგორნი სოვეტნიკისა  
 თავადისა იოანე იოანესისა **ავალოვისად** (17r).

თავისებურია, რომ ზოგჯერ დღევანდელი პირდაპირი ობიექტი თანდებულნიან სახელითაა გადმოცემული, მაგ.:

რონელმანცა ნომილოცა მშვიდობით მოხლჯსათჯ ჩემისა (167v); არამედ ვგრძნობ მე დიდსულობისათჯ შენისა (30v); ოდენ მიბრძანეთ მე განჩრევით დროისათჯ წარსლჯსა თქუწნისა (91v); შეინანებს თავსმდები ესე განტევებისათჯ შენისა (91v).

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა წრფელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ.:

შემძლებელ ვარ (167v); მიყუანებულ არს (148r); იყო შემდგარ (197r).

იშვიათად სახელობითში დგას სახელი: ნასკეული არს (18r).

წინადადების ტიპებიდან აღსანიშნავია უსრული წინადადებები, სადაც ზმნა არ ჩანს, მაგ.:

ხოლო სამნივე ესე ნათესავნი განგრცნებიან ჩფ-ს კომლამდე, დუქანნი მრავალ და აღეზმიციემაჲ კმად კარგი (9v); ბერძნთა და ფრანგთა აქუსთ თჯთოჲ ეკკლესიაჲ, მესამეჲ უქონელ მისა, ხოლო მეოთხეთა ორი ჯამი ორითა მინარითა (33r); კარი გალაენისა მარადის დაჯშეულ და ვიდრე დაკეტილცა, გარნა მჯმილაჲ მისი განუშორებელ მისგან (32v).

ასეთი ტიპის წინადადებები ძველ ქართულშიც გვხვდებოდა.

ძველში ძალიან ხშირადაა გამოყენებული მიმღეობები, რომლებიც უმთავრესად ქანსაზღვრების (ჩეულებრივ, განკერძოებული განსაზღვრებების) როლში გამოდიან. მაშასადამე, მიმღეობების გამოყენებით ვღებულობთ ფორმით მარტივ წინადადებებს, სადაც კავშირების ხმარება მინიშუმამდეა დაყვანილი, მაგ.:

უქანასკნელ, მიშავალხა წყნარად და არლა რაისამე წინააღმდეგისა შემთხუცვისა მლოდნელსა, მომესმა განმაკროთმელი ყვრილი (151r); არხინანდრიტმა მათეოს, განვლილხა ლამესა უცხოლ მმასპინძლებელმან ჩუწმან, მსმენმან ჩემისა იერუსალიმისადმი მინართვისა, მთხოვა სათანადოჲთა თავაზითა ორი ნივთი, იერუსალიმისა შინა ხაშოვარი (10r); ხოლო მე, აღმთქემელი ამათი, გავეთხოვე და წარველი (10r).

მიმღეობათა ასეთი ქარბი ხმარება არ არის ბუნებრივი ქართულისათვის. სამაგიეროდ იგი სავეებით უპასუხებს ანტონ კათალიკოსის სკოლის ნორმებს.

არ იყო მოსალოდნელი მიმღეობიანი წინადადების გვერდით გვქონოდა რა კონსტრუქციის წინადადებები, რადგან ისინი ერთსა და იმავე ტიპის წინადადებებს ქმნიან, მაგრამ ამის მიუხედავად ეს ტიპი წინადადებისა ისევე ხშირადაა გამოყენებული, როგორც მიმღეობიანი წინადადებები, მაგ.:

მოვედით რა სახლისა ამისდა, დაეურეკეთ კარი (34v); იწყო რა კითხუად სამოციქულოჲსა, გამოჰჯდა მლუღელი ესე (164r); მიველ

რა საზღვსა უფლისა პოლკოვნიკისა... ვპოვნე მას შინა თავადი (195v); გავშალეთ რა, გამოჩნდნენ შემდგომნი ნივთნი (195r); სთქუა რა ესე, აღიღო პირველივე წიგნი (128r).

აღსანიშნავია, რომ რა კონსტრუქციის მქონე წინადადებები ბევრად უფრო მარტივი, სხარტი და გასაგებია, ვიდრე სხვა ტიპის წინადადებები, რომლებსაც ჩვენი ავტორი ხელოვნურად ართულებს, „არქაულ“ სახეს აძლევს ძველი კავშირებისა და „არქაულობის“ სხვა ელემენტების ქარბი გამოყენებით.

რა ნაწილაკი დროის გარემოებით წინადადებაში გვხვდება, ე. ი. ცვლის დროის კავშირებს, მაგრამ ზოგჯერ ჩვენი ავტორი რა ნაწილაკთან ერთად კავშირსაც ხმარობს, რაც ხელოვნურს ხდის წინადადებას, მაგ.:

**ვითარცა დაასრულნა რა თუაღთმაქცმან ამან ჩუშნებაა მოკრილთა ენისა და ცხურისა... ჰმოაყარნა იგინი რქასა შინა (141r).**

რა კონსტრუქციის წინადადებები ჯერ კიდევ ძველ ქართულში იხმარებოდა, ამიტომ იგი არ მიიჩნევა რუსულის *слепричастие*-ს ფარდად შექმნილად, მაგრამ გ. ავალიშვილთან მათი ხშირი ხმარება მაინც რუსულის გავლენით უნდა აეხსნათ.

ასეთია გ. ავალიშვილის ნაწარმოების „იერუსალიმში მოგზაურობა“ ენობრივი დახასიათება. მიმოხილვიდან ჩანს, რომ გ. ავალიშვილის სახით საქმე გვაქვს ანტონის სკოლის მწერალთან. ჩვენი ძველი ძირითადად დაწერილია „მაღალი შტილით“, რამაც განაპირობა მისი ენის ხელოვნურობა და სირთულე. მაგრამ ამ ერთი ნაწარმოების ფარგლებშიც შეიმჩნევა სხვადასხვა სტილების გამოყენება. წმინდა ადგილების აღწერისას, „მაღალ მატერიებზე“ მსჯელობისას განსაკუთრებულად აღზევებული სტილია გამოყენებული, სადაც ხელოვნურობა და ლვარტნილობა ენისა კულმინაციას აღწევს. მაღალფარდოვანი სტილის გვერდით გვხვდება შედარებით სადა, მარტივი სტილი, რომელიც რომანტიული ამბებისა და შემთხვევების აღწერის დროსაა გამოყენებული.

ანტონის სკოლა ეწინააღმდეგებოდა ხალხური, სასაუბრო სიტყვებისა და ფორმების შემოტანას და დამკვიდრებას ლიტერატურაში, მაგრამ გ. ავალიშვილი ხშირად ლალატობს ანტონის სკოლის ამ პრინციპს და მრავლად ხმარობს სწორედ სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელ ფორმებს, რომელთაგან ბევრი ახალი სალიტერატურო ენის კუთვნილებას წარმოადგენს.

„მოგზაურობა იერუსალიმში“ მნიშვნელოვანი ძეგლია იმ მხრივ, რომ კარგად გვიჩვენებს იმდროინდელი სამწერლობო ენის ვითარებას: ფორმათა ნაირფერობას, სხვადასხვა დროისა და წარმოშობის ფორმების არსებობას ერთმანეთის გვერდით.

ჩვენს ძეგლში გამოიყოფა ძვ. ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები და წარმოებები, როგორცაა: წრფელობითი ბრუნვის გამოყენება, გამოსვლითის ხმარება, ნანათესაობითარი ვითარებითი მიმართულების ფუნქციით, ათრონის გამოყენება, ზმნაში არქაული არვევრების ხმარება, უწყვეტლის ზოღმეობითის გამოყენება, კითხვითობის ა ნაწილაკი, არქაული კავშირების ხმარება და სხვა.

საკმაო რაოდენობითაა ახალი ქართული სალიტერატურო ენისთვის ნიშანდობლივი ფორმები, როგორც მაგალითად: საკუთარ სახელთა გაფორმება

სახელობითსა და მოთხრობითში, ემფატიკური **ი** ხმოვანი, აწმყოს პრევერბიანი ფორმების ხმარება მომავლის მნიშვნელობით, უწყვეტლისა და წყვეტილის მრავლობითის III პირში -**ნებ** სუფიქსი, მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღნიშვნა ზმნაში და სხვა.

დიალექტური ფორმებიდან აღსანიშნავია: მიმართულებითის გამოსახატავად ნანათესაობითარი მიცემითის გამოყენება, „**ღამ**“ თანდებული, -**ვხ** სუფიქსის დართვა წყვეტილის I და II პირის ფორმებზე, თურმეობითის წარმოება „**იყო**“ დამხმარე ზმნით და სხვა.

ძეგლში გვხვდება აგრეთვე რუსულის გავლენის ამსახველი ფორმები, რუსული სიტყვების კალკირების შემთხვევები, ინფინიტივის ფორმების ხშირი ხმარება, „**რა**“-კონსტრუქციის წინადადებების მოჭარბებული გამოყენება და სხვა.

ხშირადაა გამოყენებული თავისებური და ხელოვნური წარმოების ფორმები, როგორცაა: ჩვენებითი ნაცვალსახელის გაფორმება სახელობითის ნიშნით, ზმნების შერწყმა, ორმაგი პრეფიქსაცია ზმნის I პირში, III პ. ბრძანებითის ფორმათა თავისებური შინაარსით გამოყენება, ქვემდებარის დასმავითარებით ბრუნვაში და სხვა.

Л. А. КИКНАДЗЕ

## ЯЗЫК ГЕОРГИЯ АВАЛИШВИЛИ

(По „Путешествию в Иерусалим“)

### Резюме

Георгий Авалишвили, общественный деятель и писатель конца 18-го и начала 19-го века, относится к той плеяде, которая вела плодотворную переводческую работу с русского языка на грузинский. Он первый перевёл пьесы русского комедиографа Сумарокова и в истории грузинской литературы завоевал имя основоположника грузинской драматургии.

Георгий Авалишвили известен также, как автор оригинальных произведений, из которых самое значительное „Путешествие в Иерусалим“. Оно интересно, как по содержанию, так и по языковым данным.

В исследовании рассматривается язык этого памятника.

Георгий Авалишвили находится под влиянием школы Антония 1-го. В основном этим и объясняется влечение его к архаизации языка. Наряду с этим он обильно употребляет и образцы новогрузинского языка.

Встречаются также диалектизмы и формы, созданные под влиянием русского языка. Наблюдается и модернизация древнегрузинских форм.

Нередки искусственные словообразования, которые признавались совершенно закономерными для книжной речи по принципам школы Антония I-го.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ბ. კიკვიძე  
გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე  
ტიპრედაქტორი ნ. ჯაფარიძე  
კორექტორი ვ. ჯაყელი

გადაეცა წარმოებას 8.8.1963; ანაწყოების ზომა  $7 \times 12$ ;  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.4.1964; ქალაქის ზომა  $70 \times 108 \frac{1}{16}$ ;  
ქალაქის ფურცელი 5,62; საბეჭდი ფურცელი 15,40; საავტორო  
ფურცელი 12,76; საადრიცვო-საგამომცემლო ფურცელი 13,10;  
შეკვეთა 1052; უე 02666; ტირაჟი 1000  
ფასი 1 მან. 04 კაპ.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,  
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5



ფანსი 1 მან. 4 კაპ.

ს/გ. 16/36